

Handwritten Georgian text in red ink, featuring stylized characters. The text is arranged in a single line and is framed by a decorative border. The characters are highly stylized, with some resembling the Georgian letter 'ა' (a) and others resembling 'ბ' (b) or 'გ' (g). The text is written in a cursive, flowing style.

ბიბლიოთეკა
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახურის

№ 2 (10)


1925

თავისუფლების
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

პრეტლუცარებთ ყველა ძვეყნისა, შერთდით



თავისუფლების
მუზეუმი



მე 2 (10)

ყოველთვიური საგზაბეგო სალიტერატურო
და საგეგნიერო ჟურნალი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თბილისი 1925 წელი



საქართველოს
საზოგადოებრივი
მუზეუმი

ა კ ა კ ი.

ძველი საოპერო თეატრის ბაღში. (ქანდაკება ი. ნიკოლაძის).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსატკბურელი ლიტერატურა

საქართველო

რუსეთი

დასავლეთი



მ რ ი ლ ე ს ი ტ ყ ვ ა .

აკაკისათვის პოეზიის სინონიმი იყო ჩონგურის სიმები.
რომელი პოეტი არ ეძებდა შთაგონებას ქალის სარკესავით თვალებში
და მშვენიერ თმაში?
ოდესღაც მე ვცდილობდი დამეტყველებინა პოეტურ თქმაში
მოაგარაკე ქალბატონი მისი მოულოდნელი ლაწვეების ანთებით და ნელი
გალიმებით.

მე თვითონ დატყვევებული ვიყავი მაშინ
სონეტის, როგორც მეგონა, უკვდავი ფორმით.

ეხლა სხვა დროა. გრიგალები. ქარიშხალი. შტორმი.
და ცეცხლის ხაზი..

(ჩემო ძვირფასო აუდიტორია — მდინარეებო და მაღალო გორებო! —
თქვენ მაპატიეთ რომ მიხდება განშეორება
ეგრედ წოდებულ პოეტთაგან ჯვარცმული ფრაზის).
მე იშვიათად ვნახულობ ლექსისათვის თემას.
პოეზიაში ყველაზე ძნელია მრუშობა...

ო, დიდებულო დემოს!

მართლაც რომ მშრომელო გლეხებო და მუშებო! —

თქვენ გადიდებენ დღეს ლექსების მოხელენი,
უბილეთონი რომ ჩამსხდარან პოეზიის ბრწყინვალე გემში.

არავინ იფიქროს, რომ თქვენდამი სიყვარული არ არის ჩემში!

მე ვიცი თქვენი დაკოჟრული ხელები,

მე მახსოვს, როგორ დადიოდით თქვენ არახინდოს ფიქვენარში ხველებით,
მძიმე სენისაგან ფერწასული და მოღუნულები.

მე მივხვდი იქ, თუ რა სიყვარულით და ღმობიერებით გიცემდათ გუ-
ლები,

როდესაც თქვენ ცდილობდით რომ ყვავილიც კი არ გაგესრისათ თეხით.

შემდეგ მე რამდენჯერ მინახავს ბარის ტარზე ნიკაპით დაუბნობილი

ბიბლიოთეკის
ქართული
გლეხი
ბიბლიოთეკა

26901
7/1



როცა მის ფიქრებს იტაცებდა, ოდნავ დაფარულად, სხვილად, ეკლიანი
 შიშვალის მსგავსებით,

მზის თვალი ჩამავალი...

მე მინახავს ქარხნები, მინახავს დეპოები,

მინახავს უძვირფასესი ნივთები მრავალი

თქვენგან შექმნილი და თქვენთვის კი ურგები.

გემის დაცლის დროს მე მინახავს, თუ როგორ იდრიკებოდენ თქვენი მა-
 გარი ზურგები

და როგორ მისდევდა ტომარას ტომარა...

მაგრამ თქვენ მაინც ჩემგან არასოდეს არ მიგიღიათ ლექსების ძღვენი.

ვინ იცის, ვგებ კიდევაც გავხდებოდი ნაწილობრივად მე პოეტი თქვენი,
 ზემოდ აღნიშნული გარემოება რომ არა...

რა ვქნა: მეც... მეც კი მიტყდებოდა ლექსი!

თითქოს ჩემი გული აეგო ფრპირად ალესილ დანაზე.

თურმე ყველაფერი წარმავალი ყოფილა ამ ქვეყანაზე,

თურმე ჩვენ ხანდახან აქლემად გვეჩვენება ნემსი.

თოთხმეტ მარცვლოვანი ლექსიც კი, ხანჯალივით ნაფერი,

გარდაუალი როდი ყოფილა თურმე.

წლებს—ამ ისტორიის გაბაწრულ ურმებს—

დავიწყების უფსკრულისაკენ მიაქვს ყველაფერი.

ტფილისი, 1 მარტი 1925.

გაღდა სოფელს

ღამეა... ჰყინავს... ალაბი თოვლი...
გულ შემზარავად ტრიალებს ქარი,
არ იღალბა ქვეყნების მოვლით,
არის მეხივით დაუდევარი;
მის ქვეშ ზანზარებს ფერმკრთალი ბარი.
და ილუნება მთების ორწობი.
თოვლის—ქულა სქლად გადანათარი
ისევ წელ-მაგრად სდვას გლეხის ქობი.

ქობში ჩოჩქოლი, ნახევრად ბნელა,
და ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი—
გიტარის სიმებს აქლერებს ნელა
თვალეზ გიშერი, გულ-მკერდ-ფიქალი,
ამღერებს ეშხის გრძობებით მთვრალი...
ქობის კედლებს კი მოჭდეულს ჩიხით,
რომელს ამწვენებს ნაქარგი ხალი—
ჰკიდია რქები: ირმის და ჯიხვის.

ყმაწვილო ქალო, რად შეაჩერე?
დე, იწკრილოს სიმებმა ისევ!
ნუ დაადუმებ გულს ანაძგერებს,
შხამ ნაწვეთ დარდებს ნუ შემომისევ!
დაუკარ ჩქარა, დაუკარ მყისვე,
სანამ სხეულში ცეცხლი ანთია,
სანამ ჯერ კიდევ ეს სიხალისე
აღმოდებული განთიადია!

ავყია ბედი მუდამ დაგცინის,
მაგრამ გული კი ვერ დაიშანთა,
აღმოდებული ვნება და ჯინი,
რომელიც დღემდე შენთვის არ სჩანდა,
მოვარდა უცებ, მოგხვია კალთა...
და რალას დგეხარ შორს გარინდებით,
ჩამოიხადე ადათის ფარდა,
მოხვიე მძლავრად ბროლის თითები!..

მჯერა, კარგია მშრომლების კერა,
გულს სიხარულის სხივებით ათბობს;
ზიხარ, გიცქერენ, შენი სიმღერა
ხიბლავს, იტაცებს ახოვან სატრფოს.
შენს გულსაც მისი ალერსი ათრობს...



მაგრამ სულ სხვაა გულისთქმა ცხელი,
და შენც სულ სხვა ხარ წყვეულ ადათო!
რა დროს ეგ არის, მიეცი ხელი,
ჰა, თამრო გიცდის, წაიყვა დათო!..

და მობრუნდება ამაყად სიძე
ყელ მოღერებით, როგორც რომ შველი,
ხედავს, დღეს ახალ სიცოცხლეს იძენს,
ხელში უპყრია დაუწურველი
საცოლეს ჩვილი, ფაფუკი ხელი.
და თიქრობს ერთხელ მაინც აკოცოს,
რადგან გრძნობები გიჟი და ცხელი
აღვიძებს ტანში ჩაუქრობ კოცონს.

ზე წამოდგება მამა კეთილი
და მოკრძალებით დალოცავს შვილებს.
დედა კი თითქო გულმოკვეთილი—
სახეს იხოკს და ძალ-ღონეს იღვეს.
თან გრძნობს სიბრაზის ცეცხლს, ხან სიგრილეს.
ქმარი კი ეტყვის:—ქალო ნუ ჯავრობ,
ან და რა შენი ცოდვა გაკივლებს?
ვითომ რა უქირს უღვდლოთ, უჯვაროდ?!

თანხმდება დედა. ლოცავს, არიგებს,
ტკბილ იმედებით შეუღლებულებს:
„იცხოვრეთ შრომით და სიღარიბე
რას უზამს სისხლით აგზნებულ გულებს!
გწამდეთ თანხმობა და სიერთაგულე,
გაპყევით მტკიცედ გულის თქმის ჯირითს—
და ვერ მოგაკლებსთ სიკეთეს უღვეს
კარზე მომდგარი ურვა და ტირი.

ქობში კი ისევ გრძელდება ლხინი
და ფერადდება ჯმუხი ბუნება.
მწყობრი და ხელი ტკბილი ღიღინი
გულს სამკურნალოდ ელამუნება!
იღვიძებს შფოთი. თან მოდუნებას
სურს თავის ძალა წარმოადგინოს,
ზოგს ეკარგება თრობის გუნება,
მაგრამ რას იზამს, მაინც სვამს ღვინოს.

ცეკვა. ჩოჩქოლი. ბუქნა და მღერა
ჩაღდება უფრო მხურვალე ტაშით,
მწვადი, მწვანილი და ტკბილისკვერი
როდი იღვეა უზანდარაში.
სღუმს მერიქიფე სმის მოდარაჯე,
ზვერავს ვით ღამის ქურდი მალულად,
აკარწახებულ მუქი ფარაჯით
დადის და დააქვს ყანწი და კულა.

— სცეცხლე, ეგ არი ძარღვების ზეთი!..



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

და მოქვიფეც ზედი-ზედ ყლაპავს.
— ჰა, ბიჭიც სწორედ უნდა ასეთი,
ერთ ქვევრს დაღევს და პირს არ დაღაფავს!
— ხედავ, დავცალე, სხვა რაღა გიყო?
— გენაცვა სულში, ალალი იყოს!
მაშ ალავერდი შენთან ვარ მიხო!
— კარგი, გეყოფა, რა დროს ეგ არი,
იმდენს გსომ ლამის კუჭი გავიხმო!
— უჰ, რა ბიჭი ხარ შე სასე ძაღლო,
აქ მო, ტოლუმბაშს მოუჯექ ახლო
და გადაჰკარი ყანწიც და კულაც,
რომელს უხვად სდის ბახუსის მადლი,
თორემ ჩემმა მზემ ყურებს აგათლი!
და სცემს ხმაური, გრგვინვა ზღვაური,
თითქო ცა წყრება, თითქო უამია—
ისე გუგუნებს: მრავალუამიერ.
ტოლუმბაში კი სდგას როგორც ქვევრი,
სტომაქში მიდის კახურის ღვარი.
თავის საქებლად დალია ბევრი.
„მაგრამ ჯერ კიდევ მთვრალი არ არი“!
თუმცა გულში ფეთქს ცეცხლი ლადარი;
თვალეებსაც უკვე ჩაუქრა სხივი
და მოღუნების ნიშნის სადარი
სდის შუბლზე ოფლი ცხარე და ცივი.

ზოგი იძახის თავისთვის მხოლოდ:
—ჰე, ვინ მიჰქარა, არა ვარ მთვრალი!
ყანწების ჯირითს აღარ აქვს ბოლო,
ახლა ჯამებმაც იწყო ტრიალი.
ჩხუბი, გინება, ხანჯლის პრიალი...
—გამიშვიტ მოგკლავ!—და ხმალს უღირებს...
მოპირდაპირემ შეჰქმნა ღრიალი:
—გზა დამიცალეთ, დედას უტირებ!..

გრძელდება კიდევ აურზაური
და აიშლება სულ მთელი სეფა,
ფანტასტიური და საცხაური
ღამე, ყინვა და ძაღლების ყუფა,
ავყია ქარიც კარს ენარცხება
და დაჰქრის ყველგან, როგორც აფთარი
ხან ღრუბელთ ქულას მოაფრენს წყებად
ხან სტირის, როგორც სიმები თარის.

ბნელა. სიჩუმე. სძინავს სულყველას.
ხოლო ქოხზე სქლად ნაყარი ისლი—
დრო გამოშვებით შრიალებს ნელა,
როცა აწვება ჯანყი და ნისლი.
გიტარის ეღერა შესწყდა, არ ისმის,
არც სირინოხი სასიმღეროსი...
უკვე იღვიძებს ვნება და სისხლი,
უკვე მოქმედობს ცხელი ეროსი.

წერილი დედისგან.

ამ ზამთრის თვეში, ეს დღე ისე უჩვეულოა,
რომ მსურს გავიდე და ვუმღერო მზეს ალტაცება;
ჩემს ლარიბ ოთახს, ჩემს წიგნებს და გაშლილ რვეულებს,
რომ თავის სითბო, სიდიადე მეტი გადასცეს.
ეხლა სიხარულს
მიორკეცებს შენი სხივები,
როდესაც წერილს დედისაგან ვკითხულობ ჩქარა;
არ ვიცი კარგად,
რას იტყვიან ამაზე სხვები;
მაგრამ ამ წერილს შეუძლია მაქციოს ქარად.
ვინ იფიქრებდა! დედაჩემი ეგრე მოხუცი,
რომელსაც სკოლა არ უნახავს დაბადებიდან,
მომწერდა წერილს, შვილს მუშფაკელს და ჩუმ ლოცვების
ნაცვლად, დიდ სურვილს კომკავშირში შესვლის დებისგან.
ო სიხარულო!
ქარზე უფრო გაინაეარდე;
ის, ვინც ნახშირით მოხაზავდა უქმეთა დღეებს,
კედელზე ისე,
რომ დახლართულ ტყის ტოტებს გავდა,
დღეს მე წერილს მწერს;
მატყობინებს საბჭოს არჩევნებს;
თუ როგორ გახდა თავმჯდომარეთ სოფლელი ქალი,
თუ გაშლილ ველზე კინომ კრებას როგორ აჩვენა
დასაფლავება ლენინის და ბრძოლების აღი.
როს დამითხოვენ,
ჩვენს სოფელში მირჩევს დავბრუნდე;
იქ დავეხმარო, საჭიროა სწავლა ანბანის.
ქალაქის ქუჩებს ხეტიალით მთხოვს არ მოუნდე



ქართული
ბიბლიოთეკა

მოვბედო ქოხებს და კავშირი მტკიცე გავაბა:

„ფილოფოსობას“ შეილო ჩემო,
თავი ანებე;

ებლა მეც ვიცი ვინ უძლოდა ბრძოლისკენ მშრომელთ;

ჩვენაც თქვენსავით ჩვენს სოფელში ვმართავთ ხშირ კრებებს....

უფრო გვახარებს ქალაქიდან როცა ჩამოვლენ.“

ძვირფასო დედავ!

როგორ ცდილობარ რომ არ ჩამორჩე:

შენი თვალები ძველ ცხოვრების ცვლილებას ხედავს;

თუ ამ წერილში ის ხანდახან ჩაუშეგრულებს,

ეპატიება ახლად ნასწავლ და მოხუც დედას.

მზეო! კარგი ხარ,

მაგრამ იმდენს ვერ მაგრძნობინებ,

რამდენს წერილი, ეს უბრალო, ნახევ ქალაღდზე;

ვგრძნობ სიბნელეში აწ სოფელი ვერ იბოვინებს,

.....
ბრუნავს წისკვილი, მოშვებული ნაკადით ღარზე.

სტენკა რაზინ.

I

სამი დღე არის
ერიდება ბრძოლებს,
გაფრენებს;
სამი დღე არის
ალარ ურტყამს ველებს ნავარდებს:
ირანელ ქალზე გატაცება
უკეცავს აფრებს;
ანატრებს
მშვიდათ ხალიჩებით
მორთულ ვერანდებს;
აწეულ კლდეებს,
ზღვის ნაპირებს,
სამხრეთულ ალერსს;
ოქროს გამაკებს
მზით გადამწვარ ქვიშათა შორის;
შუშხუნა თასებს,
ეგებ ღვინომ სევდა გალესოს
და
მშობელ ვოლგას
ჩაულგარონ თუნდ მეტი შმორი;
დასტოვებს რუსეთს
დაურდულს და შხვერთებზე გაკრულს.
დაუტებს ღიმილს.
გადასაშალს როგორც მარაოს.
ბამბების ევენებს
გადაჰკიდებს ყველა ტროიკას,
გზა—ჯვარედინებს
ალკოგოლით ისევ დაბურღავს;

დასტოვებს ყველას:
 „მეგობარო, თავი მოიკალ
 ან და ფოტროდან
 ვინმე მგზავრი უცებ გაქურდე“.
 როგორც გინდოდეს....
 ვერ იმონებს ატეხილ ვნებას,
 დასკდა სადავე
 შეუჩერდა მაჯა ამბოხის:
 საკუთარ გრძნობას დამორჩილდა
 რაინდის ნება
 და ქალის სხეულს,
 რომ აბრმავეებს დანაქარგ ნოხებს.

II

მიათრევს ქარი ღრუბლებს ხავერდულს,
 ღამით ვოლგაზე ტივებს მთრთოლვარეს
 უეცრად ზვირთი დაარტყამს გვერდულს
 და შეჰპირდება უფრო უარესს.
 დაფერდაეს,
 მუხლზე წამოაჩოქებს,
 მსწრაფლ გადაურბენს
 შეკუმშავს,
 გაშლის;
 გადმოვარდება და შეჰქმნის ჩოჩქოლს;
 გამოეხვევა თოვლივით ქაფში.
 და არხევს,
 არხევს მოთეთრო კარავს,
 ირანელ ქალთან რაზინის ალერსს;
 ლურჯი ზვირთები ჩუმ ღამეს მალავს
 ატარებს უბით მთებიან მთვარეს.
 ეშაფოტებზე სძინავთ ყაზახებს,
 იშმუშნის ხელებს გუშავის ღანდი.
 შიში, ლოდინი აყეფებს ძალლებს,
 უცქერენ მთვარეს, ნელა რომ დადის.

 უცებ კივილი კარავიდან
 ხეთქავს სიჩუმეს,
 ცნობის მოყვარე თუ დააკლა
 ფიცრებს რაზინმა?
 ჰეი! ვინ გაბედა,
 შეუშფოთა



სიმშვიდე მხედარს.

გამოვარდება მარჯვე ხელით
 ნასროლ შურდულად,
 როგორც დაჭრილი ნადირის გმინვა,
 ისე მხურვალე ქალის სხეულს
 მოათრევს თმებით;
 მზერა ჭურდული,
 დაღეწილი,
 სიმშაგით თვრება:
 უბახავს სახეს გველებივით
 ყველა ძარღვები,
 ისვრის ვარდნილებს დაბერილი
 კუნთთა ტკეჩები:
 ბნელ ღამის ღუმელს
 მისი ქშენა მქუხარე არღვევს;
 მოდის გულიდან,
 როგორც რისხვა მძიმე გლექტრის.
 ვილაც ჩასძახის
 არ ასვენებს
 სიმშვიდეს უფრთხოებს,
 რაზინის გულში
 სერავს ვილაც სისბლის მქცევ ვენებს.
 ვილაც უკივის,
 უხილავი
 ბრძოლისკენ უხმოებს...
 „ვინ გაიგონა შუალამით
 ქალთან აღერსი,
 როდესაც დილამ შეიძლება
 სევდით აგვაგსოს?!
 გესმის, მხედარო!
 ქობებიდან სიმღერის კვნესა,
 Мх ты, махорка, Русь родная!
 მისგან რჩეული, შენ გეძახის,
 შენსკენ მოდიან
 ნუ ახვევ ამბოხს აელვებულს,
 სიმშვიდის მტვერსა.



საქართველოს
 ბიბლიოთეკა

III

ვინ უმეორებს?
 ეს ხომ გუშინ უთხრეს ნადიმზე,



როდესაც ვოლგას აბრუებდა
 გიჟური სრბოლვა;
 აზარტეშებით
 თამაშით და სიმღერის ქროლვით.
 მას ურჩევნია
 ხელშეკრული მისვლა ნადირზე,
 სიცოცხლის ბრუნვა ქალაქებში
 მოგუდოს ბოლით.....
 ოღონდ არ უთხრან:
 „მოუდუნდა ხალისი ბრძოლის“.
 ნუ დაუნგრევენ სიდიადეს
 გადასულ ნავარდს,
 როდესაც ველებს,
 მუხნარებს და რუსეთის რეჟიმს
 ხურდა ფულივით ურიგებდა
 სიკვდილის დღეებს.
 ქალაქის კედლებს,
 გალავანებს და ტივის ბოძებს.
 მოსაედა, როგორც საშობო ხეს
 მდიდრის შვილები;
 კრელ ორდენებით
 პაგონებით და მეფის ჯვრებით.
 ან სამრეკლოდან,
 როს პირველი გადმოისროდა,
 დაგუნდულს თოვლის ბურთებივით,
 ღვთის მოსავ მამებს.

IV

ვინ, ვინ გაბედა?
 დაიჯერა,
 რომ იგი გასცვლის
 ქალზე მოძმეებს,
 მიატოვებს ანთებულ მხედრებს.
 ო! თქვენთან ერთად
 სიხარულს ან შხამებს დასცლის,
 როგორც ყოველთვის—
 ის სამშობლოს შუბლში შეხედავს.

.
 დამდგარი, როგორც ვეფხის თრთოლვა
 უსუსურ ბავშვთან,
 უნგრევს იმედებს გადარჩენის

ქალის ჩუმ ხვევას;
 ო, რამდენ სევდას მფლობელისკენ
 თვალები აშვერს,
 რამდენი წუთი
 რაზინს ტკბილი გადაეფრქვევა.
 ბნედით,
 ბარბაციით
 მიაღგება ხეების ბოგირს
 თრთის და კანკალებს,
 ღმუის,
 ავობს მძვინვარ მხეცივით;
 ააფრენს მაღლა ქალს საყვარელს
 და ვოლგის ზვირთებს
 გადაახლართავს
 ბრძოლებიდან გამოტაცებულს.



V

ეი! გადაეცით
 ქოხებს დანისლულს
 ველებს დაქვიშულს,
 ტუნდრებს,
 ტაიგებს,
 ქალისგან შექმნილ შმაგ ბურანებს
 გულიდან მოხვეს,
 საკუთარ სურვილს
 დასაბელტად
 ფეხქვეშ დაიგებს;
 ზვიად ეოლგიდან
 ბრძოლის ცეცხლი ისევ დაუვლის,
 ეოლგის კომანდორს:
 რუსეთის გლებთა
 დაგუბებულ
 ბოლმების ბუნავს.



უპანასკნელი გარიკადა.

(დასასრული).

ქარი, ოქტომბრის თანამგზავრი, იაფე აფორიატებს ქალაქის წისლიან ქუჩებს. წვიმს. დღეს ოცდასამია. ნევა ნალე დაიძინებს ყინულით დაქვდილი და ეს მშვიერი ზამთარი ბევრს გააყაჩაღებს.

მოხუცი კატორღელი მოწანლა ამ დილის გაზეთებში. თავჩაკიდული ზის და იგონებს თებერვლის დღეებს, როცა უბურო ხალხმა სიმშლი დაივიწყა, მუშამ — ქაოხნის პატრონი, მემამულე — გლეხმა და სისხლისაგან დაკლილებს მაინც ომი ახსოვდათ. რევოლუციის კეთილშობილებამ სტეფანე ლიანოზოვიც კი მოინადირა — რუსი როკუელლერი. ჩაიკოვსკიმ პირველად ნახა ის, აქციების მრისხანე დირაქორი, თავრიდის სასახლეში ღიმილით შემოდიოდა... მაშინ ყველას უყვარდა ბედნიერი სანშობლო, ყველას ერთი მიზანი ჰქონდა, ერთი სიხარული ახარებდა. ახლა?..

ჯარი არ მიდის ფრონტისკენ და ქალაქი დეზერტირებს დარჩა. გაშორდა ფინეთი, პოლონეთი. ახლა უკრაინა დალატობს. საცაა სოფელიც აყაყანდება...

— ყველაფერი იქედან დაწყო!..

ჩაიკოვსკის ბევრჯერ უნახავს ქალაქის გარეუბანში რუხი, სამსართულიანი შენობა — მიზეზი ყველა უბედურების... მართალი იყო პროფესორი, ცეკპელინს რომ ნატრობდა გუშინ, მოფრინდეს ბარემ და პირველი ყუმბარა სმოლნას დაანარცხოს...

„გრრრ...“ ავრიალდა სადღაც ძირს, მატროსებით დატვირთული მძიმე ავტობუსი და კედლები ააძაგდაგა.

„ურააა!“

„ურააააა! — ყვირიან ბალტიის შეზღვაურები, მაგრამ ჩაიკოვსკის მრიაფერი ესმის. რბილ სავარძელში ერთი წუთით ჩათვლემილი, ხედავს:

ქარი შემოაღო და შემოდის მოკრძალებით. მიუახლოვდა.

— ილია ილიიჩ! — ეუბნება ეს ნაცნობი სახე დარცხვენით — მე ისე შევეჩვიე თქვენს იწვიათ ოჯახს, რომ... მაპატიეთ... გავკადნიერდები თუ...

— ინებეთ, ინებეთ! მზადა ვარ მოგიპინოთ! — უპასუხებს მოხუცი.

— მაშ, რაღა დავმალო!.. მიყვარს თქვენი კარგი ირინა... მიყვარს და,





მგონი, არც მას უნდა ვძულდე. ჩემი მომავალი თქვენს ხელშია და აწი როგორც გენებოთ!—ნაცნობმა სახემ მორჩილების ნიშნად თავი დანებდა.

— ძვირფასო რეზო! მოხარული ვარ და ბედნიერი. მოძიახლოვლით! მოდი გადავკოცნოთ ერთმანეთი... კიდევ!.. კიდევ!.. როგორ იფიქრეთ უარს ვეტყობდი რესპუბლიკისათვის თავდადებულ მებრძოლს, დღეს უკვე დამფუძნებელ კრების წევრს?.. თქვენ, არარუსი, კარგად ვიცით თუ რა ერთგული იყავით რუსეთის მთლიანობის, უერთგულესი! ახ, რა თავგანწირულათ იბრძოდით მარჯვნივ და მარცხნივ! აბა მითხარით, ვინ დაამარცხა სმოლნის თავბუდეები? ვინ შეათანხმა დროებით გათიშული თანამებრძოლნი?.. თქვენ, ძვირფასო რეზო, და თქვენმა კეთილშობილმა ამხანაგებმა! იყავით ბედნიერი და ამიერიდან ირინაც თქვენთან იქნება.

— ირინა, ირინა!— იძახის გახარებული მამა.

პასუხი არ ისმის.

— ირინა! სადა ხარ? მოდი ჩვენთან.

ის არ შეპოღის. „რცხვენია, ბუნებრივი მოვლენაა!“ ფიქრობს მოხუცი წამოიწევს ასადგომად და... გამოუღვიძება.

იგივე სინამდვილე, ბნედიანი და შეშლილი, როგორც ეს ქარი, ქუჩას რომ აწიოკებს.. სმოლნა სიზმარში დაამარცხეს...

— არა, მე ვერ მოვისვენებ თუ ქუჩაზე არ გავედი!— გადაწყვეტს ჩაიკოვსკი და მუხლზე ხელების დაბჯენით წამოდგება.

კედელზე სადაფის რგვალ ფოლაქს თითი ოდნავ შეაზო და ოთახში რაღაც მორგვივით რგვალი შემოგორდა.

— ულიანა, მომეცით ჩემი შუბა, ქუდი და ბაჟიკორთები. ჯობიც მომიტანეთ. ქარია. უჯობოთ წავიქცევი სადმე.

— ოი, ბატონო! დაგიფაროთ ყაზანის ღვთისმშობელმა! სად უნდა წახვიდეთ ასეთს ქარბუქში?

აწუწუნდა ცბიერი ულიანა.

მალე დაებრუნდები. ჩვენებიც აღრე მოვლენ. ერთხილად იყავი, უცნობს ქარი არ გაულო, თორემ ყაჩალი იქნება, უსინდისო ვინმე..

— მესმის, ბატონო! ეგ, სად არის ახლა სინიდიისი: ისე სცივათ, ისე შიათ რომ...

მიდის. პუშკინის ძველთან ქარმა წააჩოქა. მოიხედა უკან. იქვე, წაქცეულ ტელეგრაფის ბოძთან იყინება ვიღაც დავარდნილი. თმგაჩეჩილს თვალები ღიათ დარჩენია.

— მეეზოვე!— მიმართა ჩაიკოვსკიმ ცოცხიანს— უშველეთ ამ ადამიანს, წაიყვანეთ თავშესაფარში. ეტლის ფულს მე მოგცემით.

— ეე, თქვე დალოცვილო! წუხელი მარტო ამ ქუჩიდან სამი გაყინული ჩაეაბარე ვილლიეს კლინიკას. მეყოფა!..

„ერთი ქუჩიდან სამი გაყინული“— მიდის და ფიქრობს ჩაიკოვსკი— სირცხვილია! სად არის მთავრობა, რომელიც...



— შენ, ეი, ბურჯუა! — შემოაძახა სწორედ ამ დროს, გვედევნებდა მარშოხურულმა: რესპუბლიკის სახელით გიბოვ დანიტმო ეს ბუნჯუა...
 პასუხს არ გასცემდა, მაგრამ „ბურჯუა“ შეურაცხყოფად მიიღო.

— მე არც ბურჯუა ვარ და არც ქუჩის უსაქმო მაწანწალა. აბა ვინ გეტყვოდა შენ, რომ ხალხის კეთილდღეობისთვის ხუთი წელიწადი კატორღაში გამიტარებია!

— ხუთი წელიწადი... ახ, როგორ გამაკვირვე! შენ ხუთი გახსოვს, მე კი სამუდამო კატორღა ნომისაჯეთ თქვე...
 და ტომრიანმა მოამზადა უფრო მაგარი სიტყვა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ქარის ახალი ტალღით გაჰკუდული და ღონე მიხდილი, შარს ჩიქჩიქით გარბოდა...

ზნამენის მოედანზე ყოველთვის წააწყდები ცნობისმოყვარე ხალხის ჯგუფს. დგანან და ელიან რაღაც უცნაურს. უცებ გაჩნდება ვინმე, მოიხდის ქუდს და დაიქუხებს:

„ამხანაგებო!“

ხალხიც თითქო ფურს უგდებს, მაგრამ თუ ვინმე იტყვიანს წამოცდა „კმარა“, მთელი მოედანი აზუზუნდება. როგორც სკა: „კმარა! მოგვებზრდა ამდენი ლაპარაკი! საქმე, საქმე!“

ახლაც, სადგურის წინ ნოფუსფუსე ხალხის გროვას ისევ მოესმა მობეზრებული „ამხანაგებო“. ფოლადის ზარივით დარეკა ამ ხმამ და უცხო ამბის მოლოდინით ყველა შეაჩერა.

— სალაში თქვენ, თავისუფალ რუსეთის შეილებო! დაიწყო ორატორმა, — ნება მომეცით მოვიხადო თქვენს წინაშე ერთი საპატიო მოვალეობა. ეს დამაკისრა იმ ათმა მილიონმა გლეხკაცობამ, რომელიც ვნაბე მე, შუაგულ რუსეთში მოგზაურობის დროს. მომისმინეთ! გარეშე მტრის დამარცხება და დამფუძნებელი კრება — აი რა ესიზმრება ჩვენს სოფელს, იცოდეთ რომ...

მოლაპარაკეს ხმა დაეწმინდა. თვალებანთებული, ის მალე მოაჯადოებდა წრეს, ვიღაც გაიძვერას ყორანივით რომ არ დაეჩხავლა:

— პური მიუღიათ! ვის გინდათ, ძმებო! სუვოროვის ქუჩა, ნომერი ხუთი! იჩქარეთ!

ეს ნოხდა უეცრად, როგორც მიწისძვრა. სადგურის წინ, ქვის პარაპეტზე დატოვეს იგი, უკვე დამცხრალი ვულკანი. დგას მხრებჩამოყრილი, როგორც გაფრენილ გუნდის მიერ მიტოვებული ავადმყოფი წერო და ვერ გამორკვეულა: „რა ნოხდა? ნუ თუ პურის მეტი აღარაუფერი ახსოვა ამ საცოდავებს!“

— უბედურო ქვეყანა! — წაიჭურჭულა შეურაცხყოფილმა და გაიღიმა იმ გესლით, რომელიც ბევრს გაანადგურებდა, ცარიელ მოედანზე რომ მარტო ქუდი არ დარჩენოდათ გატყვეულებს და კალოში მარცხენა ფეხიდან...

ჩამოყვა კიბეს და მიდის გულმოსული. პირველი ნაბიჯი არ გაუმართლდა დღეს, 23 ოქტომბერს. ხიფათიანია საერთოდ სამიანი რიცხვები: 3, 13, 23, მა-



გრამ არაფერი! მცირე დამარცხებას, დიდი გამარჯვება მოყვება... „ეს კი ნაცნობი უნდა იყოს!“...

გმზღნიქსქა

— სალამი რევოლუციის ვეტერანს! მიმართა მან დაღლილი ნაბიჯით მოახლოებულს და ქუდი მოუხადა: როგორ ბრძანდებით პატივცემულო ილია?

— ეეხ, როგორ ვიქნები!.. თქვენ საიდან, როდის?

— მე— შუაგულ რუსეთიდან.. მთავრობის დავალებით. ორი თვე დავიხეტებოდი სოფელ-სოფელ.

— რას გვეტყვიან: საიმედოს?

პასუხი დაიგვიანა. ვერაფერს! საშინელ სურათების მნახველი ვარ. ჯოჯოხეთი მიდგას თვალწინ დამიჯერეთ... გლესს, რომელმაც ასი წლის წინ ნაპოლეონი ფიწლით დაამარცხა, დღეს ველარ იცნობთ. „მიწა! მიწა!“ ყვირის შეშლილივით. მიწის სიხარბემ მტერიც კი დაავიწყა. სოფელში ათი დეზერტირი ჩვეულებრივი მოვლენაა. გამრავლდენ პუგაჩოვები, სტენკა რაზინებს მოყავთ წვერიანი ბუფიკები. სწვავენ და აოხრებენ დიდებულ სასახლეებს. ჩემთვის დაფიქსირია რვა ოქტომბრის დილა თოვლიან უდაბნოში. მატარებელი შეეჩერეთ რამოდენიმე წუთითა და ბინოკლებით ვუმზერდით ჯოჯოხეთურ ცეცხლს: იწვოდა აპრაქსინის უძველესი სასახლე. „აპრაქსინო! აპრაქსინო!“ სტიროდენ ქალები, რომელთაც ოდესღაც უნახავთ ეს 300 წლის პუმბერაზი კარმიდამო, სადაც უძირო ტბა სავსე იყო თეთრი გედებით და ეზო ფარშავანგებით. ცეცხლი ზეიმობდა! ჩვენ დავინახეთ მარმარილოს სვეტების ზედიზედ წაქცევა და ზურგდამწვარ ცხენების გაგიჟებული ჯირითი. როცა აივნის წინ კვამლი გაითანტა, გხედავდით ფიწლებს იერიშს. ბოლოს ბურუსმა დაძვარა ყველაფერი და მატარებელიც დაიძრა. ისინი მახლობელ სადგურზე დაგვიხვდნენ. თავზარდაცემულებს ტანის შემოსვაც კი ვერ მოესწოათ.

მოსკოვამდე ხშირად გვხვდებოდნენ ასეთი ლტოლვილები. მორბოდენ ცოლშვილით, დებით, მამიდებით, ძიძვებით და ბონნებით; ერთგული ლაქიები მოათრევდენ გადარჩენილ სიმდიდრით სავსე ჩემოდნებს და ენაწავარდნილები მოსდევდენ გუშინდელ ბატონებს. მე დამაღონა ამ სანახაობამ. შემზიზლდა ის ტალხი, ვინც ამგვარ სიმხეცეს სჩადიოდა. დაფიქრებული შეეყურებდი განწირულებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ რესპუბლიკის მფარველობის მოიმედენი, სტკბებოდენ მოცარტით და შოპენის მელოდიაებით. ამ ქალწულებმა რაღა დააშავეს, ვფრქობდნი მე, იენებ არ აპატიეს უბრალო ჩვეულება—ხელებით რომ აპურებდენ თოვლისფერ გედებს და, ალუბლის ხეივნებით სეირნობის დროს, ესიხმრებოდათ შენევის ლურჯი ტბა და ბადენ—ბადენი. ეჰ, კმარა! ახლა თქვენ მაინც გამამხნევეთ აქაური იმბებით, გადვიდეთ მარჯვენა მხარესზე...

შუა ქუჩაზე, იქ, სადაც ერთი საათის წინ ბრბონ ქურდი გაასამართლა, ჯერ კიდევ არ დამშრალიყო დაღვრილი სისხლი. „აქ რა დაუკლავთ?—იკითხა გაკვირვებულმა ჩაიკოვსკიმ და დააცქერდა ურიცხვი გუსლებით მოკადრაკებულ თოვლს. „რა თქმა უნდა ქათამს არავინ დაკლავდა“, უპასუხა მეორემ და ესეც დაიხარა.

— ყური! ღმერთო ჩემო! აღამიანის ყური! ახ, როგორ გავმხეცდით! ნო-

ხუცმა პირი იბრუნა. მას შეუმჩნევლად დარჩა ამ სისხლიანი ყურის ბედი, რომელიც მოხერხებული ხელის აქნევით, უეცრად აშორდა კარის წვეთებში გახვეული სადღაც დაიშალა „გამომადგება“. იფიქრა კმაყოფილმა და ჩქარი ნაბიჯით მალე დაეწია მოხუცს.

სამ საათზე ქალაქის ნისლიანი ცა ღრუბელივით დააწვა უსინათლო ქუჩებს. დაბნულდა, მოელი დღის ხეტიალით დაქანცულ ჩაიკოვსკის სუფრა გაშლილი დაახვედრეს. მხოლოდ რეზო მოვიდა დაგვიანებით, მაგრამ კარგი ამბავი მოიტანა:

— ერთი საათი იქნება რაც ჩინიხელის ცირკში მიტინგი დასრულდა, ამბობს კმაყოფილი რეზო—ასეთი ცხარე კამათი ჯერ არ მინახავს! ეს იყო ნამდვილი ხელკეტობა, ბრძოლა, რომელსაც შესაძლებელია სისხლის ღვრაც მოჰყოლოდა. ომი თუ ზავი: საკითხი მწვევა და საბედისწეროც, რას გახდები? ფრონტი და ქალაქის გარნიზონი ზავის მომხრეა. მუშებმა დღემილი არჩიეს. გლეხები ხან აქეთ, ხან იქეთ და ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ ვხედავთ, რომ გამარჯვება ზავის მომხრეებს რჩებათ. დავლონდით, ჩვენ დროებით დამარცხებულად მაინც ვგრძნობდით თავს, როცა ცირკის ბარიერს მოადგა ერთი ინტელიგენტი და სიტყვა მოითხოვა. მისცეს. დაიწყო ნელა და როცა ეს ფოლადის ხმა შეტევაზე გადავიდა, ცირკში სამარცხებური სიჩუმე იყო. ათი მილიონი გლეხი მოითხოვს ომის გამარჯვებით დაგვირგვინებასო, დააბოლოვა მან თავისი სიტყვა.

— სტყუით, სტყუით! — გაისმა აქა—იქ.

— სიცრუეა! აგუგუნდა ცირკი. ორატორი არ დაბნეულა.

— ენკენისთვის ოცდარვას, თორმეტი სოფლის უდიდეს კრებაზედ ერთმა უბრალო გლეხმა საჯაროთ ნიაქრა ყური ფრონტიდან გამოქცეულ დემერტირს და ყველა კმაყოფილი დარჩა!

— სცრუობ! ისევ აყაყანდა დარბაზი.

— უკაცრავად! უპასუხა უცნობმა: მე არა ვარ სიცრუეს ნაჩვევი. ეს ყური ყრილობამ მე გადმომცა და მთხოვა ..

— ტყუილია! სად არის ყური? ყური გვაჩვენეთ! ყურიან გამმაგებით.

— აჰა, დარწმუნდით!

და ორატორმა გადასცა მათ ქალაქში გახვეული რაღაც. ატყდა ტაშისცემა.

— ყურია! ნამდვილი ყური!

ბევრს არ ესიამოვნა, რა თქმა უნდა. ყურის ხელშეხება კი ყველას სურდა და, რადგან ეს საქმე დიდ დროს წოითხოვდა, დაადგინეს: გამოეტანათ და ძაფზე დაკიდული ეჩვენებინათ შუა ცირკიდან. ვიღაც სამხედრო პირმა გარღვეულ გალიფედან უცებ გამოაძრო გრძელი ძაფი და ყურიც გადმოჰკიდეს. დარბაზი ისევ გააყრუა ტაშის ხმამ და „ურას“ ძახილმა. „გაუმარჯოს ომს!“

ჩაიკოვსკის მხოლოდ ახლა მოაგონდა ქუჩაზე ნახული მეორე ყური, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა ძაფზე დაკიდულის ისტორიული მნიშვნელობა.

„უვაროვები პარიზისკენ მიემგზავრებიან“, შეატყობინეს ჩაიკოვსკის... ეწეინა ისინი დიდი ხანია რაც ცხოვრობენ მისს სახლებში, ეწეინა ეწეინა... გაყიდეს კედლის სარკეები, პიანინო, დახურული „ბენცი“ და ეტლი პატარა პონებით. დღეს უკანასკნელად პატიჟებენ სტუმრებს. ჩაიკოვსკის ოჯახიც მოწვეულია...

— მირბიან? ეჭვიანი ღიმილით დაეკითხა ირინა მამას და ქუდი გაუწოდა.
— ჰკვიანი ხალხია!

— მე კი მგონია, რომ...

— არა, მამა, გაქცეულს ყველა შეატყობს. დაბრუნების იმედი რომ ჰქონდეთ, სახლის მორთულობას არ მოიძულებდნენ... გაიტყვენ! გზა მშვიდობისა! ჩვენ მამა.. ჩვენ ხომ არ გავექცევოდით რუსეთის სინამდვილეს?

ირინა სახლში დარჩა...

გრაფის ახალგაზდა ცოლი ვერ დახვდათ ჩვეულებრივის ცქრიალით. მის მდიდარ სახეს თითქო უფრო შვენიოდა ოდნავი დაღონება და საუბრის დროს თვალების წუხილი. მას მოაგონდა საყვარელ სამშობლოში განცდილი წუთები: ბედნიერი ბავშობა, პირველი სიყვარული, ოცნება შორეულზე, მეგობრები... აცრემლდა და სხვებიც ააცრემლა.

გრაფი ოხუნჯობდა. სამადლობელ სიტყვაში რუსეთის ბედი მან მიანდო დამფუძნებელ კრებას, თავისი კი—ზღვის ტალღებს.

რუსეთი დედინაცვალია და, როცა პარიზის, ამ მეორე სამშობლოს, სადღეგრძელოს სვამდა, ქალები დაასუსტა, ოცნებამ მშვენიერ პარიზზე.

— ჩვენც მალე ჩამოვალთ!—სთქვა თავადის ცოლმა—რაღა ფასი აქვს აქაურ სიცოცხლეს! ქვეყნის დამცირებას სჯობს ისევ შორიდან ხედავდე!

— ჩვენც!.. ხუთი დღის შემდეგ.

— ჩვენ კი უფრო ადრე. ახ, პარიზი, პარიზი!

და ყველას მოენატრა ეს საიმედო თავშესაფარი, სადაც დანაშაულად არავის ნიაჩნია გვარი და სიმდიდრე... საფრანგეთის კეთილშობილი გრი უთუოდ მოიგონებს იმ შორეულ წარსულს, როცა პარიზი უპერანგოებს დარჩათ და სისხლიანი ხელებით დევნილებს რუსეთმა უერთგულა...

თითქო საათიც კი ჩქარობდა. უჩინარი ჩაქუჩის ცემით იგი ასამარებდა წუთებს წუთებზე და, როცა ექვსჯერ დარეკა, ყველას მოაგონდა, რომ ორიღა დარჩა, ორი უკანასკნელი. ამ დაობაისელთა შორის მხოლოდ ჩაიკოვსკი გრძნობდა კედლების მოსალოდნელ დაობლებას. მზრუნველი ხელები ხეუბედ ჩამოხსინდნენ ძვირფას ჩარჩოებში ჩასმულ რეპინს, ლევიტანს და ვრუბელის დემონებს.

„შიაქეთ. თითქო ესენაც ემდუროდნენ რუსეთის სინამდვილეს“. ნალვლობდა ჩაიკოვსკი.

— იმღერეთ ყოვლ! იმღერეთ!. ვინ იცის, იქნებ... უკანასკნელად... სთხოვა გრაფის მეუღლემ ახალგაზდა ვაჟს, რომელიც ამ დროს მუხლებით ესაუბრებოდა სუფრის ქვეშ დამალულ ცხელ მუხლებს. ვაჟმაც შესაფერი რომანსით დაიწყო.

Прощай, пробились разлики чаас.



Огонь любви потаас...

ხვერდივით რბილ ბარბოს თან ამოჰყვა გულის სიღრმეში უხეხად და-
გროვილი ვნება, გამარჯვებულის სიხარული და განშორებით გამოწვეული
სევდა. რომანსს რომანსი ცვლიდა, ორის მაგიერ ახლა სხვა ნუხლებიც ეძებდნენ
მის უცნაურად დაგრძელებულ ფეხს. მუხლები კაპასობდნენ სუფრის ქვეშ, ებრძო-
დნენ ერთმანეთს თამამად, ნოურიდებლად, მაგრამ კარის მოულოდნელმა გაღე-
ბამ ყველაფერს ბოლო მოუღო. დეზების ჩხრიალით, ხველებით და დაღლილი
ქშენით მოვიდა „მუკდენის გმირი“, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ასეთი
დაფეთებული სახე, როდესაც კამიმურას იერიშს იგერიებდა... მცირე ხნის
შემდეგ შამპანიურით ოდნავ გამხნეებულმა ველარ მოითმინა:

— მხიარული სუფრა მენანება, მაგრამ ვერ დავუარავ: ცუდი მახარობელი
ვარ! ეს ღამე მგონი გადაწვევტს რუსეთის ბედს, ბატონებო.

სუფრა სმენად გადაიქცა.

— შტაბიდან მოვდივარ... ქალაქს კრეისერი მოადგა და საცაა დაუშენს!

— გერმანელების იქნება! წამოიძახა ერთმა: მადლობა ღმერთს გამო-
გვაფხიზლებს, დავტოვებთ შინაურ აჯალმავალს!

— არა, ქალბატონო! საუბედუროდ ჩვენი საკუთარი კრეისერი ვვეომება.
ბალტიის ფლოტის უდიდესი კრეისერი ავრორა! შტაბშივე გავიგე... ტელეგრა-
ფი და ბალტიის სადგური აჯანყებულებს აუღიათ. ახლა სასაჩლეზე მიდიან იე-
რიშით. თურმე ამ ყაჩაღებსაც რევოლიუციონერებს ეძახიან, მოდით და ჰკით-
ხეთ სანართალი... ახ, სად არის ჩემი ძველი მურომის პოლკი რომ...

— ნიკოლოზის სადგური ხომ ჩვენია? იკითხა კარგი ხნის დუმილის შემ-
დეგ გრაფმა.

— ჩვენია, მაგრამ იჩქარეთ! ვინ იცის...

გრაფი წამოდგა, მთელი თავისი სიღინჯით ბოდიში მოიხადა სტუმრების
წინაშე და მერე ცოლწვილს მიუბრუნდა:— მოემზადეთ! ჩქარა! მარშრუტი შე-
გვაცვლევინეს: პეტროგრადი — ოდესა ბუქარესტი — რომი — პარიზი.

დიდი ხანია რაც ჩაიკოვსკის უცდის. დაიგვიანა. უნისოო ოჯახიდან სამუ-
დამოდ წასვლა უხერხულია. თუმკა ასეთი პასუხის შემდეგ... და რეხომ მეათე-
ჯერ გადიკითხა საყვარელი ხელით დაწერილი:

„მაპატიეთ. არ ველოდი, არც მეცალა და პასუხი მოვლევ. ნევონა, რომ
დღეს ვერც თქვენ მოიცლიდით უნაზეს გრძობისთვის. მივდივარ. თუ იცით
ჩემი გზა, დარჩით ჩემს მოხუც მშობლებთან და ანუგეშეთ გულკეთილი ადამი-
ანები, რომლებსაც თქვენ, რეზო, შვილივით უყვარხართ. ნახვანდის.

ირინა.

„დაცინვა!.. მე სიყვარულის დრო არა მაქვს და თუ გცალიათ, დარჩით
ოჯახის ნუგეშადო“. კაოებს მიაშურა. ჩაირბინა კიბით და ქუჩაზედ გავიდა.
„არა, ქალბატონო, მე არც ისე მოცლილი ვარ“. და მოაგონდა წინა დღით ნა-
თქვანი ირინას სიტყვები: „თქვენ საერთოდ ძლიერ მოშინაურდით. ყველაფერის
გეშინიათ, ყველას ერიდებით. მიეჩვიეთ რევერანსებს მარჯვნივ და მარცხნივ“.

წავიდა ირინა. რეხომ კარგად იცის მისი გზა.

გადასჭრა ნევის პროსპექტი და ლიტეინის ქუჩაზედ გასული უცებ შეჩერდა. ჯერ ქუხილი ეგონა, მაგრამ როცა შუილით გადმოხარბნელი ცა და შუა ქალაქში მეორეჯერ აქუხდა—რეზო მიხვდა, რომ ეს ავრორა იყო.

— დაიწყეს!... აჰა მეორე... მესამე...

— ო, რა თქმა უნდა, რეზომ ახლა უფრო გარკვევით იცის თუ სად არის მისი ადგილი, სად მიაშუროს. ეს სიხარულის ერთგულად, რომელიც მას მიჩაქარებს წინ, ვიბორგის მხარისკენ, აწი ხომ ვაამართლებს ყოველ მის ნაბიჯს. კმარა ამდენი მერყეობა“.

გარი ეხმარება ზურგიდან. „აჰა მეოთხეც! ბედის დაცინვაა! ფრონტის დეზერტირები და ბალტიის პირატები ყუმბარებით ასწავლიან მათ, რეზოს და მის ამხანაგებს, ხალხის ერთგულებას“.

„კიდევ რამდენივე წუთი და ლიტეინის ხიდი გადისროლის მას მუშათა უბნებში... ეს ხიდი კინაღამ ჩასტეხა შვიდი თვის უკანდახევამ. საკუთარი ძალა სხვას დაუთმეს და ახლა ვაი თუ გვიან არის.“

— გაჩერდით! მოისმა უეცარი ბრძანების ხმა. ქუჩის სიბნელეში ძლივს იცნო მთავრობის ერთგული იუნკრები.

— სად მიხვალთ? ეკითხება ერთი მათგანი და ჯიბეებს უსინჯავს—პირადობის მოწმობა!.. აა, ჩვენი ყოფილა! წადით, მაგრამ ვიბორგის მხარეზე ვერ გადახვალთ. ხიდი გადავხსენით მატროსების შესაჩერებლად... მაინც მიდიხართ? ბედნიერი გზა!

— გესმით? მატროსები სიმღერით მოდიან! დაიძახა სავაზნე ქარხნის წინ ვილაც ქურქიანმა და ხედისაკენ ხელი გაიშვირა.

— წავიდეთ აქედან! აფრთხილებს თავმოყრილ ხალხს მეორე.

ტყვიამ გარეულ იხვივით გადმოისისინა ქალაქის ბნელი ცა. შეშინებული და გასაქცევად მომზადებული ხალხი არ ელოდა ასეთს გაბედულ ხმას:

— მომყევით! ვინც რესპუბლიკის ერთგულია, იარაღისკენ!

— მოვდივართ!

— მოგყვებით!

გაბედეს აქა იქ. მაგრამ ნიშავალს მხოლოდ ხუთი კაცი დაედევნა.

ექვსმა თავგანწირულმა მალე მიაგნო უდარაჯოთ მიტოვებულ იარაღის საწყობს, გასტეხა რკინის ურდულით გადარაჩული კარები და მონახა. სადღაც რკინის ყუთებიც გადმოაგორეს, მოათრიეს ფიცრები, ლოგინები და გაჩაღდა მუშაობა. უხმოდ, უშიშრად მოქმედებდა თორმეტი გამოცდილი ხელი, რომლებსაც ბევრჯერ აუგიათ ასეთი მჭიდრო ბარიკადა.

ჩასტბდნენ და თოფები მოიმარჯვეს.

— ამხანაგებო, ჩვენ ექვსნი ვართ, მაგრამ ექვსიათას მხდალს ხომ ვაჯობებთ? გადულაპარაკა რეზომ ჩასაფრებულებს.

ელთან.

ბარიკადას თან და თან ემატება. მოდიან ფრთხილად, უხმოდ, თავდაბრილები, თოფებით ხელში. რეზო აკვირდება მათ სახეებს და ექვსიანდება.

„ეს მედუქნეს ჰგავს—წვრილ ვაჭარს, საბეზე ეტყობა... ესეც... ეს მუცლიანი—
სახლის პატრონი იქნება... „საეჭვო ხალხია“, თქვობს რეზო, მსგავსად მთე მარ-
ჯვეთ იქნება, გამოიყენებს. ეს ხუთი მუშა რომ არ იყოს, რეზო პიროველი და-
ტოვებდა ბარიკადას. ახლა კი“...

— ანხანაგო! მიმართავს მეთაურს ერთი მუშა: თქვენ დააკვირდით და
კარგად გაარჩიეთ წინიდან მოსული მტერი. ნუ აჩქარდებით. ვინ იცის, იქნებ
ვიბორგის მუშებიც მოდიან.

რეზომ პასუხის თემაც ვერ მოასწრო. ბარიკადის წინ, ასე ნაბიჯის მან-
ძილზე უეცრად გამოჩნდა მატროსების და მუშების პიროველი რაზმი, რომელსაც
წითელი დროშით მოუძღვის ანმახი ნეზღვაური.

რეზო დაიბნა. ის ელოდა მარტო მენღვაურებს და როცა მუშებიც დაი-
ნახა, წინასწარ მომხადებული სიტყვა „ცეცხლი“ უთქმელი დარჩა.

— ეს რა ხდება? გაოცებულ კითხვით მიუბრუნდა ის ბარიკადას, სადაც
თურმე, მეორე დამარცხება ელოდა. რამდენიმე წუთის წინ ბრძოლის წყურვი-
ლით ანთებული მოქალაქენი, ახლა კურდღლებივით გარბოდნენ ქუჩის სიბნელე-
ში. რეზო არ შეაკრთო ამ გაქცევამ. ის შეაშინა მხოლოდ ხუთი მებრძოლის
მოულოდნელმა გაცლამ, რასაც თან გაჰყვა მისი აღფრთოვანებაც.

პროსპექტის მთელ სიგანეზე, სახლიდან სახლამდე გამართულ ბარიკადაში
ზის ახლა მარტო ის, რეზო, მიტოვებული ყველასგან და არ იცის რა ჰქნას.
მტერი მაინც იყოს წინ: შეაკვდებოდა.

— ეს რა უთამაშნიათ!

გაისმა ბოხი ხმა და ნეზღვაურების ძლიერი ხელი მისწვდა ბარიკადის
მარჯვენა მხარეს.

გაქცეულან! ხა, ხა, ხა, ხა, ხა! დაირაბრაბა თართეშარვლიანმა და ამ გუ-
ლიანმა ხარხარმა ჰაერი გააყრუა.

გზა გაიკაფეს. წავიდნენ და არავის შეუნიშნავს ერთი ჩასაფრებული, რომ
მელსაც თოფისთვის ჯერ კიდევ არ გაეშვა გაცივებული ხელები.

ილეოდა დაუფიწყარი 1917. იმ ნისლიან ღამით, თანჯრებ ჩალეწილი, ცი-
ვი და ბნელი ნატარებელი აჩქარებული შორდებოდა ქალაქის უდიდეს სადგურს.
მგზავრებით გაქედილ ვაგონებში ბევრი იყო ქალაქის უმაღლესი. გულში უხმოდ
ჩაკლული სიტყვებით ისინი წყველიდნენ ადგილს, სადაც ყველაფერი დაკარგეს:
სინდიდრე, სახელი და ნიჭი სიცოცხლისათვის. მანორკის ბოლით გაბურჭულ
ვაგონში იწვა ერთი ახალგაზდაც. მას მხოლოდ ახლა მოაგონდა ათი წლით
მიტოვებული პატარა ქვეყანა, გადაკარგული შორს, მთებს იქეთ და მოენატრა
ისე, როგორც ზღვის ტალღებით განწირულს — ნავთსადგური. ეს იყო რეზო—
გმირი რუსეთში უკანასკნელი ბარიკადის.

გრიგოლ როგავიძე



მ ა ლ უ ტ რ ე მ

ფანტასმაგორია

ეჭვნი სურათი:

ფენომენოლოგია

ამორ ფატი

კენტავრები

კეთროვანთა დედოფალი

დადაისტების მოედანი

ანთებული საკირე

რეჟისორი

კოტე მარჯანიშვილი

სურათი პირველი.

ფანოქანოლოგია.

მოკაქველნი:

რაულ როკფელდერ — მილიარდერი.
 არონ ფინკელშტეინ — ბანკირი.
 ფრანსუა პენუტიე — ფინანსისტი.
 გელფერის — ფაბრიკანტი.
 უცნობი.
 მორელლა — მარჩიელი.
 ევნო აზეფულ — პროვოკატორი.
 ალბერტ აინშტაინ — მოჩვენება.
 იმმანუილ კანტ — მოჩვენება.
 მეპაპიროსენი.
 მეგაზეთენი.
 მოთამაშენი — ავანტიურისტები.
 მონდენი და დემიმონდენი.

ევროპის კუთხე. საზაფხულო კურორტი. დიდი როტონდა.
 პავილიონები. მარჯვნივ — კაზინო. სიღრმეში ესტრადა.
 წინ: მარმარის მაგიდები. მარცხნივ: ცნობათა ბიურო. იქვე:
 ტელეფონი. ტელეფონთან: შვეიცარი სპლინდორფელი.
 მაგიდებს უსაფრთხოდან: ქალები-კაცები-სხვადასხვა რასის —
 სხვადასხვა ქვეყნის. კაზინოდან ისმის ხმაური: აზარტით
 თანაშია. მარჯვნივ — ამალლებით ჩნდება ხოლმე კანტის
 თავი დიდს ობობას ქსელში. მარცხნივ — ამალლებით
 ჩნდება ხოლმე აინშტაინის თავი ასტრონომიულ აპპარატებში.
 შუაში ზის არონ ფინკელშტეინ. მასთან იქითაქეთ: ორი კოკოტი.
 მსახურნი: პატარა ზანგები. რეკს ტელეფონი. შვეიცარი უესმენს.

შვეიცარი. ალლო! გისმენთ. ეინ გნებავთ? კარგი.
 (მოტრიალდება).

პერრ არონ ფინკელშტეინს! თქვენ გიზმობენ.
 (ფინკელშტეინ წამოხტება. დაბალი. მელოტი. დიდი მუცელი. მოკ-
 ლე ფეხები: რამოდენიმეთ გაღუნული. ცხვირი დიდი და ჩამოშვებული.
 ყურები სახისაკენ მოცქვეტილი. თვალები ჭროლა და ცოცხალი.
 ცხარი და ფუსფუსა. მიდის ტელეფონთან



ქართული
საბავშვო ჟურნალი

ფინკელშტეინ. ჰა... როზა! შენ ხარ?!

კარგად... ხუთი გიორგანქა მომაკლდა...

ფეხები?! მარცხენა მუხლში კიდევ გარჩა ქარი...

ნაწილებები?! დამშვიდებულია..

მაღა მშვენიერი...

აპენდიციტი?! ხანდახან...

ჰო! მაგისტრის რბილი კლიშეები...

სარა როგორაა?! კარგი .. კარგი..

აბელ?! კარგი ..

ჰო! კვირას! კვირას..

ნახვამდის..

(მობრუნდება მაგიდასთან).

ლოლოტა. მოათავუე ლაპარაკი?!

ბლანშეტა. ასე ბალე მოცილდი 'შენს როზას?!

ფინკელშტეინ. დამშვიდდით ჩიტებო! რა მოუსვენარი ხართ!

ლოლოტა. რამდენი სნეულება გქონია: ონკელ ფინკელ! !

ბლანშეტა. ხა-ხა-ხა.. მთელი კატალოგი გადაიკითხა..

ფინკელშტეინ. მაცალეთ გვრიტებო.. ერთი თვე მაცალეთ..

მერე ვნახოთ: თუ როგორ ავათამაშო კუნთები..

ლოლოტა: მწიფე ხენდრო ხარ..

ლოლოტა. (ხითხითებს).

ფინკელშტეინ. ბლანშეტა! ატამი ხარ აესილი..

ბლანშეტა. (ხითხითებს).

ფინკელშტეინ. პიკოლო! პიკოლო!

ახალი კარაქი.. ქარვისფერი თაფლი. ხასხასა ქვირითი..

ყავა მავარი.. კონიაკი.. შერი ბრენდი.. ჩქარა..

შემწვარი ინდოური.. თეთრი ხორცი..

პიკოლო პიკოლიც!..

(პიკოლო მიიღებს დაკვეთას და გარბის).

ლოლოტა. ლამაზია შენი როზა?!

ბლანშეტა. ალბად ჩასუქებულია..

ფინკელშტეინ. ნუ აცივდებით ჩენს როზას..

ქალი ნაღია.. სწორუპოვარი.. ლაქლაქი..

(კაზინოდან - ხმაური. არვედარევა. წამოვარდება გელფერიხ. მისი

მაგიდა ფინკელშტეინის გვერდითაა. მასთან ზის ფრანსუა პენუტიე.

გელფერიხ: შუახნის-ხმელი-შაგვრემანი-გამგვრიახი.)


გელფერიხ. ყოველდღე სკანდალია..

პენუტიე. არ არის მოსვენება..

ფინკელშტეინ. ეს სულ პან პრეზისკია..

გელფერიხ. რატომ ზომებს არ მიიღებენ?!

ფინკელშტეინ. აუტანელია ღმერთმანი..



პენუტიე. ყველაფერს სახლვარი აქვს..

(კანონო მშვიდდება. ისმის „განაგრძეთ“. ორკესტრის, გელოვიხმე. ეს-ტრადახე გამოდიან წყვილები. იწყებენ ცეკვას „უანსტებ“. მჯდომარეთ მუხლები აუთამაშდებათ. უცრად მოვარდებიან მეპაპიროსენი. მღერიან კუბლეტებს. თვითონაც ხტომით მიჰყვებიან ცეკვას).

1 მეპაპიროსე. პაპიროსი „ელიტა“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.
 ლამაზი სუონელითა.
 ტუ-სტებ. სტებ. სტებ.
 უან-სტებ. ტუ-სტებ.
 ქალებს ნუ სდევ.
 მისსისსიპი, მისსისსიპი.
 კოკტაილ!

(ყიდულობენ მისგან პაპიროსებს, ხმაური და სიცილი.)

2 მეპაპიროსე. პაპიროსი „არგო“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.
 აკანჭული მარგო.
 ტუ-სებ. სტებ. სტებ.
 უან-სტებ. ტუ-სტებ.
 ქალებს ნუ სდევ.
 მისსისსიპი, მისსისსიპი.
 კოკტაილ!

(ყიდულობენ. ხმაური და სიცილი გაძლიერებული.)

3 მეპაპიროსე. პაპიროსი „გელიოს“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.
 ტკბილი დღე დაგელიოს.
 ტუ-სტებ. სტებ. სტებ.
 უან-სტებ. ტუ-სტებ.
 ქალებს ნუ სდევ.
 მისსისსიპი, მისსისსიპი.
 კოკტაილ!

(ყიდულობენ. ხმაური და სიცილი კიდევ უფრო ცხარი.)

4 მეპაპიროსე. პაპიროსი „ექსტრა“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.
 შეხურდი მაესტრო.
 ტუ-სტებ. სტებ. სტებ.
 უან-სტებ. ტუ-სტებ.
 ქალებს ნუ სდევ.
 მისსისსიპი, მისსისსიპი.
 კოკტაილ!



- (სველას ფეხები აუთამაშდებათ და ავარდუნებს მისი პირველი ფინკელშტეინი: რომელიც მარცხენა ფეხს ძლიერ აყოლებს. გაისმის ტელეფონის ცხარი რეკა. შეჩერდებიან. ფინკელშტეინი იღიმება და ხვნეშით ეშვება სკამზე. კოკოტები ხითხითებენ. შვეიცარი უსმენს
- შვეიცარი.** ალლო! ვინ გნებავთ?!
- (მოტრიალდება).
- ჰერრ გელფერიხ!** ქარზნიდან.
- (გელფერიხ მიდის ტელეფონთან მძიმედ).
- გელფერიხ** გისმენთ... რააო? გაფიცვა!?, ამზობება?!
 რას ითხოვენ? მომატებას?! არა'გზით... არ შეიძლება..
 რაო?! მაგრად არიან?!
 როტა მოიხმეთ! ამ წამსვე..
 როგორ?! შეუძლებელია?! უმჯობესია?!
 მაშ მოუმატეთ.. ცოტა.. ჰო.. ასე..
 (ამოიოხრებს. დაფიქრდება. შემდეგ ისევ ტელეფონთან).
 ცენტრალური! შემაერთეთ: 30 A. O. კანტორა.
 ვინ არის?. ჰო.. შაქარი რას ფასობს?!
 ცოტაა.. მიუმატეთ.. ღღესვე..
 ლაპარაკი ხედმეტია.. გადაწყვეტილია..
 (გამობრუნდება. ჩნდებიან თავები კანტის და აინშტაინის).
- კანტი.** საგანი თავისთავად გამოუცნობია.
 ფენომენია მხოლოდ—ყოველი.
- აინშტაინ.** აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.
 რელატივიურია მხოლოდ—ყოველი.
 (ფინკელშტეინი წამოხტება. მიიხედმოიხედავს. ვერაფერს ხედავს: თავები მიიმაღლენ. შემდეგ: გაოცებით და ირონიით. ხელს აქნევს
- ფინკელშტეინ.** მართლაც ფენომენია.
 მოჩვენება თუ იყო.
 ჰერრ გელფერიხ! უთუოდ რელატივია ყოველი.
 გაფიცვით წააგო—შაქარზე მოიგო. ხა-ხა-ხა.
 თუმცა პროპორცია არ უნდა იყოს დაცული, ხა ხა-ხა.
- გელფერიხ.** (ახედდახედავს ფინკელშტეინის ფიგურას ირონიით და უკმებად გადაუჭრის სიტყვას)
 მოქალაქე ფინკელშტეინ!
 თქვენთვის პროპორციაზე ლაპარაკი
 მაინცადამაინც სისიამოვნო არ უნდა იყოს.
- ლოლოტა.** (ხითხითებს)
- ბლანშეტა.** (ხითხითებს)
- ფინკელშტეინ.** ჰერრ გელფერიხ! განა საწყენია!
 ეს კარგი აუნების ამბავია მხოლოდ!
 გუნება! გუნება პირველ ყოვლისა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

(მოუბრუნდება კოკოტებს)
შესვი ლოლოტა! შესვი ბლანშეტა!
უან-სტეპ. ტუ-სტეპ. მისისისიპი!
მზიარულება. ცეკვა. რიტმი!
(შემოეარდებიან მეგაზეთენი).

1 მეგაზეთე „ლოტან“. „ფიგარო“. „ლაპრესს“.

მიწისძვრა ავღანისტანში.
„ჰემოროიდონ“: ახალი აღმოჩენა.
(ყიდულობენ).

2 მეგაზეთე „ბერლინერ ტაგებლატ“. „ფორვერტს“. „ტაიმს“.

მარკის დაცემა. ამბოხება საქსონიაში.
ღმერთის გამოჩენა ინდოეთში.
(ყიდულობენ).

3 მეგაზეთე „ნანჩესტერ გარდიენ“. „პოპული“. „აენტი“.

ექსტრა-რადიო. ექსტრა-რადიო.
ჭინკა ეიფელის. მაინუნების აჯანყება.
(ყიდულობენ).

ფინკელშტეინ. ერთი-ხმამაღლა წაიკითხეთ.

პენუტიე. ამწამსვე!

(კითხულობს).

„ლონდონის ბირჟა—მაგრაღ. პარიზის ირყევა.
ნიუჯორკი უცვლელია. ბერლინისაზე: კატასტროფიული დაცემა“.

ხმა მასხიდან. სტერლინგი მაგარია. დოლლარი ურყევეია.

პენუტიე. ავღანისტანში დიდი მიწისძვრა. მიწისძვრა ხშირდება.

მსხვერპლი უთვალავი. შენობები დაინგრა მრავალი.
სიმშილი მოსალოდნელია“.

ხმა მასხიდან. ავღანისტანი შორსსაა.

პენუტიე „საქსონიაში ამბოხება. აღელვება მატულობს“.

ხმა მასხიდან. არა უშავს. ფაშისტები მზად არიან.

პენუტიე. „ჰემოროიდონ: ახალი აღმოჩენა დოქტორ პერკის“...

ფინკელშტეინ. დოქტორ პერკის?! სამდვილია?!

პენუტიე. „სპეციალისტები გადმოგვეცემენ: მისწრებააო“..

ფინკელშტეინ. აღრესი! პერკის აღრესი!

ლოლოტა. ხა-ხა-ხა. ონკელ ფინკელ..

ბლანშეტა. შენს კატალოვს არც მაგ კლებია.. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. შე სხვისთვის მინდა.. მეგობარი მყავს.

ხმა მასხიდან. განაგრძეთ.

პენუტიე. „ინდოეთში გაჩენილა ახალი ღმერთი“...

ფინკელშტეინ. თავი მოგვაძულეს ამ ღმერთებმა.

რომ არ ისვენებენ და არც ჩვენ გვასვენებენ.

მოსე. ზოროასტრ. ბუდდა. ქრისტე. მუჰამედ.



ქართული
ბიბლიოთეკა

ახლა კიდევ ვილაც ახალი..
კმარა თავი დაგვანებონ..
განაგრძეთ!

პენუტიე. „შტეინახის ცდა დღითიდღე მართლდება“...

ფინკელშტეინ. ღმერთი: ეს მესმის. ვაშა შტეინახს!

პენუტიე. „მხოლოდ მაიმუნები მეტს ვეღარ ითმენენ“:

ფინკელშტეინ. რააო? მაიმუნები?!

პენუტიე. „ალარ სურთ თავიანთ ხარჯზე აღამიანთა ჯიშის გაახალგაზრდება“.

ფინკელშტეინ. პა-პა-პა-პა. ჩინებულია!..

პენუტიე. ამერიკაში—აფრიკაში—ზოოლოგიურ ბაღებში—

ყველგან მიტინგებს მართავენ და პროტესტს აცხადებენ“.

ხმა მასხიდან. ვაი მაშინ ფინკელშტეინს!

ფინკელშტეინ. თუ ოპერაცია ამბობებამდე მოხდა—საშიში არაფერია.
ეს მე არ მეხება.

ლოლოტა. (ხითხითებს).

ბლანშეტა. (ხითხითებს).

პენუტიე. „აჯანყებულებს შეთაურობს ცნობილი დადაისტი“...

ხმა მასხიდან. —რომელი?

პენუტიე. „ცნობილი დადაისტი პაბლო პიკაბია“..

ფინკელშტეინ. პიკაბია! პაბლო! მეგობარია ჩემი..

ხმა მასხიდან. მაშ—საშიში არ ყოფილა. ფინკელშტეინ დაგვიცავს..

მასხა. (ხითხითებს).

პენუტიე. ვიფელის კოშკზე ლამლამობით

ყვითელ ჭინკას ნახულობენ“...

ფინიელშტეინ. ეს რადიო ალბად მისი მოკორილია..

ხა-ხა-ხა. მე ნართლაც სერიოზული მეგონა.

კინალამ დავიჯერე. ხა-ხა-ხა.

ლოლოტა. (ხითხითებს).

ბლანშეტა. (ხითხითებს).

ფინკელშტეინ. უან-სტეპ. ტუ-სტეპ. მზიარულება.

ლოლოტა! ბლანშეტა!

(კანტი და აინშტაინ თავებს გამოყოფენ).

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

აინშტაინ. რელატივიურია მხოლოდ—ყოველი.

(მიიწალებიან).

ფინკელშტეინ. ფენომენი და რელატივიობა.

ლოლოტა და ბლანშეტა.

უან-სტეპ და ტუ სტეპ.

ცეკვა. ცეკვა.

(შემოდის ყოველ ვენო ახეფულ. მიუჯდება განმარტოვებულ მაგიდას.
აულაყუდა. მხრებში ოდნავ მოხრილი. სქელი. ქონიანი. კისერი.

მხრებში ჩაზდილი. სახეზე: დიდრონი ფერისმკამელები. ^{თმა/} მოკლე მოლუშული. განზე იცქირება. უნდო. მოითხოვს უფლებს უტყობი წამით ყველა მას ხედავს. თითქო ვერ იტანს სხვის ცქერას. (სხვის მიდის ტელეფონთან. გარეთ ხმაურია.)

აზეფელ. ცენტრალური?! მომეცი 17: A. O.

ვინ არის?! ჰო! იქნება საათის შეიდზე.. სალამოს..

მაშ „ის“: როგორც გითხარით..

(ჩამოკიდებს ტელეფონის ტარს. შემდეგ ისევ.)

ცენტრალური?! მომეცი 101: S. E.

ვინ არის?! ჰო!. „პიკის“ ბინაზე..

ჰო! დღეს.. ღამის თერთმეტზე..

(მობრუნდება მაგიდასთან).

ფინკელშტეინ. რიტმი და ცეკვა..

ვიმეორებ: რიტმი და ცეკვა..

(ხმაურობა გარეთ ნელდება. გაისზის: „ბოზა“ — „მარჩიელი“. შემოვარდება მორელლა მოსხლეტილი ჯეირანივით. 17 წლის. მალალი. თეძოები ფართო და კვრივი. უჩანს წვივები დასიცხული. მკერდი ამოზილული და ქარბად მსუნთქავი. შავგვრემანი. ფერი მოლურჯო გადაჰკრავს: როგორც თოვლის: ჩრდილებში იისფერი. თმა ხშირი და შავი. თვლები-ხელიკის ფერი. ყოველი ნაკეთი მოკუმული: თითქო ამოსავარდნათ განმზადილი. რხევაში ველურობა. ძრახობაში სიმკვეთრე. ტანს აცვია კაბა ოდნავ შეხეული. კაბა წითელი. კაბაზე გულის ნაქრები: ზოგი დაისრული — ზოგი სისხლიანი — ზოგი დასერილი — ზოგი დაღვარული.)

მორელლა. მარჩიელი! კარგი მარჩიელი!

ყველას ვუნებლო წარსული და მომავალი!

გადმოშალეთ ხელის გულები!

(წამოხტებიან და გარს ეხვევიან. ძახილი: „მე მირჩიე“ — „მე მირჩიე“. ზოგი კაზინოდანაც მორბის. პირველი მივარდება ფინკელშტეინს).

ფინკელშტეინ. აბა: კარგი რამ მითხარ.

შენ ღამაში გოგონა ხარ.

მორელლა. გიყვარს ღამაში გოგოები..

ლოლოტა. (ხითხითებს).

ბლანშეტა. (ხითხითებს).

ფინკელშტეინ. ღამაში გოგო ვის არ უყვარს.

მორელლა. სნეულება გაქვს ბევრი...

ფინკელშტეინ. ეს შეც ვიცი.. შენ მითხარ: მოგრჩები თუ არა..

მორელლა. უთუოდ მორჩები.. გექნება მხიარულება.. კარგი გუნება..

ფინკელშტეინ. კარგი გუნება.. ეს პირველია.. ხომ გეუბნებოდით!!

ლოლოტა. (ხითხითებს).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლანშეტა. (ხიბხითებს).

1 მოთამაშე. ახლა—მე, როგორ ვითამაშო?!

მორელლა. დღეს ნუ ითამაშებ.. წაგების ხაზია..

2 მოთამაშე. ჩემი ხაზი როგორია?!

მორელლა. ცუდი არაა.. მაგრამ არც მოგებისაა..

3 მოთამაშე. მე დღეს უნდა მოვიგო.

მორელლა. უთუოდ მოიგებ.. მხოლოდ—დროზე ადექ.

4 მოთამაშე. მე ბევრი წავაგე..

მორელლა. კიდევ ბევრს წააგებ..

5 მოთამაშე. ვალი უნდა გავისტუმრო..

მორელლა. აილე შეშვიდე რიგი..

ლოლოტა. ეხლა მეც მიჩიე..

მორელლა. მხიარულება.. რაღაც მოგელის.. ვცადე..

ბლანშეტა. მეც მსურს მიჩიო..

მორელლა. შენ გსურს ცოლად გაჰყვე მდიდარ ურიას..

(კანტი და აინშტაინი გამოჩნდებიან).

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

საგანი თავისთავად გამოუცნობია.

მორელლა. გამოუცნობიაო?! ვინ რომავეს ამას?!

აინშტაინი. რელატივიურია მხოლოდ—ყოველი.

აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.

მორელლა. მოხსნილიაო?! ვინ ამბობს ამას?!

(კანტი და აინშტაინი იმალეებიან).

ფინკელშტეინი. ფილოსოფოსებია. ყველაფერი იციან.

თუმცა—თუ მარტო დარჩენ—საკითხოდ მოვლენ—

შენთან უთუოდ.. ხა-ხა-ხა..

(საერთო ხმაური და სიცილი. შვეიცარი წამოიძახებს).

შვეიცარი. ჰერრ რაულ როკფელლერ!

(მასსა გაშეშდება უეცრად. შემდეგ: ესალმებიან. ფინკელშტეინი პირ-

ველი მიდის როკფელლერთან. კახინოში თამაში რამოდენიმე წამით

წყდება. თვითონ რაულ: ახალგაზდა ყმაწვილი როკფელლერების

დინასტიიდან. მაღალი. მფლობელის ტენაჟ. მედიდური: მაგრამ არა

ხაზგასმით. პირმოპარსული. ბლონდინი. თაფლისფერი თვალები.

ქვედა წყება კბილების ცალგვერდით ოქროსია. ახლავს მწველი

ატლექტი. თან: დიდი დოგი. დაჯდება).

როკფელლერ. ეს ქალი ვინაა?

გელფერიხ. ბოშა გოგონაა..

პენუტიე. მარჩიელია..

როკფელლერ. ლამაზია.. ველური..

ფინკელშტეინი. მოდი აქ გოგონა..

როკფელლერ. მოდი ახლა.. ნუ მორცხვობ..



(მორელლა უახლოვდება რალაც დარცხვენით. შენს მხრით შე-
მოდის „უცნობი“. ვერავენ ამჩნევს. დაახლოვებით 30 წლის. სახე:
ამერიკული მეფისტოფელის. ტურისტის ტანსაცმელში. კვრივი რო-
გორც მოხვერი და მოქნილი როგორც მწვეარი. თვალები რუხი.
მარცხენა თვალს ლურჯი ტალღა გადაჰკრავს. ძრაობაში თავდაჯე-
რება უკანასკნელი. რხევაში: სიმკვეთრე, მაგრამ წამსვე პლასტიურ
გახსნილი. ხმაში: ბძანება. ნება: რვალის. მოელი ფიგურა: ბედისწერა.
თითქო ვერმხედავი: განზე იცქირება. არც დაეჭვება და არც გაო-
რება ბეწვის ოდენი. მონოლიტური. რწმენა და საქნე ერთიდა—
იგივე. ნდობა და ასრულება ერთასადაიმავე დროს. სდგას შორიახლო.
თვალს ადევნებს მორელლას).

ფინკელშტეინ. რას ნორცხვობ?!
როკფელლერ. შენი სახელი?!

მორელლა. მორელლა..

როკფელლერ. ლამაზი სახელი გქონია.. იცი კითხაობა?!

მორელლა. ბავშობიდან.

როკფელლერ. მაშ ამოიკითხე ჩემი ბედი.

(უწლის ხელს).

მორელლა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელლერ. სხვა არაფერი?!

(უცნობი უეცარი მოსხლეტით).

უცნობი. სხვა რა უნდა იყოს?!

(შეტრიალდებიან. უცქერიან გაშტერებით უცნობს. როკფელლერს
თითქო არ სმენია. განაგრძობს შეკითხვას.)

როკფელლერ. გეკითხები: სხვა არაფერი?!

მორელლა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელლერ. მე გეკითხები: სხვა კიდევ არაფერი?!

(უცნობი უეცარი მოსხლეტით).

უცნობი. სხვა რაღა უნდა სურდეს „დიდებულს“ როკფელლერს?!

(გაოცება. როკფელლერ ოდნავ გახედავს უცნობს. განაგრძობს შე-
კითხვას.)

როკფელლერ. მე გიბძანებ შენ: სთქვა სხვა რამ..

მორელლა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელლერ. გეტყობა: ოქრო ძლიერ გყვარებია.

ხვალ ჩემთან იქნები ოქროს ხვავაში.

უცნობი. არაოდეს!

როკფელლერ. რააოო?!

უცნობი. სმენა კარგი უნდა გქონდეთ: პერრ როკფელლერ.

ეს გოგონა ხვალ შენთან არ იქნება.

როკფელლერ. თქვენ ვინა ხართ?!

უცნობი. მე ნეტრიკა არა მაქვს.



შესაძლოა ჩემი სახელი თქვენი გვარის ნათესავი იყოს. თქვენი გვარი იწყება სიტყვით—„როკ“. შიგთქონდა რუსული რომ იცოდეთ—იქ „ბედს“ ამოიკითხავდით. მაგრამ „ფელლერ“ უნდა გამოაკლოთ: ბედს ვერ ვგუბა. მოუმატეთ მას „ამორ“

მიიღებთ სახელს „როკამორ“..

როკფელლერ. მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

უცნობი. მე ჯერ არ ვიცი რა არის ხუმრობა.

როკფელლერ. თქვენ ქარაგმით ლაპარაკობთ.

უცნობი. ქარაგმა თქვენთვის მგონი ადვილია.

როკფელლერ. მე გეკითხებით უკანასკნელ: ვინა ხართ?!

უცნობი. არავინ და ყოველი.

მე ვარ ქვაში და მე ვარ მცენარეში.

მე ვარ ცხოველში და მე ვარ კაცში.

ყოველი წვეთი ცოცხლობს ჩემით.

ყოველი ნდობა სუნთქავს ჩემით.

არ ვიცი მიჯნა. არ ვიცი ზღუდე.

არ ვიცი ჯებირი. არ ვიცი კედელი.

არ ვიცი ნაპირი. არ ვიცი უფსკრული.

მე ვარ წადილი. მე ვარ გადალახვა.

მე ვარ შემტევი. მე ვარ უტეხი.

მე ვარ ძლევა. მე ვარ გამარჯვება.

როკფელლერ. ჯერ მხოლოდ სიტყვები.

ფინკელშტეინ. სიტყვები რიტმიული.

გელფერიხ. სიტყვები მედიდური.

პენუტიე. სიტყვები—არაფერი.

უცნობი. არა! სიტყვები—ცხელი შანთები.

სიტყვა ჩემი ნალია ხურვალი.

სიტყვა ჩემი სალტეა დარტყმული.

სიტყვა ჩემი მქნელია ნივთის.

მოხვდება „არას“—გააჩენს რამედ.

მოხვდება რამეს—გახდის სხვარამედ.

მოხვდება ქვეყანას—გაუხრის ხერხემალს.

სიტყვა ჩემი ნებაა თვითონ.

ნება ჩემა არსია ყოველის.

როკფელლერ. ბუნდოვანია.


გელფერიხ. რახარუხია.

უცნობი. ჩემი ნება ბედია თვითონ.

ჩემი მზერა სალტეა ბედისწერის.

ჩემი ატეხა თესლია ამწვარი მაგარი კენტავრის.

ჩემი კუნთები სიტყვა ჰანნიბალის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ჩემი გავარდნა ცხენია თიმურ-ლენგის.
პენუტე. დიფირამბია ღირიული.
ფინკელშტეინ. რიტმი მარტო ცეკვაში არ ყოფილა აუცილებელი.
როკფელდერ. მე ვარ ქვეყნის განძი: ოქრო.
 მე ვარ ქვეყნის მძლეობა: რკინა.
უცნობი. მე ვარ ლხინი ბედისწერის.
ხმა მასხიდან. გიჟი ხომ არაა?!
უცნობი. დიახ: გიჟი. თქვენ მხოლოდ შეშლილები იცით.
 (მორელლა სმენაა ცალიერი. თითქო თავის არსებას ხედავს—უც-
 ხოურ მდინარეს.)
ფინკელშტეინ. გარჩევა მგონი არ არის დიდი.
 (უცნობი მორელლას დაუძახებს. უთითებს აზეფულზე).
უცნობი. მორელლა! ურჩიე იმ კაცს!
მორელლა. ეს ხაზი.. ის ხაზი.. არ არის ბედი.. არ არის კვალი.
უცნობი. კარგად დააკვირდი!
მორელლა. ერთი ხაზი.. მეორე ხაზი.. არსად შეერთება.
 თითქო ბედი გატეხილია.. არა: ბედის გარეა..
 შეუძლებელია ამოკითხვა..
ხმა მასხიდან. მაგას ბედი მსუქან გოგოებში აქვს..
ლოლოტა. (ხითხითებს).
ბლანშეტა. (ხითხითებს).
ფინკელშტეინ. პირველად მესმის. რომ კაცს ბედი არ ჰქონდეს..
 (აზეფულ წამოდგება. გაზომავს თვალით უცნობს. შეირხევა დიდი გვე-
 ლივით. მიმართავს უცნაური თვალგაყრით).
აზეფულ. ჩვენ შევხვდებით კიდევ ერთმანეთს..
უცნობი. ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს ყოველ გზაჯვარედინზე.
 (აზეფულ გადის. ჩნდებაიან კანტი და აინშტაინ).
კანტი. საგანი თავისთავად გამოუცნობია.
 ფენომენია მხოლოდ—ყოველი..
აინშტაინ. აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.
 რელატივიურია მხოლოდ—ყოველი..
 (კანტი და აინშტაინ იმალებიან).
უცნობი.. ესენი ვინ არიან?
ფინკელშტეინ. მოჩვენებანი ასტრალის ტვინანთების..
 თუმცა ხანდახან მართალს ამბობენ..
როკფელდერ.—გაათავეთ სპექტაკლი?!
უცნობი. ჯერ მხოლოდ დაწყებაა..
 (მიმართავს მორელლას.. მორელლა უახლოვდება თითქო ძალა-უნე-
 ბურად. უცნობი უშლის ხელის გულს).
ფინკელშტეინ. აკი გითხარით: უმარჩიელოდ არავის შეუძლია სიცოცხლე..
 ხედავთ: თვითონ ბედისწერას დასჭირდა მარჩიელი გოგონა..



ქართული
გინგამოსება

უცნობი. 'შენ მიხვედრა გაქვს.. მითხარი ჩემი ბედი..
მორელლა. მარჯვენა ხაზი.. მარცხენა ხაზი.. ხვეული..

არ შემიძლია.. დამეხსენ..

უცნობი. სიტყვი.. გული რად გიძგერს?!

მორელლა. დამეხსენ.. არ შემიძლია..

უცნობი. მაშ.. მე დაგეხმარები..

მორელლა. არა... არა: ბრუ ნეხვევა..

უცნობი. შენ ჩუმად კითხულობ:

„მე შეგიყვარებ შენ და ვიქნები 'შენი'..“

სიტყვი ხმამაღლა..

მორელლა. მე შეგიყვარებ 'შენ და ვიქნები 'შენი'..

(როკფელდერ რისხვით შეუტევს უცნობს).

როკფელდერ. ჰა შენ მხოლოდ ეს გინდოდა—

სხვაგვარ სიტყვებით გოგონას მოტყუება..

უცნობი. შეჩერდით!

როკფელდერ. დაიკარგეთ! მე ოქრო ვარ და რკინა!

უცნობი. გაიმეორეთ კიდევ.

როკფელდერ. მე რკინა ვარ და ოქრო.

უცნობი. მაშ კარგი: ესცადოთ თქვენი რკინა—

ესცადოთ თქვენი ოქრო.

საცდელი კარგი გაქვთ 'შექმნილი—

კახინო: ბედის საპატიმრო..

როკფელდერ. გაგაჩნიათ რაიმე?!

თამაშისთვის საჭიროა ფული..

უცნობი. აი სამაჯური ზურმუხტისა—

ცხენის ნალის ოდენი.

ზედ ამოჭრილია კლეოპატრას პროფილი.

ფასი: მეტი ვიდრე ათასი სტერლინგი.

როკფელდერ, თანახმა ვარ.

უცნობი. ბანკს მე დავიჭერ.

როკფელდერ. თანახმა ვარ.

(გაიმართება ბაქარა. ჯერ ეთამაშებიან უცნობს მხოლოდ პროფე-
სიონალები. სმენა გაგუდული მასსაში. ფინკელშტეინ დაფუსფუსებს).

უცნობი. ვიწყებ. ათასი სტერლინგი.

1 მოთამაშე. მოდის.. შვიდი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ორი ათასი სტერლინგი.

2 მოთამაშე. მოდის.. ექვსი..

უცნობი. შვიდი.

კრუპიე. მოგება უცხოელს..



უცნობი. ოთხი ათასი სტერლინგი.

3 მოთამაშე. მოდის.. რვა.

უცნობი. ცხრა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ათიათასი სტერლინგი.

4 მოთამაშე. მოდის. სამი.

უცნობი. ხუთი.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

5. მოთამაშე. მოდის შვიდი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ოთხმოცი ათასი სტერლინგი.

6. მოთამაშე. მოდის.. რვა.

უცნობი. ცხრა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ოთხმოცი ათასი სტერლინგი.

7. მოთამაშე. მოდის.. ექვსი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ასოთხმოცდა ათი ათასი სტერლინგი.

(არავინ არის მსურველი. გამოდის ნედიდურად როკფელლერ. სმენა გაგუდული).

როკფელლერ. კარტი!

უცნობი. ინებეთ!

როკფელლერ. შვიდი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. სამასი ათასი სტერლინგი.

როკფელლერ. კარტი!

უცნობი. ინებეთ!

როკფელლერ. რვა.

უცნობი. ცხრა.


კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. მთელი მოგება!

(როკფელლერს უნდა კიდევ წამოიძახოს — „კარტი“. წაიწევს. მაგრამ უეცრად შეჩერდება. თავს იკავებს. ტალები ხარბათ მზერენ უცნობს. მოთამაშენი პირქვე დამხოვნილნი სხედან. მათ შორის გელფერიხ და პენუტიე. ფინკელშტეინ დაფუსფუსებს. მას არ მიუღია მონაწილეობა. როკფელლერ მიმართავს უცნობს).

როკფელლერ. დღეს თქვენ ხართ გამარჯვებული.

უცნობი. როგორც ყოველთვის.



ქართული
ლიტერატურა

როკფელლერ. ოქრო ბევრი გერგოთ.

ლამაზი გოგოც ალბად თქვენი იქნება.

იგი სულ ოქროს კითხულობდა ჩემს ხელზე.

(ამ სიტყვებზე გადმოიქრება უცნობი. აიღებს მოგებას. ყოფს ორ ნაწილად. ერთ ნაწილს ფეხქვეშ მიახლის მილლიარდერს).

უცნობი. ჰა! შენი ოქრო!

(როკფელლერ მაინც მედიდურია. არ იღებს.)

როკფელლერ. წაგებულს მე ფეხით ვთელავ.

(გადის. მიჰყვება მცველი. უცნობი ეხლა მეორე ნახევარს სხვებს გადააყრის. საშინელი ჩოჩქოლი).

უცნობი. ჰა! თქვენი ფული!

ჰა! თქვენი ოქრო!

ასწიეთ მაღლა თავი! რას დაღვრემილხართ!?

კიდევ შევხვდებით სათამაშოდ ერთმანეთს.

ეგებ მაშინ მოიგოთ.

ამართეთ მაღლა თავი! იმხიარულეთ!

იყიდეთ სილამაზე!

გაპყიდეთ სიქალწულე!

შეიტანეთ შემოსაველ-გასაველში.

უხმეთ მუსიკას! იწყეთ ცეკვა!

იანგარიშეთ ბედინ ნაბარი!

უან-სტებ. ტუ-სტებ. მისსისსიპი!

მაშ მხიარულება! ცეკვა!

უან-სტებ. ტუ-სტებ. მისსისსიპი..

(შემდეგ მიმართავს მორელლას).

მორელლა! შენ კიდევ მიწა ხარ.

შენ მიხვდი მხოლოდ ჩემს ვინაობას.

ხვალ საღამოს—

როცა მზე შეანელებს ყვითელ კალთების ნაკვერჩხლებს—

ქალაქის ჩრდილო ბჭესთან ვიქნები.

მე შენ იქ მოგელი—

მორელლა..

(გადის სწრაფად. მორელლა ხელებ გაწვდილი—თითქო სომნამბულა

—გაიწევს მისკენ შესძახილით).

მორელლა. შენთან.. შენთან...

მხოლოდ შენთან...

შენის გზით..

(აურზაური. დაბნეულ ფულებს ერთიმეორეს ჰგლეჯენ. ქალები ხით-ხითებენ. უკრავს მუსიკა. ფინკელშტეინ ფუსფუსებს.)

ფინკელშტეინ. წინასწარ ვიცი ყველაფერი.

ბედი მაქვს: რომ არ ვითამაშე.



ქართული
 ენციკლოპედია

ლოლოტა. (ხითხითებს).

ბლანშეტა. (ხითხითებს)

გელფერიხ. შენ მაინც წააგე: ჰერო ფინკელშტეინ!

ფინკელშტეინ. როგორ? მე ოფელში არ გაწურულვარ.

პენუტიე. როკფელლერის ფული ჩვენ გვერგება.

ფინკელშტეინ. ეგ შეუძლებელია. მეც თქვენთან ვიყავი.

გელფერიხ. ჩვენთან იყავი—მაგრამ არ გითამაშნია.

პენუტიე. როკფელლერის ფული—მოთამაშეებს!..

ფინკელშტეინ. ცუდათ ვიანგარიშე.

(მოთამაშენი ფულს იყოფენ)

ლოლოტა. როგორ დაგემართა?! ჰა! ონკელ ფინკელ!

ხა-ხა-ხა! ონკელ ფინკელ!

ფინკელშტეინ. არაფერია გერიტებო.

მე და მოწყენა!

იყოს მხოლოდ გუნება—

და თქვენ მყავდეთ კარგად.

მასხა. (ხითხითობს).

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

საგანი თავისთავად გამოუცნობია.

აინშტაინ. რელტივიურია მხოლოდ—ყოველი.

აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.

(კანტი და აინშტაინ მიმალებიან).

ფინკელშტ. ეხლა უთუოდ დაგრწმუნდი..

რომ ეს საფთხოებლები მართალს ამბობენ.

ფენომენია უთუოდ ყოველი.

რელატივია მხოლოდ ყველაფერი.

ერთი გამონაკლისი მარტო:

ცეკვა—რიტმი.

რიტმს ვერ დავეთმობ—

აბა მუსიკა!

ფერხული!

უან-სტეპ. ტუ-სტეპ. მისისისიპი.

ლოლოტა. ბლანშეტა!

ლოლოტა. ონკელ ფინკელ.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ.

(შემოცვივდებიან მეპაპიროსენი. ჩაერევიან საერთო ფერხულში.

ხტიან. მღერიან.)

ყველა. პაპიროსი „ექსტრა“.

უან-სტეპ. სტეპ. სტეპ.

შეხურდი მაესტრო.

ტუ-სტეპ. სტეპ. სტეპ.

უან-სტეპ. ტუ-სტეპ!
ქალებს ნუ სდევ.
მისსისსიპი. მისსისსიპი.

კოკტაილ!

(მორყელლა განზეა. არ იმღერის. გასცქერის შორს.)



სურათი მეორე

ამოღ უატი

მოგმამდნი:

უცნობი.

მორელლა.

მეწიხკვილე მოხუცი.

მეთევზენი.

ვაჟი.

ქალი.

(წისქვილი მთებში. ლამისსათევი ოთახი. კუთხეში პრიმიტიული ბუხარი. ცეცხლის პირას სხედან: მოხუცი მეწიხკვილე. ქალი და ვაჟი. ქალი 15 წლის. ვაჟი 17 წლის. მარჯვნივ გასაღები საფეხველ განყოფილებაში. ისმის სარეკელას რაკუნის ხმაური მდინარის და რიკის ბორბლების. ღამე სრულმთვარიანი).

ვაჟი. რა ექნათ რომ შემოგვალამდა?!

მოხუცი. ჩემთან გაათევეთ ღამეს.

ვაჟი. ჩვენებს შეეშინდებათ.

მოხუცი. არა. იფიქრებენ რომ ჩემთან დარჩი.

ვაჟი. მე-კი. მაგრამ ჩემი თანამგზავრი?!

მოხუცი. ისიც ჩვენთან გაათევეს ღამეს.

ქალი. ჩვენებს არ შეეშინდებათ.

ხშირად მითენებია ღამე სხვაგან.

(პაუზა)

ვაჟი. რისთვის არ დადიხარ სოფლად ბაბუა?

მოხუცი. მდინარეს შევეჩვიე. შეჩვევა იცის.

ბავშობიდან აქა ვარ. ოთხმოცი წლისა ვარ.

ქალი. მდინარე ხალასია. უკეთესია ვიდრე ტყე.

ხილზე რომ შევჩერდები ხანდახან—მდინარეს თვალს ვერ ვაცილებ.

მხიბლავს. მიზიდავს.

მოხუცი. ადრე გაგიგია გოგონა მდინარის საიდუმლო.



ქართული
საბავშვო

ვაჟი. მე უფრო ტყე მიყვარს. ხე მიყვარს. ნადირობა.

ქალი. მე ველი მიყვარს. დაფენება. ქალები.

მოხუცი. ყველაფერი კარგია — ბავშვებო.

(პაუზა. მოხუცი უფროსებს სარეკელას. გადის საუბრეელ განყოფილებაში)

ვაჟი. ტყეზე უფრო მიყვარხარ. ნადირობაზედაც.

ქალი. როცა ველზე ვარ ან ქალებში: სულ შენ მეჩვენები.

ვაჟი. ტყეში ყოველ შრიალზე შენ მელანდები.

ქალი. მზის დასავლისას — როცა მთის კალთები აღვივდებიან —

ჰო! რა ტკბილი წამია! — სულ შენზე ვფიქრობ.

(ბრუნდება მოხუცი).

მოხუცი. მალე იქნება შუალამე.. შვილისშვილი არ ბრუნდება.

ვაჟი. სად არის?

მოხუცი. სათევზაოდ წავიდა.

ქალი. ღამეში.. მარტო..

მოხუცი. მარტო უყვარს თევზაობა.

მთვარიან ღამეს არ გამოსტოვებს.

ვაჟი. მთვარიან ღამეში მდინარიდან ქალი ამოდისო.

ქალი. მეც გამიგონია. ნუ თუ მართალია?!

მოხუცი. მართალია.. მაგრამ ყოველთვის — არა..

ვაჟი. მაშ როდის?

მოხუცი. ამის ცოდნა საცდურიცა.

შვილისშვილმა გაიგო საიდუმლო.

ეხლა მთვარიან ღამეს მდინარესთან ატარებს.

ქალი. ყოველ მთვარიან ღამეს რომ არ ამოდის?!

ვაჟი. გვითხარ ბაბუა!

ქალი. გვითხარ! ჩვენ მდინარისაგან შორსა ვართ.

ვაჟი. საცდური არ იქნება ჩვენთვის.

მოხუცი. ყოველ მთვარიან ღამეს მდინარე ერთი წამით იძინებს.

იმ წამს მთვარის სინათლეზე ქალი გამოდის მდინარედან ტიტველი.

ქალი. ღამაშია?!

ვაჟი. როგორია?!

მოხუცი. მკერდი ქაფივით თეთრი აქვს და მკვრივი.

ძუძუები თეთრი და მაგარი რიყის ქვასავით.

თვალები: ამღვრეული ზურმუხტი.

თმა მოწავო და ხშირი.

ქვედა ნაწილი თევზისა აქვს: ხავოიანი.

თუ მოგახვედრა ტანი სხვა ქალს ვეღარ ისურვებ..

ქალი. შენ გინახავს?!

ვაჟი. ბევრჯერ გინახავს?!

მოხუცი. — სამოცდაათ წლამდე ყოველთვის ვნახულობდი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი. შემდეგ?

მოხუცი. შემდეგ არა.

ვაჟი. ხომ არ გყვარებია?

მოხუცი. ეხლაც ჭრუანტელი მივლის: როცა მაგონდება.

ქალი. ერთი და იგივე იყო?

მოხუცი. ვერ ვიტყვი: რომ ერთი იყო.

იგი ცოტას ლაბარაკობს: ორ სამ სიტყვას.

სახით ყველა ერთნაირი იყო.

(პაუზა. მოხუცი შეჩერდება. ყურს უგდებს სარკელას. გადის საფ-
ქველ განყოფილებაში.)

ვაჟი. ვერც ერთი ქალი ვერ შეგედრება.

ქალი. რომ შეხვდე მდინარის ქალს?!

ვაჟი. შენი მსურველი დავრჩები მაინც.

ქალი. ნეტავ მე მანახა ის უცხო ქალი.

ვაჟი. ეგებ შენა ხარ იგი თვითონ!.

ქალი. მე რომ ველზე ვცხოვრობ?!

ვაჟი. ხიდიდან რომ ჩასცქერ მდინარეს ბრუდასხმული—

იქ შენს სახეს არ ხედავ ასარკულს?!

ქალი. როცა თავბრუ მეხვევა—მაშინ შენ ხვევნასა გრძნობს ტანი.

შენი ხვევნაა ხომ?!

ვაჟი. ჩემი ხვევნაა..

(ბრუნდება მოხუცი)

მოხუცი. რა დაემართა?! რად იგვიანებს?!

ვაჟი. ალბად ქალი ნახა..

ქალი. არ გამოუშვებდა..

მოხუცი. დღეს მდინარე არ მიძინებულა.

ვაჟი. განა ახლაც ტყობილობ?!

მოხუცი. კიდევ რომ ვთვლემდე.

(ხმაური. კარებში რახუნი, შიში.)

ქალი. ვინ არიან?!

მოხუცი. ვინა ხართ?

ხმები. მეთევზენი. გაგვიღე კარი.

(მოხუცი უღებს მათ კარებს. შემოდიან მეთევზენი ბადეებით. კალა-
თებში: თევზები. მიდიან ცეცხლთან.)

მოხუცი. შვილიშვილი ხომ არ გინახავთ?

1 მეთევზე აქვეა მდინარის პირას.

მოხუცი. რას აკეთებს?

2 მეთევზე. ოცნებობს მთვარით აჭათქათებულ რიყეზე.

3 მეთევზე. ალბად მდინარის ქალზე ოცნებობს..

4 მეთევზე. მე ჯერ არ მინახავს მდინარის ქალი.

5 მეთევზე. ყველა ვერ ნახავს მას..



ქართული
საქმიანობა

ვაჟი. რატომ?

1 მეთევზე. მხოლოდ უცოლო თუ ნახავს..

2 მეთევზე. მალე შეირთე ცოლი ბიჭო—თორემ ალი გაგიტაცებს..

3 მეთევზე. ეს გოგო აღბად შენი საცოლოა!

4 მეთევზე. თნები მზეს მიუგავს..

5 მეთევზე. ტანი—ტიტველ ჩანჩქერს მოხეთქილს.

მოხუცი. ლამაზია. ნუ აწითლებთ...

ვაჟი. მე მიყვარს..

ქალი. მეც მიყვარს იგი..

1 მეთევზე. სადმე კუთხეში კარგად ინებივრებთ..

ვაჟი. მე მას ჯერ არ მივკარებივარ.

ქალი. ნუ ამბობ მეთევზე მაგას..

მოხუცი. დაეხსენით.. მოისვენეთ.. უკეთესია..

2 მეთევზე. მალე მდინარესაც ამოაშრობენ..

3 მეთევზე. მდინარის გოგოც გაჰქრება მაშინ..

4 მეთევზე. მალე ტყეებსაც გასჩეხენ..

5 მეთევზე. ტყის დედოფალიც გაჰქრება მაშინ...

ვაჟი. მალე მიწასაც ამოაშრობენ ძუძუებს..

მოხუცი. რას ლაპარაკობ?!
ქალი. ჩვენში სულ ანაზე ლაპარაკობენ..

მოხუცი. არა. არა. მიწა არ გაშრება...

ქალი. ჩვენში მუხებს კრიან..

მოხუცი. ვაი თუ დიდ მუხას ახლეს ხელი..

1 მეთევზე. რომელს?

მოხუცი. აი ამ ქალის სოფელში რომაა!

ოცდაათ კაცმა უნდა შემოაგლოს ხელი—
იმ სისხო ტანი აქვს...

2 მეთევზე.—ამბობენ: წმინდა მუხააო.

ვაჟი.—შენ გეცოდინება ბაბუა.

მოხუცი.—ათასი წლის წინად ჩვენს მხარეს მტერი შემოესია.

ჩვენს გვარს წმინდა ნაწერი ჰქონდა. გამიგონია.

ეშინოდათ: მტერს არ მოეტაცა იგი.

ჩათხარეს იგი ერთ ადგილს. ზედ მუხის ნერგი დარგეს.

იზღება მასშემდეგ მუხა ნაწერის მადლით.

მისი ტოტების შრიალს მისანნი უსმენენ.

მისი ქერქი წამალია. ცილიც. რკოც. ფოთოლიც.

ხანდა ხან მას ღამით წმინდანნიანი ევლება თავს.

(პაუზა. თვლენა ერევათ).

3. მეთევზე. ერთი სიმღერა სანამ მივიძინებდეთ..

(მღერიან).

ყველა. შუადღისას მუხის ტოტებს მოხვეოდა დიდი გველი.



ქორფა გოგო ჩვენს მკლავებზე გადაწვევი ვნებები...
(ამ დროს კარებს ასკდება ცხენების თქარას...
ღერა. ვილაც საშინლად არახუნებს. შიში. ღუმილი. ზოგი თოჯს
წვდება. ზოგი კეტს.)

მოხუცი. ვინ არის?

ხმა. კეთილი მოგზაური. გააღეთ კარი.

(მოხუცი აღებს კარს. შენოდის „უცნობი“ გაფითრებული. მკლავებზე
უწვეს გულწასული მორელლა. დაასვენებს იქვე გაშლილ ქი-
ლოფზე.)

მოხუცი.—ვინა ხარ? საიდან ხარ?

უცნობი.—კარგია რომ მზადა ხართ..

საქიროა: თოფიც—წერაქვიც—კეტიც..

საცოლო მოვიტაცე — გამოვგლიჯე სასტიკ მტარვალებს..

კაცი შემომიკვდა. მდევნიან.

მოგვდევენ უკან ცხენებით.

ქალი ორსულია და გული წაუვიდა.

გაიქეციოთ ვხლავ. გადასჭერიოთ გზაჯვარედინები.

არავინ გამოუშვათ. გაფიცებთ მიწას მშობელს.

თუ ვერ შეაჩეროთ—მაცნობოს რომელიმემ..

(უველანი ერთსულოვან დაემორჩილებიან. პირველი მიდის ვაეი.
შემდეგ მოხუცი. მასთან—მეთევხენი. რჩება მხოლოდ ქალი. იგი
სველი ტილოთი შებლს უგრილებს მორელლას. მორელლა გონს
მოდის.)

მორელლა.—თითქო ამ წამს ვხედავ უველაფერს.

სუნთქვა მიწის ჩემს სუნთქვაშია.

მაბრუებს ბალახის სურნელი. მათრობს მდინარის ხმაური.

ქმარო. მძლეველო. მეგობარო.

გცილდები. ვხედავ, გშორდები...

უცნობი.—შენშია ჩემთვის დღეს ყოველი.

მორელლა! შენი საშო ცხელია.

მორელლა! შენ მიწის მკერდი ხარ.

მე შენს დენაში ვარ ნათელი.

მე შენს ბადეში ვარ ნაყოფიერი.

მორელლა! მორელლა!

შენ ხარ სირბილე. შენ ხარ სიტკბილე.

დაცილება: არა. არა.


მორელლა. შენი ნაყოფი იძვრის ჩემს მუცელში.

ჰო! როგორ მეყვარებოდა შენი ძე. შენი თესლი.

ვიქნებოდი მე დედა მკერდავსილი.

ჰო! რა ხალისით დაიცლებოდენ ჩემი ძუძუები

მაშინაც კი: თუ ბავში გახელებით ძუძუს უკბენდა.



მე დავრბილდებოდი როგორც სიპი ქვა მიწაში.
 მე გაეიშლებოდი როგორც ალორთქილი ყანა სივრცეში.
 მე ავივსებოდი როგორც ამონშრალი წყარო კლდეებში.
 ებლა კი ვხედავ: გცილდები..

უცნობი. ვერ დამცილდები.. შენ არ მოკვდები.

მორელლა. მე არ მოკვდები.. შენ უნდა მომკლა..

უცნობი. მე უნდა მოგკლა? მორელლა! რას ამბობ?

მორელლა. შე უნდა მომკლა ებლავე:

შენ—რომელმაც არ იცი ნაპირი.

შენ—რომელმაც არ იცი ზღუდე.

შენ—რომელმაც არ იცი გაორება.

უცნობი. — რას ამბობ? მე უნდა მოგკლა?!

მორელლა. შენ: რომელიც ხარ ნება.

შენ: რომელიც ხარ ბედი.

შენ: რომელიც ხარ ასრულება.

უცნობი. ჩემი ნება დარბილდა შენი ტანის ტევრებით.

ჩემი ბედი შთაინთქა შენ ბნელ წიაღში.

ჩემი ასრულება ნაყოფშია: რომელსაც შენ ატარებ..

მორელლა. მეტი აღარ ძალმიძს.

ცხენზე სული მეხუთება. ნაყოფი ინჯღრევა.

ჩვენ მათ ვერ გავექცევით. დაგვეწევიან.

პო: სიკვდილი ვიდრე ტყვედ ჩაეარდნა.

სიბილწე- წარყვნა ყოველის.

ისმინე მაღალო. ისმინე ქმარო.

მე უნდა მომკლა შენი ხელით.

მე ვხედავ ამას.

უცნობი. მორელლა! ტკბილო მორელლა!

ცოლო. დაო. საყვარელო..

ტყდება ჩემი ხერხემალი უღრეკი.

იმსაერევა ნება ერთპირი.

ჩემი ხელი უღონოა: შენ ვერ მოგკლავს იგი.

მე მოველ სიბნელიდან როგორც დაუგეშელი ნადირი.

არ იყო იქვი. არ იყო ორობა, არ იყო დაყოფა.

როგორც იხდება ხე. როგორც სქდება ზვავი.

როგორც მძვინეარებს მდინარე.

ისე ნივდიოდი. ისე ვცოცბლობდი.

შენში ვნახე პირველად სინათლე.

შენში ვნახე პირველად საყვარული.

შენში ვნახე პირველად ჩემი ნალველი.

შენში აღვივდა პირველად ჩემი ხილვა.

მე შენი ვარ სრულად. მე შენი ვარ.



- მე თუ მოგკალ შენ იქნება თავისმკვლელობა..
- მორელლა.** ხედავ ვარსკვლავებს?! ხედავ ტალღებს?!
 ხვდებიან ერთი მეორეს: ნდომით. სისასწრით.
 ხვდებიან ერთხელ და სცილდებიან სამუდამოთ.
 არასდროს შემდეგ არ შეხვდებიან.
 უფსკრულია ყველგან.
 ვერაფერი ამოშლის ამ უფსკრულს.
 თვითონ ბედისწერაც—ვერ.
 დრო იქნება: მე და შენ დავცილდებით მარადის.
 თუ გინდ მივიცვალოდ ერთად: ერთ დღეს ერთ საათს ერთ წამს.
 ერთი მეორეს საენებად გადახვეულნი.
 იქნება ჩვენ შორის სიცილიერე.
 იქნება მარტობა უკანასკნელი.
 მე მოგიხმობ შენ—შენ ვერ მოისმენ.
 შენ მომიწოდებ მე—მე ვერ გაეიგონებ.
- უცნობი.** სიცილიერე სიგიჟეა.. შეუძლებელია..
- მორელლა.** მაგრამ: თუ იქნება ერთი გზნება განუყოფელი.
 თუ იქნება ერთი განცდა. ერთი ნდომა. ერთი სურვილი.
 ისე როგორც ალი, რომელსაც ვერ გასკრის დანა.
 ისე როგორც ტალღა, რომელსაც ვერ განკვეთს მახვილი.
 მაშინ სიცილიერე აღარაა.
 მაშინ არ იქნება სიმარტოვე.
- უცნობი.** მორელლა! ტკბილო მორელლა!
 შე შენთანა ვარ როგორც ალი.
 მენ შენთანა ვა როგორც ტალღა.
- მორელლა.** არა. არა. ჯერ კიდევ არა.
 შენ ხარ ბედის შვილი. უშიშარი.
 შენი თვალებით იცქირება ბედი უჩეხი.
 შენ ეხლა შიშობ. ნუ მალავ შიშს.
 იყავ პირუანდელი: მთელი. განუკვეთელი.
 საჭიროა გაბედვა უკანასკნელი.
 საჭიროა გარღვევა სინამდვილის.
 საჭიროა სიგიჟე.
 მომკალ დიდი სიყვარულით.
 მომკალ კმარო ჩემო.
 მოკკალ ცოლი შენი.
 მოკკალ შენი ნაყოფი.
- უცნობი.** მორელლა! მორელლა! მორელლა!
 სიგიჟე მოდის გააფთოებულნი..
- მორელლა.** მაშინ იქნები შენ ჩემი.
 მაშინ ვიქნები მე შენი.



სამყარო დაიშლება—
თუ კავშირი დაიშალა ჩვენი.

უცნობი. მორელლა! მოდის სიგიჟე.
(შემოვარდება ვაჟი)

ვაჟი. ჩვენებმა გზა გადაუჭრეს.
შემბაა საშინელი.
ვაი თუ ვერ გაუძღეს.
თავს უშველეთ.

ქალი. დედაო მარიამ!
კეთილო ქალწულო!
დაგვიხსენ განსაცდელისაგან!

მორელლა. აგვიანებ?! მოდიან..
ცოხი. მაშ: მეც შენთან ერთად.

მორელლა. არა. არა. ეს შიშია იგივე.
სიყვარული.. სიყვარული უკანასკნელი.

უცნობი. ბედო! უსახელო! შენა ხარ ჩემში?!
ვინ ხარ შენ? ვინ ვარ მე?
მაღალო! ბნელო! ძლიერო! მშველელო!
გესმის ჩემი ტკივილი?!
გესმის ჩემი კივილი?!

მორელლა. ჰა ჩემი ამულეტო: სიყვარულის.
შეიძლება დედა ნახო ჩემი..
შეიძლება მამა ნახო ჩემი.
შეიძლება ძმა ნახო ჩემი..
შეიძლება დაჯ ნახო ჩემი...
მე მგავს. ლურჯთვალა.
გახსოვდეს მორელლა...
მე მხახავ შენ სადმე...
მე გნახავ შენ.. ოდესმე...

(უცნობი უეცრად შეიცვლება. იქცევა პირვანდელი: სასტიკი და უტეხი. შეჩერდება ერთი წამით: თითქო შეჩერდა მიწა-დედა. შემდეგ ერთი მოსხლეტით იძრობს დანას და ჩასცემს მკერდში მარჯვნივ. დანას გააგდებს. დაახტება კრილობას ტუჩებით. აიყვანს ხელში სწრაფად და ისვრის მდინარეში. შემდეგ ისევ დაირღვევა თითქო. წაბარბაცდება. მერე: თითქო ერევა თავის თავს. როგორც დაკოდილი კენტავრი გავარდება კივილით.)

უცნობი. მორელლა! მორელლა! მორელლა!
(ვაჟი და ქალი აქამდე გარინდულნი იდგენ კედელთან. ქალი იკივლებს. ვაჟი მოსხლტება და გადავარდება მდინარეში. საშინელი მყუდროება. რამოდენიმე წამის შემდეგ ცოცხალ—მკვდარ მორელლას ამოათ-

რევენ. ვაჟი და მოხუცის შვილი-შვილი. მორელლა ოდნავ სუნთქავს. ქალი მივარდება და უხვევს ქრილობას.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟი. ქრილობა სასიკვდილო არ არის.

მალამო ამ წამსვე.

(შვილი-შვილი უცბად მონახავს მალამოს. ქალი ადგება მას. მორელლა ბურანშია. ლულლულღებს.)

მორელლა. სადა ვარ?! ვინა ხარ?

(ამ დროს გაიღება კარები. შემოვარდებიან მღვეარნი. მორელლა თვალებს ახელს. წამიერ ნოუვა ცნობიერება—და თითქო სიკვდილს შეხედაო—შეჰკივლებს შემზარავად.)

მკვლევლები!! მკვლევლები!!

სურათი მესამე

კანთავრები

მომხმედნი:

უცნობი.

ზარიფა.

დედა ზარიფასი.

მამა ზარიფასი.

ძმა ზარიფასი.

ფინკელშტეინ.

პენუტიე.

აზეფულ.

ბოშები.

გლეხები.

(მალლობი. მოსჩანს მდინარე. მდინარის პირას გაფენილი ქალა. მალლობზე: კარვები ათამდე. კარვები ბოძებზე: სქელი ღვინის ფერი ტილოები გაკრული. აქა იქ: ნოხები. სპილენძის ჭურჭელი მრავალი. სარზე: ცხენის თავის ჩონჩხი. მორთულობა. ამულეტები—ხლვის კენკები—ღირკილონები.)

1 ბოშა.—სად არიან?

დედა. მარულაა გამართული.

1 ბოშა. ზარიფა სად არის?

დედა ისიც იქ არის.

(ბოშა 1 მიდის გადასახედ ადგილთან. შემოდის მეორე ბოშა.)

1 ბოშა. ჭენება დაწყებულია.

2 ბოშა. დღეს ცხენებს სინჯავენ.



დედა. ბევრია მონაწილე?

2 ბოშა. ოცამდე.

1 ბოშა. ჰაა! ზარიფაც მიაქენებს ცხენს.

დედა. რას ბობ?!

(ბოშა მიდის გადასახედ ადგილთან)

ბოშა. ლურჯას მიაქენებს. ხომ არ შეშლილა?!

ლურჯა ავია. ფიცხია. გახელება იცის..

(შემოდის ზარიფას მამა. მიდის გადასახედ ადგილთან. გაპყურებს. უეცრად იკივლებს.)

მამა. ზარიფა ლურჯაზე ზის.

გიჟია ის გოგო. ხომ გაიტაცებს.

ლურჯას როგორ დააკავენბს..

2 ბოშა. თუ გახელდა—გადაიჩეხება.

მხედარსაც თან გადაიყოლებს.

მამა. ცხენი. ეხლავ. უნდა დავედევნო.

(მამა გავარდება. დედა მივარდება გადასახედ ადგილს. იკივლებს ცხარედ.)

დედა. გიჟი. გახელებული. ნადირი.

1. ბოშა. მიაქენებს.. გავარდნით.. ჰაა.. წინ ხრამია...

2 ბოშა. ჰა.. უნდა სადავე დაუკავოს—თორემ..

დედა. ჰა.. გაიტაცა.. ველარ იკავენბს.

1 ბოშა. ის ვინ მიაქენებს ცხენს შორი ახლო?

დედა. უცნობი. ჩვენთან რო ცხოვრობს..

2 ბოშა. ისიც მინავარდობს. გახელებულია..

1 ბოშა. ცხენი ქაფშია.. უახლოვდება... ჰა.. ხრამიც..

2 ბოშა. ლურჯა გადავარდა..

დედა. ვაი! დაილუპა! დაიმსხვრა!

1 ბოშა. უცნობიც თან გადაპყვა..

2 ბოშა. ხელი მოაფლო..

დედა. ეს რა არის?! ლურჯა მარტო გარბის..

1 ბოშა. თუ დაილუპა... არა... ჰა..

2 ბოშა. უცნობმა თუ შეიგდო ცხენზე.

დედა. ვაი! ზარიფა! შეილო!

1 ბოშა. უცნობის კეხზეა.. გადარჩა..

დედა. შეილო.. აიმღვრა დედის ძუძუ ზარიფა.

(გავარდება გარეთ.. ბოშებიც მოსწყდებიან ადგილს და თან გაპყვებიან. ხმაური. ყიჟინა. „ვაშა“. სიხარული. შემოდინან. წინ „უცნობი“. თვალეში: ალესილი ბედისწერა პირვანდელი. მოპყავს ზარიფა. მორელლაზე მომცრო. ჰგავს დას. მხოლოდ: თმები კიდევ უფრო შავი. თვალეში მოლურჯო. რხევაში გველის მოქნილობა ნესტოები—



ნადირის. ტანი კვრივი და ყოველი კუნთი-ცხელი საფეთქელი. აღწილი ავხორცობა: ახლიდ გაღვიძებული.)

მეგობრებო
მეგობრებო

3 ბოშა. გვაჯობა უცნობმაო ..

4 ბოშა. უცნობმა ზარიფა გადაარჩინა...

5 ბოშა. კინალამ გადაიჩეხა ცხენთან ერთად.

ზარიფა. მაგრამ მან შემაგდო ცხენზე.

ყველა. ვაშა.. ვაშა.. ვაშა..

(შემოვარდება ბიჭი)

ბიჭი. ლურჯა დაიჭირეს.. მაგრამ რაღაც ეწართება.. იბუთება..

მამა. ვაი ჩემო ცხენო.. მიშველეთ..

ხმები. წამალი.. შემლოცველი.. ეხლავე..

ზარიფა. ლურჯამ მაგრე იცის.. არათერია.. გაუვლის..

(გარბიან. რჩებიან: უცნობი და ზარიფა.)

უცნობი. რა დაგემართა დღეს?

ზარიფა. გავგიჟდი. გავხელდი.

უცნობი. რისთვის?!

ზარიფა. შენთვის.. სიყვარულისთვის.

უცნობი. როგორ?!

ზარიფა. როცა შენ ჩემთან ერთად ცხენს მოაქანებ—

მაშინ შენ სულ ჩემი ხარ. ჩემი.

უცნობი. განა ისე არა ვარ შენი?!

ზარიფა. შენ ისე: მოღუშული ხარ. დაღვრემილი..

მიიციქვრ თვალეში—თითქო სხვას უციქვრ.

მაყრი აღერსს—თითქო სხვას ეაღერსები..

უცნობი. ცხენზე როცა ვარ?.

ზარიფა. ცხენზე შენ სხვა ხარ. ცეცხლი ხარ.

როცა თვალს მოგკრავ—თითქო კოცნას შურდულით მესვრი.

როცა ჩემს სახელს დაიძახებ—თითქო ხვევნის ქამანდით იქვრ ჩემს ტანს.

უცნობი. ცხენზე ბევრი ფიქრი შეუძლებელია.

ზარიფა. არა. არა. არა. შენ მაშინ სხვა ხარ. ჩემი ხარ.

უცნობი. შენი ვარ ზარიფა. მაშინაც და ეხლაც.

მაგრამ შენ სწორედ ცხენზე გავიწყდება—

რომ შენ ჩემი ხარ..

ზარიფა. როგორ?! არ მესმის..

უცნობი. როცა ცხენს მიაჭენებ—შენ თავს იმეტებ.

მე მიფიწყებ მაშინ. მე მტოვებ მაშინ..

ზარიფა. რაღაცა მიზიდავს ცხენზე გავარდნილს..

მიზიდავს ტკბილი და თან საშინელი..

სული მებუთება.. გული ჩიტია .თითქო—

ბუდიდან ამოფრენილი..

თუ არ გავვარდი მაშინ—ვიცი დავიღეწები.



უცნობი. შენ უფსკრული გიზიდავს მაშინ..

მე თითქო არც კი გახსოვარ..

ზარიფა. არა. არა. მაშინ უფრო ვარ შენი.

დღეს რო ლურჯას მივაჭენებდი—

ვგრძნობდი: თავის თავს აღარ ვეკუთვნოდი..

მიჭკრის—შინაგარდობს—შიფრინავს ცხენი გახურებული—

და თითქო ჩემს თავს აღარა ვგრძნობ სრულიად:

მთელი ჩემი ტანი ცხენისაა თითქო აღეწილი.

აღარც სიშიშიმე. აღარც ფიქრი. აღარც იქვი.

წინ: რაღაც მღვრია: უცნაური და მათრობელი.

თავბრუ მეხვევა...

უცნობი. მეც მაგას გეუბნები.. მე აღარ გახსოვარ..

ზარიფა. არა. არა. ყური დამიგდე..

თრობა კიდევ უფრო მატულობს და იღვსება:

როცა მთელი სხეული გრძნობს—

რომ შენ ჩემთანა ხარ გვერდით ან უკან..

მივინაგარდობ და თითქო: ველი უფსკრულს—

ველი გადავარდნას—ველი გადაჩეხას...

მაგრამ ტანი თანვე ელის ვილაყას უკან—

გელის შენ: მძღეს—მაგრო—გადამლახავს.

მხრებს მიწვავს უკვე შენი სუნთქვა მაშინ..

ჰო! ესაა ყველაფერი..

უცნობი. როგორც დღეს?!

ზარიფა. როგორც დღეს..

როცა ის იყო გადავიჩებე...

უეცრად აელვარდა ვეფხის ნახტომი და ვეფხის ტორი

და ერთის მოსხლეტით მის წინ გადავეკარ უნაგირზე.

ეს შენ იყავი ვეფხის ტორი

ჰო! რა მწველი იყო ეს წამი..

ტანი დადნა წყაროს თვალივით.

სხეული დაიქცა სიყვარულის ღვრად.

უცნობი. გიჟი ხარ ზარიფა..

ზარიფა. სისხლი მაქვს ასეთი.

უცნობი. ვეფხის ტორს რო არ მოესწრო?

ზარიფა. გადავიჩებებოდი..

უცნობი. მერე?!

ზარიფა. მერე არ ვიცი.. არც მინდა ვიცოდე..

უცნობი. გაპოზილ ნაყოფს გვანან შენი ტუჩები..

ზარიფა. შენთვის გახსნილან.. დაეწაფე..

(უცნობი ხარბად ჰკოცნის ზარიფას. შემდეგ უკანასკნელი თითქო ბურანს გამოერკვაო—წამოხტება.)



ქართული
საბჭოთაო

უცნობი. რა იყო ზარიფა?

ზარიფა. ნეტავ რა მოუვიდა ლურჯას.

უცნობი. შენ თვითონ არ სთქვი — არაფერიაო?!

ზარიფა. არა. უნდა ვნახო.

(ზარიფა გაეარდება. უცნობი ნელი ნაბიჯით მიდის მის კვალდა-კვალ. ფიქრით მაინც დამძიმებულია. პაუზა. მეორე მხრით შემოდინან: გლეხები და ბოშები. მათ შორის: პენუტიე და ფინკელშტეინ.)

ფინკელშტეინ. საუცხოვო მიდამოებია.

პენუტიე. განსაკუთრებით ლამაზია ტყეები: ხშირი და უტეხი.

ფინკელშტეინ. აქ დიდი საქმე გაკეთდება. მე ყნოსვა მაქვს.

პენუტიე. კონცესიები უზრუნველყოფილია.

1 გლეხი. ძნელია შეღვევა.

2 გლეხი. ცოდვაა ტყის გაჩეხვა.

3 გლეხი. როგორ გაიმეტებს მას კაცი.

ფინკელშტეინ. ოქროც კარგია. ლამაზიცაა: მხესავით ყვითელია.

პენუტიე. ცხოვრება წინ მიდის. განათლებას უნდა დაეწაფოთ.

ფინკელშტეინ. განათლებას კი ფული ეჭირვება. ეს თქვენც იცით.

პენუტიე. ცივილიზაციის აუცილებლობაა. სიტყვა ასეთია.

1 გლეხი. ჰე! რა ვქნათ?!

2 გლეხი. რას ვიწამთ?! უნდა დავთანხმდეთ..

3 გლეხი. რომ ვუყუროთ — რას გავხდებით..

ფინკელშტეინ. სწორი თქმაა. ნამდვილი თქმაა..

აბა. შე ცუდს გირჩევდით?!

ჩვილი გული მაქვს..

პენუტიე. გლეხები ხართ — მაგრამ საჭიროება იცით.

ჩვენ საქმეებს უთუთდ მოვარიგებთ.

(შემოვარდება ზარიფა. უეცარი შეჩერებით გადახედავს პენუტიეს და ფინკელშტეინს. უკანასკნელი აფუსფუსდება.)

ზარიფა. ლურჯა ცუდათაა. შესალოცი ქვა.. სად არის?!

(ეძებს თაროზე. ნახულობს. გარბის.)

ფინკელშტეინ. გოგოებიც რომ ლამაზები ყოფილან თქვენს მხარეში..

პენუტიე. ბევრია თქვენში ასეთი გოგო?

1 ბოშა. რამდენიც გინდა.

ფინკელშტეინ. აი ასეთი გოგო რომ წამოვიდეს ქალაქში —

ოქროთი შეიმოსება.

2 ბოშა. როგორ?

ფინკელშტეინ. ამ გოგოებმა იციან სიმღერა და ცეკვა —

რალაც სხვანაირი: ყვითელი ნაკვერჩხლებია პირდაპირ.

პენუტიე. მაგათ გარე არც ერთი ევროპის კაფე არ იარსებებდა.

ფინკელშტეინ. სასმელი. საქმელი. საცმელი.



ყველაფერი მზად.
ფული სახვეტაფი.

ჰ ბოშა. ჩვენი გოგონები მარჩიელობას ეწევიან.

პენუტიე. ეგეც ჩინებულია.

ფინკელშტეინ. კარგია ხანდახან ბედის გამოცდაც.

პენუტიე ეს გოგონები ხშირად მართალს იტყვიან.

ფინკელშტეინ. მე თვითონ გამომიცდია.

თუმცა ბედი დონეზე უნდა იცოდე.

მისი გახელება ჩემთვის არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო.

პენუტიე. ბედი მოშინაურებული ნადირია.

ფინკელშტეინ. აი ნამდვილი სიტყვა. მიყვარს გალული ქკუა

ბედი მართლა მოშინაურებული ნადირია.

თუ გაახელე—გაჩვენებს ბოაზიან კლანკებს.

მე მაგის თავი არა მაჭვს.

(შემოდის „უცნობი“. მის ხილვაზე ფინკელშტეინ „დაიღვება“. სურს

ჰუმორულ გუნებაზე გადავიდეს.)

უცნობი. ჰა! ჰერრ ფინკელშტეინ. მოსიე პენუტიე.

ფინკელშტეინ. თვალებს არ ვუჯერი. აი ძვირფასი შეხვედრა.

პენუტიე. მართლა შემთხვევაა ყველაფერი:

სად არ ვხვდებით ერთმანეთს?!

ის „ბედგატეხილიც“ ამ მიდამოებში რო შეგვხვდა!

უცნობი. რომელი?!

ფინკელშტეინ. მარჩიელმა ბედი რომ ვერ უპოვა!

უცნობი. ჰა! მახსოვს!

(გაფითრდება ოდნავ. შემოდის ზარიფა. მასთან სხვებიც.)

ზარიფა. ესენი ვინ არიან?

ფინკელშტეინ. ჰერრ ფინკელშტეინ.

პენუტიე. მოსიე პენუტიე.

ზარიფა. რა საქმე გაქვთ?

ფინკელშტეინ. არაფერი ისეთი.. პატარა კონცესსია.

ზარიფა. რააოო?!

უცნობი. უთუოდ ტყის.

პენუტიე. დიახ—ტყის კონცესსია.

უცნობი. ისტორია თქვენ ხელშია.

ფინკელშტეინ. არ არის მაინცდამაინც ჩვენი უმადური..

უცნობი. ისტორია თქვენი. მაგრამ „მიწა“ არ არის თქვენი..

ფინკელშტეინ. მიწა ჩვენ არც გვინდა.

პენუტიე. ჩვენ გვინდა მანქანა.

უცნობი. დიახ! თქვენ გინდათ:

ფოლადი. რკინა. კირი. ასფალტი.

თქვენ გინდათ მანქანა ყველგან.



ქართული
ბიბლიოთეკა

ფინკელშტეინ. ნამდვილი სიტყვაა.

მანქანა პირველი სიტყვაა ცივილიზაციის—**ბიბლიოთეკა**
და თუ არ ვცდები: უკანასკნელიც.

უცნობი. არა. თქვენ მეტი გინდათ:

აღამიანი მანქანა.

ტვინი მანქანა. ნება მანქანა.

ახალი რასსა ქოსა და ყვითელი:

ჰომუნკულეს!

ფინკელშტეინ. ისტორიის საქმეა. მე არ შეკითხება.

უცნობი. თქვენ ბედი არა გაქვთ რადგან არ იცით „მიწა“.

პენუტიე. ამას მგონი ჩვენი რუსსოც გვასწავლიდა.

ფინკელშტეინ. რომელსაც მეორე ჩვენმა ბრძენმა ფორთხვა უსურვა ოთხად.

ხა-ხა-ხა. რა ხალხია ეს ფილოსოფოსები..

უცნობი. პირველის „სანტიმენტი“ და მეორის გრება შორსაა მიწისაგან.

თქვენ რა იცით „მიწა“? თქვენს გეოლოგიაში არაა იგი.

ჰო! მიწა: არა სასპორტო—არა საგრილო—არა სასვენებელი.

მიწა სული. მიწა ინსტინქტი. მიწა მკერდები. მიწა ძუძუები.

მიწა ძირი. მიწა წყარო. მიწა სიპი. მიწა ხავსი.

აქ არის სუნთქვა. აქ არის საიდუმლო.

აქ არის მადლი. აქ არის ნაყოფი.

აქ არის ბედი. აქ არის „წერა“.

ფინკელშტეინ. ცივილიზაცია?!

პენუტიე. ქალაქი?!

უცნობი. როცა გლახმა პირველად მანქანა დაინახა—

„ეშმაკის მოგონილიაო“ და განზე გააფურთხა.

ამ პირველ გლახს დასცინიან ღღეს

უნივერსიტეტები და გაზეთები.

ფინკელშტეინ.—ალარაფერი მესმის.

პენუტიე. ძველი სანტიმენტალობაა.

უცნობი. თქვენ ჰქმნით—მაგრამ ერთი გავიწყდებათ:

რომ თვითონ ქმნილი ხართ.

გლახები. მართალია! მართალია!

უცნობი. პერი ფინკელშტეინ!

თქვენ მიწას სიქალწულე წაართვით.

აღბად ნამდვილი ქალწულიც გნებაეთ.

გლახი. მართალია! მართალია!

ბოშები. ჩვენი გოგოები ძალიან მოგწონთ..

უცნობი. ეგებ აი ეს გსურთ?! სახელად „ზარიფა“ ჰქვია.

ფინკელშტეინ. თუ ხსოვნა არ მალაატობს

მგონი არც თქვენ უნდაგძულდეთ ბოშა გოგონა

განსაკუთრებით თუ მარჩიელია!



უცნობი. ჰერრ ფინკელშტეინ! თქვენ ჰუმორი გაქვთ. ეს კარგია.
 ფინკელშტეინ. ჰუმორი ჩემი რასის პირველი თვისებაა.

უცნობი. თქვენ არც სიავე გაქვთ.

ფინკელშტეინ. აბა სიავეს რა უნდა ჩემთან!

უცნობი. სწორედ მაგ არის მიზეზი—

რომ სხვანაირად არ გადავსკერ თქვენი სიტყვა.

(შემოვარდება მოამბე. ჩოჩოლი).

მოამბე. ამას წინად წისქვილში ქალი უნახავთ.

ხმები. ვინ? ვინ?

მოამბე. ქალი დაქრილი.

(უცნობი შეირხევა)

ხმები. ვინ დასკრა?

მოამბე. არავინ იცის.

(უცნობს ემჩნევა მოუთმენლობა)

ხმები. როგორ მომხდარა?

მოამბე. ვილაც შევარდნილა ღამით წისქვილში.

ქალი დაუჭრია და მდინარეში უსვრია.

მეთევზეებს ამოუყვანიათ.

(უცნობი ველარ იკავებს თავს)

უცნობი. მერე? მერე?

ზარიფა. შენ რა?!

(ზარიფა ეტმასნება უცნობს)

ხმები. დახმარება იყო?

მოამბე. უშოვიათ მაღამო. ჭრილობა შეუხვევიათ.

(უცნობი— დაკოდილი კენტავრი)

უცნობი. მაშ არ მომკვდარა. ცოცხალია.

(ზარიფა განზე გავარდება როგორც ბრაზიანი ავაზა)

ზარიფა. შენ რა?! ვინ ქალი?!

ხმები. მკვლეელი? მკვლეელი?!

მოამბე. მკვლეელი სადღაც გადავარდნილა.

(უცნობი სრულიად გააფთრებულად)

უცნობი. ქალი სადღა არის?!

(ზარიფა განრისხებული).

ზარიფა. ეხლა ვიცი ყოველი.

მოამბე. ქალი მდეგრებს გაუტაცნიათ.

(უცნობი შუაზე გატეხილი)

უცნობი. რისხვა! რისხვა!

(ზარიფა გაშმაგებული)

ზარიფა. ახლა ვიხილე ყველაფერი.

ხმები. ვინ იყო? როგორი იყო?

მოამბე. მაღალი. შავი თმები. მომწვანო თვალები.



ქართული
საბავშვო

ფინკელშტეინ. ალბად მაჩიელი მორელლა.

პენუტიე. უთუოდ მორელლა.

დედა. მორელლა.

მამა. მორელლა.

ძმა. მორელლა.

ზარიფა. მორელლა.

(ზარიფა მორბილებულია. უეცრად აიშართება მალლობზე ანეფულ როგორც საშინელი მოჩვენება. გასძახებს.)

ანეფულ. მკვლელი უცნობი. აქ მყოფი.

(ამ სატყვეებზე გადმოიჭრება მორელლას ძმა და აშართული წალდით შეუტევს უცნობს. უცნობი ეხლა გაძლიერებულია რისხვით და გამოწვევით. მასში იფეთქებს ისევ ფატუმი. სდგას უძრავად: თითქო მოქნეული აცდებო!

ძმა. შენ! მკვლელი! მკვლელი!

უცნობი. შეჩერდი! ნაადრევია..

ძმა. შენ! მკვლელი!

ზარიფა. საშინელო! საშინელო!

დედა. შეილო! შეილო!

მამა. შეილო! შეილო!

(უცნობი ამოიღებს ამულეტს—მორელლას ნაჩუქარს და გადასცემს მორელლას დედას)

უცნობი. ჯერ ეს ნახეთ:

ნიშანი სიყვარულის, უკანასკნელის.

დედა. მორელლას ამულეტი.

მამა. სიყვარულის ამულეტი.

ძმა. რა მოხდა?!

ზარიფა. მორელლას ამულეტი.. სიყვარულის..

უცნობი. მე გამოვსტაცე მორელლა სისხლის მწოველებს..

მე მოვკალ კაცი. მე სისხლი დაევანთხიე.

ჩვენ მივატოვეთ ქალაქი.. ჩვენ დაგვედევნენ..

იყო ჩვენი გავარდნა კენტავრი სიყვარულის..

მორელლა ორსული.. მორელლა გულწასული..

მორელლა ვერ შემძლები ცხენის ჭენების..

ვინ დაუტოვებდა მორელლას

მახვილამართულ მღვერებს?!

(გაოცება და შიში. შენდევ ისევ უცნობი.)

მე ვიმეორებ:

ვინ დაუტოვებდა მორელლას

მახვილამართულ მღვერებს?!

(უეცრად ხმები იგრიალებენ)

ხმები. არავინ! არავინ! არავინ!



(აზეფულ ჰქრება. უცნობი მორელას ძმას მიმართავს) უცნობი
 უცნობი. შენ გვარში ჯერ კიდევ სდულს მიწის სისხლი. შენ გვარში ჯერ კიდევ არ დაცლილა ბედის სიყვარული..
 მე შენ გეკითხები მორელლას ძმას:
 ვინ დაუტოვებდა მორელლას
 მახვილამართულ მღევრებს?!

ძმა. არაეინ! არაეინ!

(ძმა დაღბობილია და რასის სისხლით აყვანილი)

დედა. არაეინ.

მამა. არაეინ.

ბოშები. არაეინ.

(უცნობი მიმართავს ცრემლებით გაგუდულ ზარიფას. ერთი უეცარი შეხება სხვანაირი და და ცრემლებად დაიქცევა.)

უცნობი. ზარიფა! შენ იცი ყველაფერი.

ზარიფა. მე ვიცი...

უცნობი. შენა ხარ ჩემი უკანასკნელი მსაჯული.

ზარიფა. შენ მართალი ხარ.. შენ სასტიკი ხარ..

უცნობი. ჩემი გრძნობა შენდამი?!

ზარიფა. ისიც მართალია.. ისიც სასტიკია..

უცნობი. ჩემი დაღვრემილობა?!

ზარიფა. მორელლას ხსოვნა.

უცნობი. ჩემი ცქერა შენს თვალებში?!

ზარიფა. მორელლას ხილვისათვის..

უცნობი. შენც მორელლა ხარ..

ზარიფა. მე ზარიფა ვარ..

უცნობი. მორელლაც..

ზარიფა. მე ზარიფა ვარ და თან მორელლაც..

უცნობი. წყევის მეშინია შენი..

ზარიფა. არაოდეს!

უცნობი. როგორ?!

ზარიფა. კიდევ უდრო მიყვარხარ.

უცნობი. ზარიფა! შენ?!

ზარიფა. მიყვარხარ კიდევ უფრო.

უცნობი. როგორც ცხენზე?!

ზარიფა. როცა ტანი ელოდა შენ მკლავებს—

უფსკრულის პირას აზიდული გადასავარდნით...

უცნობი. მორელლა?!

ზარიფა. მორელლას მე მოვიტაცებ..

დედა. მოვიტაცებთ..

მამა. მოვიტაცებთ.

ძმა. მოვიტაცებთ..



ყველა. მოვიტაცებთ.. მოვიტაცებთ.
 უცნობი. რისხვა! რისხვა!

ბედის კვილი! ბედის ყვინი!
 რისხვა ბედის ბუშებს!

(უეცრად ავარდება ვაკხიური ცეკვა. მუსიკა ბიზეს „კარმენის“ ნა-
 ტები. მხოლოდ უფრო მკვეთრი უფრო მაგარი და უფრო ველური.)

სურათი მეოთხე

კათაკრავათა დედოფალი

მოამბედნი:

მორელლა.

რაულ როკფელლერ.

კეთროვანნი.

ქუჩის მასხები.

(ბულვარი. მოსეირნე ჯგუფები. ღამე. ელექტრო ძლიერი. ჯგუფებში
 ირკვევა წყვილი: მორელლა და რაულ როკფელლერ. მორელლა ჩა-
 ცმულია ევროპიულად: უკანასკნელი მოდის მიხედვით. სახით გავს
 რუმინელ არისტოკრატ ქალს.)

როკფელლერ. შენი თვალი ხარბია.

მორელლა. როგორც ყოველი ქალის.

როკფელლერ. არ რჩება უნახველი არც ერთი ვაჟი.

მორელლა. ქალის ბუნება ასეთია. აქ ასე მასწავლეს.

როკფელლერ. შენ გავიწყდება ზდილობა.

მორელლა. შექმნილი თარისველთათვის.

როკფელლერ. შენ გავიწყდება ვალი.

მორელლა. ალბად მილლიარდერისაგან აღებული.

როკფელლერ. შენ გავიწყდება ჩემი სიყვარული.

მორელლა. ხსოვნაში ჯერ არ მქონია.

როკფელლერ. შენ ჩემი ხარ.

მორელლა. არაოდეს.

როკფელლერ. შენ იყავ ჩემი — ხორციით.

მორელლა. არც ერთი კუნთი ჩემი ტანის შენთვის არ აძრულა.

როკფელლერ. და მაინც ჩემი იყო იგი.

მორელლა. როგორც ნივთი. როგორც საგანი. როგორც მანქანა.

როკფელლერ. ქალი ნივთია — თუმცა ვნებიანი.

მორელლა. არაოდეს. არც ერთი წვეთით.



- როკფელდერ. ვაჟი იურეებს ქალის სხეულს.
 მორელლა. თუ პასუხად არის ქალის ვნება.
 (უახლოვდება მათ ცივი მხლებელი)
 მხლებელი. ავტომობილი მზად არის.
 როკფელდერ. იცადოს ბუღვარის ბოლოში.
 (მხლებელი გადის)
 მორელლა. ოოჰ!
 როკფელდერ. რას ნაღვლობ?!
 მორელლა. ყველაფერს..
 როკფელდერ. ალბად გადაკარგულ უცნობს..
 მორელლა. არ ახსენო იგი!
 როკფელდერ. სად გადაეარდა?
 მორელლა. არ ახსენო იგი!
 როკფელდერ. შენ ჩემი ხარ.
 მორელლა. არაოდეს.
 როკფელდერ. იქნები ჩემი.
 მორელლა. არაოდეს.
 როკფელდერ. შენ გავიწყდება ჩვენი ხვევნა.
 მორელლა. ჩემს ხვევნას არ ახსოვხარ შენ.
 როკფელდერი. შენ გაჩნდები ჩემი დალი: დალი ვაჟის.
 მორელლა. ლანდიც არ არის ჩემში ამ დალის.
 როკფელდერ. შენ ხომ ქალი ხარ?!
 მორელლა. თქვენში არ იციან: რა არის ქალი.
 როკფელდერ. ალბად შენ უფრო იცი.
 მორელლა. იქ—საიდანაც ჩვენ მოვედით—ეგვიპტეში:
 არის გადმოცემა: ღმერთქალი იყო ნეიფი.
 მისი ქანდაკების ქვეშ ეწერა:
 „შე ვარ ის რაც არის და რაც იყო და რაც იქნება
 და არც ერთს მოკვდავს და არც ერთს ღმერთს
 არ უხდია ჩემი სახურავი...“
 როკფელდერ. არ მესმის..
 მორელლა. ნეიფი ქალი იყო ავხორცი..
 როკფელდერ. არ მესმის..
 მორელლა. და მაინც დარჩა: ხელუხლები.
 როკფელდერ. არ მესმის.
 მორელლა. ვერც გაიგებ..
 როკფელდერ. ბოდვაა მეოცნების.
 მორელლა. შენი ქვეყანა ამას ვერ გაიგებს:
 იქ მოკვდა ბოდვა და დაჰკლეს ოცნება..
 როკფელდერ. და მაინც: შენ ჩემი იყავი.. ხორციით.. ვნებით..
 მორელლა. არაოდეს.. არაოდეს..



მე მიყიდეს ოქროთი.. მე მიყიდეს ფარჩებით..
 მე წამართვეს ქალწულობა.. მე წამართვეს ნათელი შენი..
 მე ვეკუთნოდი ერთს. ვეკუთვნოდი მეორეს.. მე ვეკუთვნოდი მესამეს..
 ვეკუთვნოდი შენ..

მაგრამ ერთი წვეთით ჩემი ვნება არ ყოფილა
 არც პირველთან არც მეორესთან არც მესამესთან არც შენთან.

მე ვიყავი მხოლოდ მოწმე:

თქვენი ხვნეშის თქვენი ლორწის თქვენი გალენჩების.

და ერთი წვეთიც კი ჩემი მართალი ქალობისა

არ დაქცეულა თქვენ ვაჟურ ღმუილთან.

მე ქალი ვარ მაინც ხელუხლები.

მე ქალწული ვარ მაინც.

როკფელლერ. უცნობი რომელია ვაჟთა შორის?!

მორელლა. ნუ ახსენებ მის სახელს!

ის კაცზე მეტი იყო. ის სხვა იყო.

მან მიმბილა მე პირველად:

თუ რა არის ვნება ქალობის.

თუ რა არის რხევა ნაყოფის.

როკფელლერ. ნაყოფის—რომელიც მოკვდა.

მოდლერა. შენ მოჰკალ იგი. შენ წაბილწე იგი.

როკფელლერ. შენ კიდევ გახსოვს ის კაცი?!

მორელლა. ჩემი სიცოცხლე მისი სახელია.

როკფელლერ. მაშ იცოდე: იგი მოკვდა.

მორელლა. ტყუილია! ტყუილია!

როკფელლერ. იგი მოჰკლეს უაჩაღებმა.

მორელლა. ტყუილია! ტყუილია!

როკფელლერ. მართალია როგორც თვითონ სიკვდილი.

მორელლა. ტყუილია. ტყუილია! ტყუილია!

(მორელლა ოდნავ ჩაიკეცება. როკფელლერ ხელში დაიჭერს. ამაგრებს. ამ დროს ბულვარში ხმაური ავარდება. ჰყვირიან: „კეთროვანნი—კეთროვანნი“. თითქო სტიქია მოვარდა. გარბის: ქალი კაცი დიდი პატარა. გაისმის ტკაცუნის სატკაცუნელთა. ბულვარი თითქმის ცალიერდება. როკფელლერ ეხვეწება მორელლას—წასვლას. მორელლა არ თანხმდება.)

როკფელლერ. წავიდეთ. წავიდეთ.

მორელლა. ვინ არიან მომავალნი?

როკფელლერ. კეთროვანნი.. წავიდეთ.. სახიფათოა.

მორელლა. მე შენთან არ წამოვალ..

როკფელლერ. შენ ჩემთან წამოხვალ.

მორელლა. მე შენთან ვერ მოვალ.

როკფელლერ. ძალით წაგიყვან.



მორელლა. თუ მომკლავ მხოლოდ.

როკფელდერ. ჯერ კიდევ ლამაზი ტანი გაქვს.

მორელლა. არ ყოფილა შენი.. არც იქნება შენი..

როკფელდერ. ხორცი ჩემი იყო. სულიც იქნება ჩემი..

მორელლა. არაოდეს! შორს! შორს! შორს!

როკფელდერ. ჰიპნოს ბევრი შეუძლია...

მორელლა. არ მოხდება არასდროს..

როკფელდერ. მოხდება.

მორელლა. ჯალათო! ჯალათო! ჯალათო!

(კეთროვანნი თანდათან ახლოვდებიან. როკფელდერ მიმართავს ძალას წასაყვანად. მორელლა შეიქნება აფთარი. იგლეჯს ტანსაცმელს და ახლის სახეში მოძალადეს.)

როკფელდერ. ჰა! არ წამოხვალ!?

მორელლა. ჰა შენი ბეჭდები. ჰა შენი ქოშები.

ჰა შენი სარტყელი. ჰა შენი მოკაზმულობა.

შორს... შორს... შორს... ჩემგან....

(აუვარდება ისტერიული ტირილი. კეთროვანნი გარს ეხვევიან. როკფელდერ გარბის.)

1. ვლპებით.. ვიხრწნებით..

2 კეთროვანი. გვიშველეთ.. გვიხსენით..

3 კეთროვანი. გეშინოდეთ ყოველს..

4 კეთროვანი. ჩვენი დალი უცდის ქვეყანას..

5 კეთროვანი. ჩვენი ბალდამი დახსნის ქვეყანას..

6 კეთროვანი. თქვენც ასე დალპებით..

7 კეთროვანი. თქვენც ასე გაიხრწნებით...

(ბულვარის რიკულიდან ყრიან საჭმელებს და გარბიან შიშით. კეთროვანნი ხარბად ეხვევიან და სჭამენ. თვალებში: სიგიჟე და რისხვა. სიტყვებში—წყევლა. შეჩერდებიან მორელლას წინ.)

1 კეთროვანი. შენ აქ რა გინდა?

მორელლა. მე მაწამეს..

2. კეთროვანი შენ რად დარჩი აქ?

მორელლა. მე სიქალწულე წამართვეს...

3. კეთროვანი. შენ რად არ გაიქცე?

მორელლა. მე შემიღახეს სიყვარული..

4. კეთროვანი. შენ არ გეშინია ჩვენი?!

მორელლა. ჩემი ქალობა წარყვნეს.

5 კეთროვანი. შენ სენი გადაგედება.

მორელლა. მე მომიკლეს ნაყოფი.

6. კეთროვანი. ჩვენი სენი დაგდაღმეს.

მორელლა. დავიდალო.. უმჯობესია...

7. კეთროვანი. მოგვცილდი.. დაიღუპები..



მორელლა. დავიღუპო თქვენთან.

(კეთროვანნი გალენჩებით უცქერენ. საშინელი სიტუაცია. გამოდის ახალგაზდა ვაჟი: ჯერ კიდევ მაგარი. შიღის შორელლასთან ახლო.)

ახალგაზდა. გემუდარები ლამაზო: მოგვცილდი.

მორელლა. მე კიდევ ლამაზი ვარ?!

ახალგაზდა. ულამაზესი..

მორელლა. შენ რა მოგივიდა?

ახალგაზდა. ხედავ ამ დაღებს?!

მორელლა. საიდან?

ახალგაზდა. სიყვარულით..

მორელლა. როგორ?

ახალგაზდა. მიყვარდა უზომოდ.

(მორელლა შესდგება გაოცებული. შემდეგ უცარი მოსხლეტი: გადაეხვევა ვაჟს.)

მორელლა. მე თქვენთანა ვარ.

მე ვიზიარებ თქვენ ბედს..

მე მიყვარხართ თქვენ..

შემიყვარეთ მე.

ყველა. იყავ ჩვენი სიყვარული. იყავ ჩვენი სიყვარული.

(ვიიონერული თვალები და ექსტატიური ხელები).

სურათი მესუთე

დადაისტების მაიდანე

მოქმედნი:

დადაისტები:

ფინკელშტეინ.

გელფერიხ.

პენუტიე.

მორელლა.

კეთროვანნი.

მათხოვარნი.

პროსტიტუტები.

მაიდანე ქალაქის შუაგულში. ბალაგანი. პულჩინელლო. მარჩიელი თუთიყუშით. დადაისტები: სახეგამურულნი შარადული ხაზებით. ტანსაცმელი: მოხვეული აკრელებული გადმობრუნებული. ღამე. ელექტროს სინათლე. ბალაგანის წინ ხალხის ხმაური. ზოგი ზის მაგიდასთან. ზოგი ფეხზე. პროსტიტუტები. მაკლერები. კომპივიოიორები.

სუტენიორები. ესტრადაზე ჰკიდია მასკები: კანტის აინშტაინის — გოეტჰესი—ნიცშესი—დოსტოევსკის. დროგამოშვებით დადაესტები მასკებს ეფარებიან და ისე წარმოსთქვამენ)

დადაისტი. Incipit Bithuria.

დადაისტი. დღეს ყველამ იცის:

აუქციონია მიწის:

თუმცა ბებერია—

ნასუქია კარგი.

პლანეტებს ჩამორჩა—

გახდა მეტი ბარგი.

ღმერთმა ბევრჯერ მოხნა.

დაუმეივდა ცოხნა.

გაებერა მუცელი—

ალარ შევლის ოყნა.

დადაისტები. "ნი-ნი-ნი. ხა-ხა-ხა. ხო-ხო-ხო.

1 მაგიდა. კარგად გარითმულია..

2 დადაისტი. ლექსი გაგზავნილია საკონკურსოდ..

1 მაგიდა. ნობელის პრემია უზრუნველყოფილია..

4 დადაისტი. ავტორს ირჩევენ „საფრანგეთის აკადემიაში“..

ფინკელშტეინ. არ მესმის არაფერი.

5 დადაისტი. მოთმინება: ჰერრ ფინკელშტეინ.

ლექსის ბოლო თქვენთვის ნაცნობია.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

3 მაგიდა. სისულელეა.

6 დადაისტი. მიწას თუ არ იყიდით—ვიძლევით იჯარით.

დატვირთეთ ვირივით. მოკახმეთ ნიჟარით.

პენუტიე. ურითმოდ თურმე ვერც „დადა“ სძლებს.

6 დადაისტი. ლამაზი ქალწულია. ცოტა მობერებული.

დღეს კოკოტის როლშია. მოსიე პენუტიე...

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

გოეტჰე. ხოლო წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.

7 დადაისტი. ბრძენიც ხომ ამბობს:

ყოველი ფენომენია.

საწყალი მიწა


ამდენის მომთმენია.

თუმცა მარტივია—

რომ რელატივია.

მიბორგავს საწყალი—

ირყვება შიზანი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოუხმობს ნაწყენი:
რომ გაჩნდეს მისანი...
მაგრამ არ ეშველა—
ისტორიას აესება.
გოეტჭეც ამოწმებს:
არის მხოლოდ მსგავსება...

პენუტიე. აქ დადა მეგონა... თურმე ლირიკაც ყოფილა...

მარჩიელი. ვის უნდა ბედი.. ვყიდი ბედს.. ფასი ორი ფრანკი.
ჩემი თუთიყუში თეარია და ფრანტი.
ოთხასი წელი ცოცხლობს უტყუარი მეტრიკით.
წინასწარმეტყველია. თუმც არ იცის ეტიკა.

პენუტიე. მე მინდა — მირჩიოს.

(თუთიყუში იღებს ნისკარტით ბილეთს. მარჩიელი კითხულობს)

მარჩიელი. მოკელის ახლო ხანში:

კბილების დაცვენა. თმების გაცვენა.
კუჭის ტკივილი. ბუასილი. აპენდიციტი.
რევმატიზმი. იმპოტენცია.

ფინკელშტეინ. ავყია ყოფილა შენი თუთიყუში.

1 დადაისტი. პერრ ფინკელშტეინ! შენ რისი გეშინია.

პერტის გამოგონება—მხოლოდ შენ გემონება!
შტეინახს—ვხედავ —კარგად უმოქმედნია.

ფინკელშტეინ. პოეზია მესმის ტკბილი ნოსასმენი..

2 დადაისტი. მართალი ბძანებაა.

De la musique avant toute chose.

სიცოცხლე არის ტკბილხმოვანება.

ეს თუთიყუში მხსნელია პოეტების.

მაგ რომ არ ცოცხლობდეს

რა ეშველებოდათ ლირიკოსებს?!

მაგან გადაარჩინა ხუთასი პოეტი

შექსპირიდან ვერლენამდე,

Les sanglots longs

Des violons

De l'autonne

Blessent mon coeur

D'une langueur

Monotone.

აბა მომისმინეთ:

(თუთიყუში იმეორებს)

პენუტიე. აი ნამდვილი ლექსი.

ფინკელშტეინ. სმენამათრობელი.

3. დადაისტი. აკი გითხარით: დღეიდან ლექსები თუთიყუშების საქმეა..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პენუტიე. ხმოვანებას შინაარსიც უნდა.

4 დადაისტი. სწორი სიტყვაა.. ნამდვილი თქმაა..

ობოლი მთვარე.. ქალის სინაზე..
ლირიკა უთხრობს მხოლოდ იმაზე:
გძელი თმები და გძელი ტუნიკა:
მელანქოლია ჩუკუნია..

ფინკელშტეინ. ვერსად გაექცევი ამ მელანქოლიას.

ლოლოტა. ონკელ ფინკელ დიდი დონეუანია.

ბ დადაისტი. ჩვენი მანიფესტიც ამ მელანქოლიის ბუშია.

ფინკელშტეინ. მელანქოლიის ბუში?! არ მესმის.

ისევ პირველი სჯობს:
„ობოლი მთვარე. ქალის სინაზე.“
ჰჰმ.. ტკბილი რანაა მართლაც.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ მუსუსია..

ფინკელშტეინ. ამდენი რეკლამა..

ბ დადაისტი. „ობოლი მთვარე. ქალის სინაზე“.

თუმცა წყვილია.
მაგრამ დონეუანისთვის—
ონკელ ფინკელ ყველაფერი ტყვილია:
თუ იქვე არ იქნა კიდევ რაღაცა.
და რაც მოხდება —
იანგარიშებს ალბად მატრაცია..

მაგიდები. ხა-ხა-ხა.

ლოლოტა. ონკელ ფინკელ დონეუანი..

ბლანშეტა. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. ასეოს კუბლეტს „კრისტალ პალასშიც“ ვერ იტყვიან.

მაგიდები. დიდებულია. ხა-ხა-ხა..

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

გოეტჰე. მაგრამ წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.

7 დადაისტი. ფილოსოფოსებს უყვართ გამეორება —

თუ ამას ხელს უწყობს გარემოება.
ბრძენი მართალს ამბობს:
რომ ყველაფერი ფენომენია.
მე კი ვიტყვდი:
დედამიწა ბევრის მომთმენია.
მიბორგავს საწყალი —
ირყვია მიზანი.
მოუხმობს ნაწყენი:
რომ ნახოს მისანი.
თუმცა მარტივია —



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რომ რელატივია.
მაგრამ არ ეშველა—
ისტორიას ავსება.
გოეტპეც ამოწმებს:
არის მხოლოდ მსგავსება.

გელფერიხ. თქვენს მერე—მართლაც ბევრის მომთმენია.
ფილოსოფია ბითურია.

1 დადაისტი. აგრე. აგრე. ნაყოფი ჩქარია..
ფილოსოფია ბითურია..
დედანთან სწორია..

პენუტიე. ეგ რაღა არის: რაღაც „ბითურია“?

2 დადაისტი. მოსიე პენუტი. ნავალი კაცი ხართ.
გინახავთ დილით სახლში მიმავალი—
ბაქქარაში წაგებულნი—ასტრალებს რომ ზონავს?!

1 მაგიდა. მაგას თუ არ უნახავს—სხვას ვის უნახავს.
მაგიდები. ხა-ხა-ხა..

ფინკელშტეინ. ვერც წე გავიგე ეს „ბითურია“.

3 დადაისტი. ჰერრ ფინკელშტეინ. მარჯვე კაცი ხარ..
გინახავთ დილით სახლში მიმავალი
მეძაფე ქალი დაღლილი ღამით.
გახუნებული და ფირწასული.
ძლივს რომ მიაბიჯებს?!

2 მაგიდა. მაგას თუ არ უნახავს—სხვას ვის უნახავს!
მაგიდები. ხა-ხა-ხა.

4 დადაისტი. სხვა არა არის რა ფილოსოფია ბითურია..

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. დღეს ვოდევილზე ვაპირებდი წასვლას..
კინალამ არ შეეცდი!

5 დადაისტი. ჰერრ ფინკელშტეინ!
თქვენი წინაგრძნობა განთქმულია.
აქ ქვეყნის ვოდევილია..

გელფერიხ. კმარა! ვის დასცინით..

6 დადაისტი. ჰერრ გელფერიხ! უნდა გაცნობოთ
არასასიამოვნო ამბავი (ამბობენ კოსმიურიად):
სიცილი გაჰქრა. ახლა ირონიაა..

7 დადაისტი. დაეხსენ.. გახელდეს..

ნიცშე. დიონისოს გახელება იხსნის ქვეყანას..

1 ასე იტყოდა ზარატუსტრა.

1 დადაისტი. ხომ მოისმინეთ!

და მართალს იტყვის გახელეზაო..



ქართული
საბავშვო

ჰიპოხონდრია სიფილიტიკა: აი პაროლი.

ნიცუმე აღმოაჩინა ბნელი დიონისო.

თვითონაც გახელდა. სწავლას მაგალითიც უნდა

აქ ახსნა არის. თუ გინდათ: ხსნაც არის.

გელფერიხ. სისულელეა გამოთაყვანებულის.

მაგიდები. ეს მართლაც როშეაა

2 დადაისტი. ამ როშეაშია მთელი ლირიკა.

მოსიე პენუტიე! ამას თქვენ გაიგებთ:

რაზე არ სტიროდა ლატინთა რასსა:

ლირიკით მოსთქვამდა რასა და რასა.

უცხალი რომ იყოს დღეს ბრუნეტიერი—

მართალი იქნებოდა კაპუცინი ბედნიერი—

რომ აღმოჩნდა: რომ მთელი ლირიკა და სტილისტიკა

ჰიპოხონდრიაა სიფილიტიკა.

მაგიდები. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. ვენერიულ კაბინეტში ხომ არ მოვხვდი.

ლოლოტა. საკვირველი არაა: ვენერა მეტად გიყვარს.

ბლანშეტა. (ხითხითებს)

გელფერიხ. საგიჟეთია ნამდვილი.

8 დადაისტი. სწორი გამოთქმაა.

შენობას აკლია მხოლოდ სიყვითლე.

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

4 დადაისტი. აი ხომ უსმენთ „კენისებურგელ ჩინელს“—

სიტყვა ნიცუმესია—

რაც უნდა რა მოხდეს: მოვლენა იქნება მხოლოდ.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

5 დადაისტი. ეს ურიაც სიმართლეს ამბობს.

რასაც ჩაიდენ: თურმე იქნება მხოლოდ თუობა.

გოეტშე. ყოველი წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.

6 დადაისტი. ოლიმპიელ ბუღას დაეჯერება.

რაც გსურს ის ჰქენი: მსგავსება იქნება მხოლოდ.

პენუტიე. მართალია. აღბად აქ იწუება ორმაგი ბუხჰალტერია.

7 დადაისტი. ბუხჰალტერია აწი იქნება მრავალგანზომილების.

ფინკელშტეინ. ჭკუასთან ახლოა. განსაკუთრებით ჩემი თანამგებამულე.

გელფერიხ. საგიჟეთია პირდაპირ.

მაგიდები. ხა-ხა-ხა.

1 დადაისტი. ჩვენ მხოლოდ ფსიხიატრებს ველით.

2 დადაისტი. სიგიჟე მოერია ლოგოსს. ეს ფაქტია.

3 დაისტი. სიგიჟე საუცხოვოა.

პენუტიე. თქვენთვის დამილოცნია.

ფინკელშტეინ. სიგიჟესი რა მოგახსენოთ. მე ჭკუას ვარჩევდი.



4 დადაისტი. ონკელ ფინკელ მართალია. ისევ ჰკუა სჯობს
ახალი რადიო ეიფელის კოშკიდან. ზინკონსუნი
ღმერთი რომელიც ეხლახან აღმოჩნდა ინდოეთში
უკანასკნელ აგონიას განიცდის:
დიდძალი სასაქმებელი მივლია
და ველარ უძლებს..

მაგიდები. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. ახია მის თავზე. ყოფილიყო თავისთვის!
ახირებული ჯიშის არიან ეს ღმერთები
არც თვითონ ისვენებენ და არც ჩვენ გვასვენებენ.

ლოლოტა. ვაშა ონკელ ფინკელ! ხა-ხა-ხა..

ბლანშეტა. ღმერთებს ვადა გაუვიდათ. ხა-ხა-ხა.

გელფერიხ. მე ვგონებ მაგათ სიგიჟეს სტუმრებიც იზიარებენ.

ზოგა მაგიდა. მართლაც საგიჟეთია.

5 დადაისტი. ნამდვილია. ახალი პაროლი:

ეპილეპსია აპოლიტიკა.

პირველად პატმოსის კუნძულზე გაჩნდა.

აბა ჰკითხეთ დოსტოევსკის.

მაგ პატმოსის ორკესტრის მავსტროა.

დოსტოევსკი. მადონა და სოდომი.

ღმერთი და დიაბოლი.

ახალი მიწა. ახალი ზეცა.

ქვეყნის აღსასრული.

ქიხვინი აპოკალიპსის ცხენის.

6 დადაისტი. უკანასკნელი ჩვენი ანალიტიკა:

ეპილეპსია აპოკალიპტიკა.

7 დადაისტი. დღეს ყველამ იცის:

აუქციონია მიწის.

თუმცა ბებერია—

ნასუქია კარგი.

პლანეტებს ჩამორჩა—

გახდა მეტი ბარგი.

ღმერთმა ბევრჯერ მოხნა.

დაუმყავდა ცოხნა.

მშუცელი გაებერა:

ალარ შველის ოყნა.

დადაისტები. ხა-ხა-ხა. ხი-ხი-ხი. ხო-ხო-ხო..

1 მაგიდა. ვინ არის მყიდველი?

ლოლოტა. ონკელ ფინკელ.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ.

2 მაგიდა. ლექსის პოლო მაგასაც აწუხებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უველა: ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. მიწის მოვლაში იელოვამ დალია სული.
დასკვნა ასეთია: ცდა უნდა გამოვიყენოთ.
ყალბ საქონელს მე არ ვყიდულობ.

მაგიდები. ვაშა ფინკელ! ვაშა ფინკელ!
ხა-ხა-ხა-ხა..

მარჩიელი. მაშ ბედი იყიდეთ.
ჩემი თუთიყუში იელოვაზე უფრო ჭკვიანია.

გელფერიხ. მირჩიე თუთიყუშო.
(თუთიყუში იღებს ბილეთს. მარჩიელი კითხულობს)

მარჩიელი. ბედი არა გაქვს. არც აქეთ ხარ არც იქით.
სულ მალე ტყირპი გაგისივდება.

ნაღველიც მაგრად ჩაგექცევა.
სანამ იცოცხლებ — სამდურავს მოგაყრიან
ყოველ დილით და ყოველ საღამოთი:

კუჭი. ნაწლავი. თავი. ცხვირი. ხელები. ფეხები.
და სხვა დეტალები..

(გელფერიხ წვდება ფრინველს და თავს წააწყვეტს)

გელფერიხ. მოკვდი ამ სიტყვებთან.
(მარჩიელს აუფარდება ტირილი. პირველი ხაზი ვითომ ირონიისაა:
მაგრამ ყოველ სიტყვის შემდეგ უფრო და უფრო სერიოზი ხდება
გრძნობა.)

მარჩიელი. თქვენ არ ხართ ღირსი
ამ ფრინველის ერთი წვეთის სისხლის.
ჩემო ერთგულო. ჩემო მეგობარო.
ჩემო ცრემლო. ჩემო სიხალისევე.
ჩემო მისანო. ჩემო მესაიდუმლე.
შენ იყავ ჩემი მარტოობის თანაზიარი.
შენ იყავ ჩემი ძმა. ჩემი დაჲ.
კაცთა შორის მოკვდა ღმერთი.
მას ფრინველთან თუ იბილაგ.
მასხრებო. მტარვალებო. ჯალათებო.
არ შემიძლია სიცოცხლე სიცალიერეში.
სიკვდილშიაც შენთან: ჩემო ფრინველო..
(უეცრად თავს იკლავს. ჩამოწვება წამით სიჩუმე. ზოგს მასხრობა
ჰგონია.)

1 მაგიდა. მართლა ხომ არ მოუკლავს თავი?!

2 მაგიდა. თავი მოიკლა მართლა.

1 დადაისტი. „დივინა კომედია“. ტჰემა ახალი.
ვიწვევთ მეორე დანტეს.

(ამ დროს შორიდან მოისმის ტკაცუნის კეთროვანთა ხმაური თანდა-
თან მატულობს.)



- 2 დადაისტი. რა ამბავია?
3 დადაისტი. კაბარეს ხალხი აწყდება.
4 დადაისტი. ტევა არ იქნება.
5 დადაისტი. აი გამარჯვება.
6 დადაისტი. „დივინა კომედია“.
7 დადაისტი. სანახაობისთვის მკვდარი მარჩიელიცაა..

ფინკელშტეინ. წინადადებას ვიძლევი:
ანტრეპრენიორი გავხდე თქვენი.
იმპრესსარიო დადაისტების—
ჰერრ არონ ფინკელშტეინ.
ხუმრობის გარეშე.
მოელ ევროპას შემოვიართ.
თეატრებში და მუსიკოლლებში
ხალხის ტევა არ იქნება.

მაგიდები. დადაისტების იმპრესსარიო—
ჰერრ არონ ფინკელშტეინ. ხა ხა-ხა-ხა...
ვაშა ფინკელ! ვაშა ონკელ ფინკელ!

ლოლოტა. მე ხომ არ დამტოვებ?!

ბლანშეტა. მეც ხომ თან წამიყვან?!

ფინკელშტეინ. უთქვენოთ რა მოგზაურობა იქნება!
თან წაგიყვანთ გვრიტებო.

(შემოცვივდებიან კეთროვანნი. წინ: მორელა. გულლია. მკერდზე
წითელი დაღი. ხივილი. კივილი. მრავალი გარბის შიშით აყვანილი.
ზოგი რჩება: მაგრამ კუთხეში იმალება. მორელა ხედავს მოკლულ
თუთიყუშს და მკვდარ მარჩიელს. იკივლებს.)

მორელა. მასხრებო! ჯალათებო! სისხლის მსმელებო!

- 1 კეთროვანი. ვინ მოჰკლა მარჩიელი საწყალი?!
2 კეთროვანი. ვინ მოჰკლა თუთიყუში საწყალი?!
3 კეთროვანი. ვინ შეღება მიწის გული სისხლით?!
1 დადაისტი. თუთიყუშს მოსწყინდა სხვისი სიტყვების გამეორება.
4 კეთროვანი. ეს მარჩიელი ჩვენთან დადიოდა.
2 დადაისტი. სული განუტევა ფრინველთან.
3 დადაისტი. ახალი ფრანსის ასიზელია.
4 დადაისტი. ფრინველთან ცოცხლობდა.
5 დადაისტი. ფრინველთან არჩია სიკვდილი.
5 კეთროვანი. ვინ არის მკვლელი?
6 კეთროვანი. ვინ არის დამნაშავე?
6 დადაისტი. თვითონ მოიკლა თავი.
7 დადაისტი. პოეტებს მოუკლეს მათი გადამრჩენელი—



ქართული
ლიტერატურა

პანაშვიდია დღეს თუთიყუშზე.
პოეტების მეთაურობით.

მორელლა. მასხრებო! მასხრებო!

1 დადაისტი. დღეს „დადას“ გამარჯვებაა.

მორელლა. ჯალათებო! ჯალათებო!

2 დადაისტი. სპექტაკლი ჩინებულად გძელდება.

მორელლა. თავს ნუ იგდებთ.

3 დადაისტი. მოლოდინს გადააჭარბა.

დადაისტები. ხა-ხა-ხა-ხა.

მორელლა. მასხრებო! მასხრებო!

თქვენ მშიშრები ხართ.

თქვენ გეშინიათ სინამდვილის ხილვის.

თქვენ გეშინიათ კედლის გარღვევის.

თქვენ გეშინიათ სიგიჟის.

თქვენ მხოლოდ თავს იგიჟებთ.

თქვენ მხოლოდ თავს იგდებთ.

4 დადაისტი. ჩვენი პროგრამის ილუსტრაციაა ნამდვილი.

5 დადაისტი. შემთხვევაც რომ ხელს გვიწყობს!

1 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის სიცოცხლე?!

2 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის სიყვარული?!

3 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ტკივილი?!

4 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის მარტოობა?!

5 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ჭრილობა?!

6 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის გამეტება?!

7 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ცრემლები?!

6 დადაისტი. დოსტოევსკის მოწაფეებია.

7 დადაისტი. დოსტოევსკის სიტყვებია:

1 დადაისტი. „სიყვარულს მაშინ დავიჯერებ“..

2 დადაისტი. გაგძლდება შემდეგ.

მორელლა. არა. არა. გაგძლდება აქვე..

3 დადაისტი. „თუ კეთროვანთან დაწვებიო“.

4 დადაისტი. ხა-ხა-ხა-ხა.

მორელლა. იცინეთ. იგრიხეთ!

სიყვარულმა არ იცის შიში.

სიყვარულმა არ იცის საკუთარი ქერქი.

სიყვარული გამოსავალია ქვეყნის.

შეიყვარე კეთროვანი—მხოლოდ მაშინ გაიგებ სიყვარულს.

შეიყვარე ისე რომ უკან არ მოიხედო.

შეიყვარე ისე რომ ერთი წუთითაც არ დაეჭვდე.

მაშინ იხილავ სინამდვილეს.

ქვეყანა კეთროვანია.



კეთროვანს სიყვარული იხსნის.

ეროვნული

ფინკელშტეინ. სიტყვა გძელია. მხოლოდ ბოდვაა მეტი. **გინგულირთქა**
ნ დადაისტი. ბოდვა რომ იყოს კარგი იქნება.

6 დადაისტი. აქ ბოდვაზე მეტია. ეს არის მხოლოდ უბედურობა.

7 დადაისტი. თუმცა სანახაობისთვის ეს უკეთესია..

(ხმაური მატულობს. მოდიან ტალღები: მათხოვრების—უფეხოების—
უსინათლოების—მახინჯების—მშვივრების.)

1 კეთროვანი. თქვენ გეშინიანთ ჩვენი.

2 კეთროვანი. ჩვენი ხვედრი თქვენიც არის.

3 კეთროვანი. ჩვენი ლარები თქვენც დაგდაღვენ.

4 კეთროვანი. ჩვენი იარები თქვენც დაგალპობთ.

5 კეთროვანი. ჩვენი ბალღები თქვენც დაგშლით.

6 კეთროვანი. თქვენ ჩვენსავით აყროლდებით.

7 კეთროვანი. თქვენ ჩვენსავით აშმორდებით.

ფინკელშტეინ. დავიჯერო მართლა რომ ქვეყანა ილუპება?!

1 დადაისტი. ქვეყანა კაი ხანია უცდის ყვითელ შენობას.

2 დადაისტი. შენობისათვის არქიტექტურულ პლანებს ჩვენ ვადგენთ.

3 დადაისტი. არქიტექტორებსაც ჩვენ ვირჩევთ.

მორელლა. თქვენი არსება შიშია და სილაჩრე.

მიწისძვრის დროს პირველი თქვენი ფიქრი რა არის:

მე ხომ გადავრჩიო: აი ჩუმი პასუხი.

მე ვიცი თქვენი ზიზლი ჩვენდამი.

ეს ზიზლია თქვენი ხვედრის—

რომელსაც თქვენ ემაღებით: დღე ღამე ყოველ წამს.

თქვენ სმენას იყრუებთ რომ არ ისმინოთ.

კეთროვანია მთელი ქვეყანა.

რათ არ ისმენთ თუ როგორ ღრღნის ჭია მიმალული:

ქვას—ხეს—ცხოველს—კაცს—ქალს—ქვეყანას?!

გეშინიათ ფარდის ახდის.

ჩამოხიეთ ფარდა.

იხილეთ სინამდვილე.

ფინკელშტეინ. ჩვენ აქამდე ამას გვასწავლიდენ: ადამიანი სიკვდილის შვილიაო.

4 დადაისტი. „დადა“ ამზადებს მანიფესტს სიკვდილისას.

1 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ სიკვდილი?!

2 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ მომაკვდავი დედა?!

3 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ დედა მომაკვდავთან?!

4 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ დედის ძუძუ როცა მას მომაკვდავმა
ბავშმა უკბინა?!

5 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ თვალდახუჭული სამუდამოდ ბავშვი?!

6 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ უკანასკნელი გამოხედვა?!

7 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ უკანასკნელი ამბორი?!



ქართული
ბიბლიოთეკა

ფინკელშტეინი. აქ ჩვენი იერემიადან ბევრი რამ უნდა იყოს.

დადაისტი. „დადა“ ამზადებს ახალს იერემიადას.

(ხალხი თანდათან მატულობს).

მორელლა. თქვენი არსება შიშია.

თქვენ ვერ დარჩებით თავისთავთან მარტო ერთს წამსაც კი.

თქვენ გინახავთ მუნნიანი ძალლი მზეს რომ ეფიცება?!

ქვეყანა ეს ძალლია მუნნიანი.

შეიყვარეთ იგი შიშის გარე —

მაშინ იხილავთ სიმართლეს.

მაგრამ ვიმეორებ:

თქვენი არსება შიშია.

მუნნიან ძალლს რომ ხედებით —

მეორე მხარეზე გადადიხართ.

(ამ დროს ერთი კეთროვანი ავარდება ესტრადაზე. დადაისტები დაფრთხებიან.)

კეთროვანი. აი თქვენი არსი: შიში. შიში.

(ხალხი კიდევ ემატება)

ხმები გარეთ. დაიქცეს ქვეყანა!

დაიშხვრეს ქვეყანა!

არ დარჩეს არაფერი!

კეთროვანი. უკანასკნელი გამეტება!

უკანასკნელი მსხვერპლი!

უკანასკნელი გარდაქმნა!

(ყვირიან გარეთ: „ამბოხება“. როტა შემოერთყმის ბალაგანს. შემოვარდებიან ოფიცრები.)

ოფიცერი. ჩააქრეთ ამბოხება!

ხმები. თქვენ თვითონ გაგაქრობთ!

ოფიცრები. სროლა იქნება. ვუბრძანებთ გვესროლონ!

(ამ სიტყვებზე დადაისტები და მათი მსმენელები გარბიან. პირველი გარბის ფინკელშტეინი. რჩებიან მხოლოდ უბედურნი: კეთროვანი — მახინჯები — უფეხონი — უსინათლონი — მშიერნი — მათხოვარნი.)

ფინკელშტეინი. როცა სროლაა — გაქცევა ჯობს.

კეთროვანი. უბრძანეთ გვესროლონ. გვესროლონ.

მორელლა. უბრძანეთ გვესროლონ!

(კეთროვანი იხსნიან გულს. მოსჩანს საშინელი დაღები. სალდათები იკივლებენ შიშნარევ საცოდაობით. დაპყრიან თოფებს. გარბიან.)

კეთროვანი. გვესროლეთ! გვესროლეთ!

მორელლა. სიყვარული:

უკანასკნელი სიყვარული..

სიყვარული კეთროვანთა..

(მიზიონერული თვალეები და ექსტატიური ხელები ყველასი)

კეთროვანნი. ჩვენი დაა!

ჩვენი დედა!

ჩვენი დედოფალი!

ჩვენი სიყვარული!

(პირქვე დაემხობიან ცრემლებით. სცენა ბნელდება. ფარდა ეშვება უხმო სინელით.)



ქართული
ბიბლიოთეკა

სურათი მეექვსე

ანთებული საკირე

მომხმელნი:

აზეფულ.

უცნობი.

რევოლუციონერები.

აგენტები (საიდუმლო პოლიციის)

მორელა.

ზარიფა.

ზარიფას: დედა—მამა—ძმა.

ბოშები, გლეხები.

კეთროვანნი.

მასხები.

(შუაგულში მოხდილი ოთახი. მარცხნით მისაღები. მარჯვნივ მისაღები. ოთახებში მარცხნით და მარჯვნივ მცველები: დიდრონი ხანგები. დიდს ოთახში კაბინეტი. დიდი საწერი მაგიდა. მარცხნით ტელეფონი. მარჯვნივ ტელეფონი. საწერ მაგიდის პერპენდიკულიარულ: გძელი კუბოს მსგავსი ყუთი. ზედ ნოხი. ირგვლივ სკამები. უკან: მოძრავი კედელი. მორთულობა სადა და მკაცრი. ფერი შავი.) აზეფულ ზის მაგიდასთან. სწერს შენიშვნებს. ალაგებს ქაღალდებს. ზოგს წევს. გაისმის წკარუნი მარცხენა ტელეფონის. აზეფულ მიდის ტელეფონთან.)

აზეფულ. ალლო! პაროლი?! ჰო!

ყველაფერი მოწყობილია?! კარგი..

გამოსვლა დღეს.. უთუოდ.. დღეს გამოიყვანენ.

მხოლოდ ერთ ჯგუფს.. ჰო!

გამოგზავნეთ სანდო პირი.. ინსტრუქციები პირისპირ..

როდის?! ეხლავ საჩქაროდ..

(ბრუნდება მაგიდასთან. აკეთებს შენიშვნებს. ქაღალდებს ალაგებს.)



ზოგს წვავს. გაისმის წკარუნი მარჯვენა ტელეფონის. მიდის ტელეფონთან.)

საქონის
სამსახურის

აღლო! პაროლი?! ჰო..

კარგი.. ეგრეა სწორეთ.. დღეს აპირებენ.. პროცესის დროს..

მზადაა ყველაფერი?! კარგი.

გამოგზავნეთ სანდო პირი. ინსტრუქციები პირისპირ...

ჰო! ეხლავე! საჩქაროდ!

(ბრუნდება მაგიდასთან. მღერის ლულულულით. აკეთებს შენიშვნებს, ქალღმერთებს ალაგებს. ზოგს წვავს. მარცხენა მხრით ხმაური. მისაღებ ოთახში რევოლუციონერი. მცველები აჩერებენ. კარზე რაკუნია).

მცველი. თქვენთან არიან.

აზფულ. პაროლი?

მცველი. ას ერთი.

აზფულ. შენოუშვით.

(შემოდის რევოლუციონერი)

რევოლუც. ნე მოველ.

აზფულ. ხომ იცით საქონის ვითარება?

რევოლუც. დღეს სამ საათზე მიჰყავთ კეთროვანთა ჯგუფი ადუღებულ საკირეში გადასაყრელად.

აზფულ. კეთროვანთა დედოფალი ჯგუფში იქნება.

რევოლუც. ხმა ყრუდ არის გავარდნილი.

მასები ლელავენ. მათხოვრები. მახინჯები. მშიერი.

აზფულ. საჭიროა დამშვიდება.

რევოლუც. საცოდავები ჩვენს მხარეზე არიან.

აზფულ. ჩვენს მხარეზე დარჩებიან.

რევოლუც. უნდა ხელი შევუშალოთ.

აზფულ. არ ივარგებს.

რევოლუც. როგორ?! არ მესმის!

აზფულ. საცოდავები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

რევოლუც. როგორ?!

აზფულ. ჩაჰკირავენ მხოლოდ მეთაურებს.

მათი იდეა ჩვენი არ არის.

რევოლუც. დანარჩენნი?!

აზფულ. ჩვენთან იქნებიან როგორც მასალა.

საჭიროა მხოლოდ მათი იდეის დაწვა.

მეთაურებს ჩაჰკირავენ—იდეაც ჩაიკირება.

რევოლუც. მე შეეჭვება.

აზფულ. რევოლუციამ იჭვი არ იცის.

რევოლუც. მაშ დღეს რომ გამოვალთ?!

აზფულ. მხოლოდ სადემონსტრაციით.

რევოლუც. ეს არის უკანასკნელი გადაწყვეტა?!



აზეფულ. უკანასკნელი..

(რევოლუციონერი გადის. აზეფულ განაგრძობს შეჩვენების კეთებას. მღერის ლულლულით. ალაგებს ქაღალდებს. ზოგს წვავს. ხმაური მარჯვნივ. მისაღებ ოთახში აგენტი. მცველები აჩერებენ. კარზე რაკუნნი.)

მცველი. თქვენთან არიან.

აზეფულ. პაროლი?

მცველი. „რუხი“.

აზეფულ. შემოუშვით.

აგენტი. მე ვიახელით.

აზეფულ. ხომ იცით საჭმის ვითარება?!

აგენტი. დღეს სამ საათზე მიჰყავთ კეთროვანთა ჯგუფი—
ადუღებულ საჭირეში გადასაყრელად.

აზეფულ. კეთროვანთა დედოფალი ჯგუფში იქნება.

აგენტი. ხმა ყრულ არის გავარდნილი.. მასები დელავენ..

აზეფულ. სხვა არა იცით რა?!

აგენტი. რევოლუციონერები ხელის შეშლას აპირებენ.

აზეფულ. არ არის მთლად მართალი.

აგენტი. მაშ სინამდვილე?!

აზეფულ. იქნება უბრალო დემონსტრაცია.

აგენტი. ჩვენი ზომები?!

აზეფულ. იარაღი მზად უნდა გქონდეთ.

აგენტი. ჯარი მზად იყოს?!

აზეფულ. მხოლოდ სამი როტა...

აგენტი. სროლაც გაბედული?!

აზეფულ. ამას მე გაცნობებთ სიგნალით.

აგენტი. სხვა არაფერი?

აზეფულ. ყველაფერი თქმულია.

აგენტი. სიგნალს ნოგვეცემთ.

აზეფულ. თუ საჭირო იქნება.

(აგენტი გადის. აზეფულ განაგრძობს შენიშვნების კეთებას. ალაგებს ქაღალდებს. ზოგს წვავს. მღერის ლულლულით. ხმაური მარცხნივ. აზეფულ შეჩერდება. ჰკეტავს სწრაფად მაგიდას. შემდეგ კიდევ შეჩერდება. უფროად იღებს რევოლვერს. ჯიბეში იღებს. მიდის კართან. მისაღებ ოთახში „უცნობი“. მცველები აჩერებენ. კარზე რაკუნნი.)

მცველი. თქვენთან არიან.

აზეფულ. პაროლი?

მცველი. პაროლი არ აქვს.

უცნობი. უცნობი. თქვენთვის ნაცნობი.

აზეფულ. შემოუშვით.

(შემოდის უცნობი)



ქართული
ლიბრარი

- უცნობი. საქმე მაქვს დიდი.
 აზეფულ. ბძანეთ.
 უცნობი. თქვენ იცით სად იმალება მორელლა.
 აზეფულ. როკფელლერ გაიქცა.
 უცნობი. თქვენ ფიქრობთ: თან გაჰყვა.
 აზეფულ. საფიქრებელია.
 უცნობი. მორელლა ქალაქში იმალება.
 თქვენს გარდა არავინ იცის.
 უნდა წითხრათ სად არის.
 აზეფულ. ერთი პირობით
 უცნობი. რომელით?!
- აზეფულ. თქვენ უნდა გახდეთ ჩემი შემწე.
 უცნობი. მე?!
- აზეფულ. თქვენ ბედისწერა ხართ.
 უცნობი. ეს ორი ტელეფონი რა არის?
 აზეფულ. ორი გზა.
 უცნობი. ერთი მეორის გამანადგურებელი.
 აზეფულ. შემქნელი მესამის.
 უცნობი. ბედისწერამ იცის მხოლოდ ერთი გზა.
 აზეფულ. ისტორიამ იცის მრავალი.
 უცნობი. თქვენ ხართ პროვოკატორი.
 აზეფულ. Fatalité უფრო ხმოვანია. ჰა-ჰა...
 უცნობი. თქვენ ჰუმორი არ გცილდებათ.
 აზეფულ. რადგან ყოველის განზე ვდგავარ.
 უცნობი. ღმერთისაც და ეშმაკისაც. კარგისაც და ავისაც.
 აზეფულ. სიტყვა კარგადაა გამოკრილი.
 უცნობი. ვის ემსახურებით?!
- აზეფულ. ისტორიას.
 უცნობი. ისტორიაში „ისიც“ არის და „ესეც“..
 აზეფულ. მე ვარ ისტორიის დამაჩქარებელი.
 უცნობი. როგორ?!
- აზეფულ. ტერმინები სულერთია:
 ღმერთი და ეშმაკი. კეთილი და ბოროტი.
 მართალია მხოლოდ ფაქტი: ერთი მეორეს ეომებიან.
 ხშირად ერთსა და იმავე გულში.
 ფაუსტიც ამაზე ნაღვლობდა—თუ არ ვცდები.
 დოსტოევსკის მარტო ეს აწვალებდა.
 მაღონა და სოდომი ერთი გულის ძვერაში.
 უცნობი. თქვენს გულში არაა არც მაღონა და არც სოდომი.
 აზეფულ. სწორედ მისთვის ვარ ისტორიის დამაჩქარებელი.
 უცნობი. როგორ?!



- აზეფულ.** მადონა და სოდომი ერთიმეორეს ეომებიან. ეს განუწყვეტელი ომი ისტორია არის. ხოლო ომი ერთხელაც არის ხომ უნდა გათავდეს?!
მე ვეხმარები მადონას რომ სძლიოს სოდომი.
მე ვეხმარები სოდომს რომ სძლიოს მადონა.
მე ვეხმარები ორივეს რომ ომი მალე გათავდეს.
- უცნობი.** თქვენ ანადგურებთ ერთსაც და მეორესაც.
- აზეფულ.** ომის გათავებისას
არ იქნება არც მადონა და არც სოდომი..
იქნება სხვა... მესამე..
მე ბორბალი ვარ ესხატალალოგიისა
- უცნობი.** „უნგეხოიერ“! საშინელება!
- აზეფულ.** თქვენ ხომ არ იცით შიში.
- უცნობი.** საშინელება! „უნგეხოიერ“!
(გაისმის მარცხნით ტელეფონის რეკა)
- აზეფულ.** ალლო! მზად არის.. კარგი..
პროცესსია ორ საათზე იქნება?!
კარგი.. კარგი..
(მიდის მარჯვენა ტელეფონთან)
„რუხი“?! თქვენა ხართ?! დააჩქარეთ!
პროცესსია ორ საათზე იქნება.. მაგრე..
- უცნობი.** მე არც მარცხენა ვარ და არც მარჯვენა.
თუმცა განზე არა ვარ როგორც „ისტორიის დამაჩქარებელი“...
შემიძლია გავიგო საიდუმლო?!
- აზეფულ.** დღეს უნდა გადაჰყარონ ანთებულ საკირეში
კეთროვანთა ჯგუფი თავის დედოფალით.
- უცნობი.** დედოფალით..
- აზეფულ.** დედოფალით..
წარმოიდგინეთ ლამაზი ქალი..
იზიარებს კეთროვანთა სიყვარულს და
თვითონ ხდება კეთროვანად..
ქვეყნის ხსნა ამ ბოდვაში ჰგონია..
- უცნობი.** ეს ბოდვაზე მეტია.. არც ისე უბრალოა.
(უცნობი შეირხევა)
- აზეფულ.** მისთვისაა უფრო საშიში.
- უცნობი.** მითხარით სად არის მორელლა?!
(პაუზა)
- აზეფულ.** ძლიერ გიყვართ მორელლა?
- უცნობი.** თვითონ ხედავთ..
- აზეფულ.** სიყვარული მოჩვენებაა.
- უცნობი.** მისთვის ხართ თქვენ განზე.



ქართული
წიგლისათვის

- აზეფულ.** სიყვარული მოჩვენებაა.
უცნობი. მისთვის ხართ დაღუპული.
აზეფულ. ბედი უფრო ძლიერია თუ სიყვარული?!
უცნობი. ბედი სიყვარულის გარეშე არაფერია,
 სიყვარული ბედის გარეშე არაფერია.
აზეფულ. ბედიც მოჩვენებაა..
 (უცნობი წამოდგება და გამოწვევით)
უცნობი. მოჩვენება?!
აზეფულ. მე თქვენ გიჩვენებთ.
უცნობი. რას მიჩვენებთ?
აზეფულ. „მოჩვენებას“. კეთროვანთა დედოფალს.
უცნობი. კეთროვანთა დედოფალს?!
აზეფულ. მან იცის სად არის მორელლა.
უცნობი. მან იცის?! მიშველე.. უნდა ვნახო..
 (აზეფულ მიდის მარჯვენა ტელეფონთან)
აზეფულ. ალლო! „რუხი“?!
 ხუთი წამის განმავლობაში მომგვარეთ.
 მცველებით კეთროვანთა დედოფალი.
 ფარულად, სახეზე-რიდე, ეხლავე..
უცნობი. თქვენ თვითონ იცით სად არის მორელლა..
აზეფულ. კეთროვანთა დედოფალი გეტყვით..
უცნობი. თქვენ დღეს დამნდობი ხართ..
აზეფულ. მე არ მეშინია..
უცნობი. რომ გაგცეთ?!
აზეფულ. თქვენ ვერ გამცემთ:
 რადგან გამცემს ორი გზა აქვს.
უცნობი. რომ გაიგონ?!
აზეფულ. ერთხელაც არის გაიგებენ.
 ყველაფერი მზადაა..
 (უცნობი დგება. აზეფულ თითს აქერს ფოლაქს. კედელი უხმოდ იღებ-
 ბა. შემდეგ ისევ იკეტება.)
 აი გზა: ღამესთან ერთად.
 ეხლა ეს ნახეთ!
 (აღებს კუბოს მზგავსს ყუთს)
 ნუ გეშინიათ! ეს არის ჩემი ორეული.
 ავსტრიაში ვნახე. მოვაკვლევინე.
 აქ ბალზამით არის შენახული.
 ეს „მე“ ვარ მაძიებელთათვის..
უცნობი. ბორბალი ესტალოგიის.
 (ხმაური მარჯვნივ. აზეფულ მიდის. მცველს აღარ უცდის. მისაღებ

ოთახში კეთროვანთა დედოფალი მცველებათ. პირაფარებული. აზე-
ფულ უბძანებს შემოიყვანონ.)

პირაფარებული
გინგლიქოთქა

აზეფულ. შემოუშვით!

(შემოდის კეთროვანთა დედოფალი)

კეთრ. დედოფ. რად მაწუხებთ კიდევ?!

აზეფულ. ამ კაცს სურს შენთან ლაპარაკი.

უცნობი სად არის მორელლა?

(კეთროვანთა დედოფალი ხმაზე იცნობს უცნობს და იქვე ჩაიკეცება.
პაუზა. წამოაყენებენ. შემდეგ ღონე მიხდილი შეეკითხება. უცნობი
ვერ ცნობილობს მის ხმას.)

კეთრ. დედოფ. რად გინდა მორელლა?

უცნობი. მკლავს სიყვარული.

კეთრ. დედოფ. მორელლა გაიმეტა შეყვარებულმა.

უცნობი. იყო გამეტება სიყვარულის.

კეთრ. დედოფ. მორელლა მოჰკლა შეყვარებულებმა.

უცნობი. მორელლა გადაარჩინა შემთხვევამ.

კეთრ. დედოფ. მორელლა მოკვდა შეყვარებულისათვის.

უცნობი. შეყვარებულის სიცოცხლე იყო მორელლა.

კეთრ. დედოფ. შეყვარებულმა გაიგო: მორელლა ცოცხალია.

უცნობი. იმ წამის შემდეგ მე შეშლილი ვარ.

კეთრ. დედოფ. ახლაც ისე გიყვარს როგორც გიყვარდა?!

უცნობი. კიდევ უფრო მეტად.

კეთ. დედოფ. რომ იყოს დამტკნარი მორელლა?!

უცნობი. მეყვარებოდა მაინც!

კეთრ. დედოფ. რომ იყოს მორელლა დახსნილი სრულიად?

უცნობი. მაინც და მაინც.

კეთრ. დედოფ. რომ იყოს ჩემსავით კეთროვანი?

უცნობი. მეყვარებოდა მაინც.

კეთ. დედოფ. არა გაქვს საზღვარი.

უცნობი. არავითარი..

(კეთრ. დედოფალს გული წაუვა. ჩაიკეცება. წამოაყენებენ. შემდ
თითქო ექსტაზით.)

კეთ დედოფ. შენ ნახავ მორელლას.

უცნობი. როდის?

კეთ. დედოფ. დღეს ორ საათზე.

(კეთ. დედოფალს თითქო უნდა კიდევ რაღაც სთქვას. მაგრამ აზე-
ფულ თვალს უქნევს მცველებს რომ სწრაფად გაიყვანონ.)

უცნობი. როგორ? მითხარი!

აზეფულ. გაიყვანეთ!

(კეთროვ. დედოფალი გაჰყავთ)

უცნობი. რათ დააჩქარეთ?



აზეფულ. მე მთლად გაჩვენეთ..

უცნობი. რა მაჩვენეთ?

აზეფულ. რომ სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. არ შესმის.

აზეფულ. კიდევ მეტს გაიგებთ.

უცნობი. რას გავიგებ?

აზეფულ. რომ ბედიც მოჩვენებაა

(მარცხნით რეკა. უცნობი უკანასკნელ სიტყვებზე აიღვსება. აზეფო მიდის ტელეფონთან.)

უცნობი. როგორ ჰბედავთ!

აზეფულ. მაცალეთ ორი წამი.

ალო! რას ამბობთ?! გაიგეს?! როტებს ამხადებენ?!
ფთხილად! ელოდეთ სიგნალს.

(მარჯვნივ რეკა. მიდის ტელეფონთან.)

ალო! რას ამბობთ?! გაიგეს?! ემხადებიან?!
ფრთხილად! ელოდეთ სიგნალს.

უცნობი. ბორბალი ესხატალოგიის.

აზეფულ. ხმოვანი სიტყვაა! ხა-ხა-ხა.

უცნობი. გამცემი ბედგატეხილი.

აზეფულ. ბედი მოჩვენებაა.

უცნობი. ბედში გძლევთ მე.

აზეფულ. სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. კისერს გადაგიგრებთ..

აზეფულ. ველარ გაიგებთ უკანასკნელ საიდუმლოს..

(ისმის შორიდან ხმაური დიდძალი მასების. მარცხნით და მარჯვნივ მისაღებ ოთახების გარე გაისმის ხმაური ერთსდაიმავე დროს. აზეფულ ელვისებრ რალაცას იგებს. მივარდება ჯერ მარცხნით და მერე მარჯვნივ. გასცემს ბძანებას არ გაუღონ. შემყოთდება)

უცნობი. რა ამბავია!

აზეფულ. გაიგეს ალბად.. არაფერია..

ყველაფერს აქვს დასასრული..

(სწრაფად იკეთებს გრიმს და პარიკს. დააჭერს ფოლაქს თითს კედელი იხსნება. მოსჩანს პროცესია.)

უცნობი. ესხატალოგიის ბორბალი გადატყდა..

აზეფულ. ჯერ კიდევ არა.

აი მორელლასაც ნახავ.

ეხლა „მეც“ მნახონ.

(ახდის თავს ყუთს. დატოვებს თავახდილს.)

უცნობი. რა სთქვი?

აზეფულ. შენ ნახავ მორელლას..



საქართველოს
საქართველოს

ნახონ ჩემი მეორე „მეც“.

აი მორელლაც..

ვერ მიხვდი: მორელლას ელაპარაკებოდნენ.

სიყვარული მოჩვენებაა! ბედიც მოჩვენებაა.

ებლა ღამის სიმარტოეში: საკუთარ თავთან..

(უცნობი შეუტევს. აზღვეულ მოასწრებს გადახტომას.)

უცნობი. წყეული! „უნგებოიერ“...

(უცნობი მივარდება გახსნილ კედელს. იკვირებს ზეკაცური სანულეებით.)

მორელლა! მორელლა! მორელლა!

(ნადირის სიავით გადახტება კედლიდან ქუჩაში. მთელი ტანი აწვრილი ბედისწერის გაშმაგებული რიტმით სახე ანთებული აქვს მოვარდნილი შთაგონებით. იგი აყვანილია უცხო ძალით: აქ არის რისხვა—ძლევა—სიცოცხლის დაწურვა წვეთამდე—სიკვდილის ბელშეხება—სიყვარულის სისავსე—მარადობის კალთის ჩამოხვევა. მასსებში გადავარდება ჰეროული რიტმი. მასსები ატორტმანდებიან თითქო წყალმოვარდნით. აქ არიან: კეთროვანნი—მათხოვრები—უფეხონი—უსინათლონი—მშიერნი—ბავშვები—მახინჯები. ჯგუფი განწირულ კეთროვანთა რკალშემოვლებულია შეირადებულ მცველებით. წინ: მორელლა.)

უცნობი. მორელლა! მორელლა! მორელლა!

(ხალხი დაინახავს თუ არა უცნობს—იკვირებს)

მასსები. მორელლა! მორელლა! მორელლა!

(უეცრად მასსების რკალს არღვევენ: ბოშები და გლეხები. ბოშებში მორელლას დედა—დაა ძმა—მამა. წალდებით და ორკაპებით ცხენების თქარათქური თითქო შორს შეწყდა. უცნობი არღვევს შეირადებულ რკალს.)

უცნობი. მორელლა! მორელლა!

მორელლა. სიზმარი.. სიცხადე.. სიყვარული..

მე შენი.. ნუ მეკარები... ლორწი მოგედება..

უცნობი. მომედოს..

შენთან.. ყველგან..

ვიხილე ყველაფერი..

ვიხილე უკანაკნელი სინათლე..

(მოვარდება ზარიფა)

მორელლა. ზარიფა.. შენ..

(მოვარდებიან სხვები)

დედა.. მამა.. ძმა..

უცნობი. მორელლა! მორელლა!

შენთან.. ყველგან..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორელა. ვიხილე ყოველი.

მეტის ხილვას ვერ ვუძლებ..

(ჩაიკეცება უცნობის ხელში. კედება. უცნობი და ძმა ხელში აიყვანენ ცხედარს. მიჰყავთ პროცესის წინ. ამ დროს სცენაზე მეორე წყება მოაწყდება მარცხნივ და მარჯვნივ. შეანგრევენ კარებს მცველებს გადათელავენ. შეხვდებიან კაბინეტში პირისპირ ერთმანეთს. გაოცება. ამტერდებიან აზნეულის მკვდარ ორეულს. ყველაფერს იგებენ. ამავე დროს ხალხის მასებში თავის თავად გაისმის მეხივით გავარდნილი ძახილი: „ამბობება“ — „ამბობება“ — „ამბობება“. აგენტები წამსავე მიიმალებიან. რევოლუციონრები გადავარდებიან გახსნილ კედლიდან მასებში. მასები ჰკვიან. გაისმის საწინელი გუგუნი: თითქო ურაგანის რიახვა აგორებული.)

ხმები საკირე ჭეყანას!

ადულებული საკირე.

საკირე! საკირე!

(ფარდა ეშვება შეუმჩნევლად. გრგვინვა ყრუდ ინთქევა.)

ტფილისი

1923

დეკემბრის ღამეები:

17. 18. 19. 20. 21.

რუსეთის რევოლუციას

ანგრიე ალყა ბლოკადის,
ნალეწი შორს გადისროლე;
და საზღვრებს იქეთ მარადის
ალურ მხედარად იქროლე.

წამების, კვნესის ხრიალში
ისმის საყვირის ღრენათ
შენი ქენების გრიალი
და სამყაროზე ფრენა.

ფლოქვებმა მტვერად აქცია
კედლები გასულ ხანების;
გაბზარულ ქვებზე მკაცრია
ხმაური მძიმე ნალების.

მამაცო, გიჟურ ქენებით
შენ მიწა ცამდის აჰყარე;
ნისლები მიესვენება
და სივრცე ცეცხლით დაფარე.

ყოველი — ბრძენი, სულმოკლე
აქცევს მზისაკენ ცქერას;
პარიზი, ბერლინი, ნიუ-აორკი
უმზერს ანთებულ რბენას.

მღელვარეს, ბედზე უმადურს
იქ მიწას არ ესვენება;
და ხედავს ცაში ამართულს
სისხლისფერ კრემლის ჩვენებას.

ტრესტი ღ. ე.

(გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1 (9).

23.

„მე არაფერი მახსოვს!“

ვაგონის ფანჯრიდან მოსჩანდა ქალწულის ტანის მაგვარი უმბრიის მთები. მზე ჩადიოდა. ენს ბოოტი ოდეკოლონით იხელავდა საფეთქელს და სცდილობდა ფანჯარაში არ გაეხედა.

— დაწყველილი მეხსიერება, — ფიქრობდა ის. ნეტავი შეიძლებაოდეს ყველაფრის დავიწყება! ნეტავი შეიძლებაოდეს მეხსიერებიდან ამოშლა საშუალო სასწავლებელში მოსმენილ მითოლოგიის გაკვეთილებისა და ყველა იმისა, რაც „Tee-Star“-ში ვნახე: ახალგაზდა ქალწული, ქერა ქოჩორი, ცუდი თმის საღებავი! ნეტავი შეიძლებაოდეს სიყვარულის დავიწყება!..

ასე ფიქრობდა უბედური ენსი. ფანჯრებს იქით ბჭყვრიალებდა ფუნთუშა გაზაფხული. მატარებელი რომში მიდოდა. ენს ბოოტი უსმენდა მატარებლის თვლების გრიალს; მათი ენა ნაცნობი იყო მისთვის, როგორც ჟილეტის ჯიბეში „ომეგა“-ს სიარული, როგორც გულის ფეთქა ჟილეტის ქვეშ, — უსმენდა ეამთა საზომს, დროთა ნაბიჯს.

ესეც ნაკლებად ამშვიდებდა. მან ყური მიაპყრო მეზობლების საუბარს.

— ერბო ისევ გაძვირდა 300 ლირით, — ნალვლიანად სჩიოდა ახალგაზდა ლამაზი ქალი.

— აი, მოვა აქაც ჯიოვანნი ბოტტო, უარესი იქნება, — უპასუხა ვილაცამ.

— ამბობენ, თითქოს უკვე ჩამოვიდა რომში და თან ჩამოიტანა უზარმაზარი ხარბაზნები.

ლაპარაკში ჩაერია ქალარა თმებიანი მგზავრი.



— როგორ დამახასიათებელია თქვენი საუბარები და რა უნდა
 კარზე მიმდგარ ცივილიზაციისათვის! ცრუმორწმუნეობის
 ვიღაც ურნალისტი ერთი ჭიქა ლუდის სმის დროს შესთხზა ეგ
 ბოტტო და ყველამ, გესმით, სოფლის დედაკაცებმა კი არა, — პოლი-
 ტიკოსებმა, მწერლებმა და ზოგიერთმა მეცნიერმაც კი, დაიჯერა,
 რომ ის არსებობს.

ქალარა მგზავრის ნათქვამით ენს ბოლოტი ნაწყენი დარჩა. მისი
 მამა ურნალისტი კი არა, მფლობელი იყო თუმცა პატარა, მაგრამ
 მაინც სახელმწიფოსი. მაგრამ მან იცოდა, ყველა ადამიანების სი-
 ბოროტე და გადასწყვიტა თავის ვინაობა არ გაემჟღავნებია.

საუბარი გრძელდებოდა. ელევანტურმა მგზავრმა, რომელსაც
 სპორტით გართული ადამიანის გაბომბვტყველება ჰქონდა, მხარი დაუ-
 კირა ქალარა მგზავრს.

— დიახ, ყველანი ცრუმორწმუნენი გახდენ. ზოგჯერ მგონია,
 რომ საშუალო საუკუნეებს ვუბრუნდებით. თქვენ, ალბად, გაიგებდით
 ახალ კორს: თითქოს ბრინდიზში და ნეაპოლში მძვინვარებს უცნა-
 ური ავადმყოფობა „ჩიკიტა“. ბოლონში ვნახე ერთი განვითარებული
 ადამიანი, მაკარონის ფაბრიკის დირექტორი, რომელმაც „ჩიკიტას“
 გაგონების შემდეგ გადასწყვიტა ყველაფრისთვის თავი გაენებებია
 და არგენტინაში გადასახლებულიყო. გაგიჟდა ყველა!

უცნაური
 ხმები.

მანდილოსანმა ნაღვლიანად ამოიოხრა და კალათიდან საჭმელი
 ამოიღო. ამ საჭმლის ნაწილი ენს ბოლოტსაც ერგო. ამ ტრადიკულ
 მონენტში მასზე დიდ გავლენას ახდენდა ქალის ალერსი. ჭამის შემდეგ
 მან სიყვარულით შეხედა მშვენიერ თანამგზავრს. მაგრამ საპასუხო
 შეხედვა არასფერს გამოხატავდა, გარდა დედობრივი მზრუნველობისა.

მაშინ ენს ბოლოტმა გადასწყვიტა უფრო ახლო გაეცნო ლამაზი
 მანდილოსანი.

მშვენიერმა სინიორამ, ლიუჩია ჯორნომ, აღტაცებაში მოიყვანა
 ის თავისი ერთგულებით. სინიორა ლიუჩია 22 წლისა იყო და, მიუ-
 ხედავად თავისი სილამაზისა, ახალგაზდობაში ბევრი სიმწუხარე
 გამოსცადა. 18 წლისა გათხოვდა როიალის ნომმართველზე — პიეტრო
 ჯორნოზე. ახალგაზდებს გატაცებით უყვარდათ ერთი-მეორე და
 ყველაფრიდან სჩანდა, რომ ისინი ბედნიერები იქნებოდნენ. მაგრამ
 არ გაუვლია ერთ კვირას, რომ პიეტრო ჯარში გაიწვიეს და ტრი-
 პოლისში გააგზავნეს. ოთხი წელიწადი იბრძოდა პიეტრო. ოთხი
 წელიწადი ელოდა მას ლიუჩია. დიდ გაჭირვებას განიცდიდა და
 ლუკმა-პურს შოულობდა მდიდარ ქალებისათვის ტუალეტის ზოგიერთ
 ნაწილების დამზადებით. ბედნიერება შეიდი დღის განმავლობაში და
 ოთხი წელიწადით განშორება — ასე მოეწყო მისი ცხოვრება. მაგრამ
 ამ ერთი კვირის წინ მან მიიღო ღია ბარათი ბრინდიზიდან. პიეტრო
 ატყობინებდა ლიუჩიას, რომ მიიღო შვებულება და რომში მოემგზა-



ვრება. დროებით ჩამოხტა ძმის ცარიელ ოთახში ვია კავურის მშენებელი ლიუჩია მუშაობდა შვიდი დღე და შვიდი ღამე, რომ ბილეთის ფული ეშოვა რომამდე. ახლა კი ღელავდა: ვია კავურო, მგონი, შორს არის სადგურიდან და მას 50 ლირაც კი არა აქვს ტრამვაისათვის. რა უნდა უქნას კალათს?..

თავის სიყვარულში გულგაცრუებული ენს ბოოტი პატივსა სცემდა მაინც სხვის სიყვარულს. აღელვებულმა მოიწმინდა თვალები ცხვირსახოციით და შესთავაზა სინიორა ლიუჩიას ტრამვაით მიყვანა ვიაკავურომდე, სადაც მოუთმენარი მეუღლე მოელოდებოდა თავის ცოლს.

დანარჩენი დრო ენს ბოოტმა ჭაღარა მგზავრთან საუბარს მოანდომა. ბევრი უწერიათ მგზავრობის დროს შემთხვევითი შეხვედრების შესახებ. ძალიან გაუკვირდა ენს, როცა გაიგო, რომ ჭაღარა თმებიანი მგზავრი, რომელმაც ლიუჩიას საჭმელი უსიამოვნოდ შეჭამა, — არის ფრანჩესკო ბარი — ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ევროპის გამოჩენილი ფილოსოფოსი.

მართალია, ენს ბოოტთან არასოდეს არ კითხულობდა წიგნებს, მით უმეტეს ფილოსოფიურს, მაგრამ მას ყოველდღე უხდებოდა მთელი ხროვა გაზეთების გადათვალიერება და შიგ ხშირად ხვდებოდა ეს სახელი. გამოჩენილმა ფილოსოფოსმა 1931 წელს გამოუშვა წიგნი „წარმოშობა და არსება“, რომელშიაც გენიალური შორსმჭვრეტელობით არჩევდა ევროპის გახრწნის პროცესს და მისი არსებობის ყველა წარმოსადგენ ტრანსფორმაციებს.

ენს ბოოტი საუბრის დროს ფრანჩესკო ბარი უნებურად შეესო თავის საყვარელ თემას. დაიწყო ლაპარაკი ევროპის დაღუპვის შესახებ. მისი საუბარი არ წარმოადგენდა არც პოლიტიკურ მიმოხილვას, არც ზნეობრივ ლამენტაციას: ფილოსოფოსი ლაპარაკობდა სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ. შავი თესლის, მწვანე ყლორჭი და გადაშლილი ვარდის შესახებ. თითქოს ისევ გრძნობდა თითის ბოლოებზე მის მძიმე სურნელებას — ფლორენციის აღორძინების შუადღის პაპანაჭებას. ფრანჩესკო ბარი არც ვინმეს უსაყვედურებდა, არც არავის ეკამათებოდა. მისი საუბარი იყო უბრალო ბიოგრაფია, მაგრამ ბიოგრაფია ნაანბობი შეყვარებულის მიერ: ყოველივე ამბავი მითს წააგავდა.

ერთი წვეთი სანთელი მთვლემარე ეროსის ბეჭზე ქვის კვერცი კატაკომბების ნესტიან სილურჯეში. ხანგრძლივი „Montsoie“ თმებით დაფარული დაბღვერილი ადამიანებისა, რომლებიც თავის ძვლებით ჰფარავდნენ ევროპის დიდ გზებს. უცარი ჩურჩული ბნელ სამიკიტნოში, სადაც ერთად ქეიფობენ ჯალათი, რომელიც სახსრებს ამტვრევდა, და ღვთის მოწმუნე ქურდი. ვარდების ვარდი, გვირილების გვირილა. სინათლის აფეთქება. თავს უშველეთ, ქვეყანა აივსო



შხით! სიჭარბე და სასტიკი მწუხარება სახაზავ იარაღებსაგან, რომელთა შორისაც ცირკულია და რიცხვი, ვარდისგან, რომელიცა და თავის-ქალისაგან, მარმარილოსაგან, სინათლისაგან. გარეული ფრინველი ლეონარდო. თავაზიანი სიცალიერე და კანდიდის უსიამოვნებანი. კარმანიოლების ღმუილი. პარიკი შუბზე. თოფის წამლის ყვითელი ღრუბელი და კორსიკანელის დანარჩენი თეატრალური ეფექტები: პროგრესი. კომფორტი. სიცარიელე, მაგრამ უკვე არა თავაზიანი. საბჯენი. და უკანასკნელი ნახტომები. Père Lachais-ზე თვალმარგალიტის გვირგვინებისა და გახუნებული სისხლის შორის: „C'est la lutte finale“... თუმცა, ფინალი სხვაა.

ასე ლაპარაკობდა ფრანჩესკო ბარი. ენს ბოოტი აღელვებული უსმენდა,—მასს ხომ მისი შეყვარებულის მალალ და მწარე დღეებზე ესაუბრებოდენ.

ევროპის აყვავება და სიკვდილი უერთდებოდა მის მწუხარებას. როდესაც ფრანჩესკო ბარიმ სთქვა ლორენცოს ეპოქის შესახებ:

— ეს თითქოს შეჩერება იყო არსის ზენიტში. ვერცხლის აღვირი გაუვარდა ხელიდან მეეტლეს. თითქოს ქერა-ფაფარიანი ცხენები აყრილ ფეხებს არასოდეს აღარ დაუშვებდენ...

ენსი შეკრთა. ნუ თუ ეს იყო XV საუკუნეში, და არა 1914 წ. ფლორენციაში, და არა „Tee-Star“-ში?

დაუვიწყარი ლიუსი!

ხოლო როდესაც ფრანჩესკო ბარიმ ნალვლიანი ღიმილით წარმოსთქვა:

— და აი აგონია. ტლანქი გაუმაძღრობა ვილაც ბრანდევოსი. მეტი არავინ, ეტიკეტისთვისაც კი მეტი აღარავინ ეხება „სიმართლის დიად პრინციპებს“. ცხადია...—

ენს ბოოტმა შეაწყვეტია უცნაური წამოძახილით:

— ეს საღებავია! ეს მხოლოდ ცუდი თმის საღებავია!

ენს ბოოტი გაჩუმდა. სხვები ისევ ბაასობდენ საზღაპრო „ჩიკიტას“ ჯიოვანნი ბოტტოს და ამინდის შესახებ. ენსი სდუმდა და ფიქრობდა:

— რატომ არ შემიძლია ყველაფრის დავიწყება? რად უნდა ვინახავდე ამ ნაზ მოჩვენებას? მინდა ვიტყო. არ მინდა სიცოცხლემკვდარი სიყვარული. მკვდარი ევროპა. ქუქყიან, ბნელ ვაგონში გამოსადეგარი მგზავრი.

ეს მხოლოდ შენობები კი არა, გაქვავებული დრო იყო. აქ წლები არ დნებოდენ მსუბუქ ეთერში, რჩებოდენ, რომ მარმარილოს ან გრანიტის ფეხით დასწოლოდენ შეხუთულ მიწას. ღამეში იდგა გიგანტური ჩონჩხი და თვითუული მისი ძვალი აგონებდა ფრანჩესკო ბარის სიტყვებს.

სასტიკმა ბედისწერამ თავდავიწყების მოსურნე ენს ბოოტი

მიიყვანა ქვეყნის მეხსიერებაში — რომში. მაგრამ გამოსავალი არ იყო: კუბეს კარი გაიღო და გაჯავრებული ენსი გამოვიდა პლატონის ტომცა ისე, რომ არ დავიწყებია სინორა ლიუჩიას კალათა.

თანამგზავრები გრძნობიერად გამოეთხოვენ ერთი-მეორეს. ფრანჩესკო ბარიმ სთხოვა ენსს, თავისუფალ დროს მისულიყო მასთან საუბრისათვის იმავე თემაზე, ე. ი. ევროპის უცნაურ ბედზე.

ენს ბოოტმა დაპირებისამებრ მიაცილა სინიორა ლიუჩია ვია კავურომდე. დიდ, შვიდსართულიან სახლში დიდხანს ეძებდენ სინიორ ჯორნოს ოთახს. დაბოლოს, ვიღაც ბიჭმა მიუთითა ბნელ დახვეულ კიბეზე:

— აი აქ, სულ მალლა. მესამე კარები.

— სინიორ ჯორნო? — ჰკითხა ენს ბოოტმა, როდესაც დაინახა ზარის დარეკის შემდეგ გამოჩენილი ფერმკრთალი და დაქანცული სახე.

— მე ვარ, რა ვხედავთ.

მაგრამ ამ დროს ლიუჩიამ ხელი ჰკრა ენსს და კარებს მივარდა:

— პიეტრო! შენ ხარ! ჩემო სიყვარულო!

— უკაცრავად, თქვენ სცდებით.

— პიეტრო! ველარა მცნცბ! Santa Maria! რა მოგივიდა?

ენს ბოოტს ეგონა, რომ ცოლ-ქმარის ბედნიერ შეხვედრას ხელს უშლიდა სიბნელე და ელნათური აანთო, რომელსაც ყოველთვის ჯიბეში ატარებდა. სხივებმა გაანათეს აღელვებული ქალი.

— პიეტრო! ეხლა ხომ მცნობ? არა? ღმერთო ჩემო, დაბრმავდი?

— დავბრმავდი? Povera Madonna! რა სისულელეა! მე მშვენივრად ვხედავთ. მაგრამ თქვენ აღბად კარი შეგეშალათ. ყოველ შემთხვევაში მე თქვენ არ გიცნობთ.

— რა მოგივიდა, პიეტრო? მე ხომ ისე არ გამოვიცვალე? აბა შემომხედე!

საბრალო ლიუჩია აცრემლებული მიეკრა მეუღლეს და კოცნა დაუწყო:

— პიეტრო, ჩემო ბიჭუნო! აკოცე შენ გოგოს! მე ისე გიცდიდი!...


ენს ბოოტმა მორცხვად ჩააქრო ელნათური. პიეტრო უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა:

— რა თავხედი ქალებია! თვითონვე რეკავენ მოურიდებლად და...

— პიეტრო! მოვკვდები! პიეტრო!

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ პიეტრომ წარმოსთქვა:

— თუმცა, შენ... კეკლუცი გოგო ხარ. გინდა — შემოდი. მაგ-



რამ შე ჯარისკაცი ვარ, შევებულეებაში წამოსული, 500-ზე მეტს ვიჭრე მიიღებ.

კარი მოხურეს. ენს ბოოტი დაჩა კალათით. გაახსენდა თანამგზავრების საუბარი, პიეტრო ჯორნოს დაქანცული სახე, და მიხვდა რასაც ნიშნავდა ყველაფერი ეს. საშინელება იყო; საშინელება...

ენს ბოოტმა კალათი კარებთან დასდო, მოუკიდა პაპიროსს და დინჯათ ჩამოდიოდა კიბეზე. როდესაც დაბლა ჩამოვიდა, მოესმა ქალის ტირილი და უხეში ხმა:

— კმარა წაიღე ფული და შეაყოლე!

ერთი წუთის შემდეგ რაღაც დაეწვა ბნელ კიბეებს შორის. სა- ლიუჩია
ხლის ძირას ეგდო დამსხვრეული ლიუჩიას გვამი. კვდება

გაისმა ხნები:

— რა მოხდა?

— ქალი ჩამოვარდა, ალბად მთვრალი იყო.

— ჩიკიტა ხომ არ არის?

შენდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

უბედური სინიორა ლიუჩია ჯორნო სწორედ ოთხი წელიწადი ელოდა ამ წამს!

ენსი ბევრ რაშეს მიხვდა. ენსი დაბლვერილი დახეტილობდა ბნელ ქუჩებზე. მისკენ მოჰქროდა სისწრაფით საშინელი ტრამვაი. მკრთალი სახე ვატმანისა გაკვირვებას გამოხატავდა. არ სჩანდა არც მგზავრები არც კონდუქტორი: ყველამ მოასწრო ჩამოხტონა. მხოლოდ უკანა ბაქანზე იდგა ქალი ძუძუმწოვარი ბავშვით და საშინლად ყვიროდა. ტრამვაი უკვე ერთი საათის განმავლობაში მიჰქროდა მიყრუებულ ქუჩებზე, ცარიელ ლიანდაგზე. ღამის ორი საათი იყო და სხვა ტრამვაიები აღარ სჩანდა.

იშვიათი მგზავრები იღიმებოდნენ:

— ტრამვაი გაგიყდა.

— ჩიკიტა?

ქალი ისევ ყვიროდა. ღამის 3 ს. ტრამვაი შეხტა და სადღაც ქალაქის განაპირას შეჩერდა. ვატმანი ჩამოვიდა დაბლა და დაამთქნარა: გვიანაა, ძილის დროა. ქალი სდუმდა. ეხლა ყვიროდა ბავშვი და ძლივს გამოჰკრილ კბილებით უნაყოფოდ ჩაჰკროდა მკვდარ ძუძუს.

შეორე დღით ენს ბოოტმა შენიშნა უცნაური სანახაობა. რომის ცენტრში, ვენეციის მოედანზე იდგა თავაზიანი მამაკაცი პატარა ლენტით გულზე; ეტყობოდა, რომელიმე დეპარტამენტის უფროსი უნდა ყოფილიყო. ბეცი თვალეებით ათვალთვრებდა მგზავრებს და ქუდის მოხდით ეკითხებოდა მათ:

— უკაცრავად, სინიორ, თუ შეიძლება, ამიხსენით, სად ვარ და ვინ ვარ?



პასუხის ნაცვლად მგზავრები განზე გაუბნდნენ ჩურჩულით:

— ჩიკიტა! ჩიკიტა!

მოედანი სწრაფად დაიკალა, ორი პოლიციელი მხურბლებდა მას, მაგრამ, გაიგეს რა მისი შეკითხვა, დაავიწყდათ სამსახური და ატირდნენ.

ენს ბოოტი არ გაიქცა ვენეციის მოედნიდან. დიდხანს იდგა ამ ადამიანთან. მას აკავებდა არა ნათელი სიბრაღული, არამედ შავ-ბნელი შური:

— ნეტავი, ამასავით!.. ლიუსი... ევროპა... დაწყველილი რომი!.. კოლიზის ირგვლივ ჰყვიაოდა ეკალძვალა და კატები კნაოდენ. გაზეთის გამყიდველები დარბოდენ ყვირილით.

— ჩიკიტა დეპუტატთა პალატაში!

დღეს კანონპროექტის განხილვის დროს ხარბინში და სამუშაო საკონსულოების დაწესების შესახებ—მოხდა მძიმე ინციდენტი. პატივცემული დეპუტატი, სინიორ ეტტორე ჩერაპუზი, ავიდა ტრიბუნაზე და გარკვევით დაალო პირი, რომ შესწორება შეეტანა, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. მთელ დირბაზს ერუანტელმა დაუარა. ზოგიერთი დეპუტატები მაშინვე გაიქცნენ გასაელისაკენ. მსმენელთათვის დაწესებულ ადგილიდან მოისმა ძახილი: „ჩიკიტა“! ამის შემდეგ ყველა დეპუტატები წამოხტნენ ადგილებიდან, ერთი-მეორეს სწყლეტდენ, სკამებს აბრუნებდნენ და ისე გარბოდნენ. დეპუტატები—ტურიინისა, სინიორ ჩეზარე პლინაი და არკონისა, სინიორ ნაოლო ვალადი, გადაიცვალენ მიღებულ ქრილობებისაგან. დეპუტატთა პალატა დათხოვნილია“.

ჩიკიტა დეპუტატთა პალატაში

ამ დღისით რომის ქუჩები წააგავდნენ დეპუტატთა პალატის გასავალ ოთახებს.

ხალხი ხან გარბოდა ჭირიანი ჯოჯოფით, ხან ჩერდებოდა და უაზროდ იყურებოდა ირგვლივ. მთვრალი ტრამვაიები მარშრუტს აღარ არჩევდნენ, დაჰჭროდნენ ქალაქში და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ავტომობილები სრესდნენ უზრუნველად მომლიძარე მგზავრებს. ბევრი მალაზიები ღია რჩებოდა მთელი ღამე. ცარცვავდნენ.

სალამოს სადგურ „რომზე“ მოხდა გრანდიოზული კატასტროფა. ელსიგნალიზაციის მორიგი დაბნეულად ისრესდა თავს მუშტებით— მას ვერ მოეგონებია მატარებლის მიმოსვლის ცხრილი. ნეაპოლ პარიზის ექსპრესი დაეჯახა რომ-ბოლონის სამგზავრო მატარებელს. 814 ადამიანი დაიღუპა. მორივე შეიპყრეს. როცა ციხეში მიჰყავდათ—ის გზაში იღიმებოდა და უსტვენდა ჩოქს.

კატასტროფა.

რომში გაისმოდა ერთი სიტყვა. წინად ამბობდნენ: „Pasta al sugo, „dammi un baccio“, comm'è la lira guest'oggi?“, — ეხლა კი ყველაფერი ეს დაავიწყდათ. მაკარონები ცივდებოდა. გულუბრყვილო



ტუჩები ტყუილად ელოდენ ამბოჯს. ღირის კურსი დაბლა ეცემოდა და არც ეს იწვევდა ყურადღებას. რომში აღარ იყო არც მაკარონები, არც ამბოჯი, არც ღირები, რომში მხოლოდ ჩიკიტა იყო.

ქალაქის საექიმო სამმართველო აგროვებდა სტატისტიკურ ცნობებს.

- 1 აპრილამდე ირიცხებოდა: საექმო ავადმყოფობის შემთხვევა—8.
- 1 აპრილს—23
 - 2 აპრილს—311
 - 3 აპრილს—619
 - 4 აპრილს—2506
 - 5 აპრილს—2487
 - 6 აპრილს—911
 - 7 აპრილს—4317
 - 8 აპრილს—8117

შემდეგი ცნობები აღარ შენახულა, ვინაიდან 8 აპრილს საექიმო სამმართველოს ყველა მოსამსახურენი ავად გახდენ ჩიკიტათი.

რომის კორესპონდენტი „Temps“, რომელმაც დროზე მოასწრო ნიცკაში გადასახლება, ასე აღწერდა ახალ ავადმყოფობას:

„ჩიკიტა უსათუოდ წარმოადგენს ციების საწიშ ფორმას. შემო- ჩიკიტის ის- ტანილია ჯარის კაცის მიერ ტრიპოლიდან. ამა-წლის იანვარში ერთ- ტორია. ერთ დამოუკიდებელ ოაზისში, სახელდობრ ხოიტში, გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია. ადგილობრივ მცხოვრებლებიდან ყველა მამაკაცები დახოცეს დაუყოვნებლივ, ქალები კი—ჯარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ. მე-17-ე პოლკის ჯარისკაცი ნიკოლა პედრი გახდა ავად ციებით, მაგრამ მალე მოჩია. ავადმყოფობამ დასტოვა მძიმე შედეგები: ნიკოლა პედრომ სრულიად დაჰკარგა მესსიერება. მას თავისი საკუთარი სახელიც კი აღარ ახსოვდა.

ტრანსპორტზე „რეჯინა ელენა“,—რომლითაც უკან ბრუნდებოდა შევებულებაში მყოფი 1118 სამხედრო პირი, მათ შორის ნოიტში ექსპედიციის მონაწილენიც, — ამ ტრანსპორტზე შენიშნეს იმავე ავადმყოფობის რამოდენიმე მსგავსი შემთხვევა. ავადმყოფები 12 მარტი. გააცალკევეს, მაგრამ ამ გონიერმა ზომამ, სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია. „რეჯინი ელენა“ ბრინდიხში ჩამოვიდა 12 მარტს. ერთი კვირის შემდეგ, ე. ი. 19 მარტს, ახალი ავადმყოფობის ეპიდემია მძვინვარებდა მთელი ბრინდიხში. იქიდან ჩიკიტა გადავიდა ჯერ ნეაპოლში, შემდეგ კი მარტის ბოლო რიცხვებში მოედო რომსაც.

ჩიკიტათი შეპყრობილი ავადმყოფი ჰგრძნობს ძლიერ ციებ-ციხელებას (40°—40,5°), ჩვეულებრივად ღამით. სიცხე გრძელდება 4-დან —6 საათამდე. დილით ავადმყოფი სრულიად ჯანსაღად სთვლის თავის თავს; გრძნობს მხოლოდ ცოტა დაღლილობას. ღამის სიცხე სიხ-



მარი და ბოდვა ჰგონია. როგორც ყოველთვის, ის დგება, და სამუშაოზეც კი მიდის. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ჩიკიტას ცნობილი ბა. სპეციფიური შხამი, რომელსაც მისი მიკრობი ამზადებს, მისი დობს ტვინის ცენტრებზე: ავადმყოფი ჰკარგავს მეხსიერებას. ზოგჯერ ავადმყოფი მთლიანად ჰკარგავს მეხსიერებას: ამ შემთხვევაში მას არაფერი აბსოვს და ველურად გადაიქცევა. ზოგჯერ კი ავადმყოფი ჰკარგავს მეხსიერებას სახეებზე და სახელებზე. აღნიშნულია სხვა და სხვა შემთხვევაში მეხსიერების ნაწილობრივად დაკარგვისა: ერთს დაავიწყდა ყველა რიცხვები და ნიშნები (სამწუხაროდ ის მორიგი იყო ელსადგურზე), მეორეს, ცნობილ პოეტს მარკო პუჩის, დაავიწყდა მშობლიური იტალიანური ენა, ხოლო ფრანგულად კი შეეძლო ისევე ლაპარაკი და სხვა. ავადმყოფს პაროქსიზმი მოუვლის ხოლმე ყოველ 24 საათში ერთხელ. 3—რ შემთხვევის შემდეგ ადამიანი კვდება, უმეტეს შემთხვევაში გულის სისუსტისაგან. განკურნების მაგალითები დღემდე არ ყოფილა.

რაც შეეხება ჩიკიტას გავრცელების საშუალებებს, — ძნელია ამის შესახებ გარკვეული დასკვნის გამოტანა დღევანდელ პირობებში. თუმცა, რომის უნივერსიტეტის პროფესორმა, სინიორ კანჯომ, სიკვდილის წინ მოახდინა რამდენიმე საყურადღებო ცდა. სინიორ კანჯო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩიკიტა ვრცელდება ჩვეულებრივ ადამიანის რწყილების საშუალებით. არც სხვა პარაზიტებს და არც კოლოებს არ გადააქვთ ეს ავადმყოფობა. თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, ადვილი გასაგებია რად გავრცელდა ჩიკიტა იტალიაში. უკანასკნელ კორესპონდენციაში მე აღვნიშნე, რომ რომი სავსეა რწყილებით...

ასე აღწერდა ჩიკიტას გაზეთი „Temps“-ის სპეციალური კორესპონდენტი. რა უყოთ, ის პატიოსნად მუშაობდა ლუკმა პურისტვის და, საერთოდ, მისი წერილი არც ისე დაშორებული იყო სიმართლეს. მართალია, მასში არ იყო მოთავსებული ერთი საყურადღებო ცნობა: პატარა პატრიოტულმა კავშირმა „დ. ე.“ — „Decapitazione degli Ebrei“-მ ვერ მონახა იტალიაში საკმარის რაოდენობა ებრაელებისა თავების მოსაკვეთად და მიაშურა არაბებს. ვილაც ჯულიოს ჩიკარეტმა, „დ. ე.“ კავშირის მდივანმა ზედმიწევნით შეისწავლა ტრიპოლის ჰავა. „დ. ე.“-ს ზეგავლენით, რომელმაც გაზეთების საშუალებით ასტეხა ხმაური, ზოიტში გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია.

სადგურის ბუფეტში ფინიკიის ასულის თავისა და ხელის გადაჩხაპნით სრულიადაც არ ამაყობდა ენს ბოოტი. ვენეციაში სამწუხარო მგზავრობის წინ ის მშვიდათ ესაუბრებოდა ერთ-ერთ სარძეთში ჯულიო ჩიკარეტის.

— ერთი ჭიჭა თბილი რძე — სთქვა ჯულიომ.



მეგობრებმა
ქართულმა ისრუნეს.
გინგლირუსმა

რძის დაღვევის შემდეგ დაუმატა:

— ოაზისი ხოიტში. შესრულდა.

და ენს ბოოტმა უპასუხა:

— ძალიან კარგი, მე გადავიხდი რძის ფულს.

რასაკვირველია ყველაფერი ეს არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა „Temps“-ის სპეციალურ კორესპონდენტს. რაც შეეხება ენს ბოოტს, მას არ უყვარდა თავის კერძო საქმეების გახმაურება.

მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ წარმოებელი საქმე წინ მიიწედა, ენს ბოოტი მაინც დალონებული იყო. ნებსიერება დაკარგულ ადამიანთა შორის დახეტილობდა მარტოდ და ეძებდა დავიწყებას.

— ლიუსი... ევროპა... სიყვარულო... როგორ დაგივიწყოთ?..

მაგრამ რწყილებსაც კი თავისი გემოვნება აქვთ. ალბად, მათ არ მოსწონდათ ჩრდილოეთის ტანი ენსისა.

რწყილებს
არ უყვართ
ენსი.

ერთხელ, ეს იყო 17 აპრილს, ენს ბოოტმა, როდესაც ის განსაკუთრებით შეპყრობილი იყო მეღანქოლით, გადასწყვიტა ფრანჩესკო ბართან შესვლა და მასთან ერთად ევროპის წარსულის მოგონება. უბედური შეყვარებულისათვის რა შეიძლება იყოს იმაზე უტკბესი, როდესაც ის იგონებს ყმაწვილობის ოქროს დღეებს.

მაგრამ ენს ბოოტს ბუდისწერამ არ არგუნა გაცრუებული გულის დამშვიდება. ის, რაც მან ნახა ფრანჩესკო ბაერის ბინაზე, უფრო დასალონებელი იყო. გამოჩენილი ფილოსოფოსი იჯდა ბავშვის ერთ-ერთ ქურჭელზე, პერანგის ამარა და უაზრო სიმღერას ღიღინებდა:

— „Uno, duo, tre. Cafe Cafe! Cafe!

Quatro, cinque, sei. Lei, lei lei!“

— მე გესტუმრეთ, რომ გესაუბროთ ევროპაზე, სინიორ ბარი, აგრეთვე წარმოშობისა და არსის შესახებ, — თავაზიანად მოახსენა ენსმა.

მაგრამ მან მხოლოდ ბავშვის წრიპინი გაიგო.

— გინდა თვალხუჭაობა ვითამაშოთ? — შესთავაზა ფრანჩესკო ბარიმ და პასუხის მიღებამდე შეძვრა საწოლის ქაეშ. მისმა ქალარა თმებმა მოსწმინდეს იატაკი.

ენს ბოოტმა სცადა ფილოსოფოსის მოყვანა ნორმალურ მდგომარეობაში. მოაგონა მას ძვირფასი სიტყვები.

ფილოსო-
ფოსი აღარ
ვარჯა.

— Moutjoie... რენესანსი... რომანტიკოსები... ლიუტეცია...

მაგრამ ფრანჩესკო ბარი უდარდელი ღიმილით ეთამაშებოდა პერანგის ბოლოს.

უცებ რაღაც ადამიანურმა გამომეტყველებამ იელვა მის თვალებში, მან მიირტყა წუბლზე ხელი და ტანჯვით წამოიყვირა:

— მე არ მახსოვს! მე აღარაფერი მახსოვს!

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ იდიოტურმა ღიმილმა შესცვალა ტანჯვა და ფილოსოფოსმა ისევ სიმღერა დაიწყო:



ქართული
ლიტერატურა

— „Uno, duo, tre. Cafe! cafe! cafe!..“

ენს ბოოტი გამოვიდა. მან დასტოვა რომი.

იოგელი იყო მშვენიერი და ბრაზიანი კამპანა. მასზე დაებეჭებოდნ ძროხები. დიდიხნის უწველავი იყვნენ და რძე რქიან თავში სცემდათ. ძროხებიც თავის მხრით ეცემოდნ იშვიათ მგზავრებს. ზოგიერთი რომაელები დადიოდნ კამპანაზე.

ძველ ეტრუსკების ქალაქთა ნანგრევების შორის დაეძებდნ თვის კანტორებს და მალაზიებს.

— სად არის საწყობი „ელექტრა“? — ჰკითხა ენსს რომელიღაც სუბიექტმა უდაბნოში.

ეს იყვნენ „ჩიკიტათი“ დაავადებულნი, რომელთაც მეხსიერება დაეკარგათ. და ამ ხალხის ბედს ნატრობდა ენს ბოოტი.

— ნეტავი მეც შემეყაროს, — ჩურჩულებდა ის სისუსტის დროს.

მაგრამ განგება, რომელიც ყოველთვის სწყალობდა ავანტიურისტს, ამ შემთხვევაში ხელს არ უწყობდა მას.

შუადღისით მზე მალა იდგა. ბალახი შრიალებდა და შიგ გველების ნარინჯი კუდები მოსჩანდა. სადღაც ბლუოდნ გაცოფებული ძროხები. უკან, ცის დასავალზე მოსჩანდა მრავალ საუკუნეთა ტვირთით დამძიმებული, მკვდარი რომი.

მზე თითქოს შეჩერდა ზენიტში. ზეცაში იწკრიალა მეეტლეს ხელიდან გავარდნილმა ვერცხლის აღვირმა. რომი და ქვეყანა სდუმდნ.

უცებ ენსმა შენიშნა ბალახში თბილი, ოდნავ ვარდისფერი ისევ შეხვე-
მარმარილო. ის დათარული აყო მრავალ შემოდგომის ქანგით და დრა.
მიწის რუხი ბუმბულით. მაგრამ განა შეეძლო ენს ბოოტს არ ეცნო
ის, თავისი შეყვარებული, მშვენიერი ფინიკიის ასული, ევროპა.

აქ იუბიტერის საყვარელზე ლოცულობდა ხალხი, რომელიც პორტ-ოსტიაში მიდიოდა, და რომელიც აზიის ნაპირებისათვის სტოვებდა ფაქიზ ევროპას.

მარმარილოს ფინიკიელი 2000 წლის წინად გრძნობდა წმიდა საკურთხეველის მოტკბილო ბოლოს. მაგრამ მას არასოდეს არ უგრძნინია ის სიცხოველე, რომელიც ეხლა მოედო და რომელიც მოეფინა მარმარილოს მოღურჯო ზოლებს. — ევროპას ჰკოცნიდა უდიდესი შეშლილი ადამიანი, რომელსაც, სამწუხაროდ, არ შეეყარა „ჩიკიტა“.

24.

ენს ბოოტი ეცნობა ხულიო ხუკანიტოს მოქალაქებას.

ხელის შემდეგ გამწმენდი ოპერაცია განიცადა თავმაც. ჩიკიტა ესპანია დაი-
შეუფერხებლად გადავიდა გენუადან ბარსელონაში. პირინეის ნახე-
ვარმა კუნძულმა, რომელიც ექვსიოდე თვის წინად ვართული იყო
ლუბა.



ტორრიდებით და „ხუნტამით“, — დაივიწყა ყველაფერი, ისევე, როგორც დაუსახლებელი, გახუნებული და მიტოვებული იყო. მხოლოდ მის შორის არ ვრცელდებოდა „ჩიკიტა“ ჩვეულებრივი სისწრაფით; მათი რაზმები პირინეიდან სამხრეთისაკენ გადმოსახლდნენ და ანდალუხიაში დახეტიალობდნენ. იკვებებოდნენ ლელვით და ხმამალა გაჰკიოდნენ ჯორებივით.

ჩიკიტა არ გადავიდა პირინეის იქით, და ფელიქს ბრანდევოს მშვენიერ სამშობლოს კიდევ ერთხელ შეეძლო ეამაყა თავის უკვდავებით.

ენს ბოოტი ამიენში იყო. ის ბევრ რამეს ათვალთვრებდა, უფქრდებოდა, ანგარიშობდა: მე 5-ე მოქმედებას გული არ უნდა გაეცრუებია პატივცემულ მაყორებლებისათვის.

სალამობით კი, საქმეების შემდეგ, ენს ბოოტი ისევ მოწყენილი იყო. მისი ხასიათი ყოველწლიურად უფრო მეტად იჩრდილებოდა. მრავალმა უბედურმა სანახაობამ გაამკაცრა მისი ოდესღაც ფაქიზი გული. იმ სახსოვარ სალამომდე, როდესაც სამიკიტნო „სასიამოვნო შეხვედრაში“ იატაკის მწმენდავი ჩუგი გაკვირვებული უყურებდა სარკეში თავის გაბუდრულ სახეს, ენს ბოოტს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სათნოება და სინანული. მაგრამ ბ. ფელიქს ბრანდევოს პუდრას ნახვის შემდეგ ენს ბოოტი ერთხელ და სამუდამოდ გაქვავდა. რასაკვირველია, მას ეხლაც შეეძლო სინიორა ლიუჩიას შებრალება, მაგრამ ეს გრძნობა არ უშლიდა მას გამოვეგონა მრავალი ახალი ჩიკიტა.

ეს არც კი ხუჭავდა თვალებს და არც განზე უხვევდა. პირიქით, ენს ბოოტი მოურიდებლად ეჩქარებოდა ყოველთვის იმ მხარისაკენ, რომელიც რიგში იდგა. მას მთლიანი ცნობები ჰქონდა მინისტრების და გენერალური შტაბების ინტიმიური ცხოვრების შესახებ, — ამიტომ არასოდეს არ იგვიანებდა. ეს არ იყო არც ჯალათის მიერ განცდილი სიტკბოება და არც საქმიანი ადამიანის მუყაითობა. ეს იყო მხოლოდ ბედისწერა.

ორი არსება სცხოვრობდა ენს ბოოტში: დიდი ავანტიურისტი, ნაპალეონის მემკვიდრე, იუპიტერის განსახიერება, ევროპის მკვლელი, „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი ემზადებოდა, უბრძანებდა და ოდნავ-შესამჩნევ ღიმილით თვალყურს ადევნებდა შესრულების სისწორეს. ეს იყო ერთი ადამიანი. მეორე კი იყო გრძნობიერი კომივოაჟორი, რომელიც შეყვარებული იყო ვიღაც ფრანგ ქალზე, ასრულებდა ბ. კრიგერის დავალებებს, მიჰქონდა სინიორა ლიუჩიას კალათა, ოხრავდა საყვარელ პიყამაზე და სტიროდა ყოველ მოხერხებულ დროს.

ერთი ადამიანი არ უშლიდა მეორეს. ორივენი სრულიად ერთ-



ნაირად აწერდენ ხელს, როგორც ტრესტის ცირკულიარებს, ^{ენს ბოოტის} ~~სიყვარულო ბარათებს~~ „ენს ბოოტი“.

ენს ბოოტს აკლდა მხოლოდ იდეა. თუნცა, უნდა ითქვას, რომ ენს ბოოტი უიდეოთაც კარგად ასრულებდა თავის გეგმებს. მაგრამ მისი მზგავსი ადამიანები ვალდებულნი არიან იფიქრონ მომავალზე. რა პასუხს გასცემდა ენს ბოოტი XXI საუკუნის ამერიკელებს, რომლებიც ჰკითხავდენ: რად დაღუბე ევროპა? ხომ არ შეიძლებოდა თავის გამართლება გაუგებარი ფრაზებით ლიუსის ქოჩორის შესახებ.

ენს ბოოტს აკლდა იდეა. სრულიად შემთხვევით მიაგნო მას. ეს მოხდა მოსაწყენ და მივარდნილ ამაენში.

სექტემბრის წყნარ საღამოს, წერილების დამთავრების შემდეგ, ენსმა ჩვეულებრივად მოიწყინა. რასაკვირველია მას მოაგონდა იმედის გაცრუება მარკიზ ფერმუჩინის უოთილ პალაცოზე. რადგან ჩიკიტა არ შეეყარა, მან სცადა უფრო ბანალური თავდავიწყება გამოენახა. M-ის ლიუსი ბლანკატუარი აღმოჩნდა სქელა მახინჯი დედაკაცი, ცუდი თმის საღებავით. ენსი შევიდა საუკეთესო საროსკიპოში, რომელიც ეკუთვნოდა ამერიკის ფირმას „კულა და ამხ.“ და მოსძებნა ტანადი ქალი ბუნებრივი თმებით.

ენსი ეძებს თავდავიწყებას.

ენს ბოოტის ეს ექსპედიცია შედარებით კარგად დამთავრდა. მან მიიღო M-ისე ქაულიდან შესაფერო დაკმაყოფილება. მაგრამ ენსის ერთგული და მტკიცე გული მალე ატირდა ძველებურად. m-ისე ქაულის უკვე უდარდელად ეჩინა, ენს ბოოტი კი „ზეფირის“ ქვედა საცვალში და ბადეში თმებისათვის (რომელსაც ყოველთვის იხურავდა თავზე ლამით, რომ თმები არ ასწეწოდა) დადიოდა ოთახში და ოხრავდა:

თავაზიანი და ქერა.

— ლიუსი!... ყველაფერი ეს არა ჰგავს იმას... სად ხარ ფინიკიის ასულო?...

ფინიკიის ასული იყო მის გვერდით და მასში, ხელებს იშვერდა.

— ლოკოკინებით სავსე სამხრეთის ზღვისაკენ, ვერცხლისფერ თევზით სავსე ჩრდილოეთ ზღვისაკენ და თევზებს აბჯენდა ცნობილ ბოდს, რომელზედაც ბელურა იჯდა. მაგრამ ენს ბოოტს არ ახსოვდა ეს. ის ხედავდა „See Star“-ს და გაღესიო წინა კბილებს, რომლებმაც მოკვნიტეს ნუშის ნამცხვარი. ენს ბოოტი დადიოდა ოთახში, მას არ ეძინებოდა.

უცბად საწოლის ქვეშ შეამჩნია დაგლეჯილი წიგნი. ყდაზე აღბეჭდილი იყო ოქროს ასოებით:

ბ.ბ. კლიენტების საყურადღებოდ!
ამ შეტად მეცნიერულ ნაწარმოებში შეფასებული და ნაქებია ჰიგიენური და ესტეტიური დაწესებულება.

ენსი ბოოტს „ხურონიტოს“

ენს ბოოტმა იცოდა, რომ ფირმა „კულა და ამხ.“ სარგებლობდა



და მსოფლიო რესპუბლიკით და მას რეკლამას უკეთებდნენ მსოფლიოში
ნი, და დაამთქნარა: ალბად რამე მედიცინურია...

მაგრამ მაინც გადაუურცლა წიგნი და გადაიკითხა ბოლომდე
ოდნავ ბეუტავ სანაოურის სინათლის ქვეშ უმანკოდ მძინარე მ-ის
ეფულის გვერდით.

ეს იყო ბიოგრაფია დიდი მასწავლებლის ხულიო ხურენიტოსი
1921 წ., ქ. კონოტოპში და აგრეთვე მისი რჩეული ახრები.

ენს ბოოტი რამდენჯერმე თავს ანებებდა წიგნს და ილანძლე-
ბოდა:

— ეს დორბლიანი მხოლოდ ფილოსოფიით იყო გართული რო-
დესაც საჭირო იყო მოქმედება!...

— რა სისულელეა ხეტიალი შვიდ იდიოტთან ერთად!..

— ჩექმებისთვის თავის დაღუპვა! ყოჩაღ ყნაწვილო! ეს იმასვე
ემგვანება, მე რომ თავი მოვიკლა პიტიამისათვის...

მაგრამ ეს საშინელი სიტყვები ნაკარნახევი იყო ნათელ და ნა- უკანასკნელი
ლალ გრძნობებით: ენს ბოოტმა წმინდათ იწამა დიდი პროვოკატო- მოწაფე.
რის მოძღვრება. უფრო მეტი, ის დარწმუნდა, რომ მთელი მისი სი-
ცოცხლე, დაწყებული ლანგაუსის ულვაშიდან და გათავებული ფირ-
მით „კულა და ამხ“. — განხორციელებაა ხულიო ხურენიტოსსაუც-
ხოვო იდეისა.

ეხლა ენს ბოოტმა იცოდა, რისთვისაც გაანადგურა მან ევროპა.

იოლურჯო ფანჯრის წინ „ზეფირის“ ქვედა საცვლებში, აღელ-
ვებული იმეორებდა განსვენებული ბექსიკანელის დაუფიწყარ სიტყვებს:

არა, სიძულვილმა ი არა უდიდესმა უსიყვარულობამ დაა-
ცარიელა ჩემი გული... ის კი მაინც მოვა—საათი თავისუფლების,
აღტაცების, გაგიჟების“.

— რატომ არ იცოცხლე ჩვენ დღეებამდე, მასწავლებელო? —
ჩურჩულებდა ენსი, — მაგრამ დამშვიდდი: 1970 წელს ძეგლს არ აუ-
გებენ შენს მკვლელს. 1970 წლისთვის ევროპაში იქნება მხოლოდ
მაე, კრაზანა და ფრინველთა ჟრიამული.

და ეშმაკური თვალის ჩაკვრით განაგრძო:

— შენც გიყვარდა ის!.. მისთვის დასტოვე შენი ბექსიკა...
როდესაც კონოტოპში კვდებოდი რომელიღაც ჩექმებისათვის, — შენ
ხედავდი ფინიკიის ასულის ნაბიჯს... დამშვიდდი, მე ჩავიგდებ მას
ხელში!...

ეს იყო დიადი წუთი.

რა სცვივა ზოგჯერ ციდან.

საფრანგეთი თითქმის უკვდავი იყო. ყველა ჯერ კიდევ ცოც-
ხალი რანტიორები ითხოვდნენ პანათეონში ჩარიცხვას. მაგრამ ამგვა-



რი განსაკუთრებული გამარჯვება ყოველთვის ახდენს გავლენას სულიერ სიმშვიდეზე, და საფრანგეთიც შეფოთავდა... მან არ დატოვა კიდევ რომელი სახელმწიფო გაენადგურებია. თითქოს ყველა მწიფოები იყვნენ განადგურებულნი. დარჩა უმნიშვნელო ნაწილები.

1935 წ. ბ. ფელიქს ბრანდევომ აღარ იცოდა რა ექნა და გადასწყვიტა დაჩენილ ნაბეჭევების აკრეფაც. შვეიცარია და ბელგია შეუერთეს საფრანგეთს 11 წუთის განმავლობაში. ჰოლანდია არ ემორჩილა დადგენილებას, რომელიც მას გადააქცევდა ერთ დეპარტამენტათ „Dunes“. არქივში ქექვის შემდეგ, ჰოლანდიელ ჟურნალისტებმა დასწერეს ორაზროვანი წერილი თავის ქვეყნის დალუპვის შესახებ. რის იმედი ჰქონდა ამ ხალხს თავის სამშობლოს თავისუფლების გამოსარჩლების დროს, დღემდე გამოურკვეველია ჩვენთვის. შესაძლებელია, რომ მათში ჰღვივოდა ძველი გამოჩენილი მუხლვაურთა სული და ისინი ფიქრობდნენ გამგზავრებას ზღვით სადმე სხვა ქვეყნებში თავის სამშობლოსთან ერთად. ასე თუ ისე, როცა გაიგო ჰოლანდიელების წინააღმდეგობის შესახებ, ბ. ფელიქს ბრანდევოს სერიოზულად ეწყინა. მას არ უნდოდა ომი. კარგა ხანია, რაც ის პაციფისტი გახდა. ამის გარდა ომის გამოცხადება ნიშნავდა სიმპატიურ ამერიკელების სიმშვიდის დარღვევას. ბ. ფელიქს ბრანდევომ გადასწყვიტა მოერიგებია კონფლიქტი შინაურულად.

— მიხედეთ ჰოლანდიას, — უთხრა მან თავის სამხედრო მინისტრს, გენერალ ლეგატს.

— ჰოლანდია? განა რა არის იქ? მთები? ფლოტი? — ჰკითხა ერთგულმა მინისტრმა.

— იქ წვიმაა და ყველი.

— ყველში კი არაფერი მესმის. მაგრამ წვიმა, მაგრამ წვიმა... ნე ყურადღებას მივაქცევ წვიმას..

— ოღონდ, თუ შეიძლება, ჩუმად — გააფრთხილა ის ბ. ფელიქს ბრანდევომ: — არ შეიძლება ამერიკელების წყენა.

ეს საუბარი მოხდა 18 აგვისტოს 1935 წელს. 19 აგვისტოს „Journal des Débats“ სწერდა:

„სრულიად საიმედო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ საფრანგეთის მთავრობა სრულიად მშვიდობიანად არის განწყობილი ჰოლანდიის მიმართ და არ იღებს არავითარ სამხედრო ზომებს. თუ პატარა ჰოლანდიას თვითონ არ ესმის ყველა ეკონომიური და მორალური უპირატესობა საფრანგეთთან შეერთებისა, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ შევიბრალოთ ეს ქვეყანა ყოველ შემთხვევაში, ომი არ იქნება“.

19 აგვისტო 1935 წ. ჰოლანდიას შეუღწია დამშვიდდეს.

— ომი არ იქნება! — გაჰყვიროდნენ გახეთის გამყიდვეები პარიზისა და ამსტერდამის ქუჩებზე.

ისინი მართალნი იყვნენ. ომი მართლაც არ ყოფილა.

მართალია ენს ბოოტი საჩქაროდ გაემგზავრა ჰოლანდიაში. მაგრამ ეს გამგზავრება გამოწვეული იყო მხოლოდ სრულიად კუნძულოვანი სურვილით თავის დედის, ანნა ბოოტის ნაბუისა, რომელსაც გაშორდა სწორედ 34 წლის წინად.

ჰოლანდიაში ენს ბოოტმა ნახა ის, რაც უნდა ენახა, ე. ი. წვიმა და ყველი.

(ფელიქს ბრანდევომ კარგად იცოდა გეოგრაფია).

ენს ბოოტი არსად არ შეჩერებულა, ისე მიაღწია პირდაპირ კუნძულ ტეკსელს. სადღაც მოხდა გრანდიოზული კატასტროფები. დაიღუპა მთელი ევროპა. მუშაობდა „ტრესტი დ. ე.“ აქ კი ზღვის ფრინველები სდებდნენ კვერცხებს და მშვიდობიანი მცხოვრებლები არ ფიქრობდნენ ხალხთა ბედზე და გენრიელ ერბო-კეერცხს შეექცეოდნენ.

დედის მღელვარებით შევიდა ენს ბოოტი უბრალო სახლში. ანნა ბოოტი ლოცულობდა. მალალი ენსი დაეცა მუხლებზე და კოცნა დაუწყო დედის გაყვითლებულ, ნაოჭიან ხელებს. როდესაც 38 წლის წინად მან ლანგაუსტის უღვაში გადაყლაპა, ძალიან სტკიოდა მუცელი და მაშინ მას დედა ანუგეშებდა. ეხლა, როდესაც III-ის ლიუსიმ ბლანკაფარის ლალატი და ევროპის დაღუპვა განიცადა, მას სჭირდებოდა ისევე დედის ნუგეში.

ანნა ბოოტის კაბას ასლიოდა საპნის ფხვნილისა და თევზის სუნნი, და ენს ბოოტს გაახსენდა ბავშობა. „ტრისტ დ. ე.“-ს დირექტორმა თავის თავი პატარა ბავშვად იგრძნო.

ანნა ბოოტს ხელიდან ვაჟვარდა პლასტირი. შემოსული ახალგაზდა ყმაწვილის სახემ მოაგონა მას ახალგაზდობაში ჩადენილი მძიმე ცოდვა.

— ღმერთო მაპატიე და შემინუყალე! — წაიჩურჩულა მან.

— დედა, მე შუნი შვილი ენსი ვარ!

— სიცრუეა! შენ მაცდური ხარ, — უპასუხა ანნა ბოოტმა უნდობლად. ენსმა აჩვენა ხალი თავის მუცელზე და აგრეთვე თავისი პირადობის მოწმობა. მაშინ მოხუცი ატირდა და კოცნა დაუწყო ენსის დაბლვერილ და გამხდარ სახეს.

წვიმდა. ერთი საათის შემდეგ ანნა ბოოტმა გადახედა შვილის მდიდარ ტანსაცმელს და მღელვარებით ჰკითხა:

— რითი სცხოვრობ, ენს?

„ტრესტი დ. ე.“-ს დირექტორს არ სურდა დედის წყენა და გულგრილად უპასუხა:

— მე ვიყავი მასაჟისტი და მონადირე. ეხლა კი პატარა ბიურო მაქვს დასამარხი პროცესიებისა.

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ენს ბოოტს თვალები უთამაშებდა. დედის გული შორსმჭვრეტია. ანნა ბოოტმა უთხრა შვილს:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ მე ნატყუებ, ენს? იქნება შენ ქურდ-ბაცაცა გახდი, ან და, ღმერთო შეგცოდე, კაცის მკვლელიც, კი?

ანნა ბოოტი ტიროდა. სწვიმდა.

ენსს უნდოდა გამომტყდარიყო დედასთან ყველა დანაშაულობაში, ჩაწოლილიყო ბავშვის საწოლში, შეეჭამა ზღვის ფრინველის მაგრად მოხარშული დიდი კვერცხი და სამუდამოდ დაეძინა. მაგრამ დასძლია ამ ბუნებრივ სურვილს.

დღისით მომხდარ ამბებით დაღლილ ანნა ბოოტს საღამოთი ჩაეძინა სავარძელში. ენსი გამოვიდა სახლიდან: ისევ წვიმდა. თუმცა ამ მხარეში ზოგჯერ სამი თვე სწვიმს განუწყვეტლივ, და წვიმამ არ გააკვირვა ენს ბოოტი. მან დაინახა უცნაური სანახაობა: მთელი ნაპირი დაფარული იყო ზღვის ფრინველთა გვამებით. ისინი სცვიოდნენ ზეციდან ენსის თვალწინ, სცვიოდნენ ქვებით.

ფრინველები
იხოცებიან.

როდესაც ენსი დაბრუნდა, დედას გამოელევიდა კარების კრილისაგან. ენსმა განუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი:

— დედა, მთელი ნაპირი დაფარულია მკვდარი ფრინველებით. ისინი ზეციდან სცვივიან. რას ნიშნავს ეს?

ანნა ბოოტმა ისევ ტირილი დაიწყო:

— ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უბედურება შემოიტანე ჩემ სახლში. აქ არასოდეს არ იხოცებოდნენ ფრინველები. შენ ჩემი შვილი კი არა, ქაჯი ხარ!

ენს ბოოტი, „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი, დედის სიტყვების გაგონებაზედ აკანკალდა, როგორც ბავშვი, რომელსაც საშინელი ზღაპარი უამბევს. ცრუმორწმუნეობის შიშმა აიტანა ის. შეიძლება მან, ყველას მიერ დაწყევლილმა ადამიანმა, მართლაც უბედურება შემოიტანა მოხუცი დედის ოჯახში.

ენსი თრთოდა. დედა ტიროდა. სწვიმდა.

— კიქა წყალი მომაწოდე—სთქვა ცრემლიანმა ანნა ბოოტმა,— ქაჯო, მომაწოდე წყალი! იცოდე, არ მომატყუო! ქაჯური საწამლავი კი არა, წყალი მომაწოდე.

ენსი ეზოში გავიდა, დაატრიალა კის ბორბალი და მოუტანა დედას ერთი ჭიქა ცივი წყალი.

— დალიე, დედა—უსაზღვრო აღერსით სთქვა მან. ხელები ისევ უკანკალეზდა. ანნა ბოოტმა მოსვა ნახევარი. ჩუმად იჯდა სავარძელში. ნახევარი საათის შემდეგ სახე საშინლად დაელრიჯა. კიქა გაუფარდა და გატყდა. გული აერია,— შენ მომატყუე, ენს! დედა შენს შხამი მიეცი!..

კიქა წყალი.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ანნა ბოოტისა.

დედა კვდება.

ენსი თრთოდა. ენსი შირბოდა. ენსი ყვიროდა მკვდარ ფრინველებით მოფენილ უდაბნო კუნძულზე:

—ო! ო! ო!

რომელიღაც შეთევვებმ გადაიყვანა მატერიკზე. არ უპასუხებდა კითხვაზე. არც ხალხს ხედავდა. მის წინ იდგა დედის შეშინებული თვალები და ჭიქა სუფთა წყალით.

გარშემო იხოცებოდნენ ხალხი და მზეცები, იხოცებოდნენ სოფლად და ქალაქად. პოლანდია, რომელმაც უარი სთქვა საფრანგეთთან შეერთებაზე, კვდებოდა კლაკვნიტ და დორბლიტ ტუჩებზე.

უტრეხტში ახალგაზრდა ვილჰელმინა მაისტროტი ზღაპარს უამბობდა თავის ქალიშვილს, მშვენიერ დელის:

—...და ციდან ჩამოვარდა ცისფერი ვარსკვლავი...

— დედა, განა ვარსკვლავები ციდან სცვივა?

— სცვივა, შვილო, სცვივა, დელი. ზეცაში ღმერთია. ციდან ყველაფერი შეიძლება რომ ჩამოსცვივდეს...

და, ზღაპრის გათავების შემდეგ, დედამ დააღევიანა დელის წვეთები, დელის ცოტა ახველებდა. ხუთი წუთის შემდეგ ბადიან საწოლში იღო მოკრუნხული პატარა გვამი.

ციდან წვიმის წვეთები სცვივოდა. ენს ბოოტი წვიმით გაჟღენთილ მინდვრებზე დარბოდა, მიწაზე ეცემოდა, ისევ დგებოდა, ისევ დგებოდა, ისევ დარბოდა, დარბოდა და ყვიროდა:

— ო! ო! ო!

ამ შემთხვევაში ენს ბოოტს მართლაც რომ შეუძლებელი რამ სურდა: მას უნდოდა თავის თავს გაქცეოდა.

ორი კვირის შემდეგ პოლანდიაში აღარ იყო ხალხი. ისევ სწვი- არ არის ხალხი.

მდა. საწიკობებში ელაგა შეუჭმელი ყველების მთელი გროვა, ბ. ფელიქს ბრანდევოს ქალაქებს შორის შენახულია პატარა წერილი:

„300 გერმეტიული აპარატი... ღრუბლებში, როდესაც წარმოიშობა... გაუღენტა გოგირდის ანგიდრიდით... 6 დღე“.

მაგრამ სხვისი წერილების კითხვა, რაც უნდა იყოს, სირცხვილია. ომი არ იყო. ამერიკელმა პაციფისტებმა გაუგზავნეს ბ. ფელიქს ბრანდევოს მისალმება და ბითუმი ოქროს ნტრედი.

26.

„ასი „აზრო“ და მალე“

22 მაისს 1937 წელს პერპინიანის ლობეებზე გააკრეს მშვენიერი სამფეროვანი აფიშები: 22 მაისი 1937 წ.

„ძვირფასო მოქალაქენო!

მამული განსაცდელშია!

დაწყებული 1936 წლის აპრილიდან სამოქალაქო აქტების სააღწერო განყოფილებას არ აუყვანია აღრიცხვაზე არც ერთი შემთხვევა დაბადებისა ქ. პერპინიანში.

რა მოყვა 20 წლის შემდეგ მშვენიერ პერპინიანს? ვინ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნების დროს? ვინ იკითხავს მშვენიერ გაზეთს „L'Aube de Perpignan“-ს? ვინ დალევს საუცხოოდ მომზადებულ აპერიტივებს?

მოქალაქენო, გონს მოდიო!

ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მისცეს 100 ოქროს ფრანკი და საპატრიო დიპლომი მოქალაქეს, რომელიც იმის უნაზს გამოიჩენს, რომ მამა გახდეს. საზეიმო აქტისთვის მიჩენილი იქნება მუნიციპალიტეტის დიდი დარბაზი. გადაწყვეტილებას გამოიტანს ქაური, ქალაქის ექიმ დ-რ ლიკიკოს თავმჯდომარეობით. კანდიდატები უნდა ჩაეწერონ მდივანთან.

იჩქარეთ, ძვირფასო მოქალაქენო!

იჩქარეთ, სანამ გვიან არ არის!

ჩვენ გეწამს თქვენი მამაცობა!

ქალაქ პერპინიანის მერი
ალფონს მერდო.

დილიდან საღამომდე აფიშებთან თავს იყრიდენ III-ე მერდის ძვირფასი თანამოქალაქენი.

— სწორედ 270 დღის შემდეგ პერპინიანში დაიბადება არა ნაკლებ 10.000 ბავშვისა — თავს იწონებდა ახალგაზდა და მშვენიერი ნოტარიუსი III-ე ბალიე — მე არ მიუღივარ ჩასაწერად, მხოლოდ იმიტომ რომ ჩვეული არა ვარ რიგში ჩადგომას — დღეს კი იქ აღბად ტევა არ იქნება.

მაგრამ III-ე ბალიე სცდებოდა. მერიის მდივანი მთელი დღე უნუგეშოდ იყურებოდა ფანჯარაში. მოედანზე ქორწინდებოდნენ ძაღლები. მხიარულად ყეფდნენ. მდივანი ამოქნარებდა. არც ერთი კანდიდატი არ გამოცხადდა.

ჩვენ ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ მან შემცდარი დასკვნა არ გამოიტანოს, თითქოს პერპინიანი გამონაკლისს შეადგენდა სხვა ქალაქებიდან თავის გარყვნილებით და ამიტომ დაისაჯა. არა, მთელ საფრანგეთში შენიშნავდით მაგგვარ მოვლენებს:

- 1) აბსოლიუტური უმუშევრობა ბებია-ქალების შორის,
- 2) სიჩუმე ქალაქის ქუჩებზე. რადგანაც სრულიად არ სჩანდა არცერთი მცირე წლოვანი მოქალაქე,
- 3) ყველა პირველდაწყებით სასწავლებლების გადაკეთება საცეკვაო სასწავლებლებად მოზრდილთათვის,
- 4) სისტემატიური თვითმკვლელობა ბავშვების სათამაშოების ფაბრიკანტებ შორის და სხვა.

ისტორიკოსი — შორცხვი ქალწული არ არის. ის მოვალეა დაუზოგავად ახადოს ფარდა, რომელიც ჰფარავს წარსულ წლებს და მისი ბრალი არ არის, თუ წარსული ცხოვრება არ ეთანხმება სიკეთის და



ზრდილობის მაღალ აღთქმებს, ჩვენი მოვალეობაა — გამოვავლინოთ მიზეზები, რომლებმაც მიიყვანა საფრანგეთი ამ არანორმალურ მდგომარეობამდე.

უპირველეს როლს მათ შორის თამაშობს, რასაკვირველია, ომი. 25 წლის განმავლობაში საფრანგეთი თითქმის შეუჩერებლად ომობდა. მას იარაღ ქვეშ ჰყავდა მილიონობით მოქალაქენი. 15 წლის ბავშვები მობილიზაციით გაწვევის შემდეგ მოკლე ხანში იხრწნებოდნენ. ინტენდანტურ სამმართველოს დავალებული ჰქონდა მიეწოდებია ჯარისათვის 4.800 მუდმივი, ძირითადი, და 17.600 მოძრავი საროსკიპოების შევსება ქალებით. ადვილად წარმოსადგენია, როგორი გავლენა მოახდინა ამან მცხოვრებთა სანიტარულ მდგომარეობაზე. უკვე 1935 წელს სტატისტიკა აჩვენებდა დაბადების შემცირებას 48% -ით.

ამ დროს გამოჩნდა გადასარჩენი წამალი. ქიმიურ ნაწარმოებთა ფაბრიკის „დ. ე.“ პატრონმა გამოუშვა გასასყიდათ მოოქროვილი პილანულები „აფროდიტი“. ეს წამალი წარმოადგენდა ეთერის ნივთიერების და მარცვლების ნაქაჩის შერეულ ნივთიერებას. ერთ და იმავე დროს ის ემსახურებოდა სამ მიზანს: სძლედა დაწყველილ მორცხვობას, ხელს უშლიდა მცხოვრებთა გამრავლებას ე. ი. ბიუჯეტის დატვირთვას და, როგორც ყოველივე ნარკოზი, ამხიარულებდა გულს. ფაბრიკა „დ. ე.“ ვერ ასწრებდა დაკვეთების შესრულებას. მოკლე ხანში მისი მფლობელნი ყველაზე უფრო მდიდარ ადამიანებს წარმოადგენდნენ მთელ საფრანგეთში. რაც შეეხება საზოგადოებას, მან მეტად შეიყვარა „აფროდიტინი“ და გამოთქმის გასაადვილებლად ეძახდა უბრალოდ — „აფრო“.

„აფროს“ დაბადება.

პილანულები, როგორც მოვიხსენიეთ, მოოქროვილი იყო უვნებელ ბრინჯაოს ფხვნილით და ლამაზად შეხვეული. პატარძლები თავის საქმროებს უძღვნიდნენ კოლოფებს პილანულებით. მზრუნავ სიდედრებს დილით ბაზარზე სანოვავის საყიდლად წასვლის დროს არ ავიწყდებოდათ „აფროს“ ყიდვაც. კაფეებში მოახლეები როგორც კი დაინახავდნენ შემოსულ ქალ-ვაჟს, იმ წამსვე უყვიროდნენ დახლიდარს:

ორი პიკონ კაჟურასო — ორი! ერთი „აფრო“ — ერთი!

ჯარისკაცებმა, ქალაქის ცივილიზაციის ამ მუდმივმა მატარებლებმა, სოფლის მცხოვრებლებსაც გააცნეს „აფროს“ სიტკბოება. ყოველ პატარა დუქანში, სადაც ვაჭრობდნენ ბრეტანიის მეთევზეები და საუოჯის მწყემსები, შეიძლებოდა გეყიდათ სანიტარული პილანულები.

ბ. ფელიქს ბრანდევის მთავრობა, გართული სხვადასხვა სახელმწიფოების განადგურებით, და აგრეთვე უკანასკნელი კომუნისტების მოსპობით, არ ერეოდა თავის მოქალაქეთა ინტიმურ საქმეებში. როგორც მკითხველები ხედავენ, ეს მეტად ლიბერალური მთავრობა იყო.

„აფრო“ ნამდვილ გმირად გადაიქცა.

მასზე სწერდნენ დიდ სამეცნიერო ტრაქტატებს. მასზე გა-

„აფრო“ — გმირი.



ზოსთქვეს უწმაწური შაირები, 1936 წლის განწავლობაში 14.000.000 კოლოფი.

გაიყიდა ქართული წიგნების კოედაზე

ქიმიური ფაბრიკის „დე“-ს აქციონერთა წლიურ ისწოდა მხოლოდ ერთი სიტყვა:

— ტრიუმფი!..

აქციონერებმა გულითადი მადლობა გამოუცხადეს ფაბრიკის ახალ დირექტორს, ბ. ენს ბოოტს, რომელმაც შეიძინა პატენტი საუცხოვო „აფრო“-ზე. ბ. დირექტორი მეტად ნასიამოვნები დარჩა.

ამ დროსთვის უკვე საკმაოდ აშკარად გამოირკვა ახალი, ჯერ უცნობი თვისებები საზღაპრო წამლისა. „აფროს“ 3-4 კოლოფი ახალგაზდა, მაგარ მამაკაცს ჰქმნიდა ყველაზე უფრო აღმასრულებელ ვენუქად (დაკოდილ კარის კაცად). აფრომანები ჯერ გრძნობდენ მხოლოდ სისუსტეს და თავის ტკივილს. ბევრი აღწევდა 8 და 10 პილაურამდისაც კი. და ბოლოს ნარკოზი აღარ მოქმედობდა და ის, ვისაც ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მის სასიამოვნო გავლენას განიცდიდა, იძულებული ხდებოდა დაეტოვებია ბრძოლის ველი.

იმის შემდეგ, რაც ყველა მინისტრებმა, მინისტრების შეილებმა, მინისტრების ძმისწულებმა და ზოგიერთი მინისტრების შვილი-შვილებმაც კი გამოსცადეს თავის თავზე „აფროს“ გამანადგურებელი მოქმედება, მთავრობა, დაბოლოს, დაინტერესდა მისი წარმოებით. ლილლში, სადაც მოთავსებული იყო ფაბრიკა „დ. ე“. ჩავიდა რესპუბლიკის მთავარი პროკურორი. მან შეიტყო, რომ ფაბრიკის დირექტორი, ბ. ენს ბოოტი, წინა დღით წავიდა სადღაც.

„აფროს“ დამზადება აკრძალეს; დამრღვევი უნდა დასჯილიყო სიკვდილით. სამწუხაროდ ეს ზომა დაგვიანებული აღმოჩნდა. მთელ საფრანგეთში 20.000 მამაკაცსაც კი ველარ მონახავდით, რომელთაც არ განეცადათ სიტკბოება და იმედის გაცრუება „აფროს“ მიღების შემდეგ. ფრანგი მამაკაცების უმრავლესობა შეუროგდა თავის ბედს.

„აფროს“ აკრძალვა.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ფრანგ ქალებზე. მათ შორის გავრცელდა ფსიქიური ავადმყოფობანი. სამწუხარო საავადმყოფოები გადააქციეს სულიერ ავადმყოფთა საავადმყოფოდ. უფრო გაბედული ქალები გარბოდენ სახლებიდან და რესპუბლიკის საზღვრებთან ელოდდენ დაბინდებას. სადარაჯო რაზმებს ბრძანება ჰქონდათ ესროლათ ყველასათვის, ვინც კი საზღვრის გადასელას დააპირებდა. ღამით თავგანწირული მგზავრი-ქალები სცოცავდენ ღრმა ღეღეებში. ბევრი მათგანი იღუპებოდა. ვინც საზღვარს გადავიდოდა შიშვლდებოდა, წვებოდა მიწაზე და ველურ მამაკაცებს მოელოდა. საქმე იმაშია, რომ მთელ საფრანგეთში გავრცელებული იყო თქმულება მშვენიერი ბარბაროსების შესახებ, რომლებიც იტაცებდენ ქალებს. ნართლაც უდაბნოში მოხეტიალე ადამიანები—ბასკები, ლიგურიელები ან შვაბები ზოგჯერ აჯილდოვებდენ ფრანგ ქალებს მათი ქეშმარიტი გმი-



რობისათვის. მაგრამ უმრავლესობა ილუპებოდა სიცივისა და მხეცე-
ბისაგან, რომლებიც ისე გათამამდნენ, რომ საფრანგეთის სასწრაფო
კი უახლოვდებოდნენ.

ასეთი იყო მდგომარეობა 1937 წლის დასაწყისისათვის. „აფრომ“
სავსებით გაამართლა იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდა „დ. ე.“
ფაბრიკის შრომის მოყვარული დირექტორი.

1937 წ.

დეპუტატთა პალატაში შეტანილი იყო სასწრაფო კანონპროე-
ქტი საფრანგეთში 200.000 ზანგის გადმოყვანის შესახებ კოლონიე-
ბიდან. განზრახული იყო ამ ველურთა ენერჯის გამოყენების შემდეგ
მათი შეგროვება რესპუბლიკის ერთ-ერთ განაპირა ადგილას და იქ
ერთად მოსპობა, რათა მათ არ გამოეწვიათ თეთრ-კანიანი ქმრების
გალიზიანება ეჭვის გამო. ამ კანონპროექტს დიდი წინააღმდეგობა
გაუწიეს აკადემიის წარმომადგენლებმა. „უკვდავები“ ირწმუნებოდნენ
რომ ახალი თაობა არ იქნება წმინდა თეთრი ფერისა და ამაში ხე-
დავდნენ ძველი ლათინური რასის ტრადიციების დარღვევას. პირი-
ქით პროგრესიული წრეები სიხარულით შეხვდნენ ფერის გამოცვლას.
კაბარეში მღეროდნენ სიმღერას, რომელიც შეთხზული იყო რესპუბლი-
კაზე:

ზანგების
იმპორტი.

— „მარიანა! მარიანა!

შენ ხომ რძით ყავა იქნები“...

კანონპროექტი უარყვეს 316 ხმით 174-ის წინააღმდეგ.

(316 „ტრადიციული“ დეპუტატი ცოლიანები იყვნენ, 174-კი
თავისუფლად მოაზროვნე უცოლონი).

ამის შემდეგ ახლად დაარსებულმა სახალხო გამრავლების სამი-
ნისტრომ მიმართა წინადადებით ცალკე ქალაქების პრეფექტებს და
მერებს, რომ მათ შესაფერი შეჯიბრებები დაენიშნათ.


მინისტრის ცირკულიარის წაკითხვის შემდეგ, ჟ. პერპინიანის
მერმა, III-რ მერდომ, შეადგინა გრძნობიერი აფიშა, რომლის ტექსტიც
ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ამ თავის დასაწყისში.

ეს პირველი შეჯიბრება იყო და მთელი საფრანგეთი სულგა-
ნაბული აღევნებდა თვალუფრს მის შედეგებს. პერპინიანში ჩავიდნენ
სპეციალური კორესპონდენტები პარიზის ყველა ცნობილი გაზეთებისა.

გაზეთ „Petit Journal“-ის წარმომადგენელმა, III-რ გროპეტმა,
რათა თავის კოლევებისათვის დაესწრო, სადგურზევე შეთხზა პირ-
ველი დეპეშა:

„კანდიდატების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ქალაქის საბჭო-
სთან სამხედრო ძალები და ცეცხლის მურქვეველი რაზმი იცავენ
წესიერებას. კანდიდატთა რიცხვი აღემატება 20.000-ს. საუცხოვო
ამინდი ხელს უწყობს ამბებს“.

ამის შემდეგ III-რ გროპეტმა გაიპარსა, ისაუზმა და გაეწურა
მუნციპალიტეტის შენობისაკენ. მდივანი ფანჯარასთან იჯდა და



ამოქნარებდა. კანდიდატების ჩასაწერად მომზადებული დიდი ცელი ქალწულივით სუფთა იყო.

სიმონოვიჩი

M-რ გროპეტმა შეადგინა მეორე დეპეშა:

„მდგომარეობა ცოტათი გართულდა, უცხოელთა ინტრიგების გამო. შეიპყრეს ჩიტინელი ჯაშუშები; ამინდი ძველებურად ხელს უწყობს. საფრანგეთი გაიმარჯვებს! On les aura!..“

M-რ მერდომ უბრძანა ყველა მოხელეებს თავი გაენებებიათ გმირს და-საქმისათვის და მოენახათ ერთი მამაკაცი მაინც, რომელსაც არასოდეს არ მიეღო „აფრო“. მოხელენი დარბოდენ, ოფლში იწურებოდენ, ოხრავდენ.

M-რ გროპეტი აცნობებდა ტელეგრაფით:

„გამარჯვებისათვის საჭიროა მაგარი ნერვები“.

შესაფერი მამაკაცი არ სჩანდა.

დაბოლოს, 29 მაისს, მერიის მოხუცმა დარაჯმა, ლეონმა, მოი-გმირი მო-ყვანა სასიამოვნო შესახედავი, მორცხვი ყმაწვილი, რომელიც განმარ-ნახეს. ტოებით სცხოვრობდა დიდუდასთან, სთესდა კარტოფილს და ლობიოს, მას სწამდა ღმერთი და არასოდეს არ ენახა გაოქროვილი პილდულები. ეს მართლაც რომ შემთხვევითი სიხარული იყო. M-რ მედრომ მიიკრა ყმაწვილი სამფეროვან შარფით შემორტყმულ მუცელზე და პატრიოტული ცრემლების ნიაღვრით დანაშა:

— შენ ხარ შარლემანი, ჟანა დ'არკი, დანტონი, შენ ხარ ბატონი ფელიქს ბრანდევი, — უჩურჩულებდა აღელვებული M-რ მერდო მორცხვ ჭაბუკს, რომელსაც აქამდე პოლ პტის ეძახდენ.

ამბების დანარჩენ აღწერას ვანდობთ M-რ გროპეტის პოეტურ კალამს:

მეოთხე დეპეშა:

„პოლ პტი მშვენიერი და თამამია. მისი საცოლე, M-რ მერდოს ქალიშვილი, ყველაზე ლამაზი და პატიოსანი ქალიშვილია მთელ ქალაქში. პერპინიანის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვა ქალაქებშიც. ჩვენ დავიპყრობთ მთელ ქვეყანას! შემჩნეულია ამერიკელი ტურისტების მასიური ჩამოსვლა. სასტუმროები გატენილია“.

მეხუთე დეპეშა:

„ქალაქის საბჭო მორთულია დროშებით და ელნათურებით. მოედანზე მახარებელი მოქალაქენი იყრიან თავს. მოწყობილია სახალხო გასართობები: საქანელა და მიზანში სროლა. პავილანონაში სამხედრო ორკესტრია. პატარძალი უკვე დარბაზშია. პოლ პტი საუზმობს; ექიმები თვალყურს ადევნებენ“.

მეექვსე დეპეშა:

„პოლ პტიმ შეჭამა ორი მაგრად მოხარული კვერცხი, ხალი და კატლეტი დ,-ვოლაჲ, დალია ერთი ტიქა მინერალური წყალი. ორკესტრი ტუშს ასრულებს“.



მეშვიდე დეპეშა:

„პოლ პტი მიპყავთ. სავსებით გასაგები მორცხვობის შემთხვევაში რეგულაციები უარზეა“.

მერვე დეპეშა:

„პოლ პტი ჩამოჯდა კიბეზე და ითხოვა ნებართვა ერთი პაპი-როსის მოწვევისა. ორკესტრი ასრულებს „ტოორეადორს“.

მეცხრე დეპეშა:

„პოლ პტი ისევ ზის, ამინდი ხელს უწყობს. პერპინიანში მშვენიერი საქანელაა. შეიპყრეს ჩიტინელი ჯაშუში“.

მეათე დეპეშა:

„ალტაცება! ელლანდ! გალიის მამალი! პოლ პტი შევიდა დარბაზში. შესავალი დაბეჭდილია. ხალხი მოწიწებით სდუმს ევოე!“.

„Petit Journal-ის რედაქციაში ტყუილად ელოდენ გველაზე უფრო მნიშვნელოვან, ნეტერთმეტე დეპეშას. ის აღარ მიუღიათ. კალამმა უღალატა III-F გროპეტს. მან ვერ შესძლო საზეიმო ღამის ფინალის აღწერა.“

სწორედ 12 საათზე, როცა ორკესტრი ასრულებდა „მარსელაშას“, დარბაზის ფანჯარაში გამოჩნდა საცოდავი სახე პოლ პტისა. ქაბუკმა, რომელიც უნაყოფოდ შეეცადა არა მხოლოდ დაბეჭდილ, არამედ მაგრად ჩაკეტილ კარების გატეხასაც, გადასწყვიტა ნივარდნოდა ფანჯარას. ის მწარედ სტიროდა, და ქვითინთან ერთად მოისმოდა სიტყვები:

— ასი „აფრო“ და მალე!

მაგრამ ვერც ერთი „აფრო“ ვეღარ უშველიდა საფრანგეთის ამ უკანასკნელ გმირს.

27.

„საპიროსა ძალის გაპარსვა“

„ტრესტ დ. ე“-ს მიერ წარმოებულ ყველა ოპერაციების შორის ყველაზე უფრო საიდუმლო ჩვენთვის არის განადგურება იმ ხალხების, რომლებიც სცხოვრობენ სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ჩვენ დრომდე ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ შესძლო გაეშუქებინა ეს, თუმცა მეორე ხარისხიანი, მაგრამ მაინც საკნაოდ საინტერესო საკითხი. აიხსნება ეს არა სკანდინავიის ოპერაციის რაიმე განსაკუთრებული სირთულით, არამედ მხოლოდ სამწუხარო შემთხვევით. როდესაც 2004 წელს იპოვეს „ტრესტ დ. ე“-ს საიდუმლო არქივი, შიგ აღმოჩნდა საქმე № 18621, რომელიც შეიცავდა ყველა დოკუმენტებს 1938 წელს მომხდარ ამბების შესახებ. არქივი ინახებოდა მისტერ ტვაივტის ცეცხლ-მიუკარებელ საღაროში. ჩვენ, მაშასადამე არ შეგვიძლიან ვჭვი მივიტანოთ არც ქურდებზე და არც თაგვებზე. არა, ერთად ერთ დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს განსვენებული მი-



სტერ ტვაივტი, რომელსაც უყვარდა დრო გამოშვებით გრძნობიერ და სამაგალითო დოკუმენტების გადაფურცვლა. ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ გაისკირნა მებოსტნეთა საზოგადოებისაკენ, მისტერ ტვაივტიმა თან წაიღო საქმე № 18621 და სახლში კი ცარიელი დაბრუნდა. ამგვარივე უსიამოვნო ამბები, რომელთა მიზეზიც გულმავიწყობაა, ხშირად ხდება საუკეთესო სახლებშიაც. მაგრამ, ვაი რომ მისტერ ტვაივტის ამ გულუბრყვოლო მოქმედების გამო ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, რომ სავსებით ავწეროთ სკანდინავიის დაღუპვა.

ჩვენ ხელთაა მხოლოდ რ დოკუმენტი, რომელნიც მთლიანად მოგვეყავს.

1. **ენს ბოოტს უბის წიგნაკი**, შავი კლიონკის ყდით. მე-41 გვერდზე ჩაწერილია მელნის ფანქარით:

26 ნოემბერი 1936 წელი. დღეს ვნახე „ბრანდ“ პროვინციელი და სულელი. ნაღები და დო. შეურიგებლობა კანონიერი ცოლის წინაშე. სხვათა შორის, მომავლენა: საჭიროა ძალის გაპარსვა. № B!

26 ნოემბერი 1936 წ. № B.

II. დეპეშები ამერიკის სხვადასხვა გაზეთებში 1938 წლის მარტში სტოკჰოლმიდან, კოპენგაგენიდან და ქრისტიანიიდან.

1938 წ. მძინარეობის სენი.

„შენიშნულია მძინარეობის სენის შემთხვევები. მიღებულია ზომები“.

„დანის სახლვარზე დაწესებულია კარანტინი“.

„სკოლებში სწარმოებს აცრა“.

„სპეციალისტების აზრით, მძინარეობის სენი წინადაც იყო შენიშნული, მაგრამ ასეთი ფართო ხასიათი არ ჰქონია. 1922 წელს ნაუ-იორკში და მოსკოვში იყო იოლი ეპიდემიები“.

„სიკვდილის შემთხვევები მატულობს“.

„ამერიკის მთავრობამ აუკრძალა ყველა გემებს სკანდინავიის ნავთსადგურებში შესვლა“.

„ეპიდემია საშიშ სახესღებულობს“.

„საფოსტო კავშირი შეწყვეტილია“.

III. დანიის მხატვარის იოჰანს ოლსენის წერილები ქ-ნ გაბრიელი ბონოსთან პარიზში.

წერილი პირველი:

„მე გწერ, გაბრიელ, „ტივოლი“-დან. ამ სკამზედ ვიჯექი ოდესღაც შენთან ერთად. გახსოვს, პატარა კიოსკის უკან? შენ მაჩვენებდი ქერა ხელთათმანებს, მათ ისეთი ჯინჯილები ჰქონდათ, როგორც პუმას ყურები. მე მინდოდა მაშინ შენი დახატვა მწვანე ჯემპერში. ბავშვები ყვიროდნენ. ეხლა აქსიჩუმეა. მეზობლად სკამზედ ზის ახალგაზდა ყმაწვილი; ხელში ტენისის შუშხუნა უჭირავს. ის წამდაუწყუმ პირს აღებს. მაგრამ არ გეგონოს, რომ მღერის ან ყვირის, არა ეს იგივეა, რაც იყო მწვანე, შუშის, წყლიან კოპენგაგენში: ის ამ-“



თქნარებს. მაშასადამე ერთი კვირის შემდეგ ნილაბაფარტობები ქაჩი ტარები წაიყვანენ მას კრემატორიაში. თუმცა, სანიტარებმა დაიწყეს ნებათ. იცი, გაბრიელ, რა არის ძილი? მსუბუქი, მზგუტაფი, მოთეთრო, როგორც ეს ძალაქი. როდესაც თვალები გიჭრელდება და პაპიროსი გივარდება ხელიდან. ახ, ძილი, ძილი!.. ჩენო პატარა გოგო, რომ იცოდეს, როგორ მეძინება!..

მაგრამ არ შეგეშინდეს. მე სრულიად ჯანსაღია ვარ. მე შემიძლია სირბილი და ტირილი. მე შემიძლია სიყვარული უფრო ძლიერ, ვიდრე წინად. დავდივარ ნავთსადგურის ცარიელ არხების გვერდით. ჩრდილოეთის ზღვა ნესტიანია და ჩუმი. მე დავეძებ შენს ტუჩებს, შენს მშრალს და მწარე სამხრეთის ტუჩებს, გაბრიელ! გადავწყვიტე ყველაფერს თავი დავანებო. შენთან მოვალ. ამბობენ, რომ ძნელია მანდამდე მოღწევა. მაგრამ ეს სისულელეა. მე შენთან უნდა ვიყო. გახსოვს ვისბერგის ღამეები, როდესაც ციდან საყვირის ხმა მოისმოდა და სცვიოდა ვარსკვლავების ოჭროს ხროვა. მე მაშინვე მივხვდი: მხოლოდ სიყვარული კი არა სხვაც. ჩვენ თუ არა, მაშ სხვა ვინ?.. კაცი შუშხუნით მალე დაიძინებს. ყველას დაეძინება, მხოლოდ ჩვენ უნდა განვაგრძოთ... არა, მე არ მეხერხება ამ საგანზე წერა. გეტყვი როდესაც შეგხვდები, ვარდის ფერ ყურში ჩაგჩურჩულებ. გაბრიელ, დავარქვათ მას „სანდრო“!..

„დღეს არ დავწვები დასაძინებლად. ფხიზლად ვიქნები. მაკოცე, გაბრიელ!“

წერილი მეორე:

„გაბრიელ, მე მოვდივარ შენთან. მთელი დღე ვებრძოდი წყლის ამ ყალბ სუნთქვას. წარმოიდგინე—ზღვაც კი ამთქნარებს. იენისია, თეთრი ღამეები. უნდა შჩქმეტავდე შენს თავს, რომ არ დაგეძინოს. ვიშოვე ნავი. წამოვალ საღამოზე. მესმის პარიზის ხმა. Boulevard des Italiens. ფოლადის მწერების ბზუილი. კაფეში ჭიქების წკრიალი. სიცილი. მანდ კაფეები ხომ დილაამდე ღიაა? ოღონდ კი არ დამეძინოს! შენი ტუჩები, გაბრიელ! ოღონდ ნუ დამაძინებ! კიდევ სამი საათი და მე მოვცილდები აქაურ ნაპირებს. შენავეს სძინავს. ნილაბიანი სანიტარები მოვიდენ საბარგო ავტომობილით. თანახლავთ მღვდელი. ის ყოველთვის მათთან ერთად დადის. მღვდელიც ამთქნარებს. შენ ხომ იცი ეს გრძნობა—როდესაც ფეხები სასიამოვნოდ გიცივდება და თავში ვილაც აწვეთებს სქელ, აზელილ თაფლს. არა, ეს—სიკვდილია... გეგედრები, გამაღვიძე!..“

წერილი მესამე:

„საჭიროა აქედან წამოსვლა. არ შემიძლია. დედა აკეთებდა თათლიან ნამცხვარ—სპილო ხორთუმით. ყველაზე გემრიელი ხორთუმი იყო. გახსოვს, როცა გკოცნიდი მხრებზე, შენ გაიცინე: „მე მეძინება“-ო. ძვირფასო, მეც მეძინება! ყველას სძინავთ. გვიანაა. ღა-



მე მშვიდობისა. მე თავზე მადგას ვილაც ნილაბიანი კაცი...
ის არის“..

IV. მძინარეობის სენის აღწერა ჩიკაგოს ჟურნალის „Весь мир“ № 316.

„სიმპტომები: ფერმკრთალობა, სახის სისიენე. თვალებს ბინდი გადაჰკრავს. ზანტი მოძრაობა. მოულოდნელი მძინარეობა. სუსტი მაჯისცემა.

ავადმყოფობის მსვლელობა: ძილი 20 საათამდე დღეში. ავადმყოფობის პირველ დღეებში ავადმყოფებს ელვიძებათ საკმლის მისაღებად.

შემდეგ განუწყვეტლივ სძინავთ.

სიკვდილი გამოწვეულია გულის ცემის შეჩერების გამო სიმსუქნისაგან.

მძინარეობის სენის მიკრობები 14—18 დღის განმავლობაში კუნთების ძაფებს გარდაჰქმნიან ქონად“.

V. ანგარიში ნორვეგიის სტორტინგის უკანასკნელ სხდომის შესახებ 29 ოქტომბერს 1938 წ.

29 ოქტომბერი.
1938 წელი.
უკანასკნელი სხდომა ნორვეგიის სტორტინგისა.

თავმჯდომარე. სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

ხმები. ქვორუმი არ არის!

თავმჯდომარე. 89 დეპუტატი გარდაიცვალა. ფებზე აღგომით პატივი ვცეთ მათ ხსოვნას.

მარცხნიდან. მარჯვნივ სხედან.

დებ. გოპსონი. (კონსერვატორი). ზის მხოლოდ დეპუტატი ტროლკე. მას სძინავს.

სხდომა შესწყდა. სანიტარებს გააქვთ დეპუტატი ტროლკე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ არგენს.

დებ. არგენი. (უკიდ. მემარცხ.) ქვეყანა ილუპება. სიმსუქნე გამოწვეულია ბურჟუაზიის ნებიერობისაგან. ჩვენ აღარ შეგვიძლია ლოდინი. პარტიის, პროფკავშირების და ზაეკომების სახელით მთავრობას გადამდგარად ვაცხადებ. სტორტინგი დათხოვნილია, ძალა-უფლება გადადის...
დარბაზში არეულობაა. დეპუტატი არგენი უცბად გაჩუმდება.

თავმჯდომარე. სიტყვა თქვენ გეკუთვნით, პატივცემულო დეპუტატო არგენ.

დეპუტატი არგენი სდუმს.

დებ. ტულბი (სოც.-დემ.). გემუდარებით, კოლლეგა არგენ, გვითხრათ, ვის ხელში გადადის ძალა-უფლება. ეს მეტად მნიშვნელოვანია!

თავმჯდომარე. სამწუხაროთ, დეპუტატ არგენს არ შეუძლია პასუხის მოცემა. დეპუტატ არგენს სძინავს.

სანიტარებს გააქვთ დეპუტატი არგენი.



თავმჯდომარე (ამთქნარებს). სხდომას დახურულად ვაქცხავდები მეძინება.

სიბუნძიოთუქა

VI. „ამერიკის პრესის თავისუფალი ასოციაციის“ სპეციალური კორესპონდენტის, მისტერ ოარკის, კაბლოგრამმა.

„დიდი სენსაცია! სკანდინავიაში აღარ დარჩა არც ერთი ცოცხალი ადამიანი. მე დღეს შეიღჯერ ვაფერინდი. ვნახე მკვდარი კოპენჰაგენი. მზის სხივი ეთამაწებოდა ტაძრის გუმბათის წვერს. დანიაში დახეტიალობენ ძროხები. ფხიზლად არიან. სტოგპოლმში სამოთხ სებური სიჩუნება. ზოგიერთი მძინარის სახეზე ნეტარების სკანდინავიის ღიმილია. ამ ხალხთა დაღუპვა—წმინდა სპირიტუალიზმის ახალი ზეიშუანასკნელი მია. მე პირადათ ვნახე უკანასკნელი ადამიანის უკანასკნელი წუთები. რა სიღამაზე იყო! ის იყო ფიორდ ტროლბერგის მებადური. დილით სათევზაოდ წავიდა. წყალი ფირუზისა იყო, მზე კი ოქროსი. მებადურმა ამოსწია ბადე. შიგ ხტოდენ ვერცხლისფერი თევზები. მან ჩუმად ამოიოხრა, ხელები თვალეებზე მიიფარა და დაეძინა. დაეძინა უცებ, ბავშვივით, ბადე წყალში ჩავარდა. თევზები მზიარულად გაიფანტენ. მებადურს ეძინა ოქროს მზის ქვეშ, წყლის ფირუზზე. სახარებისებური ჩვენებაა! წმინდა მებადური! რასაკვირველია, ჩვენ მალე დავასახლებთ ამ ადგილებს. საჭიროა გრანდიოზული დეზინფექცია. ბევრია ნედლი მასალა: რკინა, სპილენძი, ტყე. მე ვნახე სიკვდილი. ისევ იქნება სიცოცხლე. დილა მშვიდობისა, ძვირფასო მკითხველნო!..“

28.

S O R E.

30 ივნისს 1928 წელს, როდესაც ბატონი კრიგერი კვდებოდა ბერლინის ნანგრევებ შორის, ერთ-ერთ გახურებულ და გაცოფებულ ტანკში იდგა ვიქტორ ბრანდევო. გამოჩენილი პრემიერის ძმისწული ცარიელი, შუშისგვარი თვალეებით იყურებოდა საუკუნეთა შავ დერეფანში. ის, რასაკ ის ხედავდა, მართლაც რომ საშინელი იყო. მზე სწრაფად ნელდებოდა, გაყინულ ცაში კვერცხის ვეებერთელა გულივით ეკიდა. კაკტუსებით და გიგანტურ ხავსით დაფარულ დედაძიწას სტკეპნიდენ მამონტები, კუები, ვეებერთელა ობობები. შემდეგ მზე სრულიად გაქრა. ხავსზე დაცოცავდენ ბრნა ჩია-ცხოველები, რომლებსაც მთელი ტანი დაფარული ჰქონდათ ქერა და წვეტიანი ბაღნით. ზოგჯერ ერთი-მეორეს ეცემოდენ და „ჩუი-ჩუი“-ს ყვირილით სვამდენ თბილ სისხლს. ვიქტორ ბრანდევო, საფრანგეთის არმიის სუ-ლეიტენანტი, თვალეებ დახუჭული დიდხანს უცქერდა ამ საშინელ ცხოველებს. სცდილობდა გაეკო ვინ იყვნენ ისინი: მამის მამები. თუ შვილი-შვილის შვილები?

როდესაც დილით ტანკების ესკადრა, ბერლინის განადგურე-



ბის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, ვიქტორ ბრანდევი თვალდახუჭული
ლი იწვა და ბოდავდა. ის მოათავსეს ლიეჟის საუკეთესო
მყოფოში. ერთი თვის შემდეგ ბ. ფელიქს ბრანდევი პირადად ჩავი-
და ლიეჟში, რომ თავის გმირ ძმისწულისათვის გადაეცა სამხედრო
წარჩინების ნიშანი. საავადმყოფო საუცხოვოდ იყო მორთული, და
ლიეჟის ყველა სასტუმროები სავსე იყო უცხო ქვეყნების კორესპონ-
დენტებით. მაგრამ საზეიმო ცერემონიას ხელი შეუშალა რადაც მე-
ტად საიდუმლო გარემოებამ. როცა პრემიერი პათეთიური სიტყვის
შემდეგ დაილუნა, რომ ავადმყოფ მეომარისთვის ეკაცნა, მან ნახა
საწოლში მხოლოდ უცნაური საფრთხობელა.

ვიქტორ ბრანდევი სადღაც გაქრა და ამით თავის დროზე
დიდათ გააუმჯობესა მთელი ქვეყნის საპოლიციო აგენტების და
ჟურნალისტების კვების საკითხი. როგორც მოვიხსენიეთ, გახეთი
„Peuple“ ირწმუნებოდა, რომ პოლანდიელი ავანტიურისტი ეს
ბოოტი არის უცნაურად დაკარგული ვიქტორ ბრანდევი. ჩვენი მკით-
ხველები ათვის, რომლებიც კარგად არიან გაცნობილი ენს ბოოტის
ბიოგრაფიასთან, —საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, რომ ამ ორი
პიროვნების შერევა, სხვა არა იყოს რა, უზრდელობაა.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმის გამორკვევა, თუ რას აკეთებდა
ვიქტორ ბრანდევი 10 წლის განმავლობაში. ჩვენ ვიცით მხოლოდ,
რომ 1932 წელს იმყოფებოდა წმ. ეგნატეს მონასტერში, სა-
ლამანკის ახლოს, და განცვიფრებაში მოჰყავდა ბერები თავისი ლო-
ცვებით და მკაცრათ აღთქმების შესრულებით. აღსარების დროს
ძმა იპპოლიტე (ასეთი იყო სახელი, რომელიც მიიღო ვიქტორ ბრან-
დევომ ბერად შესვლის დროს) განოტყდა, რომ მან მოჰკლა მილიონ-
ობით ადამიანები, მათ შორის ფარაონ ფერუენკანუნი, კაბარე
„ალკაზარის“ პატრონი და თავისი შვილი-შვილის შვილი. ჩია-ადა-
მიანი, დაფარული წვეტიანი, ქერა ბეწვით.

სამი წლის შემდეგ ვიქტორ ბრანდევის ვხვდებით სრულიად
სხვანაირ პირობებში, სახელდობთ, ქალაქ ტომსკის უმაღლეს სამხედ-
რო აკადემიის მსმენელთა შორის. ის სცხოვრობს იქ თავის ნამდვი-
ლი გვარით, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, ფულს შოულობს
ფრანგული ენის გაკვეთილებით და მეცადინეობს ქიბიაში და აგრე-
თვე ელექტროტექნიკაში.

აი მთელი მასალა ვიქტორ ბრანდევის ცხოვრების შესახებ.

ჩვენ არ გვინდა, რომ ამ სამეცნიერო შრომას უბრალო ფსი-
ქოლოგიურ რომანის სახე მივცეთ. ამიტომ არ ავწერთ ჭარაფშუტა
ქაბუკის სულიერ განცდებს, რომლებმაც საშუალება მისცეს, რომ
გაეგლო მეტად რთული გზა ტანკიდან წმ. ეგნატეს მონასტრამდე და
სალოცავიდან ყველაზე უფრო არასაიმედო სახელმწიფოს სამხედრო
აკადემიის ლაბორატორიამდე. ჩვენ არც ის ვიცით, როდის და რო-



მელი ვხით დაბრუნდა ვიქტორ ბრანდევო თავის სამშობლოში. მისი გრამ 12 აპრილს 1939 წელს უმუშევართა კრებაზე, პარტიის მის ბირჟის“ დიდ დარბაზში გამოვიდა გამხდარი, შავი ადამიანი კასკეტში. ის მუშტებს აქნევდა და ისე ყვიროდა.

ამხანაგებო! საფრანგეთის ბურჟუაზიას ევროპის დაღუპვის შე- 12 აპრილი. მდევ ჩვენზე მოაქვს იერიშები. ჩვენი მამების მამებმა შესძლეს ბურ- 1939 წ. ეუების ლალატისათვის ეპასუხათ პარიზის კომუნით. ამხანაგებო, ჩი- ვ. ბრანდევოს ტა ჩვენ დაგვიქერს მხარს. ამერიკა სოციალურ რევოლუციის მო- გამოჩენა. ლოდინშია! იაპონიაში ყრუ მღელვარებაა. მიღებულ ცნობების მიხედვით ევროპის უდაბნოშიც დარჩენილა ცოცხალი ოაზისები. ეს უბედური ხალხი, რომელმაც გადაიტანა ომები და ეპიდემიები, მხარს დაგვიქერს კაპიტალის უღელის გადმოგდების დროს. თამამად! ყველანი ქუჩებისაკენ! საქიროა საერთო გეგმა მოქმედებისა. გაუმარჯოს დიდებულ ევროპის აღდგენის მუშათა სინდიკატს“!

კრებაზე დამსწრე 4000 უმუშევარი განუწყვეტელი ტაშისცემით შეხვდა გატაცებულ ორატორის სიტყვებს. შესაძლებელია, წმ. ეგნატეს მონასტრის ბერები, დაღუპულნი „ჩიკიტი“-საგან, ამ სიტყვის გაგონების შემდეგ, არ მოიწონებდნენ მის ანტიზნეობრივ შინაარსს, მაგრამ, უეჭველია, რომ ისინი დაათვასებდნენ განსაკუთრებულ პათოსს, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა ძმა იპპოლიტეს. რაც შეეხება უმუშევრებს, მათ ვიქტორ ბრანდევოს ორატორული ნიჭი სრულიადაც არ აინტერესებდათ. ისინი ძალზე მშივრები იყვნენ. მათ სიკვდილი მოელოდა. უცნობი კასკეტში რაღაც გამოსავალზე უთითებდა. იგი ჰპირდებოდა მათ დახმარებასაც კი რუსებისა, ამერიკელების, იაპონელების, ევროპის ველურების—ყველას დახმარებას დარჩენოდათ მხოლოდ ერთი რამ—კისერი მოეღრიცათ ამ მაცდურისათვის, თუნუქის კოლოფების ყოფილ ფაბრიკანტისათვის, ბ. ფელიქს ბრანდევოსათვის.

როდესაც უმუშევრებმა, მართლაც გადასწყვიტეს ამის ჩადენა დემონსტრაცია. და „ინტერნაციონალის“ სიმღერით გამოვიდნენ ქუჩებში, პოლიციელთა მცირე რაზმმა, გახეების საშუალებით გაჰფანტა ისინი რამდენიმე წუთში. ამასთანავე დაიღუბა 240 ადამიანი. საწყალ ფელიქს ბრანდევოს კისერზე მჯდარი პარაზიტების რიცხვი შემცირდა 240 სულით. მაგრამ ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი. იმ 240 დაიღუბა, სამაგიეროდ დარჩა კიდევ 3.110.000, რომლებიც დახმარებას იღებდნენ მთავრობისაგან.

გასაკვირველი არ არის, რომ ბ. ფელიქს ბრანდევო დღითიდღე უფრო ძლიერ განიცდიდა ძალა-უფლების ტრაგიკულ ტვირთს. დიდი მდგომარეობა საფრანგეთისა, რომელმაც ყველა მტრები განადგურა, სრულიადაც არ იყო სანატრელი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი უსიამოვნებაზე, რომელიც მიაყვ-



ნა მთავრობას დაბადების შემთხვევათა აბსოლუტურმა უმეტესობამ 1939 წელს, ბ. ფელიქს ბრანდევომ გვერდი აუხვია დეპუტატობის და სამეცნიერო აკადემიის რეზოლუციებს და, ბოლოს, შემოიყვანა საფრანგეთში 100.000 სენეგალელი გასამრავლებლად. მაგრამ ზანგები, განიცადეს რა ბატონობის წუთები თეთრ ქალებზე, და, ალბად, ჩიტინის მთავრობის ჯამუშების ზეგავლენითაც, — მეტად გათავხედდნენ. თითქმის ყოველ დღე არღვევდნენ ისინი ბ. ფელიქს ბრანდევოს სიმშვიდეს.

ზანგებზე უარესად იქცეოდნენ უმუშევარნი. საფრანგეთის მრეწველობამ დაპყარვა ყველა გარეშე ბაზრები, ნუდლი მასალის მოძწოდებელი ქვეყნები და ამიტომ ის სრულიად დაიღუპა. სახ-ენტენი, ლილლი, ნანსი და სხვა ინდუსტრიული ცენტრები მოკვებონებენ ეხლა ანტიურ სიძველეთა მუზეუმებს. მათ სანახავად მიდიოდნენ ამერიკელი ტურისტები. ბევრი მუშევი ჯარისკაცის ფარაჯაში გაეხვია.

ველურთა შემოსევის, და შინაურ წესრიგის დარღვევის შიშით, საფრანგეთი ინაბავდა უზარმაზარ არმიას. 1935 წლისთვის მისი რიცხვი უდრიდა 2.800.000. მაგრამ ბ. ფელიქს ბრანდევო საკმაოდ კვდიანი იყო იმისთვის, რომ არმიისი არ ჩაერია უმუშევრებშიც. ის განაგრძობდა 3.000.000 უსაქმურის გამოკვებას: ეს მაინც უფრო კარგი იყო, ვიდრე თოფი მუშის ხელში. ამგვარად $\frac{2}{3}$ ჯარისა გლეხებისაგან შესდგებოდა. ზოგჯერ, უძილობის დროს, როდესაც საყვარელ სამშობლოს მომავალზე ფიქრობდა, გენიალური პრემიერი, იღებდა თაროდან „1871 წლის აჯანყების ჩაქრობის ისტორიას“ და კმაყოფილად ანბობდა:

თუ რამე მოხდა $\frac{2}{3}$ უფრო მეტია, ვიდრე $\frac{1}{3}$ გლეხები გვიხსნიან.

ამგვარ ღამეების შემდეგ, ფინანსთა მინისტრიც უძილო ღამეებს ატარებდა აუწერელი რაოდენობის ნოლების შეერთებაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშის დროს. ოქროს ფონდი დიდი ხანია რაც ამერიკაში გადავიდა. გადასახადებს არავინ იხდიდა. ყოველ დღე იბეჭდებოდა მრავალი მილიარდი ფრანკი არმიისა და უმუშევრების შესანახად. ჯარისკაცებს ეძლეოდათ ხორცი და ღვინო, უმუშევრებს კი მხოლოდ ლობიოს წვენი, მაგრამ კილოგრამი ლობიოც კი ღირდა 20.000 ფრანკი და ფინანსთა მინისტრი, ბუჯეტის გამოანგარიშების დროს, საფეთქელს იხალავდა შაკიკის საწინააღმდეგო ფანქარით. სოციალურმა წინააღმდეგობამ მოაღწია უკიდურეს, — ჩვენ ვიტყოდით, — მხატვრულ გამოხატულებას. სპეკულიანტური ტიპის ბურჟუა, რომელსაც შემკვიდრეც კი არ ჰყავდა, სცდილობდა, რაც შეიძლება ნალე დაეხარჯა თავისი ტრილიონები. პარიზში შეიყარეს თავი ევროპის ყველა გადარჩენილმა კოკოტკებმა. ართობდნენ დაღლილ ფრანგებს ცეკვით და სხვადასხვა ეკვილიბრის-



ტიული ვარჯიშობით, რესტორანები მთელი დღე სასურველად ხით — მათ არასოდეს არ კეტავდნენ. ფრანგული ბურჟუაზიის უკანასკნელი თაობა ეჩქარებოდა ყველა ღვინის სარდაფების საიდუმლოების გაგებას.

სპეკულიანტებთან ერთად ქეიფობდნენ მხედრებიც, რომლებმაც გაძარცვეს აუარებელი ქონება მზიარულ სამხედრო სეირნობის წლებში.

როდესაც მისტერ ტკაივტმა ჩიკაგოს ჟურნალ „Весь Мир“-ში ნახა ფოტოგრაფიული სურათი პარიზის რესტორანისა „Mon petit Trou“, განცვიფრებით წარმოსთქვა:

ჩვენ ხომ ლატაკები ვართ. ამასთან შედარებით ამერიკა პატარა ქობია!..

რა უყოთ, საფრანგეთის მზართველი კლასები სწორედ აფასებდნენ ნდგომარეობას. მათ სრულიადაც არ უნდოდათ უძვირუასესი დროს დაკარგვა. მათ გვერდით გამეფებული იყო გაუგონარი სილატაკე. უმუშევართა მილიარდები სივლებოდნენ შიმშილისაგან, ეყარნ ბულონის ტყეში ან სენის ნიპირზე და კუმშავდნენ თავის საცოდავ, ულონო მუშტებს. ეს არსებანი არ ჰგავდნენ ცივილიზაციის მქონე ადამიანებს. დადიოდნენ ჰერანგის ამარა, ჭუჭყიანი ტანი გახვეული ჰქონდათ ჩვრებში, დახეულ ტომრებში, ძველ დროშებში. მათი თავი და სახე დაფარული იყო გრძელი ბალნით. დიდა ხანია, რაც დაავიწყდათ ფიქრი და ლაპარაკი, მხოლოდ დროგამოშვებით ილანძლებოდნენ. მათ ასახლებდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში, და მაინც, თვით ა. ფელიქს ბრანდევეოსაც კი, ამ დიდებულ ვაჟკაცსაც, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიური მამაცობით, ვერ გაებედნა მათი განადგურება. უმუშევრებს ისევ ეძლეოდათ ლობიოს წვენი. თითო კილოგრამი კი ლობიოსი ღირდა 20.000 ფრანკი!

გლებებმა იცოდნენ ეს და მათ ეჯავრებოდათ მუქთა ხორები, რომლებიც უფასოდ ღებულობდნენ ლობიოს. გლებები იკვებებოდნენ ხორციით, ქონით და ხაქოთი. მაგრამ გლებები ნამდვილ ლუილურებს აძლევდნენ ამერიკიდან მოტანილ მატერიებში, ეს არ მოსწონდათ მათ. გლებებს ეჯავრებოდათ ქალაქები.

ამგვარად, 1939 წ. საფრანგეთი ნორმალულად არ სცხოვრობდა. მძიმე ეკონომიურ პირობებს უნდა დაუმატოთ საერთო ნერვეულობა, რომელმაც მოიცო მთელი საფრანგეთი. არავინ იცოდა დანამდვილებით, რა ხდებოდა საფრანგეთის ფარგლების იქით. დადიოდა ხმები, თითქოს უდაბნოში მცხოვრები ველურები ირანმებოდნენ და აპირებდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ დეპარტამენტში შეჭრას. მეცნიერნი, პირიქით, მფრინავთა ჩვენებაზე დაყრდნობით, ანტიციებდნენ, რომ უდაბნოს უკანასკნელი მცხოვრებლები დაილუპნენ და საფრანგეთი შემორტყმულია კირიანი ქვეყნებით, რომლებშიაც დაძრწიან



გარეული ცხოველები. ასეა თუ ისე, ყოველი ფრანგი, იმის მიხედვით, რომელიც ბლოს საზღვარს იქით მდებარე ადგილებზე ფიქრის დროს უღმრთესად შიშს განიცდიდა. სიკვდილის ოკეანეს შუა მდებარე პატარა კუნძულზე ცხოვრება ადვილი საქმე არ იყო.

დიდ კაფეში სტუმარს უცბად იატაკზე უვარდებოდა ქიქა და ყვიროდა: მას ეჩვენებოდა ვეებერთელა უდაბნო. ეს სიზრცის შიში იყო. უმუშევრები დიუოდენ მხეცებივით. ერთი-მეორეს თვალს უკრავდენ და გახუნებულ, მოკრუნჩხულ ხელებით უთითებდენ სამსრეთზე და აღმოსავლეთზე.

ყოველ დღე მატულობდა შიში უდაბნოს წინაშე. ბ. ფელიქს ბრანდეეომ ღამის სიბნელის გასაფანტავად ბრძანება გასცა, რაც შეიძლება მეტად გაენათებიათ ყველა ქალაქები. ანთებული იყო ათასობით ელნათურები. პრემიერის კაბინეტში მთელი ღამე ერთი გაბრწყინებული ლიუსტრა. მაგრამ საფრანგეთის საზღვრებს იქით მაინც გამოუცნობი და დაუმარცხებელი სიბნელე იყო.

გახაფხულზე 1939 წელს მდგომარეობა გართულდა. ხანგები ნიცცაში საბოლოოდ აჯანყდენ. ნათ ყელი გგმოსჭრეს 2.816 კანონიერ ქმრებს და ქვრივი ცოლების თანხმობით თავისი თავი სრულუფლებიან მოქალაქეებად გამოაცხადეს. ლილლში, უქმელობის ნიადავზე, დაიწყო ტიფის ეპიდემია. მე-III არმია, რომელიც ყოფილ ესპანიას საზღვრებზე იდგა და რომელსაც მოსწყურდა ისევ ცარცვაგლეჯა, მოითხოვდა სამხედრო მოქმედების დაწყებას მაროკოს წინააღმდეგ, რომელნიც ჯერ კიდევ 1931 წელს გამოაცხადა თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. დაბოლოს, პარიზში დაიწყო აშკარა მღელვარება უმუშევართა შორის. მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ვიქტორ ბრანდეეო, იყო პირველი აშკარა გამოსვლა ამ ადამიანებისა. ზრდილობიანი პარიზელები დაიბნენ—უმუშევრებზე ისეთი წარმოდგენასა იყვნენ, რომ ისინი არიან უსუფთაო, მაგრამ უვნებელი ცხოველები.

ამბოხება ნიცცაში.

ენს ბოოტი სრულიად კმაყოფილი იყო მომხდარ ამბებით. ამ დროისთვის „ტრესტ დ. ე.“-ს დირექტორი სცხოვრობდა მეტად წესიერად, სან-ჟერმენის პროსპექტის მშვენიერ სახლში: სცხოვრობდა ეან დე-ბოლივდეს გვარზე, რომელსაც მეტად საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა სამხედრო სამინისტროში. ბ. ფელიქს ბრანდეეო არ სწყვეტდა არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს ისე, რომ წინდაწინ ბ. ეან დე-ბოლივდეს არ დაჰკითხებოდა.

12 აპრილს 1939 წელს ენს ბოოტმა წაიკითხა სალამოს გაზეთში უმუშევართა მიტინგის შესახებ, რომელიც უშედეგო დემონსტრაციით დამთავრდა, ტკბილად გაიზმორა და დაამთქნარა. ასეთი გაზმორება სჩვევია ყველა საქმის კაცს, რომელიც გრძნობს თავის მძიმე და დიდი ხნის სამუშაოს დამთავრებას. „ტრესტ დ. ე.“-ს დირექტორს სრული



უფლება ჰქონდა დამთქნარებისა. ის მეორედაც კი აპირებდა დამთქნარებას, მაგრამ ხელი შეუშალა მოახლემ, რომელმაც საუბრად-ლებო შეხვედრა რომ ვიღაცას სურს აუკილებლად ბ. ჟან დე-მოლიეფეს ნახვია. სადარბაზო ბარათზე აღნიშნული იყო:

კაბინეტი.

საფრანგეთის უნუშევართა სინდიკატის
თავმჯდომარე.

კაბინეტში შემოვიდა მაღალი შავგვრემანი კაცი. კასკეტი არ მოუხდია, ისე დაუკრა თავი და წარმოსთქვა:

— გამარჯობა, ენს ბოოტი!

არც ერთი, სულ მცირე მოძრაობითაც კი არ გამოხატა თავის გაკვირვება ბ. ჟან დე-ბოლიეფემ, რომლის ვინაობაც ასე მოულოდნელად გამოაშკარავა საკვირველმა უცნობმა. ენს ბოოტი დაკვირვებით დააქუქრდა პაერ კამენის სახეს. ენს ბოოტს კარგად ახსოვდებოდა ნახული ადამიანები. ისევე უბრალოდ, და თითქმის შეგობრულადაც კი, უპასუბა სტუმარს:

— აა, თქვენ ისა ხართ... ჩვენ, მგონი, ტომსკში შევხვდით... ვიქტორ ბრანდევო, არა? ძლიერ სასიამოვნოა. გენიალურ ბიძას, ალბად, ისეთივე გენიალური ძმისწული ჰყავს.

— ნუ იღრიჯებით,—გაჯავრებით წამოიძახა ვიქტორ ბრანდევომ. — მე თქვენთან საქმეზე მოვედი. ვიცი ვინცა ხართ და რასაც აკეთებთ. მაგრამ მე მიინდა, რომ უფრო ღირსეულ საქმეს მოჰკიდოთ ხელი. მოდი, აღვადგინოთ ისევ ევროპა!

— კარგი, მაგრამ რისთვის?

— „რისთვის?...“

ამ გულუბრყვილო კითხვამ ისე გააკვირვა ვიქტორ ბრანდევო, რომ ის სერიოზულად ჩაფიქრდა, სანამ უპასუხებდა.

— აი, თუგინდ იმისათვის, რომ ხალხს მივცეთ საცხოვრებელი ადგილი. რაც უნდა იყოს, ევროპა მაინც ღირსეული ნაწილია ქვეყნისა. დიახ, დიახ, მე ვიცი, რასაც მიპასუხებთ! რასაკვირველია ევროპაში ბევრი სისაძავლე იყო. მაგრამ ეხლა ჩვენ სულ სხვანაირად მოვაწყობთ მას. ჩვენ შევქმნით დიდებულ ნუშათა სახელმწიფოს. ახლად გავაშენებთ ქალაქებს. ხელს გაუწვდით მოძმე ციმბირს. პარიზი—რევოლიუციის ძველი ფორტია. ბურჟუაზიის დამარცხების შემდეგ, ჩვენს გარშემო თავს მოუყრით იმ ხალხს, რომლებიც ეხლა უდაბნოში სცხოვრობენ...



— უკაცრავად, — თავაზიანად შეაწყვეტინა ლაპარაკი პეტრე: — ბულ ახალგაზრდას „ტრესტ დ. ე.“-ს პატივცემულმა დირექტორმა უკანასკნელ ცნობების მიხედვით, უდაბნოში რომ დარჩენილიყვნენ კიდევ ადამიანები, მაინც მათი რიცხვი არ აღემატება ასეულებს, და, შეიძლება, ათეულებსაც კი.

— ახლები იქნებიან! პატიოსანნი, ჯანსაღი, მომუშავე თაობა!

— ძეგროფასო ჭაბუკო, განა ტომსკში არაფერი გაგიგიათ ჩემ მიერ პატენტით აღებულ წანლის „აფროს“ შესახებ?

სულ ერთია, ჩვენ ქვეყნის სხვა ნაწილებიდან გადმოვიყვანთ ხალხს. უმთავრესი ისაა, რომ მოვაწყოთ იდეალური ფორმა მართველობისა, სამართლიანობის სამეფო. დანარჩენი მოეწყობა.

ენს ბოოტმა თავის სტუმარს შესთავაზა ეგვიპტური პაპიროსი უმაღლესი ხარისხისა.

— გთხოვთ. მოხარული ვარ, რომ მოხვედით ჩემთან. სასიამოვნოა თავისუფალ დროს საუბარი ევროპის უკანასკნელ მეოცნებესთან. საფრანგეთი კი მაინც უნდა დაიღუპოს, — ის გამოუგველი ნაგავია გუშინდელი ზეიმისა. უპირველეს ყოვლისა, ვენტილიაცია! რაც შეეხება კოლონიზაციას, ამ საქმეს ალბად ამერიკა მოაწესრიგებს.

— მაგრამ რითია ამერიკა ევროპაზე უკეთესი?

— ეგ მე არ ვიცი. უფრო მეტს გეტყვით: მე ეგ სრულიად არ მაინტერესებს. რა არის „უკეთესი“ და რა „უარესი“, — დასწყევლოს ღმერთმა?! თქვენ, ალბად კარგად მოგამზადეს სალამანკაში და ტომსკში. ორგვარი აღზრდა, შე კი, მამა ფრანცისკის ჩქმეტის შედეგ საჩქაროდ გადავედი ძმ. მედრანოს ცირკში, და, რუსეთში ყოფნის დროს, მიყვარდა თეთრ-გვარდიელებთან ჩხუბი, მაგრამ რეგულიარულად მეძინებოდა ლექციებზე ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. „ყველას თავისი საქმე აქვს“, — ამბობდენ ცხონებული გერმანელები. შეიძლება ევროპა სჯობია ამერიკას — თქვენ უკეთ გეცოდინებათ. მე კი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ: მკვდარი ნაპოლეონი მიწაში უნდა ჩაიფლას, რომ არ ჰყარდეს, ცოცხალ კატას კითხილი რძით ჰკვებავენ. როგორი წესითაც გინდათ, ისე დამარხეთ ევროპა, მაგრამ დამარხეთ საჩქაროდ, თუ გინდ იმიტომ, რომ პატივი სცეთ ჩემ გრძნობიერ ცხვირს.

— ენს ბოოტ, თქვენ უდიდესი ცინიკი ხართ, მაგრამ მე არ გიჯერებთ. რათ გაანადგურეთ ევროპა იმ დროს, როცა ოთხი ისეთივე გათახსირებული ნაწილი ქვეყნისა — ხელუხლებელია?

— ადამიანის ძალ-ღონე, როგორც ვიცით, განსაზღვრულია. თქვენ შევიძლიათ ოთხჯერ გამართყაოთ, მაგრამ ევროპისათვის კი მე მოველი გულითად მადლობას.

— რაღა ევროპა ამოირჩიეთ? მე წავიკითხე მისტერ ჯეზისის პოლიტიკური სიტყვები, მისტერ ხარდაილის დღიური და მისტერ ტვა-



ივტის ევგენიკური ტრაქტატები. განა ისინი ნაკლებად უკეთესად ფენ თქვენს უნოსვას?

ამ პირდაპირ შეკითხვის გაგონებაზე, ენს ბოოტი გაწითლდა, როგორც ქალწული, და თვალების დაბრით, ჩუმად წარმოსთქვა: — იმიტომ, რომ მე მიყვარს ევროპა, — ფინიკიის ასული, ნამდვილი m-ის ლიუსი ფლამენგო.

ამ სიტყვებს ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. ვიქტორ ბრანდევომ ზრდილობისათვის დაიწყო აღბომის გადაფურცვლა ვენეციის სურათებით. ენს ბოოტი მოგონებებმა გაიტაცა. განათებული ქუჩიდან მოისმოდა სიმღერა:

„ევროპის უკანასკნელო ქათამო, ჯუჩ—ჯუჩ!!“

ბ. ჟან დე-ბოლივიეს კაბინეტიდან 300 კილომეტრის მანძილზე საშინელი უღაბნო სავსე იყო ქარის ღმუილით და ლამის სიბნელით.

ბოლოს, ვიქტორ ბრანდევომ გადასწყვიტა სიჩუმის დარღვევა: — ბოდიშს ვიხდი, მოურიდებელი კითხვებისათვის. მე მესმის თქვენი განცდები. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ რად უნდა დავლუბოთ?.. საჭიროა გადაკეთება. არის რიცხვი. არის გონება. არის, დაბოლოს, სამართლიანობა!..

— მე ჩვეული არ ვარ ფიქრს. ძალიან სუსტი ვარ ანგარიშში. ვფიქრობ, რომ სამართლიანობას სავაკრო დუქნის სუნი სდის. ნუ გიკვირთ: „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი ველური ცხოველია, ხარია მანუეტებში. მხოლოდ ერთ რამეს ვაფასებ—თავისუფლებას.

წმ. ეგნატეს მონასტრის ყოფილი ძმა იპპოლიტე, ტომსკის აკადემიის ყოფილი მოსწავლე, ამხანაგი ვიქტორ ბრანდევო, წამოხტა ადგილიდან და აღშფოთებულმა დაიწყო ყვირილი:

— სიცრუეა! ათასი წლის სიცრუე! რა არის თავისუფლება? ფიქციაა!

კამათი თავისუფლებაზე.

მაგრამ ენს ბოოტმა მკაცრად შეაწყვეტინა:

— ყმაწვილო, თავისუფლებაზე არ კამათობენ. მე უკვე გითხარით ჩემი ძირითადი პრინციპი: უპირველეს ვოვლისა ვენტილიაცია! საკითხი თავისუფლებისა—ეს საკითხია სუფთა ჰაერის შესახებ. მე ზამთარ-ზაფხულ, მძინავს ოთახში გაღებულ ფანჯრებით. ამის შემდეგ კი—მშვიდობით.

ბ. ჟან დე-ბოლივიემ დარეკა ზარი და ძველი პატრულის მსგავსმა მოახლემ გააცილა მოქალაქე პაერ კამენი კარებამდე.

— სადისტია! გიყია! გამხეცებული ბურჟუაზიის გადაგვარებული ნაშთი!—ბუტბუტებდა შესავალთან ვიქტორ ბრანდევო. —მაგრამ ჩვენ კიდევ შეეხვდებით ბრძოლაში. პარიზის ლატაკები იბსნიან ევროპას.

რაც შეეხება ენს ბოოტს, ის, როგორც კი მოიშორა მომაბეზ-



რებელი სტუმარი, დაუყონებლივ მივიდა ელსმენტთან და მიუჩვენებდა იმისა, რომ უკვე გვიან იყო, გამოიძახა ბ. ფელიქს ბრანდესი.

პრემიერი ძალიან შეწუხებული იყო დილანდელი დემონსტრაციით. ბ. ჟან დე-ბოლივეემ დროზე დაურეკა ნას. საუბარი გრძელდებოდა 20 წუთს.

— არავითარი დათმობანი, — ამბობდა ბ. ჟან დე-ბოლივეე, — ჩვენ ხელთ არის ჯარი. სულიერი განწყობილება საუცხოვოა. მე ვაგებ პასუხს შედეგებზე. საუკეთესო საშუალება თავდაცვისა — თავდასხმაა. საჭიროა ეხლავე გამოვაცხადოთ, რომ ყველა უმუშევარს ესპობა სახაზინო დახმარება. მიტინგები და ქუჩაში გამოსვლები უნდა მოისპოს გაზებით. ორი კვირის შემდეგ 3.000.000-იდან ნახევარიც არ დარჩება. გამოიჩინეთ ვაჟკაცობა! იყავით ნამდვილი ნაპოლეონი!

ბ. ჟან დე-ბოლივეემ იცოდა, რითიც შეიძლებოდა პრემიერის გულის მოგება: „ნაპოლეონის“ შემდეგ საკითხი გადაწყვეტილიყო.

მეორე დღით გააკრეს აფიშები, რომლებიც აუწყებდნენ მთავრობის მნიშვნელოვან დადგენილებას. პოლიციელებმა სწრაფად მოსპეს უწესრიგობა კვარტალ ნონრუჟში, დღისით საწყნარე იყო. უმუშევართა მოკვიდაცია.

სალამოთი ვენსენის ყაზარმებში, სადაც სამი პოლკი იყო, შემდგარი უმთავრესად უმუშევრებისაგან, შეიპარა უცნობი ჯარისკაცი, გამხდარი და გაშაყებული.

— ეხლა ან არასოდეს, — დაიყვირა ყაზარმების ეზოში ვიქტორ ბრანდესომ.

ერთი საათის შემდეგ პარიზში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ენს ბოტი ხამშით სწმენდდა თავის ბინოკლის შეშებს. ბრძოლა პარიზში.

პარიზში მყოფი ჯარისკაცები უმუშევრებს მიემხრენ. ღამით მთავრობა საპაერო ესკადრაზე გადავიდა ორლენში. მთავრობა გარბის.

რევოლიუციონურმა საბჭომ თავის თავი გამოაცხადა „ევროპის აღდგენის მუშათა სინდიკატის“ ცენტრად. რადიო დაუგზავნეს: „ყველას, ყველას!“


— შეერთდით, საჩქაროდ დაეხმარეთ მუშურ პარიზს! გაუმარჯოს მთელი ევროპის კომუნას.“
ყოფილ დეპუტატთა პალატის ფასადზე აღნიშნული იყო:

„S. O. R. E.“

(„Sindicat Ouvrier pour la Reconstruction de l'Europe“). „S. O. R. E.“

შავი ღვინო.

ბ. ფელიქს ბრანდესი მშვიდობიანად ჩავიდა ორლენში, დალია თავის გასამაგრებლად ერთი ჭიქა პიკონი და დაიწყო არმიის შედ-



გენა აჯანყების ჩასაქრობად. ყველა ჯარის ნაწილები უდაბნოს მხარეებშია
 ღვრებიდან გამოიწვიეს შიგნით. მთავრობა მოუწოდებდა „გონიერ,
 შრომისმოყვარულ მცხოვრებლებს საფრანგეთისა“, დაეწყნარებიათ
 „ქალაქის მუქთახორები“. აპრილის ბოლოში მთელ საფრანგეთს
 მოედო სამოქალაქო ომი. ეს ძველი დროის უბრალო ომები კი არ
 იყო, არამედ მოხერხებული ოპერაციები ორი გრანდიოზული არმიის
 შორის; ორივე მხარე შეირადებულ იყო სამხედრო სამინისტროს
 საიდუმლო განყოფილებების ყველა მიღწევებით.

მე-II და მე-V არმია, მუშათა ელემენტებისაგან შენდგარი, მთლიანად მიემხრო „S. O. R. E“-ს. მათ მოახერხეს ჩრდილო
 საფრანგეთის დაჭერა პარიზიდან ყოფილ ჰოლანდიის საზღვრებამდე.
 პირიქით, ცენტრი და სამხრეთი ბ. ფელიქს ბრანდევოს მთავრობის
 ხელში იყო. თუმცა, 28 აპრილს ლიონში მოხდა სამხედრო აჯანყება
 და ეს ქალაქი შეუერთდა „S. O. R. E“-ს. მოახლოვებულმა ტანკების
 ნაწილმა გაანადგურეს ის. 1 მაისს, არეულობის ჩაქრობის დროს,
 მარსელი ამოარჩევს ახალი გაზეთის საშუალებით. 8.000 ჰაეროპლანი,
 რომელთა შორისაც 2.100 ეკუთვნოდა „S. O. R. E“-ს, ყუბნარებს
 ისროდენ სხვადასხვა ქალაქებში. მაისში ზოგიერთ ადგილას ომმა
 პოზიციური ხასიათი მიიღო. ილ-დე-ფრანსი, შამპანი, ბურგუნდია
 გათხრილი იყო ტრანშეებით და უდაბნოდ გადაიქცენ. 24 მაისს
 „S. O. R. E“-ს ჯარებმა გაარღვიეს ხაზი და მივიდნენ ბრეტანიამდე.

სამოქალაქო ომი.

ლიონი განადგურებული. მარსელი დაბრუნებულია.

ომმა განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი მიიღო. გლეხები უღმობელად ხოცავდნენ ქალაქის მცხოვრებლებს. იჭრებოდნენ ქალაქებში და მეთოდურად, ზედი-ზედ აღრჩობდნენ გაზეთით უბნებზე უბნებს. მუშებს ეზიზღებოდათ ტლანქი და გაუმაძღარი სოფლები. ფერმების დაჭერის შემდეგ, ისინი სწვავდნენ შენობებს, სჩეხავდნენ ბილის ხეებს და ხოცავდნენ, რის დახოცვაც კი შეიძლებოდა, არ ინდობდნენ კატებს და კაჭკაჭებსაც კი. უკანასკნელი წაწები ახლოვდებოდა.

უკანასკნელი ამერიკული გემი 14 ივლისს გაშორდა ევროპის ნაპირებს. ენს ბოოტმა ჩააწყო საგზაო საკვოდაეში თავისი ბარგი, რომელსაც შეადგენდა. საცვლების გარდა, „Tee-Sai“-ში მისაწვევი ბარათი, დაუფიწყარი პიჟამის ფოტოგრაფიული სურათი და ევროპის რუკა. „ვაფლის“ სისტემის მშვენიერი აპარატი ყოველთვის მის განკარგულებაში იყო.

14 ივლისი ამერიკ. გემის წასვლა.

„ივლისის პირველ რიცხვებში „S. O. R. E“-ს არმია საბოლოდ განადგურებული იყო იმ გარნიზონის გარდა, რომელიც პარიზს იცავდა. მაგრამ ბ. ფელიქს ბრანდევოს გამარჯვებულ არმიიდანაც დარჩენ მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევით გადარჩენილი ჯარისკაცები, და შტაბის გენერლები, რომელთა საერთო რიცხვიც ძლიერ უდრიდა 100.000. რაც შეეხება ეგრედ წოდებულ „მშვიდობიან მცხოვრებლებს“, მათ ამ დროისთვის შესწყვიტეს თავის არსებობა. ზოგ-

S. O. R. E.-ს არმია განადგურებულია.



ჯერ ნანგრევებ შორის შენიშნავდით მცოცავ ან მალღაყებს და მათსავე ჩრდილებს: ეს ისინი იყვნენ, ვინც გადარჩა სიკვდილს მანგრეობის საუბედუროდ, გონება დაჰკარგა.

საზღვრები აღარ იყო, ევროპის დიდმა უდაბნომ შთანთქმა საზღვრები საფრანგეთი. მხეცები, ქარი და სიბნელე შეიჭრა იქ, სადაც სულ აღარ არის. ახლო წარსულში ბჭყვრიალებდენ ელნათურები და ჩოღ-ს მუსიკა მოისმოდა.

მაგრამ უდაბნოს შუაში ისევ დარჩა პარიზი. ის ცოცხალი ქალაქი იყო, ნამდვილი ქალაქი, ევროპიული სატახტო ქალაქი. მისგან 100 კილომეტრის დაშორებით იდგა ბ. ფელიქს ბრანდევოს არმია. რასაკვირველია, ახალ ნაპოლეონს 2—3 საათში შეეძლო პარიზის განადგურება, მაგრამ ეს ხელსაყრელი არ იყო მისთვის. საცხოვრებლად აღამიანს, როგორც ვიცით, ესაჭიროება ბინა, ბინები სახლებშია, ერთად ერთი საცხოვრებელი სახლები კი პარიზში დარჩა. ამიტომ ბ. ფელიქს ბრანდევომ გადასწყვიტა ლომის მოკვლა ისე, რომ ტყავი არ დაეგლიჯა.

2 აპრილს 1939 წელს, დილის 10 საათზე ეიფელის კოშკის რადიო სადგურმა მიიღო შემდეგი ცნობა:

2 აპრილი
1939 წ.
ცბიერი
რადიო.

ამხანაგ ვიქტორ ბრანდევოს,

„S. O. R. E.“ კავშირის თავმჯდომარეს.

ვინანიებთ კონტრ-რევოლუციონურ შეცდომებს და გთხოვთ პარიზის გულკეთილ პროლეტარიატს გვაპატიოს და მიგვიღოს თავის ოჯახში. ვიმედოვნებთ, რომ შრომით გამოვისყიდით ჩვენს შეცდომებს, და თქვენთან ერთად ვეიმუშავეთ ევროპის აღდგენის საქმეში.

არმიის საბჭო.

პარიზი ზეიმობდა. ყველა ქუჩები მორთული იყო წითელი ბაი-რალეებით. სინარულის ცრემლებით ხვდებოდნენ პარიზელები თავის გუშინდელ მტრებს.

ზავი

სიფრთხილისთვის ბ. ფელიქს ბრანდევომ ამჯობინა შესვლა პარიზში არა თუთრ ცხენზე, არამედ ფეხით, უბრალო ჯარისკაცის ფარაჯაში; ამასთანავე საუცხოვო უღვაწეებიც გაიპარსა, ნაპოლეონის მაგივრად ჯარისკაცთა შორის ერთი პატარა ჯარისკაცი, გამხდარი და დაბალი. ვიღაც ქალს შეეცოდა და წითელი ზამბახი შესთავაზა. აღელვებულმა ბ. ფელიქს ბრანდევომ დაყნოსა ეს, თუმცა მშვენიერი, მაგრამ სამწუხაროდ უსუნო ყვავილი და გრძნობით დაამღერა:

— „C'est la lutte Finale“...

მთელი ღამე პარიზი, ცოცხალი, სინათლიანი, დასახლებული პარიზი, მისი საზღვრების ძველ არხებთან მომდგარ უდაბნოს შორის, ზეიმობდა, მღეროდა, ზოდავდა მომავლით:—ახლად დახნული მიწ-



დერებით და აღდგენილი ქარხნებით. პარიზელებს არ ეძინებოდათ ძილი მათ აშინებდა. ძილი წააგავდა სიკვდილს და უდგებოდა.

პრემიერის ყოფილ კაბინეტში იჯდა „S. O. R. E.“-ს საბჭოს თავმჯდომარე და ხაზავდა ევროპის აღდგენის სქემას. მაღალი და სწორი დასცქეროდა ციფრებს, თითქო ღოცულობდა თავის ღმერთზე—წეუცდომელ სამართლიანობაზე. დილის 8 საათზე ვიქტორ ბრანდევომ ველარ აიტანა მოავალი უძილო ღამეების ტვირთი და დაუძინა სავარძელში ისე, რომ კიდევ იღიმებოდა.

დილის 8 ს. და 15 წ. ბ. ფელიქს ბრანდევოს ერთგულმა ნაწილებმა დაიწყეს პარიზის გაწმენდა არა საიმედო ელემენტებისაგან მათ ჰქონდათ ქალაქის პლანი წაშლილი ადგილებით, მეთაურთა სიეზი და უხმო რევოლუციონერები, რომლებიც სასიკვდილო გახებს ისვრიდენ. დილის 10 საათისათვის კანონიერ მთავრობის ხელში იყო პარიზის მთელი ცენტრი, და აგრეთვე უბნები: პასი, ოტეჯლი, და ენისეის მინდვრების.

ვიქტორ ბრანდევო გააღვიძა შეკარეს ყვირილმა:

— *Ab non, par exemple!* დამწყვედეულები ვართ!..

ვიქტორ ბრანდევომ საჩქაროდ ამოიღო საგზაო ქალათიდან აბბატის ანაფორა და „ave Maria“-ს ღოცვით, დამშვიდებულად გაიარა ქალაქში ღალატით შემოსული ჯარის სადარაჯოები. ერთი საათის შემდეგ კი უკვე ბრძანებებს სცემდა გობელენის უბნის სარაიონო საბჭოში.

— ზარბაზნებით ენისეის მინდვრები, მფრინავები უშუალოდ მოუარეთ მონპარნასს. გახები მალე.

მთელი ღამით უძინარი, საცოდავი პარიზელები დილით ფიქრობდნენ დასვენებას. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ყვირილით მიჰქროდნენ ქუჩებზე. ციდან სიკვდილი სცვივოდა. გამოსავალი ერთი ისევ ბრძოლა: მიწის ქვეშ, მეტროპოლიტენში!

ზარბაზნები გრილობდნენ. დაჰქროდნენ გამხეცებული აეროპლანები. ინგროდა სახლები. მაგრამ მთელი პარიზი უკვე მიწის ქვეშ იყო. მშვიდობიან მცხოვრებლებთან ერთად იქვე შეაფარეს თავი ბ. ფელიქს ბრანდევოს ჯარისკაცებმაც. მფრინავები განაგრძობდნენ „S. O. R. E.“-ს მომხრეთა განადგურებას და რევოლუციონერებიც სოროებში იმალებოდნენ.

ვიწრო ბაქნებზე იბრძოდნენ ათასეულები.

აქ უკვე აღარ იხმარებოდა სანხედრო სამინისტროს 7 საიდუმლო განყოფილების გაუმჯობესებული იარაღები, როგორც ძველი წინაპრები დაბურულ ტყეებში, როგორც ველურები უდიდეს უდაბნოში, ადამიანები აქაც აღრჩობდნენ ერთი-მეორეს, მტრებს, თავისიანებს, ქალებს, მოხუცებს, იშვიათ ბავშვებს.

ელსადგური დიდი ხანია არ მუშაობდა. მიწის ქვეშ ბნელოდა.



ხალხი მიობოდა გრძელ, შავ დერეფანში, სველ მილებში, ზევითაც მდ. სენა იყო. ჩუმი ბრძოლები სწარმოებდა ერთად-ერთი იარაღი იყო ფრჩხილები და კბილები.

პარიზის თავზე მფრინავეები თანდათან სპობდნენ ერთი-მეორეს. ძირს, ქვეშ შუა ეყარა დამსხვრეული აპარატების ნაწილები. მხოლოდ ერთი ბიბლანი, „ვააღლის“ სისტემისა, უდარდელად დაჰქროდა თავს გონება დაკარგულ ქალაქს. შიგ იჯდა ენს ბოოტი. ხელს უქერდა ბინოკლს და ისე უყურებდა მშვენიერი პარიზის აგონიას „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი. დარწმუნდა რა იმაში, რომ ყველანი მიწის ქვეშ მიიმაღენ და რომ ქალაქი ცარიელია, ენს ბოოტი დაბლა დაეშვა, გამოიღო კაჟუტიდან წყალში საყურყუმელავებელი ტანსაცმელი და სწრაფად გადაიცვა. დაკვირვებით დიიწყო მდინარის გასინჯვა, რომლის ქვეშა გადიოდა მეტროპოლიტენის ტუნელები.

დაბლა კი, მიწის ქვეშ ხალხი ისევ ჰყლეტდა, აღრჩობდა და ღრღნიდა ერთ-მეორეს.

ვიქტორ ბრანდევო მიობოდა გრძელ დერეფანში. აუტანელად ცხელოდა. მძიმე ჰაერი აწვეებოდა თავზე: ვიქტორ ბრანდევოს მოაგონდა ბერლინის უკანასკნელი ღამე, ცხელი ოთახი ფოლადის საშინელ მანქანაში. და ისევ, როგორც მაშინ, მისი გული ხმა-მაღლა ითვლიდა წუთებს ქრონომეტრისავეით. ვიქტორ ბრანდევო არ ფიქრობდა სიკვდილზე და მთელი თავისი არსებით განიცდიდა დროს. მთელი ეგრედ-წოდებული „ისტორია“, დაწყებული ფარაონ ფერუნკანუნის აფორიზმებიდან და გათავებული „N. O. R. K“-ს საშინელი განადგურებით, — პატარა დღეთ ეჩვენებოდა. ნამდვილი დრო იქ იწყებოდა, სადაც ცივდებოდა ვეებერთელა გული მზისა, სადაც კაქტუსების და გოგანჭურ ობობების შორის დაცოცავდნენ ჩია-კაცები, გახუნებულ ეკლიან ბეწვით. მათი სხეული წვიმის ჭიების ტანს შიგავდა. სვამდნენ სისხლს და გაჰკიოდნენ „ჩუი-ჩუი!“ ვიქტორ ბრანდევო სცნობდა ამ ცხოველებს. გული-ქრონომეტრი კი გარკვეულად ფეთქდა, საშინელ შვილი-შვილებს მოელოდა. უცბად ვილაცამ ბაღნიანი ცხელი ხელი წააელო ვიქტორ ბრანდევოს ყელში. ლოყაზე იგრძნო ცხელი სუნთქვა.

— ეს შვილი-შვილია, — წაიჩურჩულა მან და ჯიბის ელნათური ბიძა ჰკბენს აანთო. გამოჩნდა სუსტი სხივი. თავის წინაკბილებისავეით წვეტიანი ძმისწულს. კბილებით ჩასწვდა ვიქტორ ბრანდევოს კისერში.

მაგრამ მის წინ შვილი-შვილი კი არა, მისი ბიძა, დიდი საფრანგეთის გენიალური პრემიერი, ბ. ფელიქს ბრანდევო იყო, რომელიც გონება დაკარგული გაჰკიოდა:

— ჩუი-ჩუი!

ის სცდილობდა სისხლი ამოეწუნა ვიქტორ ბრანდევოს კისრიდან.



გადარჩენა მოულოდნელად მოხდა, თუ იმას, რაც ჩვენს დღეს წყალი შედარჩენას დაუძახებთ: ორივე მოიტაცა გრილმა და სუფთამ წყალმა მოვარდა. შავ, გრძელ დერეფანში აღარ იყვნენ არც ბ. ფელიქს ბრანდევოს დამცველები, არც „S. R. O. E“-ს მომხრენი; დერეფანში მიჰქროდა მხოლოდ მდინარე სენას წყალი, რომელმაც ევროპის ბედისათვის წარმოებული ბრძოლა მიწის ქვეშ წაღვია.

ზევით, ნაპირთან, ნოტრ-დამის ნანგრევებთან, ენს ბოტენა 4 ს. 40 წ. გადაიცვა. ნაშუადღევს 4 ს. 40 წ. დაუტოვა მკვდარ ევროპას ენს ბოტი წყალში ჩასასვლელი ტანსაცმელი, საგანგებო ხარისხის საფულერელი მიტრინავს. და „ვაჟლის“ სისტემის ბიბლანზე გადაფრინდა შორეულ და უცხო ამერიკაში, სადაც არ იყო არც ლიუსი, არც სიყვარული, არც შავი და გრძელი დერეფნები.

ემიგრაცია. დივიდენდები. ნოსტალგია.


1940 წლის ვნებითი კვირას ამერიკელი მორმონები, მისტერ ტვაივტის მეთაურობით ლოცულობდნენ ცოდვიან და ღვთისმიერ დასჯილ ევროპაზე. 1940 წ.

1950 წელს შემოდგომით იშხივარები არ გადაფრინდნენ ეგვიპტედან.

სხვა მხრივ 1940 წლის შემოდგომა ქვეყნის დარჩენილ ოთხ ნაწილში არაფრით განსხვავდებოდა წინა შემოდგომებისაგან. ეს იყო ნორმალური, ამერიკაში ცოტა უფრო წვიმიანი შემოდგომა.

ოკეანეზე გადმოფრენილი ევროპელები სასტიკი დეზინფექციაში გაატარეს. შემოდგომამ კარანტინში მოასწრო მათ. ნაგრამ ისინი არ ბუზღუნებდნენ. კოცნიდნენ ნახშირითა და ნავთით გაჟღენთილ მიწას, ამერიკის ხორბლიან კანს. სტკბებოდნენ ჩიკაგოს სისხლიანი სულით, პიტსბურგის მჭვარტლით, მანქანების კრაჭუნით, შავი ოფლით, იანკების ძახილით და თავის მონური ცხოვრებით ოგიოს ნავთის სამრეწველოებში ან მისტერ ჯეხსის ქარხნებში მადლიერად ღეჭავდნენ ხიმინდს, რადვანაც ჩ.—ა. შ. შტ. პრეზიდენტმა დაადგინა განსაზღვროს ევროპის ემიგრანტების სამოქალაქო უფლებები, და კერძოდ, გადასწყვიტა, რომ მათი გამოკვება სწარმოებდნენ არა პურიით, არამედ სიმინდის ფაფით, რომელიც მისი აზრით სრულიად საკმარისი იყო დაბალი ჯიშის არსებათა გამოსაკვებად. სიმინდი, რაც უნდა იყოს, მაინც სჯობდა გაზებს, ცენტროფუგებს და ჩიკიტას, ხოლო მალაროების თხრილები უფრო კარგად იყო მოწყობილი, ვიდრე საფრანგეთის სატახტო ქალაქის შავი დერეფნები. ემიგრანტები სჭამდნენ ფაფას და მღეროდნენ სამადლობელ ფსალმუნებს, რომლებიც ორი სიტყვიდან შესდგებოდა:

— „მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ!“.



ზოგიერთმა ევროპელებმა გადასცურეს ხმელთაშუა ზღვა. არა-
 ბებმა, რომლებიც ცნობილი არიან უძველეს დროიდან თავის
 მარ-მოყვარეობით, შესთავაზეს მათ საკუთარი ბინები და
 დენ სუონელოვან ყავით, ვარდისფერ შერბეტით. ევროპელები იპა-
 რავდენ ვერცხლის კოვზებს, არაბეთის ქალებს გადასდეს ცუდი სე-
 ნი და მალე მოითხოვეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს აერჩიათ
 ისინი სპეციალურ პარლამენტში, და აგრეთვე ზურგით ეტარებიათ
 ისინი. მაშინ არაბები შეევედრენ ალღას და გამოაგდეს ევროპე-
 ლები თავის სახლებიდან. ლტოლვილები დაბრუნდენ უდაბნოში.
 თავი შეიყარეს ზოგიერთ ოაზისებში. ქვიშა სწვავედა ნესტოებს. მზი-
 საგან თვალები ეწოდათ. არსად იყო არც მინერალური წყლები და
 არც თვალის დასაცავი სათვალეები. მაგრამ ევროპელები ჰკოცნი-
 დენ გახურებულ ქვიშას—თუჯის ფერ აფრიკის სახეს. ბ. ფელიქს
 ბრანდევოს ზარბაზნების შემდეგ, ლომის ღმუილი ჩოქს მუსიკად
 ეჩვენებოდათ. ვერაფრითარი ცხელი ქარი ვერ შეედრებოდა მხრჩოლავ
 გაზების ერთ პორციას. ევროპის მოგონებაზე, ევროპელები ლოცვა-
 კურთხევით იხსენიებდენ თავის ახალ სამშობლოს.

ურალის მთებში, იქ სადაც ოდესღაც მკონარი დადიოდა, ახია.
 ძველებურად აღმართული იყო სვეტი წარწერით:

მ ვ რ ო ვ ა ← ————— → ა ზ ი ა .

ამ ბოძთან მორბოდენ ევროპელები და ცრუმორწმუნედ იხუ-
 ტებდენ, როგორც რომელიმე თილისმას. უკან იყო უსაზღვრო უდაბ-
 ნო, წინ კი კურთხეული სამეფო—რუსეთი, ახია, მშვიდობა. შრომის
 სახალხო კომისარიატი აღრიცხვაზე იყვანდა ლტოლვილებს და სამუ-
 შაოზე გზავნიდა მათ. ამ დროს რუსეთი სახელმწიფო აყვავების პე-
 რიოდს განიცდიდა და საჭიროებდა მუშა-ხელს. ევროპელები მუშა-
 ობდენ, უმთავრესად ბაიკალის ახლოს, მძიმე ინდუსტრიის ცენტრში.
 ერთ ადგილას, სახელდობრ ძმურ საპრობილეში, აღრიცხვაზე იყო
 აყვანილი 200.000-მეტი ემიგრანტი, რომლებიც მეტალურგიურ სამ-
 რეწველოებში მუშაობდენ. ზოგიერთები მიდიოდენ სახალინამდე და
 ნახშირის მალაროებში მუშაობდენ. ციმბირში ყველაფერი საკმაოდ
 იყო: თოვლი, ოქრო, პური და სამართლიანობა. ლტოლვილები არ
 იგონებდენ არც ყირიმის თბილ ღამეებს და არც უკრაინის ქობებს.
 ლტოლვილები მუშაობდენ, სწავლობდენ მარქსიზმის საფუძვლებს და,
 ეშინოდათ რა გაუქმებული ღმერთის დიდების,—ადიდებენ მსოფ-
 ლიო პროლეტარიატს. მათ შემოიტანეს ციმბირში ახალი ანდაზა:
 „ვინც ინტერნაციონალს მღეროდა, მან მიაღწია სვეტამდე.“ ბედ-
 ნიერები იყვნენ.

შორეულ ავსტრალიამდესაც კი მივიდენ ზოგიერთები და იმ-

წამსვე, მხიარული ღიმილით, შეუდგენ ცხოვრების ძოვებას. მკონი ავსტრალია.
ესენი სორბონის პროფესორები უყვნენ.

ერთადერთი ევროპიელი, რომელიც ნოსტალგიის საშინელ მო-
ქმედებას განიცდიდა, იმყოფებოდა ვოლლ-სტრიტის მაღალი სახლის
მე-32-ე სართულში. ეს იყო „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი, რომელ-
მაც შეასრულა, დაბოლოს, თავის გრანდიოზული დავალება.

ენს ბოოტი 4 ივლისს ჩამოფრინდა ნაჟ-იორკის ბიუროში, ამო-
იღო საგზაო მანქანა და დაბეჭდა სამი წერილი მისტერ ჯეფსთან, სა-
რდალთან და ტვაივტთან:

„ტრესტ დ. ე.“ ნიუ-იორკი. 4 ივლისი 1940 წელი. №16.814. 4 ივლისი ენსი.
ამერიკაში

მოწყალეო ხელმწიფე!

„ტრესტ დ. ე“-ს დავალებების შესრულების გამო მოწვეული
ხართ გამგეობის სალიკვიდაციო კრებაზე, რომელიც მოხდება ა./წ.
11 ივლისს, ტრესტის შენობაში.

სრული პატივისცემით

დირექტორი ენს ბოოტი.

(ენს ბოოტი სრულიად სამართლიანად მიუთითებდა ტრესტის
ამოცანების დამთავრებაზე, რადგანაც მდ. კვებეკზე გაყვანილი იყო
უკვე 14 ხიდი, და „დეტროიტის საინჟინერო ტრესტის“ შემდე-
გი არსებობა უაზრობა იყო).

სხდომაზე მისტერები ისევ სიგარების ხარისხზე საუბრობდნ.
თუმცა მისტერ ტვაივტმა სხვათა შორის სთქვა:— უნდა მოვიხსენიოთ
ტრესტიც. ნუ დავივიწყებთ დივიდენდების დაყოფას: დაკმაყოფი-
ლებული სამართლის გრძნობა არ განიზომება არავითარი თანხებით.
ჩვენ მადლობას გვეტყვის შთაინომავლობა, რომელიც ჩემი ტრაქტა-
ტების მიხედვით გონივრად იქნება აღზრდილი.

11 ივლისი
სალიკვიდა-
ციო სკოლა

— თქვენ მართალი ხართ,—მხარი დაუჭირა მას მისტერ ჯებ-
სმა.—სამართლებელი 4 დოლარი უნდა ელიროს. მისი გაყიდვა 4 ცე-
ნტად—უზნეობაა. მადლობას გვეტყვის კაცობრიობა.

რაც შეეხება მისტერ ხარდაილს, ის გამარჯვებულად იღიმებო-
და. მისი ღიმილი გამოწვეული იყო სამი გარემოებით:

1. ნავთის მეფის შეილი, დაბოლოს, გახდა ნავთის მეფედ.
2. თვისი „დღიურის“ გამოქვეყნებით საქვეყნო სახელი მოიხ-
ვეჭა.

3. მეორე ჯვარისწერის შემდეგ წარმატებით შეასრულა ყვე-
ლა პროცედურები.

მისტერ ხარდაილი გამარჯვებულად იღიმებოდა და ისე სთქვა:
—„ტრესტის“ მუშაობამ საშუალება მომცა, რომ შუა-ევროპის უდა-



ზნო აღმომეჩინა. მე სრულიად კმაყოფილი ვარ ჩემი ნაწილით. მე მა-
დლობას მეტყვიან ყველა ქვეყნების და ყველა დროის კანონების
ქმრები. რაც შეეხება ჩემს მეორე მეუღლეს, მისი მეორის, — ის ხომ
დღესაც ჩემი მადლიერია.

ენს ბოოტმა თავაზიანი ღიმილით მოისმინა პატივცემული მის-
ტერების მოსაზრებები; ამავე დროს ფანჯარაში იყურებოდა: აღმო-
სავლეთით ელოდა მას მშვენიერი ფინიკიელი.

— მადლობა უნდა უთხრათ ჩვენს ძვირფას დირექტორს, —
წარმოსთქვა მისტერ ტვაივტმა, — მე ვჩუქნი მას 1.000.000 დოლარს,
წყნარ ოკეანეს ნაპირზე საუცხოვო ვილას და ქილას „ტვაივტის“ საუ-
კეთეთესო სუკით.

— მე ვჩუქნი სახლს ნაუ-აორკში, პარკს კალიფორნიაში, სა-
ლონ მატარებელს, 5 აეროპლანს, 20 ავტომობილს და საუკეთესო სა-
მართებელს — წარმოსთქვა მისტერ ჯეზსმა.

ყველაზე ორიგინალური აღმოჩნდა მისტერ ხარდაილის საჩუ-
ქარი:

— გუშინწინ ვენეცუელის სახელმწიფო ვალების გადახდით შე-
ვიძინე ეს პატარა, მაგრამ სიმპატიური მხარე. მას თქვენა მჩუქნით,
პატივცემულო მისტერ ბოოტ. იქ საუცხოვო ნავთია და კომფორ-
ტული ქალები. ამის გარდა შეგიძლიათ გამოუშვათ საფოსტო ნიშ-
ნები თქვენი პორტრეტით.

— უკაცრავად, მე ისე აღელვებული ვარ თქვენი სიტყვებით, —
უპასუხა სამ მისტერს ენს ბოოტმა, — რომ იძულებული ვარ სუფთა
ჰაერზე გავიდე. ოხ, მე ზედმეტად გრძნობიერი გული მაქვს!..

დაშლილ „ტრესტ დ. ე“-ს დირექტორმა სთქვა ეს და ავიდა ენს ბოოტი
ლიტვით სახურავზე, სადაც ელოდა მას საუცხოვო ბიპლანი „ვაი- გარბის
ლის“ სისტემისა.

არა, მას აღარ სჭირდებოდა არც ვენეცუელა ფოსტის ნიშნე-
ბით, არც სალონ-მატარებელი, არც დოლარები. მას არ შეეძლო გა-
ნშორებით ცხოვრება. ერთგული საყვარელი დღისით და ღამით აღ-
მოსავლეთისაკენ იყურებოდა.

12 წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა ქვეყნის ნაწილის მოსასპო-
ბად, სადაც 350.000.000 მეტი მცხოვრები იყო. მაგრამ 12 წელმა
მოსპო უდიდესი სიყვარული ენს ბოოტის გულში. ჩვენ ვშიშობთ,
რომ ზოგიერთ პატივცემულ მეცნიერთა თვალში არ დაეცეს ჩვენი
ნაშრომის ღირებულება. ასე რომ არ იყოს, წავშლიდით სათაურს —
„ევროპის დაღუპვის ისტორია“ და მის ნაცვლად შეიკრებოდა უფრო
შესაფერ სახელწოდებას მივცემდით ამ შრომას, — სახელდობრ: „გა-
ნუწვევებელ სიყვარულის ისტორია“.

— იქ დილაა, — ფიქრობდა ენს ბოოტი, როცა ბიპლანის კაი-



უტაში ჯდებოდა. — ის თვალებს იშმუშნის. ის მე მიმეღიქს, მის მუბ-
ლზე ისევ კრთის განთიადივით ქერა ქოჩორი.

მართლაც, შორეულ აღმოსავლეთისკენ ევროპა ნებივრობდა
დილის მზის ქვეშ. გარშემორტყმული იყო ლოკოკინებით სავსე სამ-
ხრეთის ზღვებით, ვერცხლისფერი თევზებით სავსე ჩრდილოეთის
ზღვებით.

ბინდში, შებოლილ ნაჟ-აორკის ზემოდ ფრენის დროს ენს ბო-
ოტი ყვიროდა:

— შენთან!.. საჩქაროდ შენთან! მე შენი ვარ, ფინიკიელო!..
სამი მისტერი ტყუილად ელოდენ მის დაბრუნებას.

31.

ზეზენი და ევროპა.

ენს ბოოტი აღარ უყურებდა არც ბიბლანს, არც რუქას. მხე-
ცივით ყნოსავდა ჰაერს და ეს გრძნობა უთითებდა გზას საუკეთე-
სო ბიბლანს „ვაჟლის“ სისტემისა. ბოლოს, დაბლა დაეშვა; ეს იყო
სადღაც ევროპის შუაგულში.

ნაადრევი შემოდგომის სუფთა დღეები იდგა. ნელი სიოთი ირ-
ხეოდა გორაკებზე აღმართული ქერა რიგები: ეს ნეკერჩხალი, იფნის
ხე და თხმელა იმოსებოდა სიკვდილის წინ. ენს ბოოტმა მოსჭრა თა-
ვისთვის ჯოხი და გაუდგა გაუვლელ გზას. დიდხანს მიდიოდა. ყვე-
ლაფერს ხედავდა. წითელი, გახუნებული მიწა პირს ალებდა: მას
სწყუროდა. ირიბად სწვიმდა. ღამით მთელი ცა იწოდა და ელვა
სცვივოდა ტყეზე. წითლდებოდა ანწლი, რომელმაც ნახევარი ევროპა
დაჰყარა, წითლდებოდა მწუხარებისა და ვნებისაგან. დილით ყურს
უგდებდა კუდცანცარას წრიპინს, ღამით კი ტიფის ბურტყუნს.
ჰყვავოდა მუქ-ყვითელი უსუფის ყვავილი, ცქვიტი ფუნდურები აჭრე-
ლებდენ ფრთებს. ევროპა ცოცხალი იყო და მისი მაყურებელი ენს
ბოოტი გამოუთქმელ ბედნიერებას განიცდიდა.

ენსი ისევ
ევროპაშია

მან იცნო დიდიხნის ნაცობები. წინ ხედებოდა გარეული
ლორები, მსუბუქი და ტანადები ეშვებივით. ტოტებზე იაგუნდივით
ანათებდენ კატის თვალები. ქათმები ბღვილად დაჰტრინავდენ
ჰაერში და უდარდელად კაკანებდენ ლურჯ სივრცეში. ევროპის
უძველესი მწერი, შავი აბანოს ქია სამხარეულოდან გარედ გამო-
სულიყო და მუხის კანის ქვეშ ამაყად აცმაცუნებდა თავის საუცხოვო
ულვაშებს.

განთავისუფლებული მხეცები გაკვირვებით წესცქეროდენ ორ-
ფეხა მოძმეს. მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ აენო ენსს ოდესღაც,
გოტიურ შენობის ნანგრევებთან, რომელშიც წინად სასამართლო



იყო მოთავსებული, ენსი შეხვდა მგელს პატარა ლეკვებით. მგელმა მზრუნველობით შეხედა მარტოდ მოსიარულე ადამიანს და დადგა რივი ალერსით ლოკვა დაუწყო მის ლოყებს.

ენს ბოოტი მიდიოდა დიდხანს, დღეებით, კვირაობით, შეიძლება თვეობითაც. სახე დიდებული წვერით დაეფარა. მან გაიხადა საგზაო ტანსაცმელი, დაგლეჯილი ბუჩქნარით, და დარჩა გძელ, თეთრ პერანგში, რომელიც ძალიან წააგავდა ძველ ტოგას. გრძელ იფნის ჯოხს ეყრდნობოდა. როდესაც მიდიოდა, ტოტები ფოთლების ნაზი შრიალით ირხეოდნენ და გზას უტევდნენ. ენს ბოოტმა იცოდა, რომ ეს ევროპა ესაუბრებოდა მას. როგორ შეეძლო მშვენიერ ფინიკიელს ამ აღკვეთილ ვნებით მოსიარულე მოხუცში არ ეცნო თავისი პირველი და ერთად-ერთი საყვარელი — დიდი ზევესი?

ასე დაღამდა, და ენს, ბოლოს ძალა გამოეღია. ის რომელიღაც ქალაქის ნანგრევებ შორის იმყოფებოდა. ყოფილ ბირჟის წინ იჯდა დიდი დათვი, შორს იყურებოდა უაზოო თვალებით და კოკრიან, ნამუშევარ თათებს ილოკავდა. ენს ბოოტი ძლივს იდგა ფეხზე, ისე მიუახლოვდა და გაუწოდა უკვე დილის ნამ გადაკრული ბალახი. დათვმა მიიღო ეს უცნაური ძღვენი და ბალახი თავის გვერდით დასდო. მაშინ იგრძნო ენს ბოოტმა, რომ მოახლოვდა ერთგვარი, საზემო საათი.

მის წინ ეგდო დამტვრეული, დაქანგული აბრა. ენს ბოოტმა მღელვარებით წაიკითხა:

ევროპა.

აღბად ასეთ სახელს ატარებდა რომელიმე დამზღვევი საზოგადოება, ან მეორე ხარისხის სასტუმრო. მაგრამ ენს ბოოტმა იცოდა ერთი რამ: ეს მისი საყვარლის სახელი იყო. მირბოდა და ყვიროდა: ევროპა! ევროპა!

მზე ჩადიოდა. მის ირგვლივ ვეებერთელა უდაბნო იყო.

უკანასკნელი ადამიანი ეძახდა ამაყ ფინიკიელს.

ენს ბოოტი შეფოთავდა, აღტაცებული ვნებით და სიკვდილით, აღტაცებული ხარივით, აღტაცებული ღმერთივით. თბილი ტუჩები გაუმადლოდ დაეწაფნენ მიწას, რომელსაც სიმეფის და ავტავანის სუნი ასდიოდა. უკანასკნელი კოცნა! ევროპამაც მოიგონა დაუდგრომელი რბენა, ოფლიანი, ბალნიანი კისერი ხარისა, რომელმაც იგი მოიტაცა, და იცნო თავისი საყვარელი. მან კოცნაზე კოცნითვე უპასუხა

ერთი საათის შემდეგ მკვდარ ენს ბოოტს თავზე დასტრიალებდა თეთრი ძეჩა, და უეცრად ამოვარდნილი ქარი სწეწავდა ღმერთის ქაღარა წვერებს.



დალამდა. სამხრეთის და ჩრდილოეთის ზღვებით შემოჭრულმა ფინიკიის მეფის ასული მშვიდად სთვლემდა.

ასე გარდაიცვალა ევროპის უკანასკნელი ადამიანი ენს ბროტი, ჩვენი წელთაღრიცხვით 19 სექტემბერს 1940 წელს.

მთელი ქვეყნის ნორმონებო, ილოცეთ დიდი ავანტიურისტის სულის მოსახსენებლად! ქვეყნის 4 გადარჩენილი ნაწილის ქალწულებო, ნაზი ოცნების დროს მოიგონეთ უმშვენიერესი ყველა საყვარლებ შორის!

19 სექტემბერი. 1940 წ. ენს ბროტის სიკვდილი.

დახასრული. *)


თარგმანი შ. ახათიანის.

*) № 7—9-ში გაგვებარა შეცდომა, რომელიც არ შეეფერება რომანის სათაურს და შინაარს ინიციალებს: „დ. ე.“ რუსულად უდრის: „Дашь Европа“. ქართულად კი ეს ფრაზა გადათარგმნილია „იძლევი ევროპას“, ე. ი. მისი ინიციალები იქნება „ი. ე.“ ამიტომ ყველგან, სადაც ნახმარია „იძლევი ევროპას“—სწორი თარგმანი არ არის. მის ნაცვლად უნდა იყოს: „დასცხე ევროპას“.

ქვაპილან ზავით.

ჩვენთან მოვიდა ზვიადი გენი
რაინის მკერდზე არხის გაღლებით.
იკვამლებოდა, ღმუროდა გაბმით,
რწყავდა ნაპირებს თეთრი ქაღალდით.
და ირხეოდა დროშა სამფერი
ოქროს სხივებით დაფერილ ტარზე:
ღღეს მან რაინის ციხე-სიმაგრეს
პრუსიის მეფე მიჰგვარა კარზე.
ცა ეღვარებდა. უმზერდა ხომალდს
გაოცებული ქალაქთა თვალი.
მისი კედლები სარკეს წააგავს
და სარკესა ჰგავს რაინის წყალი.
მოკრიალეებულ იატაკებზე
შუქი ტყდებოდა ბრწყინვალე ფერად.
მეფეს შეენოდა სახე გმირული,
ხოლო დედოფალს ნათელი მზერა.
იღიმებოდენ ისინი ტკბილად
და თავს უქნევდენ ხალხს მოფერებით.
მათ ახარებდათ რაინის ვაზნი
და სენ-გოარის საკურთხევლები.
ლაღობს რაინი, მთებიც ლაღობენ,
გემი ტურფაა, თვალების მკრელი,
მისი ციალი მზერას იტაცებს,
როგორც სან-სუსის პარკეტი კრელი!
მავრამ ძირს იმის ყრუ გვირაბებში
ბნელი რამ სული ანათებს თვალებს.
ნელა ეღება ცეცხლი შავ წამალს,
რომელიც გრგვინვით იფეთქებს მალე.

*) ფერდინანდ ფრეილიგბრატი — პოეტი რევოლიუციონერი, კ. მარქსის პირადი მეგობარი.
ეს ლექსი დაწერილია 1846 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყურს უგდებს ორთქლის მჭექარე სტვენას
კვარტლიან ოფლით შუბლ გადახნული,
ის—პროლეტარი და მემანქანე,
მათი განცხრომის ცოცხალი სული.

ზევით რაინი, მზის ელვარება,
ზევით ყვავილებს ცა ამკობს ნამით.
ძირს კი მზურვალე ფანჯრის მინაში
ის ცეცხლს უცქერის დღისით და ღამით.

სდგას ის ღადარის მეწამულ ხვრელთან
გადარუჯული ტიტველი მკერდით;
ზევით ხომ თვითონ მეფე ზეიმობს,
გრძნობა დამთვრალი საკუთარ ბედით!

ზაგრამ, ო, შვება ეღირსა მასაც!
გემის ბაქანზე არავინ არი.
ამოისუნთქა შემსუბუქებით
და გადაკეტა ღუმელის კარი.

თავის მახიდან ამოდის ზევით
ცხელი აღმურით გარემოცული.
სარკმელს მოადგა: მის წინ ქალაქი
ზეიმს ეძლევა უცხოდ მორთული.

ელავს ფოლადი იმის მარჯვენაში,
სახეს და თვალებს სიბრაზე უნთებს,
იმის შავსა და განიერ მკერდზე
რკინის ჯავშანი შეუკრავს კუნთებს.

და მოსდევს უკან დიდებულ მეფეს
სიტყვები მისი შხამ-გესლით საესე:
—„შეხედე! ხომალდს ჰგავს სახელმწიფო:
შენ დასეირნობ ყოველთვის თავზე.

ხოლო მე კი ძირს ოფლში მცურავი
ვიხრჩობი ცეცხლის და კვამლის ბრუნვით,
თავგანწირული ვიბრძვი და ვსტედავ
მე ჩემს რკინის ბედს ფიცხელი ზრუნვით.

და არა მარტო ჩემსას, მეუფევ!
ვინ გაარღვევდა იმ ზვირთებს, ვინა,
დაუღალავი, ველური ხელით
რომ არ შეჭიროს მე ქვევით რკინა?

და თქვენ, მეფენი, ღმერთნი არა ხართ
იმდენად, ვით მე—შეკრული დევი.
მითხარ, ვერა ჰგრძნობს შენი ფეხები,
თუ რა ვულკანი გუგუნებს ქვევით?



ის ჩემში არის. ერთი განძრევა,
და ყრუ ქუხილით იფეთქებს მეხი,
მტვრად დაიფშვნება დიდი შენობა,
რომელზედაც შენ გიდგია ფეხი.

ადულდებიან მიწანი, კლდენი
და შთაინთქები უძლური შენ იქ.
ჩვენ კი — გამოვალთ ზღვის ტალღებიდან
და დილის სხივებს შევხედებით ღხენით.

ჩვენ ის ძალა ვართ, ნძიმე უროთი,
ძველ ქვიშაში რომ ასეავდა სვეტებს.
ჩვენთვის ძველადვე პროლეტარები
დაურჭმევია მრისხანე ღმერთებს.

გარს შემოუვლით ზეიმით შიწას!
აბა პირდაპირ შემხედუ ერთი:
ვით ქრისტეფორე ახლად ვლენილი
მომავლის ქრისტეს ვატარებ მკერდით.

მე გოლიათი ვარ უძლეველი,
მარადისობის სვლაში ვარ ის მე,
ვისშიც ფარული სულს მხსნელისა
ნომავალ ძლევის ყიჟინას ისმენს!...“

სთქვა ეს ციკლოპმა პირ მოღუშულმა,
მიმოაბრუნა ვეება ყელი,
კვლავ დაუბრუნდა კვამლიან ღუმელს
და ისევ რკინას მოჰკიდა ხელი.

ულოკავს სახეს ცეცხლის ენები
ორთქლი აწვება ცილინდრებს ქშენით,
ის კი იცინის: — „არა, წამალო,
ღრო არ დამდგარა ჯერ კიდევ შენი.“

მაგრამ თავდება ქვეყნად ყოველი:
გემიც დასასრულ ნაპირს მიაღვა,
სასახლისაკენ სწრაფი კარეტი
მყრს გაემართა მეფე ზვიადად.

და გაჰყურებენ ცეცხლის ფარეშნი
მოკაზმულ ქალაქს დამცინავ თვალთ.
„ო, რა ძველია ეს ნანგრევები,
მაგრამ წმინდაა იმათი კვალი!“

წიგნიდან „დაწყვილილი წლები“

მ ე ლ ე ბ ი.

დასახიჩრებულნო.

მკერდებ მოფენილნო ჯვრებით და ლენტებით,
თქვენ დღეს გმირები ხართ.

დასახიჩრებულნო,

მკერდებ მოფენილნო ჯვრებით და ლენტებით.

ხვალ თქვენს ბატონებთან

თქვენ მუშები ხართ მხოლოდ უვარგისნი,

შემცირებული შრომის ხელფასით.

შიმშილი ელის ხვალ თქვენს შვილებს.

მაგრამ ხვალ,—ო, თუნდა ხვალვე,—

თუ კი ვითხარით,

რომ თქვენი სისხლი დაიღვარა მხოლოდ იმისთვის,

რათა ზედმეტად განემტკიცათ ამ თქვენს ბატონებს

თქვენზე თავისი ბატონობა,—

თქვენ აღმართავდით მაგ ხელების ნაკვეთებს ჩვენზე,

მაგ ყავარჯენებს თქვენი ტანჯვის და დიდებისას.

ო, დავრდომილნო, ლენტებით და ჯვრებით მორთულნო,

ვით ძალგით თქვენ ის აიტანოთ, რომ თქვენ იტანჯეთ არაფრისათვის?

ს ო ფ ე ლ ი.

სოფელო,

მცირე სოფელო,

სახურავების წითელ კრამიტებით,

სამრეკლოთი,

აღვის ხეების, ცაცხვების და მინდორთა შორის.

— მე გხედავ შენ, სოფელო,



ამ მთიან ხევში
 მიკუნტულს, მცირეს და მივიწყებულს,
 ამ მწკანე ხევში, მთების გულში რომ შეწოლილა.
 გხედავ შორიდან, ო სოფელო, მცირე სოფელო, —
 მაგრამ რა კარგად გიცნობ მე შენ და ამ შენს ქონებს.
 მე ვიცნობ იმათ სათითაოდ და სულყველას ერთად მიკრუნჩხულთ,
 ისე, ვით ცხვრები გამოშვერილ მთების კონცხებზე.
 — შეპურეს მოუკლეს სიძე,
 მოვიდა შუადღით დებეში,
 ხოლო გასულ კვირაში —
 შვილი გადასახადთა ამკრეფს, —
 დარჩა დედა ორი პატარათი და კიდევ მესამეს ელიან.
 სოფელო, სოფელო — იცი თუ არა შენ,
 რასაც სატახტო ქალაქებში ეს ბატონები ლაპარაკობენ?
 ყოველი მათგანი ხატზე იფიცება:
 „ვფიცავ, ჩემი ბრალი არ არის, აქ მე არაფერ შუაში ვარ“.
 — შენ, კი სოფელო, სდუმხარ.
 და ან კი რა უნდა სთქვა.

II ინტერნაციონალი.

არა, თქვენ არ იყავით ძმები...
 თქვენს კონგრესებზე,
 მცირე ჯგუფებად
 მდუმარენი,
 მაგრამ ფართულად ერთმანეთისათვის თვალის ჩამკერვლნი,
 სადღესასწაულო ტანსაცმელში,
 გაუბედავნი, სულით სუსტები,
 მაგრამ სახით კი უმტკიცესნი და თავის თავით კმაყოფილნი,
 ერთი მეორეს ატარებდით ამ კონგრესებზე,
 ესალმებოდით გაშმაგებულ ხელის მოკერით
 უცხო ქვეყნების ამხანაგებს,
 რომლებსაც თქვენ სადგურებზე ელოდებოდით.
 მიდიოდით ქალაქის დასათვალიერებლად.
 და უნებურად აღნიშნავდით თქვენ მაინც უკვე:
 — აი აგერ ის... გერმანელი დაულღელ ყრონტი.
 — ბრიტანელი კი... მთლად გაფხეკილი.
 და უნებურად დასცინოდით:
 ხომ არ ჩამოვწნათ ნაწნავებად რუსების თმები.
 და უნებურად ბრალსაც სდებდით:
 — ეჰ, ეს ფრანგები — სულ ერთი და იგივე მუღამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკვირდებოდით, ყურს უგდებდით.

და ტაშის ცემით გაყრუებულ სიტყვების შემდეგ,
ხშირად მკაცრი და ულმობელი კამათის შემდეგ,
რონელიც ხსნიდა გულის სიდრმეს გაყინულს, ვიწროს,
თქვენ მოაწყობდით საღამოს და ბოლოს ბანკეტზე
გრძნობით იწყებდით ერომანეთთან დაძმობილებას,
შემდეგ კი ყველა საკუთარ გზას გაუდგებოდით
მაგრამ წინასწარ სიყვარულის და ძმობის ნიშნად
კიდევ ერთმანეთს დაამტკვრევდით გაყრის დროს ხელებს.
აი როგორ იყო.

აი როგორ იყო. თქვენ ბრუნდებოდით ყველანი სახლში,
და ყოველი თქვენგანი საერთო კრებაზე
გამოდრიოდა ცეცხლოვანი მოხსენებით.

სადაც ენტუზიაზმი სცემდა ბავშვების გასართობი;
ხოლო კავშირის სექრეტარიატში, თავისთვის მარტო,
დამცინავი ღიმილით იღიმებოდა,

ან თავის მოგზაურობას გუნებაში ჯამს უკეთებდა
და რევანშის ცივ მოჟიქრებაში ჩაიძირებოდა.

სად იყვნენ მაშინ თქვენი სულები?

მაშ აბა წადით, — წადით იბრძოლეთ,

წადით სხვების საქლეტად — წადით თქვენი თავების დასახოცად,
წადით და იძიეთ, წადით და ბრძოლებში

ისევ მოიპოვეთ ცბიერებას და სიცრუეს მოკლებული სული.

თქვენ, ვისაც არ შეგეძლოთ თქვენი ბრძოლების წარმოება, —

თქვენ, ვინც ვერ მოახერხეთ საკუთარი რწმენისთვის სიკვდილი,
უჩქარეთ, რომ გაჰქრეთ ამ ქვეყნიდან,

სადაც, თქვენ მხოლოდ თამაშობდით, აქტიორებო.

თარგმანი კ. ჭიხ.

სომხეთის პოეზია უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში¹⁾.

სომხეთის პოეზია დაადგა ახალ გზას. ეს მოვლენა დაიწყო იმ დღიდან, როდესაც საბჭოთა რაზმები პირველად შემოიჭრა სომხეთში, როდესაც დამკვიდრდა ახალი ძალა-უფლება და ცხოვრება სხვანაირად დატრიალდა.

აქამდის სომხური სიმღერა იყო მწუხარე და სევდიანი. ცრემლები იყო უმთავრესი ატრიბუტი სომეხ პოეტის, ცრემლები იყო უმთავრესი ელემენტი მთელი სომხური პოეზიის.

ამ მწუხარე და ნაღვლიან სიმღერებს მღეროდა მთელი სომხეთი, ტანჯვით და წამებით ჯვარზე გაკრული.

„ზულუმ“²⁾—აი ის სიტყვა, რომელიც ყოველთვის მეორდებოდა სომეხ პოეტების და აშუღების სიმღერებში. ამ სიტყვის გარეშე არ არსებობდა არც ერთი სიმღერა. „ზულუმის“ გარეშე წარმოუდგენელი იყო მშრომელი გლეხური ხალხის ცხოვრება იმ ქვეყანაში, რომელმაც ამოდენი სისხლი დაღვარა. იმდენი წყალი არ წამოუღია მის მდინარეებს, რამდენიც სისხლი დაედინა ამ საუკუნეებით დამონებულ და დატანჯულ ხალხს.

ამნაირ ხალხს ვერ წარმოედგინა ჯანსაღი, მხიარული და აღმაფრთოვანებული სიმღერა. ყველა სომხის პოეტები, სავსებით ყველა, გათავებული, თითო-თქმის, ვაჰან-ტერიანით, რომელიც ამ 4—5 წლის წინად გარდაიცვალა, დასტიროდენ თავის ქვეყნის და თავის ერის ბედ-იღბალს. ერთფეროვანი, სამგლოვიარო ტონი სომხური სიმღერების და უნუგეშო, იმედ დაწურული მათი კილო, აძლევდა თავის ელფერს მთელ სომხურ პოეზიას.

მაგრამ, იწყება ახალი ხანა, ცხოვრების ახალი ეპოქა, როდესაც მთელმა ქვეყანამ და მთელმა ერებმა დაიწყო სხვანაირად ცხოვრება.

ხალხი აღარ დასტირის თავის ბედს, თავის უფერულ და მრავალ ტანჯულ ცხოვრებას, არამედ ჰპოულობს ხსნას დაუცხრომელ, მუდმივ შრომაში და მთელი მსოფლიოს, მითუნეტეს კი მეზობელ ერების მშრომელ ხალხთან ძმურ შეკავშირებაში. ამ ხაზს და ამ მიმართულებას საკეთილდღეოთ გამოჰყავს ის ერთა ჰემმარიტ ბედნიერების ფართო გზაზე.

¹⁾ დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის.

²⁾ ზულუმ—უბედურება.



ეხლა უკვე აღარ არსებობს სულიერი წაშება, ეხლა მშვიდობიანი და დაწყნარებული შშრომელთა გრძნობა ჰქმნის გაშლილ, ჯანსაღ და სიცოცხლით სავსე სიმღერებს.

ზოდის ახალი თაობა, იქმნება ახალი ცხოვრების ფორმები, და თავის თავად, იქმნება ახალი სიმღერაც, რომელიც უფრო მეტად ეთანაბრება ახალ სულიერ განწყობილებას და ახალ ცხოვრების მოთხოვნილებებს.

„ბოლშევიკ ეს წირ კანალ“ (ბოლშევიკო, შენ ხარ მსოფლიოს არხი!)—აი როგორი სიმღერები იქმნება ეხლა და როგორი ალტაცებით ხედებიან მათ, ეინც წირაქში არხი გაიყვანა.

აღსანიშნავი არის ის, რომ ან სიმღერებს ჰქმნის უკვე მოხუცებული პოეტი აკობ-აკობიანი. თავისთავად ცხადია თუ რას განიცდიან უფრო ახალგაზდა პოეტები.

რკინის სიმღერები...

ისინი უგალობენ ახალ არხებს, მდინარე ზანგუს, რომელიც მოგჯა თავის მრავალ საუკუნეიან მწვერვალებს და მოიგრაგნება ველების მოსატბორებლად, რათა დაანოყიეროს, გააძლოს და წყურვილი მოუკლას სიცოცხლეს დახარბებულ ყანებს, მძლავრად აამოძრაოს ელექტროს მანქანები, რომლებიც აწვდიან ერევანს თავის სინათლეს.

ისინი უგალობენ, აგრეთვე, მშვიდობიანად მონდინარე არპაჩაის, მის ახალ გაშლას, რომელიც სიცოცხლეს აძლევს გარემო ყანებს, და სინათლეს აწვდის შშრომელ გლეხობის პატარა ქოხებს. ისინი უგალობენ მასისს (არარატს,) არა როგორც ბიბლიურ მთას, არამედ როგორც გიგანტ მუშას, „რომელმაც ჭიპზე მიიკრა მის ირგვლივ გაშლილი ყანები, შემოიკრა, როგორც ქამარი, არეზი, მზე თავზე გვირგვინად დაიდგა; აანთო ქარხნები, ფაბრიკები და აღადგინა გაპარტახებული სოფლების ცხოვრება.

სხვები უმღერენ მუშას, რომელიც გამოქედლია რკინიდან და ფოლადიდან და რომლის გულში დაუშრეტელი შემოქმედითი ცეცხლი იშლება ათასგვარ ფერადებით; მზის ელვარებით, მზის წყურვილით. გაგიყებული, თავის ძმებთან ერთად ამღერებული, ის ჰქმნის ახალ, სანატრულ ცხოვრებას.

აი უმთავრესი ჰანგები და მოტივები თანამედროე სომხეთის პოეტების.

ეს სიმღერები არიან, თითქოს, რკინიდან გამოქედლი. მათ ახასიათებს ჯანსაღი და მხიარული სული, რომლითაც ისინი არიან გაყლენთილი; მათ ახარებს და იტაცებს ერთი ბედნიერება: ეს ის, რომ სიცოცხლობს ახალი სომხეთი, რომ მათი სამშობლო, დღეს ბოლშევიკური, საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ ცხოვრობს სრული ცხოვრებით და მიიღტვის საერთაშორისო ბედნიერებისაკენ.

სომხეთი ძლიერ უყვარს თავის ხალხს; უყვარს ის პოეტებსაც, რომლებიც უგალობენ მას სიყვარულით, ამეტყველებული გრძნობით, ყოველგვარ ჰანგზე, მწყობრი და ანთებული ლექსებით; უგალობენ თავის ძვირფას ქვეყანას, რომელსაც ოდესღაც ეწოდებოდა ნაირი...



შრომის და მომავალი ცხოვრებისათვის ბრძოლის მგოსნები... სახელი შეიძლება ჰქმნარიტად ეწოდოს თანამედროვე სომხეთის ახალგაზრდა პოეტებს.

მათ შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი და ნიჭიერი არიან: ეგიშე ჩარენცი; ახატ ვშტუნი; ნორენცი; გურგენი; მაგარი; ნაირი; ზარიანი; ალაზანი; დანჩო; ვანან—დეცი; დაბაგიან; პარისი.

ყველა ეს პოეტები შეიკრიბენ ჟურნალ „მურგ“-ის (ჩაქუჩი) გარშემო.

ეს ჟურნალი იცემა პოეტ ახატ-ვშტუნის რედაქტორობით.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროლეტარული პოეტების რიცხვმა იმატა. ეხლა, ყველა ზემოხსენებულმა პოეტებმა თავის შემოქმედებაში საკმაოდ გამოარკვეეს თავისი ფიზიონომია.

ბევრი მათგანი უკვე გამოვიდა ცალკე წიგნებით და წიგნაკებით. მათ შორის ყველაზე მეტად თავი იჩინა ეგიშე ჩარენცმა, რომელიც ეხლა გაგზავნილია საზღვარ გარეთ (ევროპაში და ამერიკაში).

მისი ნაწარმოები გამოიცა რამოდენიმე გამოცემებათ. ორი წლის წინად, მოსკოვში, გამოვიდა ორი მოზრდილი ტომი მისი პოეზიის სრული კრებულისა. ზოგიერთი მისი ნაწარმოები შეტანილია ახალ სასწავლო წიგნებში. კრიტიკა მას ალტაცებით შეეგება და მომავალში მისგან კიდევ ბევრს მოელის.

ჩარენცი მეფობს ახალ პოეზიაში და სხვები ბაძავენ მას, როგორც ფორმებში, ისე სახეებში. თვითონ ჩარენცი ძლიერ ჰბაძავს რუს ფუტურისტებს და ყველაზე მეტად მაიაკოვსკის. თავის მხრივ, ჩარენცი არ ჰფარავს ამ გარემოებას და აშკარად ლაპარაკობს, რომ ის არის ფუტურისტი და, როგორც მან, ისე სხვებმაც ბევრი რამ უნდა ისწავლონ ფუტურისტ პოეტებისაგან.

თავის გამოსვლებში და ლექციებში ის ალტაცებით იხსენიებს რუს ფუტურისტებს და ამბობს, რომ იმათ დაიმკვიდრეს და შეითვისეს კულტურა ბურჟუაზული პოეზიის და ხელოვნების.

ჩარენცის პოეზიის მოტივები—რევოლიუციონური; ის ერთ-ერთი მახარობელია სომხურ პოეზიაში დიადი სოციალური რევოლიუციის; ყველა მისი ლექსები იფერება თანამედროვე სომხეთის სინამდვილით.

საბჭოთა სომხეთი—აი, რა არის მისი შემოქმედების უსაყვარლესი თემა.

ჩარენცი კიდევ ახალგაზდაა. ის სულ 27 წლის არის მისი ნიჭი ჯერ კიდევ განვითარებას განიცდის და ამისათვის, მომავალში, მისგან შესაძლებელია კიდევ ბევრ რამეს მოველოდეთ.

მეორე ადგილი თანამედროვე სომხეთის პოეტთა შორის უდაოდ უკავია ახატ-ვშტუნის.

მის პოეზიის მოტივებს შეადგენს, უმთავრესად, აღმოსავლეთი, დამონებული, მაგრამ გამოღვიძებული და ამბოხებული აღმოსავლეთი. მან უკვე გამოსცა ორი, თუ სამი წიგნი ამ თემაზე.

სხვათა შორის, ის უგალობს აგრედვე დაჩაგრულს და მონობაში დაღონებულს, მაგრამ აღორძინების გზაზე დამდგარ აზერბეიჯანს („ჯან-აზერბეიჯან“) ის უგალობს მის ნავთის ჭებს, რომლებშიაც დაგროვილია დაუშრეტელი სინათლის ძალა; უგალობს მის ქარხნებს, ამოდრავებულ მანქანებს და სხვას.

ეს არის პოეტი ორიგინალური, კულტურული, აღზრდილი პოდლერზე, ვერლენზე და სხვა ფრანგ სიმვოლისტებზე.

მის პირველ წიგნში, რომელიც გამოიცა 1918 წელს, სწარმოებენ ფრანგ სიმვოლისტების მოტივები და მათი შემოქმედების ფორმები. რევოლიუციამ ის სრულებით გარდაქმნა და შესცვალა არა მარტო წინაარსი მისი პოეზიისა, არამედ თვით წერის მანერა და გარეგნული მხარე მისი შემოქმედების.

უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს მშვენიერი ენა; ლექსთა წყობაში და რიტმიკაში მას არა ჰყავს ტოლი თავის წრის პოეტებ შორის.

ახატ-ვშტუნი, ისე, როგორც დიდი ნაწილი თანამედროვე პოეტებისა, მოდის სათათრეთის სომხებიდან, რის გამო, მის გამოთქმაში არის დიდი ნაწილი დასავლეთ სომხების (სათათრეთის სომხების) კილოსი; ეს აძლევს მის ენას მეტ სინაზეს და სირბილებს. მას მოაქვს დიდი სარგებლობა, როგორც პოეზიისათვის, ისე თვით ჩვენი ლიტერატურული ენისათვის, რომელსაც ის ამსუბუქებს და აკეთილშობილებს. დასავლეთ სომხების გამოთქმაში არის მეტი კულტურა, სილამაზე და სიმძაფრე.

ამ მხრივ, დრამატურგ-პოეტის ლეონ შანტის სტილი მიღებული უნდა იქმნას, როგორც გაკეთილშობილებული ენის ნიმუში.

მესამე ადგილი უჭირავს აბოვს, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველაზე უფრო კარგი, რაც მან დასწერა, არის წიგნი, რამოდენიმე წლის წინად გამოშვებული, რომელსაც ჰქვია „მხოლოდ ქალი“.

ამ წიგნში ის სავსებით იჩენს თავს, როგორც პოეტი, თავის შემოქმედების ინდივიდუალური თვისებით და ფორმით.

ამ წიგნში არის ძალა, სინათლე და თავისებური ორიგინალური სტილი, რომლითაც ის სხვებისგან განსხვავდება.

ეხლა ის განიცდის ძიების ხანას და სავსებით დაშორდა უწინდელ შემოქმედების გზებს.

მას ჯერ კიდევ ვერ მოუწახავს თავისი თქმა, პოეტური მსოფლმხედველობის და შთაგონების ახალი ფორმები; მისი უკანასკნელი წიგნი: „დანით ყელთან“ დაწერილია რუსი ფუტურისტების გავლენის ქვეშ.

წიგნი ვერ სტოვებს ღრმა და სრულ შთაბეჭდილებას, მიუხედავად იმისა რომ მისი სათაური მეტის-მეტად არაჩვეულებრივია და სხვანაირი.

ყოველ შემთხვევაში—ის ნიჭიერი პოეტია; მას აქვს მომავალი; ჩვენ გვჯერა, რომ ის მალე სავსებით გამოირკვევა და შექმნის კიდევ ახალ სიმღერებს.

დანარჩენებზე მე აქ არ ვილაპარაკებ ცალ-ცალკე; ვინაიდან ყველა ისინი ჯერ კიდევ ძიების პროცესში არიან და მათი სახის საბოლოო გამოკვევა კიდევ წინ არის.

ყოველ შემთხვევაში მათი სიმღერები ახალია და მათ შემოქმედებაში უმეტესად არის დღევანდელი მზიანი დღის მხატვრული და შემოქმედითა ასახვა.

„ურდოები გაგიჟებულთა“.

1

ყველა ახლობელ, დაშორებულ ძმებს, სამყაროებს
გააფთრებული, გაფრენილი ეძახის სული!..
მათ, ვისი გული დაეწაფა ცეცხლის წყაროებს,
რომელთა მკერდში მზე ანათებს ფერ გადასული,
ამ სიბნელეში, სადაც მეფობს სიკვდილი — ღამე
— ყველა უძღურებს, განწირულებს ჩემი საღამო!

განთიადისას, როს ჰორიზონტს წითელ მახვილათ
მზე დაადგება, როგორც დროშა, ბრძოლის ძახილად,
და აღმოსავლეთს დაამძიმებს ხანძარის კირთად
— სტოვებენ ბანაკს და მორბიან ბრბოები გიჟთა.

წინ მოსჩანს ველი უნაპირო, მზისფერ ნისლებში,
აორთქლებული განთიადის მსუბუქ სხივებში,
და, როგორც ცირკი, მეტად დიდი და ანთებული,
დგება ქალაქი გზის ნაპირას ქვეით აგებული.

მათი თვალები მზეს უცქერენ შორით მზირალნი,
კვლავ მზის სიკრცეებს შეესიენ, როგორც ფირალნი;
და, ისევ ისე, უთვალავი, გარეტებული
მიდიან მზისკენ ურდოები გაგიჟებული.

2

მე მთელი ღამე ავადმყოფი, გაგიჟებული
მზის მოლოდინში ვოცნებობდი ჩუმად და მწარეთ;
ჩემს ირგვლივ იდგა მყუდროება დამძიმებული
ღამე ფერმკრთალი, უმეტყველო და მაღლა მთვარე-
მე ოჭროს მზეზე ვოცნებობდი; ველოდი გულით
მისი ზეიმი დამენახა წითლად ბრწყინვალე;
მე სიტყვა მსურდა იდუმალი და სასწაულის
მზით მობერილი სისხლისფერი და მოელვარე...
მაგრამ ჩემს ირგვლივ იდგა ღამე ნაცრისფერ ლანდათ
არ იყო სიტყვა, იყო ღამე და მზე არ სჩანდა!

თარგმანი კოლაუ ნადირაძის.

გრიგლის ძახილი.

არ არის მცდარი ჩემი ჰანგი და არც უფერო;
არ არის ოქროთ მოქსოვილი, ნაზად ნაფერი,
სულთანის დარბაზს ვერ გაართობს ჩემი სიმღერა.

მიწის ქოხებში ჩემ სიმღერებს მხოლოდ ვსწავლობდი,
უთვალავ გულთა სიმებიდან მე იმათ ვქსოვდი,
და ჩემ სიმღერას ელვის ცეცხლში მე მუდამ ვხვევდი.

ყოველ ჩემ თქმაში მარჯნისფერი სისხლი ეღვარება;
მე მოწავალი გამარჯვება მხოლოდ მახარებს,
და სიტყვა ჩემი ჭეშმარიტი, მართალი არი.

ჩემ ლექსში ისმის ხმა უდსკრულის, მოვიარდნილ ქარის,
გამოღვიძებულ სამყაროთა ძახილი მწარე;
მე ყოველ გრიგალს მიყუჩებულს ვიხმობ სიჩქარით.

ჰე, ჩემო ლექსო! ეს მსოფლიო არის სამსჯავრო
და შენ მოგისმენს ეს სამსჯავრო... ნუ მოგდის ჯავრი!
მე მინდა იყოს ეს ქვეყანა ჯანსაღი, მძლავრი.

მე მაგრად ურტყამ ძველ ქვეყანას, ვარ მისი მტერი.
მთელემარე დოქებს ღვინო ავსებს ნარინჯის ფერი;
მე მუდამ ვღელავ თქვენ მკერდებში ჩემი სიმღერით.

არ არის მცდარი ჩემი ჰანგი და არც უფერო,
არ არის ოქროთ მოქსოვილი, ნაზად ნაფერი...
მდიდრულ დარბაზებს ვერ გაართობს ჩემი სიმღერა.

თარგმანი კოლაუ ნადირაძის.

ამ წერილში მოყვანილი ლექსების თარ-
გმანი შესრულებულია კონსტანტინე
ტიტინაძის მიერ.

სპარსთა ლიტერატურა *)

I

სპარსული ლიტერატურის საგანძური შეიცავს მარად დაუძველებელსა და მარად კეშმარიტ აზრებს, არის ხოლმე ისეთი ისტორიული ხანა, როდესაც ზოგიერთი ასეთი აზრები კაცს მოძველებულად და ინტერეს მოკლებულად ეჩვენება, მაგრამ მოდის ახალი ეპოქა, მოდის თავეში ახალი აზრები და გამოდის, რომ ეს აზრები, ახალი ჩვენთვის, თურმე ახალი არ არის ძველი სპარსული ხალხისათვის, ისინი შენახულან მის ლიტერატურაში, რომელიც სპარსთა მიერ ჩვენზე ადრე გამოვლილი ისტორიული ცხოვრების ეპოქათა სახეებს ატარებს. ბევრი ამ აზრთაგანი, მოქცეული ლექსის ფორმაში, შეიძლება ჩაითვალოს მანუგეშებლად და ბრძნულ რჩევად, რომელსაც თანამედროვე კაცობრიობა იღებს საუკუნეთა სიშორიდან; მათგან შესაძლებელია შესდგეს აფორიზმების შინაარსიანი კრებული. რომ გაუკეთდეს პოპულიარიზაცია უცხოელთათვის თუნდა მცირე ნაწილს იმ საგანძურისას, რომელსაც შეადგენს სპარსული ლიტერატურა, მაშინ ევროპელები შეიძლება თავის მასსაში უფრო სამართლიანად მოექცეოდნენ სპარსელებს და შეიძლება ცოტაოდნად შეამცირებდნენ თავიანთი კულტურული და ზნეობრივი აღმატების გრძნობას ახლის ხალხებთან შედარებით.

ეს, რაც შეეხება, უწინარეს ყოვლისა, სპარსული ლიტერატურის შინაგან რაობის აღნიშვნას, ხოლო ფორმის მხრით კი სპარსული კლასიკოსები სავსებით დაფასებული არიან ევროპელი პოეტებისა და მსწავლელი ორიენტალისტების მიერ, და ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. იყო ცდები, რომ მოეცათ სპარსული პოეტების ნიმუშთა თარგმნები, მაგრამ საერთოდ დღემდე ასეთი თარგმანები ნაკლებად აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას. ამ თარგმანებით წარმოდგენილი სპარსთა კლასიკოსების ნიმუშები არ შეესაბამებიან სავსებით იმათ ენტუზიაზმს, ვინც მათ კარგად და სათანადოდ აფასებს და აწვდის გადაკეთებულ სახით ევროპის მკითხველს. ეს იმიტომ ხდება, რომ რიტმი, ლექსის კეთილმოყვანება, სტილის სიფაქიზე სრულიად იკარგებიან თარ-

*) დაწერილია სპეციალურად ჩვენი ეურხალისთვის.




გმანში, და სმენა იღებს სულ სხვა შთაბეჭდილებას, ვიდრე სწავლისას, როდესაც ლექსები სპარსულად იკითხება. ლექსად გადმოღებული სწავლისას შეიძლება კიდევაც მოსწონდეთ უცხოელებს, მაგრამ ყოველი ადამიანი, არათუ სპარსული ენის მცოდნე, არამედ ვინც კი სპარსეთში ყოფილა და გასცნობია ამ ხალხის ფსიხოლოგიას, მაშინვე შეაჩნევს, რომ ეს სრულებით არ არის ის, რაც უნდა ყოფილიყო, რომ ეს, პირიქით, არის რაღაც სრულიად არა სპარსული. შეიძლება ლექსები უფრო ლამაზიც იყოს სპარსულ ორიგინალზე, მაგრამ სპარსული ხასიათი მათ უკვე აღარა აქვთ და შინაარსი ძალიან ბევრსა ჰკარგავს ევროპიული ლექსის ფორმით გადამუშავებაში.

თვით ისიც კი, რაც თავალისტვის არის მოცემული, ესე იგი სახეობა, ისე აღარ არის გადატანილი თაოგმანებში, და ის სულ სხვა შთაბეჭდილებას იძლევა, ვიდრე სპარსული სინამდვილის ფონზე. სპარსული ჰიპერბოლები, შედარებანი, ზედმეტი ფერადოვანება, ბუნებრივი და დასაშვები სპარსულ დედნებში, თარგმანებში უცხოელთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი ევროპელებს, რომლებსაც უფრო რეალისტური მსოფლმხედველობა ახასიათებს, ერთფეროვნად და მოსაბეზრებლად ეჩვენებათ, ერთი სიტყვით, ისინი ჰქმნიან ისეთ სახეებს, რომლებსაც ეწოდება ეკზოტიკა და რომლებიც მეტად დაზოგბული არიან აღმოსავლეთის რეალური სინამდვილისაგან. ეხლა ევროპაში ახდენენ მსოფლიო ლიტერატურის ძეგლთა გამოცემის ახალ ცდებს, და შეიძლება სპეციალისტებმა შესძლონ კიდევ იმ მიზნის მიღწევა, რომ გადასცენ უცხოელებს დედანის მთელი სული, მთელი სილამაზე და სრული შინაარსი სპარსული პოეზიისა, მაგრამ დღემდე კი ეს გადუჭრელი ამოცანა არის კიდევ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ახლოვდება დრო, როდესაც ძველი სპარსული ლიტერატურა აღარ დააკმაყოფილებს საესებით თვით სპარსელებსაც კი. უეჭველია, სპარსული სული ყოველთვის დარჩება სპარსულ სულად, და მთვარიან ღამეში, ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ტომის ხალხით აჭრელებულ ქალაქებში, სპარსელი, უწინარეს ყოვლისა, ააშკარავენ მთვარის შუქის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, როდესაც ის მღერის მაღალი ნოტებით ლექსებს, სადაც ისახება გადაჭარბებული ვნებათა ღელვა, მწუხარება, სინანული, ერთი სიტყვით, რაღაც მტანჯავი და საცოდავი, მაგრამ კლასიკოსების შინაარსი ნაკლებად გასაგები გახდება შემდეგში უკვე ამ სპარსელისათვის, რომელიც თავის ცხოვრებას ბაზრებისა და ბირჯის ჩოჩქოლში ატარებს.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ძველი სპარსული ლიტერატურა სავსეა მუსლიმანური ნისტიციზმით ყველა პოეტები სუფიები იყვნენ. სუფიების მოძღვრებით სული თითქოს დატყვევებულია მატერიაში და ჰქვენესის განთავისუფლებისათვის. სული ესწრაფვის მსოფლიო სულთან შერთვას. ადამიანის „მე“ ათის მხოლოდ შინაარსს მოკლებული ლანდი, ხოლო მის ნაკლთა შესახებ ლაპარაკი არც კი ღირს, რადგან ყოველივე ეს არის არა სრულყოფილი მატერიის თვისება.

ადამის მეტად თაღლითსა და ეშმაკურ ტანში
ნაწილს მიწისას შეუერთდა ნაწილი არსის,



მაგრამ გავიდენ დანიშნული ბედისგან წლები
და დაუბრუნდა კვლავ არსი არსს და სელსა სული.


აი სპარსული პოეზიის მიმართულება. ამგვარი მსოფლმხედველობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება, რომ ყველა სხვა ქვეყნებშიც იყოს, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სპარსეთში ეს ფილოსოფიური მიმართულება მუსლიმანური დოქტრინის პრიზმაში ტყდება და მას მეტი შეტად უდის ეგრედ წოდებული ღვთაებრივობის სუნი.

თავის დროზე სუფიზში მეტად სასარგებლო მოვლენა იყო ცივილიზაციისათვის. სუფიზში თითქოს ერთგვარი კომპრომისია ცხოვრების, ესე იგი ადამიანის ბუნების მოთხოვნილებებისა, და წმინდა ისლამის მკაცრი დოქტრინის შორის. პოეტები მიმართავენ პირობითი ენას და მეტად გაბედულს, პირდაპირ სიწმიდის შეშბაღლავ შედარებებს. სიყვარულის, ორგიების, ან ღვინის ყოველ ქებათა-ქებაში თანამედროვენი ხედავდენ ნხოლოდ და მხოლოდ იგავით გამოთქმულ ვნებას ღმერთისადმი და ღვთიურ დასაბამთან შესაერთებლად სულის მისწრაფებას. თავის დროზე ეს საშუალებას აძლევდა სპარსელებს ცოტაოდენი თავისუფლება მიეცათ თავის გრძობათა და მისწრაფებათათვის, რომელთა ოფიციალური ისლამის მორალის ჩარჩოებში მოთავსებას ყველა ვერ ახერხებდა სპარსეთში პოეზია ერთგვარი სარკმელი იყო, ურომლისოდაც ორიგინალობისადმი მიდრეკილების მქონე პიროვნებათა თავისუფალი აზრი სრულიად გამოიხრჩობოდა.

სპარსული პოეზია წარმოიშვა მე-IX — X საუკუნეში. აყვავდა მე-XIII-ში და უკვე მე-XV საუკუნის დამლევს შეჩერდა თავის განვითარებაში. შემდეგში კი ყველაფერი, როგორც ფორმის, ისე სიუჟეტის მხრით, მიბაძვა იყო წინანდელი პოეტების. სპარსელები განაგრძობენ თავიანთი კლასიკოსებით აღტაცებას, და მხოლოდ იშვიათად, სპარსეთის რევოლიუციის დაწყებიდან, პროგრესიულ სპარსელებს მოსდით ხოლმე აზრი თავისი ნაციონალური პოეზიის წინაარსის ნამდვილი და სამართლიანი დაფასების შესახებ თანადროულობის თვალსაზრისით.

ასე, მაგალითად, გაზეთ „ათარი“-ს თანამშრომელმა, ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მირზა-ალა-ხანქერმანმა გამოსთქვა ის აზრი, რომ, მართალია სპარსული პოეტები, როგორც მხატვრები, დიდათ დასაფასებელი არიან, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ნაწერების შედეგს, უნდა აღვიაროთ, რომ შედეგები უარყოფითია, სახელდობრ: ჰიპერბოლიზმს შედეგად მოჰყვა ხალხის გაცრუება, პირფერობას — ძალა-უფლების მქონეთა წაქეზება საზიზღრობისა და სისულელის ჩასადენად, მისტიკას და ფილოსოფიას — სიზარმაცე და მუქთა-ხობობა, ხოლო მშვენიერი ვარდებისა და შეყვარებული ბუღბუღლების შესახებ დაუსრულებელ სიმღერებს — ზნეობის დაცემა და ახალგაზდობის გახრწნა. ასეთია თვითონ სპარსელის მკაცრი განაჩენი, რომელმაც გადასწყვიტა თვალეში შეეხედნა სინამდვილისათვის.

თანამედროვე პროლეტარიატის გზა ნაკლებად შეუფრთხდება მათ გზას;



ვინც განაგრძობს აღმოსავლეთის ძველი პოეზიის სულით დასრულებულ მთელი ეს ალეგორიები და მაგალითები ბიბლიიდან, ყურანიდან, ქრისტიანული წყაროებიდან ეხლა სავსებით საარქივო მასალას წარმოადგენენ, და, რაც არ უნდა ეცადონ ზოგიერთი დიპლომათიანი ორიენტალისტები აღმოსავლეთის პოეტების ძველ ნაწერებში პოლიტიკური თანადროულობის ახალ იდეათა მონახვას, ეს იქნება მეტად ნაძალადევი საქმე. უკვე ის ზიხლი ყოველივე მიწიერისადმი, რომლითაც გამსჭვალულია ღვთაებისადმი მიჭყეული პოეზიის უმეტესი ნაწილი, სრულიად ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერული მატერიალიზმის ამოცანებს, რომელიც მიზნად ისახავს, რომ სამოთხე მუშა ადამიანს მიწაზედავე შეუქმნას.

თუმცა უნდა შევნიშნათ, რომ პრაქტიკაში პოეზია სპარსელებს მიწიერ დროების ტარებაზედაც ატეხებდა იმ მოსახრებით, რომ, მართალია, უმჯობესი კი არის თავისი „მე“-ს ჩაკვლა და ტანჯვით და ცრემლებით სავსე ქვეყანასთან კავშირის გაწყვეტა, მაგრამ მაინც იმავე დროს ადამიანმა უნდა იმხიარულოს და მიეცეს დავიწყებას. მეორე მხრით, მიუხედავად ამ პოეზიის რელიგიური ხასიათისა, მასში შეგხვდებით ბევრი გაბედული, თავისუფალი, უკიდურესად ღვთის მგმობელი აზრი და მრავალი აფორიზმები და მაქსიმები, რომლებიც გამოადგებოდათ ყოველად გაუსწორებელ მატერიალისტებს.

თვით პოეტების დახასიათებანი, რომლებსაც იძლევა ამ საკითხის ისეთი მცოდნე, როგორიც პროფესორი კრიმსკია, მოწმობენ უკვე იმას, რომ ზოგიერთი პოეტების მსოფლმხედველობა არ შეეფერება მასსების თანამედროვე ფსიხოლოგიას. აი, მაგალითად, როგორია ეს ეპიტეტები: რომანტიული მოაპზე ნიზამი, პანეგირისტი ენვერი, მისტიკოსი ჯალალ-ედინ-რუმი, ბრძენი-პანტეისტ-ი ათარი და სხვა. რა თქმა უნდა, პანეგირისტები, მისტიკოსები, პანტეისტები და სხვა ასეთი ძველი საუკუნის ბრძენი პოეტები უცხონი არიან ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველობისათვის, და თუ რომელიმე მათგანი კიდევ ვუბნება რამეს ადამიანის გულს, ეს უფრო—პესიმისტი ხაიამი, ბრძენი მორალისტი საადი და ის ლირიკოსები, როგორც, მაგალითად, პაფიზი, რომლებიც ებებთან დაუბერებელ აზრებს და კითხვებს, ესე იგი ისინი, რომლებმაც დასთესეს „გონიერი, კეთილი, მარადი“.

ეჭვ გარეშეა, რომ სპარსეთის პოეტებს ჰქონდათ წილი სხვა ხალხთა პოეზიაზე გავლენაში. თუ ეკზოტიკა ემჩნევა მე-XIX საუკუნის რუს მწერლებს, მით უმეტეს იგი საქართველოს უნდა დასტყობოდა.

პოეტის უწმინდესი მისია—ადამიანის გულის აღგზნება სიტყვით, სპარსეთის პოეტებს შედარებით არც ისე ადრე ხანაში შეუფენიათ. საშუალო საუკუნეებში ეს შეგნება განსაკუთრებით ჩვენს თანამემამულე კავკასიელ პოეტს ნიზამის ახასიათებდა, რომელმაც თავისი სიცოცხლე განჯაში დაათავა (1203 წ.). ნიზამი ითვლებოდა სპარსეთის ერთ უდიდეს ეპიურ პოეტად და სპარსული პოეზიის ოთხში ერთ სვეტთაგანად (საადი, ფირდოუსი, ენვერი, ნიზამი).



ქართული

განჯაშივე დაწინაურდა აგრეთვე სპარსეთის მეორე დიდებულ პოეტი ხაგკანი—შირვანი (1106—1199 წ.), რომელმაც, ისე ვით ენვერომ, ჰიპერბოლური პანეგირიკის სახელი მოიხვეჭა. ხაგკანი ხალხიდან გამოვიდა—ის იყო დურგლის შვილი. ის ჯერ შაჰებს უმღეროდა, ხოლო შემდეგში კი მისტიკაში გადავარდა.

საშუალო საუკუნეების სპარსელი პოეტები დიდი ხნით ჰფლობდნენ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანთა გულსა და გონებას და მათ შეჰქმნეს, ასე ვსთქვათ, პოეზიის პსევდო-კლასიკური მიმართულება არა თუ სპარსეთში, არამედ თვით ოსმალეთშიაც. ეს მიმართულება მე-XX საუკუნემდე გაგრძელდა.

მე-XV საუკუნის შემდეგ სპარსული პოეზია, რომელიც მრავალფეროვანი პოეტი ჯამშით დასრულდა, გაყინვის წერტილზე დგომას განიცდიდა გრძელი პერიოდის განმავლობაში. დასასრულ, მეორე საუკუნის ნახევარში, ნასრ-ედინ-შაჰის ევროპაში გამგზავრების შემდეგ სპარსეთში შემოიპრა დასავლეთის გავლენა მისი რეალიზმით. დაიწყო განვითარება პროზამ, რომელიც მანამდე სპარსეთში უყურადღებოდ იყო მიგდებული. პროზას თან მოჰყვა ახალი პოეზია, რომელმაც ხალხის იმედების განსახიერება დაისახა მიზნად. პოეზიაში პატრიოტული ნოტები შეიჩინა, რაიც სრულიად უცხო იყო წინანდელი სუფიათა პოეზიისათვის.

ახალი პოეზიის დამწყებად სთვლიან პოეტ შეიბანს (მოკვდა 1891 წ.), რომელმაც უკვე დაიწყო მიბაძვისაგან განთავისუფლება და თავი გამოიჩინა პოლიტიკური სატირებით. შეიბანის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს მისი უკიდურესი პესიმიზმი, როგორც შედეგი მისი პირადი ცხოვრებისა, სადაც მას არ სწყალობდა ბედი. შემდეგ დაწინაურდა სატირიკოსი შირხაალი-ეკბერ-ხან-ყაზვინი, რომელიც სწერდა სპარსეთის პირველი რევოლუციის დროს ცხოვრობდა ჟურნალ „სურე-ისრაჰილ“-ში (მთავარ ანგელოს ისრაჰილის საყვირი) დოხაუს ფსევდონიმით. მცოდნეთა დაფასებით, დოხაუ ტფილისური ჟურნალის „მოლა-ნასრ-ედინის“ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. კრიტიკოსები სთვლიან მის ელევგიას მაჰომედ-ალი-შაჰის დროს სიკვდილით დასჯილ „სურე-ისრაჰილ“-ს რედაქტორზე დაწერილს, როგორც ლექსის წყობაზე ევროპის გავლენის მაგალითს. შემდეგ სატირებით და პოლიტიკური ტენიფებით (რომანსებით) თავი იჩინა სეით-ე შრეფ-ედინ-ელ-ჰუსეინ-ყაზვინმა და არიფ ყაზვინმა, რომელიც აგრეთვე ტენიფებსა სწერდა.

ერთი სიტყვით, ევროპის, განსაკუთრებით კი კავკასიის გავლენით იცვლება სპარსული პოეზიის ხასიათი, და თვით ენაც კი ცდილობს შეეგუოს ცხოვრების მოთხოვნილებას უფრო მეტი მასშტაბით, ვიდრე ეს ძველი სპარსეთის კარჩაკეტილ ცხოვრებაში ხდებოდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ სპარსეთის ქალაქმა ყაზვინმა, რომელიც რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის გზაზე იმყოფება, წარმოშვა რამდენიმე პოლიტიკური პოეტი და რომ პოეზიის მთავარ თემად გადაიქცა არა სუფიზმი, ან ვარდი, ან ბულბული, არამედ სატირა და პოლიტიკური, პატრიოტული ლექსები.

ამ უკანასკნელ დროს სპარსელების ყურადღება მიიქცია ლახუტიმ, ყო-



ქართული

ფილმა ეანდარმის მაიორმა, რომელიც ცნობილია აგრეთვე „მწიკცის“ მოწყობით თავრიზში უკვე ამიერ-კავკასიის გასაბჭოების შემდეგ. ამ წამად თეირანში, და არა თუ მარტო თეირანში, არამედ სპარსეთის სხვა ქალაქებშიაც, ხშირად გამოდის ხოლმე ლიტერატურული კრებულების პატარ-პატარა ბროშურები, სხვა-და-სხვა ემბლემატიური სათაურებით. ამ კრებულებში ჯერ კიდევ ბევრი ლექსებია ისეთი, რომლებსაც სპარსული პსევდოკლასიციზმის გავლენა ემჩნევა, მაგრამ არის კრიტიკული წერილები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიუძღეული სპარსული კლასიკოსების ამა თუ იმ მხატვრულ მხარეებს.

სპეციალური ლიტერატურული კრებულების გარდა, თანამედროვე სპარსელი პოეტების ნაწევები იბეჭდება აგრეთვე მრავალ ჟურნალ-გაზეთებში. არის მხატვრული პროზის ცდა: მაგალითად, ძალიან გაჭიმული მოთხრობა იბეჭდებოდა მრავალ ფელეტონებად თეირანის ნაძირალთა ცხოვრების შესახებ. მაგრამ საერთოდ თანამედროვე სპარსული მწერლობის ხასიათი არის არა მხატვრული. ეს არის საქმიანი პოლიტიკური წერილები, წერილები აღმშრდელობითი ან ეკონომიური ხასიათისა, იწერება აგრეთვე ჰიგიენის შესახებ, და უკანასკნელ დროს ვითარდება სპეციალური სამხედრო ლიტერატურაც კი. განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანაში გამოვიდა გრძელი მოთხრობა სამ ნაწილად „კერიმ-ბეგის საგზაო ჟურნალი“. ეს არის თავიდან ბოლომდე ჩივილი და მწუხარება სპარსეთის ჩამორჩენის გამო, და მისი მხატვრული მხარე მაინც მხოლოდ სპარსულ პოეტთა აუარებელი ციტატების მოყვანაში გამოიხატება. კერიმ ბეგის საგზაო ჟურნალი მიბაძვა არის უფრო ადრე დაწერილი მოთხრობის „ხაჯი-ბაბა“-სი, რომლის ავტორი დანამდვილებით არ იცინა ვინ არის, და, როგორც ამბობენ, ინგლისელიც კი ჯნდა იყოს. როგორც ხაჯი-ბაბა, ისე კერიმ-ბეგი წარმოადგენენ სპარსეთის ცხოვრების სურათს შესაფერ ეპოქაში, კაჯარების დროს. საერთოდ, უნდა ითქვას როგორც კანონი, რომ დღემდე პროზა სპარსეთში ემსახურებოდა საქმეს, ხოლო სტილის მხატვრულ ფორმად იყო მხოლოდ და მხოლოდ პოეზია.

როგორც არ უნდა იყოს, რევოლიუციამ ახალი სული ჩაუდგა სპარსულ პოეზიას, და სპარსეთის თანამედროვე ლიტერატურა წარმოადგენს ახალ მოვლენას, რომელიც ადასტურებს სპარსული ლიტერატურის ცხოველყოფილობას, თუმცა ჯერჯერობით ის საკსებით გარდაქმნის პერიოდში იმყოფება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი, მარად დაუბერებელი სიბრძნის სულიც არ მომკვდარა ახალ სპარსულ ლიტერატურაში, რომლის მშვენიერ ნიმუშს თანამედროვე მოაზროვნე მირზა-ჰასანის აფორიზმები წარმოადგენენ; ამ აფორიზმებს სათაურად ჰქონდა „თაყბედობა“ და ის მოთავსებული იყო სტამბოლში არსებულ სპარსულ ლიტერატურულ კრებულში. მაგალითად: „უნდა გიყვარდეს შენი შამა, იმიტომ რომ ის ავტორია შენი დღეების, მაგრამ მაშინ ჯეჯილსაც უნდა უყვარდეს თავისი დამთესი, ვინაიდან ეს უკანასკნელი მისი დღეების ავტორია“. ან კიდევ: „რომელ კაცს შეუძლია იცხოვროს ურელიგიოთ? როდესაც კერპი ღმერთი არ არის, მაშინ ის არის — კაცობრიობა, სამართლიანობა, ხელოვნება, მეცნიერება, პროგრესი, ხალხი.“ სხვათაშორის, ეს ლიტე-



რატურული კრებული პარალელურად სპარსულ და ფრანგულ ენებზე გამოდის და, რის გამოც ის ევროპელებისთვისაც მისაწვდომი იყო.

II

საშუალო საუკუნეების პოეტებიდან განსაკუთრებულ მოდაში იყო უკანასკნელ დროს ომარ-ხაიამი (1040—1123), ნიშაპურის მცხოვრები. ის შკოლის ამხანაგი იყო ორი შემდეგში დიდებული პირის — მინისტრ მელიქ-შაპი-სელჯუქელის, — ცნობილ ხაჯი-ნიჰამთულ-მოლკა-ტუსისა და ისმაილიტების*) მეთაურის და აღამუთის დანიარსებელის ჰასანსაბბახისა. ომარ ხაიამი იყო მათემატიკოსი და სასაბლის ობსერვატორიას განაგებდა. თავის სამეცნიერო შრომებს ის სწერდა არაბულ ენაზე; უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი აღმოსავლეთის მწერალი მათემატიკოსი იყო, მაშინ როდესაც ევროპაში პოეზია იშვიათად აინტერესებს მათემატიკოსებს, და მწერლებსაც, თავის მხრით, არა აქვთ საკმაო ნიჭი მათემატიკაში. ხაიამი იყო დარვიში რა მიურიდი (მიმდევარი) სახელოვანი მწერლის, გენიალური ექიმის, ენციკლოპედისტის და ფილოსოფოსის ბუხარელი აბუ-ალი-იბნ-სინასი (980—1037), რომელიც ევროპაში ცნობილია ავიცენის სახელით. როგორც დარვიში, ომარ ხაიამი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, რაიც მას არ უშლიდა თუმცა ღვინისათვის ხოტბის შესხმას. ყველა მის ნაწერებში გამოსჭვივის უკმაყოფილება ქმნილებით, განსაკუთრებული პესიმიზმი და ხანდახან ღვთის გმობა. მისი ლექსებიდან დარჩენ მხოლოდ რუბაიები (ესე იგი ოთხსტრიქონიანი ლექსები).

რა თქმა უნდა, ნიმუშების არჩევა წმინდა სუბიექტიური საქმეა, რომელიც დამოკიდებულია ანტოლოგიის შემდგენელის მიდრეკილებასა და შეხედულებებზე და შეიძლება ყველა ვერ დააკმაყოფილოს, მიუხედავად ამისა, ომარ ხაიამისათვის უფრო დამახასიათებელ, და მისი მსოფლმხედველობის გამომსახველ ლექსებად შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე ქვემოთ მოყვანილი ნიმუში.

ვინ არის იგი, ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია ამ სოულად? მითხარ!
 სკოცხლობდა კი ის, ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია? მითხარ!
 მე ცუდად ვიქცევი, მაგრამ შენ (ღვთაებავ) *) ცუდად მონიზლავ მე.
 მაშ განსხვავება ჩემსა და შენს შორის რაწია? მითხარ!

რომ მოსვლა (ამ ქვეყნად) ჩემგან ყოფილიყო (დამოკიდებული),
 არ მოვიდოდი მე.

*) ისმაილიტები არიან შიიტის სექტა, რომელიც სცნობს არა თორმეტ იმამს, არამედ შვიდს და მათში მეშვიდეთ ისმაილს. ისმაილიტებს შიშ ქვეშ ჰყავდათ მთელი ჩრდილო სპარსეთი 80 წლის განმავლობაში, და საჭირო შეიქმნა მონღოლთა შემოსევა იმისათვის, რომ განადგურებულიყო ეს ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც თავის სინაგრედ ჰქონდა ციხე აღამუთი მთებში, ყაზვინის ჩრდილოეთით. საშუალო საუკუნეების ევროპა იცნობდა ისმაილიტებს, როგორც ასასინელთა, ესე იგი მკვლელების ორდენს, ვინაიდან ისინი ხანჯლებით შეიარაღებულ მკვლელებს მიუგზავნიდნ ხოლმე მას, ვინც პირველი გაფრთხილების შემდეგ კიდევ განაგობდა მათ საწინააღმდეგო აგიტაციას.

*) ფრჩხილებში მოტყუებულია სიტყვები, რომელიც სპარსულ დედანში არ არის.



ქართული

და წასვლაც რომ ჩემგან იყოს.—როდის წავიდეთ
უძჯობესი იქნებოდა, რომ ამ ქეცის ქვეყანაში არ მოვსულიყო,
არ ვყოფილიყო (მასში) და არ გავსულიყო (მისგან).

თუ ხელი იძლევა ხორბლის მარცვლიდან პურს,
ღვინოს ორ ბათმანს და ბარკალს ცხეარისას,
ყაყაჩოსავით ლამაზთან ჯდომა (რომელიმე) ნანგრევ შორის,—
ეს ისეთი ბედნიერება არის, რომელსაც ვერ მიაღწევს ყოველი
სულთანი.

გზაზე ისე იარე, რომ ხელი არავინა გკრას.
ხალხთან ისე იცხოვრე, რომ არავინ მოგესალმოს.
მეჩეთში თუ მიდიხარ, იმგვარად წადი, რომ შენ
წინ არ მიგიწვიონ და იმამად არ გავხადონ.

როდესაც სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება,—ბაღდადი იყოს,
თუნდ ბაღი (სულ ერთი არ არის).
როდესაც საწყაული აღივსება, ტკბილი იყოს, თუნდ მწარე (სულ
ერთი არ არის).
(მაგრამ) სამწუხაროა, რომ ჩემსა და შენს შემდეგ (კიდევ) მრავალი
თვეები
დასასრულიდან დასაბამისკენ და დასაბამიდან დასასრულისკენ
გაივლის.


ეს დოქი, ვითარცა მე, სტიროდა ვნებისაგან.
(ის) თავის მეგობარის ნაწნავეებზე იყო მიბმული.
ეს ხელი, რომელსაც მის ყელზე ხედავ,—
ხელია, რომელიც მეგობრის ყელზე იყო მოხვეული.

როდესაც ქოთნის ქარხანაში ვიყავი გუშინ,
მე ვიხილე ორი ათასი დოქი მოუბარი და მდუმარი.
ეს დოქი შესტირის იმ დოქს:

სად არის მექოთნე, (სად არის) დოქების ნყიდველი და გამყიდავი დო-
ქებისა!

(ესე იგი, უნდა გვესმოდეს, რომ ისინიც მოკვდებიან და მათგან არაფერი
დარჩება გარდა თიხისა).

როდესაც სხეულიდან გაფრინდებიან ჩემი უწმიდესი სული და შენი,
ორ აგურს დასდებენ (სასთუმლად) ჩემსა და შენს საფლავში.
და თავის დროზე საფლავის სხვა აგურთათვის
ფორმებში წარგზავნიან ნაშთსა ჩემსას და შენსას.



მიწა, რომელიც უმეცარის ფეხქვეშ არის, —
 თმებია ლამაზი ქალისა და საყვარელი ადამიანის სახე.
 ყოველი აგური, რომელიც შენობის კუთხეებში მოსჩანს, —
 ვეზირის თითია და თავი სულთანისა.

ყოველ მინდორში, რომელიც ყაყაჩოთია დაფარული.
 ყაყაჩო იგი სისხლია (რომელიმე) მბრძანებელისა.
 ყოველი ღერი მიწიდან ამოსული იისა, —
 ხალისა, რომელიც ლამაზი ქალის ლაწვზე იყო.

თუ ღვინოსა სვამ, — ნიკიერ ხალხთან,
 ან ტკბილ ბაგეებთან ლამაზთან დალიე იგი!
 ბევოს ნუ დალევე, ხშირად ნუ დალევე, ხალხისათვის სეირს ნუ გახდი.
 სვი მცირედი, სვი იშვიათად, სვი დაფარულად.

ომარ ხაიანისებური ლექსები მრავლადა აქვს ჰაფიზს, სახელგანთქმულ
 ნაზ ლირიკოსს, ვარდისა და ბულბულის მომღერალს, რომელსაც გოეთეს მეო-
 ხებით გავლენა ჰქონდა ვეროპის ლიტერატურაზე. ჰაფიზი (1300—1389) ში-
 რაზის, პოეტების ქალაქის, ნევიდრია. მის ნაწერებში არის სევდაც, მწუხარე-
 ბაც, პესიმიზმიც, მხოლოდ შამ მოკლებული. ღვინისათვის ხოტბის შესხმის
 მხრით დამახასიათებელია შემდეგი ლექსები:

ღვინის მთელი მავნებლობა სთქვი შენ (უკვე), მისი ღირსებებიც უნდა
 სთქვა აგრეთვე!
 სიბრძნის უარყოფას ნუ სჩადიხარ იმისთვის, რომ უმეცართ მოეწონო.

მძიმე გარემოებაში მყოფმა ეცადე იქეფო და დაითრო,
 ვინაიდან ამაშია ჯადო, რომელიც ღარიბს მდიდრად აქცევს.

ამ საწუთროში მეგობარი, რომელიც თავისუფალია ყოველი ნაკ-
 ლისაგან,
 ეს წმინდა ღვინით სავსე ხელადაა და წიგნი ლექსებისა.

იცი, რას ამბობს ქნარის და ჩონგურის მქვერმეტყველება?
 სვით ღვინო ფარულად, რომ არ დაგედოთ სახელი ურწმუნოთა.

ო, სინათლევ ჩემის თვალისა! მაქვს სიტყვა, ისმინე:
 ვიდრემდე თასი შენი სავსეა — დააღვევინე და დალიე.

სიცოცხლის ამაოებას ჰაფიზი იმკვარადვე უდგება, როგორც ომარ ხაიამი:

ბაზარი საწუთროისა იხილე და სახმილი სოფლისა,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ მუსლიმანობა იმაშია, რაცა აქვს ჰაფიზს,
ვაგლახ თუ დღევანდელი დღის შემდეგ იქნება ხვალინდელი

ჰაფიზი, როგორც სუფიზმის დაჯერებული მიმდევარი, არ სცნობდა თავისთვის არავითარ პრაქტიკულ საქმეს და ამის შესახებ სთქვა შემდეგი: თუ სიცოცხლე მექნება კიდევ, ისევ სამიკიტნოში წავალ, დარვიშის სამსახურის გარეშე არ გავაკეთებ არავითარ სხვა საქმეს,

იმავე დროს ჰაფიზი ჰგრძნობდა თავის მნიშვნელობას და სთქვა ლექსი, რომელიც მის საფლაფზე დააწერეს:

ჩემი საფლაფის გვერდით რომ გაიარო, შენდობა შემომითვალე.
ვინაიდან (ის) იქნება მთელი ქვეყნის დარვიშებისათვის სათაყვანო ადგილი.

პოეტ მასტიკოსებს, როგორც არიან ომარ ხაიამი ან ჰაფიზი, ყოველ შემთხვევაში კიდევ ბევრი რამ შეუძლიათ რომ მოგვეცენ, მაგრამ უკვე დიდებული ჯალალ-ედინ-რუმი სქმნილებიდან მეტად ძნელია თანამედროვე ფსიხოლოგიისათვის შესაფერი რამეს ამოჩვენო, თვით ისეთ თანამედროვეთა ფსიხოლოგიისათვისაც კი, რომელთაც აქვთ ქვეყნისა და საზოგადოებისაგან განდგომისადმი მიდრეკილება.

ჯალალ-ედინ-რუმი, ანუ მულიანა რუმი, დამაარსებელია დარვიშთა ორდენის მეველევისა, რომელიც ევროპაში ცნობილია სტამბოლელი მბრუნაეი დარვიშებით. თუმცა იგი სპარსთა პოეტია, მაგრამ ვინაიდან მის მოღვაწეობას კონიაში ჰქონდა ადგილი, ამიტომ ის ნამდვილად უფრო ოსმალეთს ეკუთვნის. მთელი თავისი სიცოცხლე ის იგლოვდა თავისი ერთგული მეგობრის დაკარგვას და დასწერა მთელი ხუთი წიგნი მისტიური ლექსები, ეგრედ წოდებული „მესნოვი“, რომელიც სახელგანთქმულია თავისი კეთილხმოვნობით და რეჩიტატიული ჰარმონიულობით.

ეს ქვეყანა მთა არის, მხოლო ჩვენი საქმენი ყვირილი, —
ჩვენსკენ გამოძახილი ბრუნდება.

ეს ქვეყანა საპატიმროა, ჩვენ კი ტუსაღნი,
გათხარე ციხე და უშველე თავს.

სული ყოველ დამ მიფრინავს ამ გალიიდან,
არა რჩება არც მოსამართლე, არც დასჯილი.

ღამით საპატიმროს შესახებ ტუსაღებმა არა რა უწყიან.
ღამით სახელმწიფოს შესახებ არა რა უწყიან სულთანის ვეზირებმა,

ეს წყვილ ტაეპიანი ლექსების მაგალითები სხვაზე უფრო — მოკლებული არიან ღვთაებრივობას და სევდას, თორემ უმეტე ნაწილი კი ასეთია:

მეგობარი გავიდა კარში, მოსაუბრენო! მეგობარი, მეგობარი!



თვალი სცდება, არ არის შეცდომა! ის არის, ის! ^{ეროვნული}
 ო, დილის ბუღბუღო! შეგვეკითხე ჩვენ ხან და ხან! ^{გაბეჭდილია}
 შენც ხომ შორეული ხარ და ჩვენი ქალაქიდანაც ხარ!

რა თქმა უნდა, დედანში ყოველივე ეს მეტად კეთილშობიანია და მელან-
 ქოლიური სიმღერისათვის, შესაფერი მაგრამ ჯანსაღი ადამიანის არც ჭკუასა
 და არც გულს ეს არ აძლევს არავითარ საზრდოს. მესნოვის უმეტესი ნაწილი
 სავსეა იგავებით და მათ დართული აქვთ ვრცელი კომენტარები.

უკვე საშუალო საუკუნეებში მუსლიმანთა სექტაციზმისა და ექვების და-
 სახასიათებლად საინტერესო ლექსი ნ ა ს რ ე - ხ ო ს რ ო უ - ა ლ ე ე ი ს ა, დასავლე-
 თით და აღმოსავლეთით ცნობილი მოგზაურობის ავტორისა. ნასრე-ხოსროუსი
 ისმაილიტებს აკუთვნებენ.

ო ღმერთო! მართალს გეუბნები, რომ ჩხუბი და დავიდარაბა შენგან გა-
 მოდის.

მაგრამ შიშისაგან არ შემოძლია დავიყვირო.

კბილნი და ბაგენი ჩინეთის თურქესტანის მხეთუნახავთა
 იმდენად მშვენიერი არ უნდა შეგეჭმნა,
 რომ იმათ კბილთა და ბაგეთა გამო
 თავისი კბილებით საკუთარი ბაგე და ხელები დაგვეკბინა.
 ჯეირანს ეძახი „ჰეი“, რომ გაიქცეს,
 მწვერებს კი უკან დაადვენებ მას.

ო უფალო, თუ კი შენმა ღვთაებრივობამ
 ყველა ადამიანთა ბუნება ესოდენ ლამაზი შექმნა,
 ბერძენის სახე და სახე აბესინელისა—
 რა მიზეზით არის ერთი ლამაზი, მეორე კი მახინჯი?
 სახე ინდოელისა და ოსმალოს სახე—რად გამოვიდა
 ერთი შავი, ხოლო მეორე თეთრი?
 რისთვის არიან ბედნიერნი და რისთვის უბედურნი?
 რატომ მუსლიმანთა დარვიშები და ქრისტიანთა მღვდლები?
 რად არის წინააღმდეგობა სამყაროს შექმნაში,
 ოდეს ყოველივე ეს შენ აღზარდე და დაამშვენე?

ისმაილიტების დროს ეკუთვნის ავრეთვე ფეხრე-რ ა ხ ი. მის შესახებ
 ასეთი ანეკდოტი არსებობს: ის სულ პ'ოპაჯანდას აწარმოებდა ისმაილიტების
 წინააღმდეგ. ერთხელ მოვიდა მასთან ტერორისტი და უთხრა, რომ ის მოკლუ-
 ლი იქნება, თუ არ შესწყვეტს თავის მტრულ მოღვაწეობას, ხოლო, თუ ქებას
 დაუწყებს ისმაილიტებს, მაშინ ის, პირიქით, თვეში სამას სპარსულ თუმანს მიი-
 ლებს. ამის შემდეგ მან დაიწყო ისმაილიტების ქება-დიდება და, როდესაც მას
 ჰკითხეს მიზეზი, მან უპასუხა, რომ მან ნახა ამის კათევორიული საბუთი. ამ
 ფრაზაში მოქცეულია სიტყვების თამაში, ვინაიდან კათევორიული და მჭრელი

გამოითქმის ერთი და იმავე არაბული სიტყვით „კათ“ ეთი, მის კალამს ეკუთვნის შემდეგ ლექსი:



თუ შენ მტერი ვერ გეგუება, ო მეგობარო!
 შენ უნდა შეეგუო მტერს.
 თუ არა და, მოიტადე რამდენიმე დღე,—
 აღარც ის დარჩება, აღარც შენ და აღარც ფეხრე-რაზი.

სუფიზმის მიმდევარმა პოეტებმა ძალიან ბევრი გააკეთეს სარწმუნოების საკითხში ლმობიერების დამყარებისა და ხალხთა შორის ძმობის ქადაგებისათვის, რასაც კაცობრიობა მეტად უნდა უმადლოდეს მათ. ყველა წარსულ საუკუნოებში ეს გარემოება ხანდახან არბილებდა ფანატიზმს, ეროვნებათა შორის სიძულვილს და ნიადაგს უმზადებდა რევოლუციონურსა და ინტერნაციონალურ იდეებს.

შეიხ ნიხამი, რომელმაც დასწერა ხამსე (ხუთიანი, რაღაც ტრილოგიის მაგვარი) და დიდი სახელი მოიხვეჭა მრავალი ხმოვანი ლექსებით და რომანიულ მოთხრობით „ხოსროუ და შირინი“, ეხებოდა მრავალნაირ თემებს და სწერდა ფსიხოლოგიური ანალიზის ნაჩდილით რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ასეთი მანერით წერა სხვა აღმოსავლეთის მწერლებმა დაიწყეს. ნიხამი ერთგვარად ახლო სდგას როგორც სპარსეთთან, ისე ამიერ კავკასიასთან. ის დაიბადა სოფელ ტაშში მთიან რაიონში კუმის მახლობლად, მაგრამ თითქმის მთელი სიცოცხლე განჯაში გაატარა, იქვეა მისი საფლავიც, რომლის თაყვანსაცემად ხალხი ეხლაც კი დადის. ერთ ლექსში შაძიებელი და მდრტვინავი სულის შესახებ, რომელიც სუფიების კრებაზე ეძიებს დამშვიდებას, ის ამბობს:

ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაზეა, არის აქ:
 მუსლიმანი, სომეხი, აისორი, ურია.
 თუ გსურს, სულით და გულით გამოგსაუბრო მათ,—
 ყველას ფეხის სავლელად გადაიქეც (ე. ი. ყველაზე თავდაბალი იყავ),
 რომ მიაღწიო მიზანს.

ნიხამი სცხოვრობდა 1141 წლიდან 1203 წლამდე, და, მაშასადამე, მე-XII საუკუნეში ერთა შორის ძმობას ქადაგებდა იქ, სადაც სულ ამ მოკლე ხნის წინად ნაციონალური შუღლის გამწვავებამ უკიდურესი ხასიათი მიიღო.

სუფიელთა სარწმუნოებრივი ლმობიერების თემაზე დაწერილი ლექსებით თავი ისახულა სეიდ-ახმედ-ისფახანმა, რომელიც ცნობილია ხატეფის (შდაგონება) ფსევდონიმით. ის სცხოვრობდა თავის ლიბერალიზმით ცნობილ ხელმწიფე კერიმ-ხანის (ზენიდთა დინასტიის) დროს (მოკვდა 1778 წელში), რომლის სიკვდილის შემდეგ კაჯართა დინასტია გამეფდა. ხატეფის დიდი ლექსი, რომელიც თავისებურ ტრაქტოვკას უკეთებს სხვადასხვა რელიგიურ დოქტრინებს და რიტუალთა მნიშვნელობას, სპარსელებზე ძლიერ შთაბეჭდილებას

ახდენდა, და უკვე რევოლუციამდე ხელი შეუწყო მან სპარსეთის ფართო წრე-
ებში სარწმუნოებრივი ღმობიერების დამყარებას და ფინანსური კარგის-
ხატეფი ამბობს ლექსის ბოლოში:

ო, ხატეფ, მფლობელო სიბრძნისა, რომელიც ხანდახან,
როგორც ამბობენ, მთვრალია, ხან კი ფხიზელი, შეიცან მიზანი
ღვინის ქურჭელთა, მერიქიბეთ და მუსიკოსთა,
მოგეთა, ღვთისმოსავ ბერებისა და აფგაროზთა!

ყოველივე ამის მიზანს ხატეფი ხედავს იმ მისწრაფებაში, რომელიც ცდი-
ლობს გამოიცილოს მსოფლიო შენობის მთლიანობაში მოქცეული ფარული საი-
დუმლოება. ყველა ეს იდეები ამ ჟამად უკვე სიახლეს არ წარმოადგენენ აღმო-
საველეთის ფართო მასსებისათვის, მაგრამ თავის დროზე მათ დიდი სამსახური
გაუწიეს კაცობრიობის იმ კაცთა შორის რელიგიური სიძულვილის შენელებით,
რომელსაც ყოველთვის ებრძოდნენ სუფიის პოეტები.

ჩვენ ჯერ კიდევ არ შევხებივართ საადის. ამ პოეტს, როგორც მორა-
ლისტს, ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა მოხარდ თაობათა მთელ რიგებზე, რო-
მლებიც კითხვას მისი გულსტანით იწყებდნენ, რომ საადიზე საჭიროა უფრო
ვრცლად შეჩერება. ეს ბრძენი ბევრად უფრო ახლო სდგას, ვიდრე სხვები, აღ-
მოსაველეთის ფართო მასსებთან, და კავკასიის ერების ძველ თაობებზედაც გა-
ცილებით მეტი გავლენა ჰქონდა მას.

III

შ ე ი ხ მ უ ს ლ ი ხ უ დ ი ნ — ს ა ა დ ი — შ ი რ ა ზ ი დაიბადა 1184 წელს ან და-
ახლოვებით ამ ხანებში, ვინაიდან მისი დაბადების წელი დანამდვილებით გა-
მორკვეული არ არის. გარდაიცვალა ის 1291 ან 1292 წელს, ესე იგი იცოცხლა
107—108 წელი.*) მთელი საუკუნე ჰქონდა მიცემული სიცოცხლისათვის ადა-
მიანს, რომელმაც გამოააშკარავა ჭკუის ნიშნები სულ მცირე ბავშვობაში და
შეინარჩუნა იგი ღმა სიბერემდე. საადიმ ეს გულუხვი საჩუქარი კაცობრიობის
საკეთილდღეოდ გამოიყენა; მან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე თითქმის უკ-
ვდავებად აქცია, რასაც ის თვითონვე გრძნობდა, როდესაც სთქვა: „ყოველი
კაცი თავის დროისთვის ცხოვრობს, ზოლო მე, საადი, — მარადისობისათვის.“

საადი ცხოვრობდა ბრძოლით სავსე ხანაში. მისი თვალის წინ სწარმოებ-
და ბრძოლა საერო და სასულიერო ხელისუფლების შორის, ბრძოლა დასაველე-
თსა და აღმოსაველეთ შუა. მთელი საუკუნის გატარება, და მერმედ ისეთი მო-
უსვენარი საუკუნის, როგორიც აზიისათვის მე-XIII საუკუნე იყო, რა თქმა უნ-
და, არ შეიძლებოდა ისე, რომ მას არ განეცადა ათასი დაეიდარაბა და სიმუ-
ხთლე ბედისა, რომლის ხელიდან, თვითონ საადისავე თქმით, ცხელიც ბევრი
სვა მან და ცივიც. საადიმ ფართოდ გამოიყენა თავისი დაკვირვებანი და პოე-

*) Henri Massé. Essai le pote Saadi. 1919.



ტური ნიჭი; მან დაუტოვა კაცობრიობას ოცამდე წიგნი და მოიხვეჭა პოეტ-მო-
რალისტის უკვდავი სახელი.

საადის მამა მსახურებდა მთავრის საად-იბნ-ზანგის კარზე; ეს მთავარი ეკუთვნოდა ფარსის ათაბეგთა გვარეულობას, რომელთა სატახტო ქალაქი შირაზი იყო. მუხლისუდინმა აირჩია თავისთვის ლიტერატურულ ფსევდონიმად (თეხელიუსი) სიტყვა საადი იმ მონარქის პატივსაცემად, რომელიც მფარველობას უწევდა როგორც მის მამას, ისე თვითონ მას. პირველდაწყებითი განათლება საადიმ მიიღო შირაზში და დაამთავრა იგი ბაღდადის იმ დროს სახელგანთქმულ უნივერსიტეტში ნიზამიეში. ეს სასწავლებელი მუსლიმანური მისტიციზმის, სუფიზმის, დიდ გავლენას განიცდიდა; იქაურ გამოჩენილ პროფესორთა შორის იყვნენ აბდელ-კადერე-გილიანი და ზია-ედინ-აბულ-ნეჯიბეს — სეხრავერდი, რომლებმაც სუფიზმში სახელი მოიხვეჭეს. ორივე ეს სპარსელი, რომელთა გონებრივი მოღვაწეობა ბაღდადთან არის დაკავშირებული, დამაარსებელი არიან სეხრევერდიეს და კადრიეს დარვიშთა ორდენების. კადრიეს დარვიშებმა მეტად შეუწყვეს ხელი აფრიკაში ისლამის გავრცელებას. საადი ორივე ამ შეიხის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მისი მურშიდი, ესე იგი სულიერი ხელმძღვანელი, შეიხი აბდელ-კადერგილიანელი იყო.

საადი ოცდა ათი წლის მეტი იყო, როდესაც მან უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა და იმის შემდეგ ბევრი იმოგზაურა. ის აფრიკაშიც იყო, ინდოეთშიც, ჩინეთის თურქესტანშიც. სპარსეთში ის კავკასიით დაბრუნდა, სახელდობრ დაღესტნით და თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანით, შემდეგ მან გაიარა არდებილი, ზენჯანი, სულთანი, და რეი (თეირანი). საადი დაბრუნდა შირაზში 1251—1255 წლებ შორის, ესე იგი უკვე სამოცი წლის მოხუცი. საადი დიდ მნიშვნელობას აძლევდა მოგზაურობას მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის. ამის შესახებ მან სთქვა: ვიდრე საკუთარ სახლს ან დუქანს არ გასცილდები, მანამდე შენ ვერასოდეს ვერ შესძლებ გახდე სავსებით ადამიანი; ისეირნე ქვეყნად, სანამ არ დადგეს დღე, როდესაც შენ ეს ქვეყანა უნდა მიატოვო. მოგზაურობამ მისცა საადის აუარებელი მასალა მისი დაუსრულებელი ამბებისა და ანეკდოტებისათვის, საიდანაც მას ქკუის დამრიგებელი დასკვნები გამოჰქონდა ლექსად. ზოგიერთი ეს ამბები სავსებით გამოგონილად ითვლება, რაიც საადის ფანტაზიის გათამაშებით აიხსნებოდა; მართლაც სრულიად შესაძლებელია, რომ მას არ უნახავს პირადად ყველაფერი, რაც გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მასალათა სფეროს შეეხება, არამედ ბევრი რამ ქარავანებში თანამგზავრთაგან გაიგონა და ისე ცოცხლად წარმოიდგინა ყოველივე, თითქოს თვითონაც იქ ყოფილიყოს თავის თანამგზავრებთან ერთად. ასეთ მოთხრობად სთვლიან, მაგალითად, ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო საადიმ უასილად ბრამინთა სარწმუნოება, რათა მას შეძლება ჰქონოდა გამოერკვია ამ მისთვის მეტად საინტერესო სარწმუნოების ფარული საიდუმლოებანი. საადიმ თაყვანი სცა თითქოს კერპს, — ემთხვია მის ხელს, მაგრამ გულში კი სწყევლიდა მას, ხოლო შემდეგ კი მან ბრამინი ქაში ჩააგდო და ჩაჰქოლა იგი ქვებით, „ვინაიდან მკვდრები არაფერს ამბობენ“ და „ბოროტი კაცი, რომელსაც შენ სიცოცხლეს

უტოვებ, არა სცემს ამისთვის პატივს შენს საკუთარ სიცოცხლეს. თუ ის აზრები, რომლებიც გამოთქმულია ამ შემთხვევის გამო, საადის მიერ, ან ამ მოთხრობის გმირისაგან გამოჩენილი დაქნილობა, სრულიად ეთანხმებიან საადის სულს, მაშინ ყოველ შემთხვევაში მკვლევლობის ფაქტი მაინც სრულებით არ ეგუება დარღვივთა შეიხის, ამ შემთხვევაში საადის, მთელ ცხოვრებას, და ამიტომ ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს მან მხოლოდ გაიგონა და ასწერა ისე, თითქოს თვითონ ყოფილიყო მომქმედი პირი, რათა მას თავისი აზრებისა და შეხედულებათა გამოთქმის საშუალება ჰქონოდა.

მაგრამ ისიც საკმაოა, რაც ნამდვილად განიცადა საადიმ თავის მოგზაურობის დროს. მაგალითად, ის ტყვედ ჩაუვარდა ხელში ჯვართანებს და მას ურიებთან ერთად მიწა ათხრევინეს ტრიპოლის გამაგრების დროს. ერთმა გულშემატკივარმა კაცმა, რომელსაც ალბად გაგონილი ჰქონდა მისი ნიჭის ამბავი, გამოისყიდა ის ათ ოქროდ და მიათხოვა მას თავისი ქალი. მეორეთ: საადი დაქორწინდა, როდესაც ის იემენში იყო, ქალაქ სანში. ამ ცოლთან მას ჰყავდა ვაჟი, რომელიც ბავშობაშივე მოუკვდა; ამ გარემოებამ საადი მეტად შეაწუხა და მან თავის სანუგეშებლად სთქვა: „იცოდე, საადი, რომ ნაყოფი ეკუთვნის მას, ვინც ხე დარგო, მოიმკის ის, ვინც დასთესა“. შირაზში საადი მარტო დაბრუნდა, და აქ, მისი სიცოცხლის გრძელი პერიოდების შემდეგ, რომლებიც მან განათლებას და მოგზაურობას შესწირა, დაიწყო მისი პოეტური მოღვაწეობის აყვავება, იმ ჰასაკში, რომელშიაც ახლა უმეტეს შემთხვევაში ინვალიდები ხდებიან. ადამიანს თავისი არსებობის სამოცი წლის შემდეგ ბუნებრივად ებადება მიდრეკილება ჰკუთის დარიგებისადმი, და შეიძლება ამიტომაც საადიში გამომუშავდა არა შთაგონებული პოეტი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მორალისტის ლექსებში.

საადის ეკუთვნის ოცამდე წიგნი, მაგრამ ზოგიერთ რამეს შეცდომით უნდა აკუთვნებდნენ მას. ასე მაგალითად, ის ითვლება „პენდნამეს“ აპოკრიფად. ამგვარადვე საადის დიდხანს მიაწერდნენ ლექსებს ინდუსტანურ ენაზე, ხოლო შემდეგ კი მკვლევართა მიერ გამოირკვა, რომ, თუმცა საადიმ იცოდა ეს ენა და ლექსებსაც სწერდა მასზე, მაგრამ იმავე დროს, საადი-შირაზის გარდა, არსებობდა კიდევ ინდუსტანელი პოეტი საადი-დეკანი.

ყოველ შემთხვევაში, საადი სწერდა რამდენიმე ენაზე და დიალექტზე, აი ეს ენები: არაბული, ინდუსტანური, ლურსისტანური, ქურდისტანული, თურქული, ყაზერული, ქაშერული, ქერმანული, ისფაღანური, შირაზული, ყაზვინური, ხორასანული, ზენგი და სხ. მის წიგნთა შორის არის ზოგიერთი მთლად არაბულ ენაზე დაწერილი, აქვს ოდები (გაზელები), სადაც ერთი სტროქონი სპარსულზეა დაწერილი, მეორე არაბულზე. აქვს მთელი კრებულები მისტიურ თემებისადმი მიძღვნილი.

საადი მისტიკოსია, როგორც ყველა მისი თანამედროვე პოეტები, მაგრამ მისი მისტიციზმი განსხვავდება შთაგონებული პოეტების მისტიციზმისაგან, როგორც არს, მაგალითად, ფერიდედინ-ათაზა ან ჯალალ-ედინ-რუმი. მისი სუფიზმი საშუალო დინჯი ადამიანის სუფიზმია. მთელი მისი სარწმუნოებ-

რივი მორალი, ისე როგორც სოციალური, უაღრესად პრაქტიკულია. მისთვის უცხოა თავის შეწირვის იდეა და მას სწამს სისხლის აღება. იმისთვის ის შორდება ბევრ მუსლიმან მისტიკოსებს, რომლებიც ენათესაებიან სულიერად არა თუ ქრისტიანებს, არამედ, უფრო მეტი, ბრამინისტებს და ბუდისტებს. საადი ირყევა საკითხის გადაწყვეტაში მუსლიმანურ ფატალიზმისა და თავისუფალი ნებისყოფის შუა და უფრო იმ შეხედულებას ეკედლება, რომ ყოველგვარი სიტუაციის ბედის წინაშე უსარგებლოა. საადი ურჩევს განდგომას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის საზოგადოებას უარპყოფს, როგორც ამას ზოგიერთი უკიდურესი მისტიკოსები სჩადიან, არამედ მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებით, ვინაიდან მართლობა ერთად ერთი საშუალებაა, რომ მშვიდად იცხოვრო. ის ქადაგებს თავდაპირილობას და მცირედით დაკმაყოფილებას, მაგრამ არ იზიარებს სუფიზმის მისწრაფებას სილატაკისადმი; საადის აზრით განათლებული მდიდარი კეთილისმყოფელია საზოგადოებისათვის.

საადი გამოვიდა ისეთი ზომიერი მუსლიმანური მისტიციზმის მქადაგებლად, რომელთანაც შეიძლება ცხოვრება ისე, რომ დარჩე გარემო წრეში და არ უარპყო საზოგადოება, ვინაიდან ქვეყანა, მართალია, არ არის სრულყოფილი, მაგრამ ის მაინც იმგვარი უნდა მიიღოს როგორც არის, არ ინალელო და არ იჩივლელო. საადი ინდივიდუალიზმს როდი ქადაგებს და ადამიანს იმგვარი სახით განიხილავს, როგორც ის არის თავის მსგავს ადამიანთა შორის. უნდა იცხოვრო ამ წუთისოფელში, მაგრამ არ უნდა იდარდო, რომ ჩვენ წავალთ აქედან: „ნუ თუ ჩვენ უნდა ვიწუხოთ ქარავან-სარაის შესახებ, რომელიც უკვე დააგდეს ჩვენმა მეგობრებმა და რომელიც ჩვენ ჩვენის მხრით უნდა დავსტოვოთ?“

საადი დიდ მნიშვნელობას აძლევს მიცვალებულთა კარგ სახელსა და ხსოვნას: ნუ მისცემ დავიწყებას მიცვალებულთა ნათელ სახელს, რომ შენხედაც დარჩეს ხსოვნა ქვეყნად. აირჩიე სამართლიანობის გზა, ვინაიდან არავის ვინც კი ამ ქვეყნიდან გავიდა, არასოდეს არ წაუღია აქედან იმაზე უკეთესი ქონება, რომელსაც კარგი სახელი წარმოადგენს.

ამგვარია საერთოდ საადის რელიგიური და მისტიური შეხედულებანი, რომელნიც მის ნაწერებში გამოიხატენ და რომლებიც ლიტერატურულ—პოეტურ ფორმაში გამოხატული მორალიზმის ქადაგებისათვის გამოიყენა მან საფუძვლად.

საადიმ დასწერა 1257 წელში წიგნი „ბუსტანი“, ხოლო 1258-ში „გულისტანი“. სიტყვა ბუსტანი სპარსულად ნიშნავს ხეხილის ბღს. ეს სიტყვა წარმოსდგება ორი სიტყვისაგან: „ბუ“—სუნა და ძირი ზმნისა „სეტანიდენ“—გავრცელება. გულისტანიც ორი სიტყვისაგან წესდგება: „გულ“—ყვაილი, ვარდი და „სტან“—ადგილი, საერთოდ ნიშნავს ყვაილნარს ან ვარდნარს.

ბუსტანი შეიცავს მთელ რიგ მოთხრობებს და ანეკდოტებს, საიდანაც მორალია გამოტანილი. ის შეიცავს ათ თავს: I—მართლმსაჯულება, მართვა-გამგეობა, ღვთის შიში, II—ქველმოქმედება, III—თრობა და ვნება (მისტიური), IV—მოკრძალება, V—მდაბლობა VI—უარისყოფა VII—აღზრდა, VIII—უფლისწყალობის შესახებ, IX—მონანიება. X—ლოცვები და დასკვნა. ბუსტანში მეტი

მისტიციზმია, ვიდრე გულისტანში. ტექსტი ბუსტანისა ძნელია უფრო და მან კომენტარიები გამოიწვია, სტილი უფრო პოეტურია, ^{სადაც მისი მოთხრობითი} სიმრავლე ისტორიული ანეკდოტების, ანდაზების, მუსლიმანური სარწმუნოებრივი აღმთების შესახებ გაკვრითი ცნობების, მეტაფორების. მაშინ, როდესაც გულისტანში, რომელიც ფორმით ძალიან წააგავს ბუსტანს, მორალი თითქოს სხვათაშორის არის შეტანილი, ბუსტანი იძლევა უფრო სწორ წარმოდგენას საადის გენიის შესახებ. გულისტანში ამბის მოთხრობა სწორბობს მორალს, ბუსტანში კი საწინააღმდეგო მოვლენაა. მაგრამ ბუსტანიც და გულისტანიც მართლაც ერთგვარ ბაღს და ყვავილნარს წარმოადგენენ, რომელთა შორის აქაიქ აფორიზმებია გაბნეული. ყველა ეს აზრები, რომ იქ არ იყოს თხრობა ილიუსტრაციის გამკეთებელისა, უაღრესად მოსაბეზრებელი იქნებოდა. ასეთ კრებულს წარმოადგენს „სახიბ-ნამე“, რომელიც საადის იდეების კვინთ-ესენციას შეიცავს, მაგრამ საკითხავად ის მეტად მოსაწყენია. სახიბ-ნამე, ბუსტანი და გულისტანი სავსებით გამოხატავენ იმ მორალურ ტენდენციას, რომელიც საადის გენიას ახასიათებს, მაგრამ ეს აზრები სწორედ ბუსტანში და გულისტანში აღდგენენ კარგ შთაბეჭდილებას, სადაც მათ გაკეთებული აქვთ ილიუსტრაცია აღმოსავლეთის ცხოვრების ამსახველი ანეკდოტებით და ამბებით. სახე და ანეკდოტი იმისთვის არის საჭირო, როგორც განყენებული აზრი აშკარა და ხელშესახები გახადოს, და საადის გენიის ერთი დამახასიათებელი ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მორალური დარიგების მიზნით დასკვნა გამოიტანოს თავისი ცხოვრების სულ მცირე ფაქტიდან.

საადის მორალი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა, ეს არის პატიოსანი საშუალო კაცის მორალი და ამიტომაც ისწავლებოდა ის მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთის შკოლებში ექვს საუკუნეზე მეტ ხნის განმავლობაში, და მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანაში, საშკოლო რეფორმის გატარების შემდეგ, კრიტიკულად შეხედეს პატარა ბავშვთათვის მთელი გულისტანის სწავლებას და შემდეგ ბუსტანის შესწავლაზე გადასვლას. აი, ამ მორალის ნიმუშები რამდენიმე საუკუნეთესო აფორიზმით, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

„მგელისთვის სიკეთის ქმნა, ბოროტებაა ცხვრების მიმართ. (სახიბ-ნამე).

თუმცა ოხრისათვის სიკეთე არ უნდა ჰქმნა, მაგრამ ხანდახან შეიძლება ამის ჩადენა საკუთარი სარგებლობისათვის. როდესაც ავი ძალლი კბილებს გიჩვენებს, იმ წამსვე გაუწოდე მას ძვალი და მაშინ ძალღზე უკეთესი არაუფერია. (სახიბ-ნამე).

თუ შენ დაიპყარი მთელი ქყეყნის სამეფონი, შენ ცამდე ასწევ ტირანის გვირგვინს. (სახიბ-ნამე).

ერიღე ნათ შეწუხებას, ვინც შენი ბრძანებლობის ქვეშ იმყოფება, ვინაიდან შეიძლება ისე მოხდეს, რომ შენ გახდე მათი ხელქვეითი. (ბუსტანი).

როდესაც ხედავ ობოლს, რომელსაც ნაღვლიანად ჩაუღია თავი, ნუ აკოცებ შენს შვილს შუბლზე“.

მცოდნენი ნახულობენ, რომ საადი თავისი შეურყეველი პრაქტიკული გონებით შორიდან სოკრატეს ჩამოჰგავს, მაგრამ, მეორე მხრით, ზოგიერთ მის



ცალკე აზრებში შეიძლება ანალოგიის აღმოჩენა სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში და ქვეყანათა სხვადასხვა საერო და სასულიერო მოაზროვნეებთან. მაგალითად აზრი, რომელიც მან ბუსტანში გამოთქვა: „ნუ გააცნობ ყველა შენს საიდუმლოებებს შენს მეგობარს, ვინაიდან რა იცი, რომ ის შენი მტერი არ გახდება“, ძალიან მოგვაგონებს თომა კომპიიკელს და ქრისტიანულ სოციალისტს ლიამენს (ქრისტეს მიბაძვა).

გულისტანი არის გასართობად დაწერილი წიგნი და იგონობთ, რომ საადი სწერდა მას თავისი სიამოვნების გულისათვის, მაშინ, როდესაც ბუსტანი საადის ერთგვარ რწმენის სიმბოლოს წარმოადგენს.

საადის სრულებით არ ჰქონდა მიდრეკილება მეომარ სტილისა და გმირულ მოქმედებათა აღწერისადმი. მაგრამ, როგორც ყველა სხვა სპარსეთის პოეტებმა, მან იცოდა ხოლმე შექება ძლიერთა ამა ქვეყნისა, რომლებიც მფარველობას უწევდნენ პოეტებსა და მსწავლულთ, და თუმცა ხანდახან საადის არ უშინოდა მიეცა მათთვის მეტად სახიფათო დარიგებები პრაქტიკული მორალის სფეროში, მაინც, მიუხედავად ამისა ის გამონაკლისს არ შეადგენს აღმოსავლეთის პოეტთა მთელი რიგიდან, რომელთაც თანამედროვე პუბლიცისტები მონარქთა წინაშე პირმოთხოვას აყვედრიან.

საადი სცხოვრობდა იმ ეპოქაში, როდესაც მონღოლებმა ბაღდადის ხალიფატი დაამხეს; მან ჯერ ელევით გამოიტირა ბაღდადის დამხობა და შემდეგ კი ოდების წერა დაუწყო გამარჯვებულებს. ის აღიღებდა აგრეთვე გულაგუს ქალიშვილს, თურქან-ხათუნს, რომელიც სძაგდა შირაზის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს. მან დასწერა პატარა პოლიტიკური ტრაქტატი ფარსის გუბერნატორისათვის; ანკიანუ და მოძღვრებათა კრებული ლექსად, ეგრედ წოდებული „სახიკნამე“ შედგენილი მის მიერ მონღოლთა სასახლისათვის, რომლის დედაქალაქი იმ დროს თავრიზი იყო. საადის ბიოგრაფები ამოწმებენ, თითქოს იგი გაწვეულიც კი იყო თავრიზში, მაგრამ ის იმ დროს იმდენად მოხუცი იყო, რომ მკვლევარნი როგორც თავრიზში, ისე ინდოეთში მის გამგზავრებას სთვლიან საზღაპრო ამბავად. შენიშნაედენ აგრეთვე, რომ საადი აღიღებდა მონარქებს მათი ძლიერების დროს და ერთ სტრიქონსაც კი აღარ უძღვნიდა მათ მას შემდეგ, როდესაც ისინი დაემხობოდნენ.

ყველაფერი ეს ახასიათებს პოლიტიკურ ფიზიონომიას საადისას, რომელიც იმავე დროს უღმობელი იყო ყველა არა მუსლიმანური სექტების მიმართ, როგორც იყვნენ ისმაილიტები, ქრისტიანები, ლებრები და განსაკუთრებით ებრაელები. მაგრამ არ შეიძლება მე-XIII საუკუნის ადამიანი თანამედროვე პოლიტიკური მორალის მიხედვით დავათვასოთ, და თუ მისი საკუთარი მორალის ყველა სენტენციები ჩვენ აღტაცებაში ვერ მოგვიყვანს, მაინც სამართლიანობა მოითხოვს ვსცნათ, რომ არა თუ უკვდავება დაიმსახურა მან, არამედ ჩვენ, სხვა მორალის და სხვა შეხედულებების ხალხი, მას ხშირად ვეთანხმებით.

თავისი პრაქტიკული და ჯანსაღი შეხედულებით ცხოვრებაზე, ადამიანის იდეალიზაციისადმი მისწრაფების უქონლობით და სურვილით, რომ ის გაგებუ-

ლი იყოს საშუალო მასსების მიერ, საადი ახლოა ჩვენთან, თანამედროვე მატერიალისტური საუკუნის ხალხთან.

საადის ადარებენ სხვა და სხვა ეპოქების მთელ რიგში და მათ რიცხვში ანალოგიას ხედავენ რენანთან. რენანი არა სდგას მაინც და მაინც ახლოს რუსეთთან და საქართველოსთან, ვინაიდან წინანდელი რეჟიმი მისი ნაწერების გავრცელებას არ უწყობდა ხელს, ეხლა კი ის დაძველდა უკვე, მაგრამ დასავლეთში რენანი თავის დროზე ის ფილოსოფოსი იყო, რომელმაც საზოგადოების უმეტეს ნაწილისათვის რეზიუმე გაუკეთა თავის საუკუნის საშუალო სიბრძნეს. საადი ამბობს: „ნუ მიისწრაფი ნურცერთ ქვეყანაში, ნურცერთ მეგობართან, — ზღვა და ხმელეთი ვრცელია. გადაფრინდ გადმოფრინდი, როგორც ბულბული რტოდან რტოზე.“ ამ შეხედულებით საადი ძალიან გვაგონებს რენანს, და, ისე როგორც რენანი, ის იყო თავისი დროის საშუალო ადამიანთა ბრძენი. თავის მხრით რენანი სწერს საადის შესახებ: „მართლაც რომ ის ერთი ჩვენთაგანია. როდესაც კითხულობ მას, ასე გგონია, რომ შენ კითხულობ ლათინელ მორალისტს ან მე-XVI საუკუნის დამცინავ მწერალს“.

ლიტერატურული მხრით საადის ნაწერებში არ უნდა ეძიოთ არაფერი ახალი. მასზე ადრე სპარსულმა პოეზიამ მიიღო უკვე გარკვეული ფორმები სპარსული პოეზიის იმამის, ნიზამის ქმნილებებით. ნუ ვეძებთ აგრეთვე მასში გამოუთქმელ გრძნობებს, ვინაიდან მისი სული ჰგავს ყველა სხვა პოეტების სულს. მაგრამ საადი არ არის შთაგონებული პოეტის ტიპი, როგორც სპარსეთის სხვა პოეტები. მაგალითად ფირდოუსი შთაგონებულია დიდი ეპიური თქმულებით, ჯალალ-ედინ-რუმი მთავარი მისტიური აზრით. საადის კი არა აქვს არც ისეთი შთაგონება, არც ისეთი ვნება, ის არის მორალისტი საშუალო ადამიანთათვის, რაიმე ძირითად იდეას მოკლებული.

საადის პრაქტიკულ გონებას, მის სადა სტილს, თბრობის სიცხოველეს უნდა წარმოეშვა ბევრი მიმბაძველები, მაგრამ ნამდვილად მიმბაძველნი საადის ნაწერებისა არც თუ ისე ბევრნი არიან, და ყველაზე უფრო შესანიშნავი მიბაძვა არის „ბეჟარისტანი“, რომელიც დაწერილია მე-XV საუკუნეში პოეტ ჯამის მიერ. ეს წიგნი აღმოსავლეთში მეტად პოპულიარულია.

საადის თანამედროვენი, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს, როგორც მოაზროვნეებმა და პოეტებმა, დაიბოცნენ, ხოლო საადი კიდევ იგვიანებდა სამართისაკენ მიმავალ გზაზე. ჯერ კიდევ სიკოცხლეში მან მოიხვეჭა დიდება, და მასთან მოდიოდნ სათაყვანოდ სუფიები და პოეტები. მაგალითად, მას ეახლა პოეტი ემირ-ხოსროუ. საადი იყო შეიხი, რომელსაც ნამდვილად სცემდნ თავყვანს, და ის აქამდეს ასეთი დარჩა. როდესაც საადიდან ციტატა მოჰყავთ, ხშირად სწერენ: „საადიმ სთქვა“ კი არა, „შეიხმა სთქვა“, და ყველასთვის გასაგებია, რომ „შეიხი“ აქ არის საადი. საადი სრულ დიდებაში გადაიცივალა და ასახელა მთელი თავისი ქალაქი. მიწიერ სიკეთეთაგან მას არაფერი არ სურდა, ის გაურბოდა ბედის სიმუხთლეს და ბოლო ხანებში განმარტოებული სცხოვრობდა ქალაქის სიახლოვეს. შირაზელები სთვლიან მას წმიდანათ: ადგილი, სადაც



ის სცხოვრობდა და იმისი სათლავი სათაყვანოდ გადაიქცა, ხელშეუხლებელ სიწმიდეს წარმოადგენენ აგრეთვე მისი სახლის აუზში მცურავი თევზები.]]

საადის ბიოგრაფიაზე მუშაობდა აღმოსავლეთის მწერლები მს. კლ. ბიგი, და მრავალი ევროპიელი ორიენტალისტები კომენტარიებს უკეთებდნენ მის ბიოგრაფიას. აღმოსავლეთის ბიოგრაფებ შორის ყველაზე უფრო ცნობილი არიან იბნ-ბატუტა, ხამდულა-მუსტაფა ყაზვინი, ხონდემირი, ახმელ-რიზა, დოვლეთ-შაჰი, ჯამი და ხაჯი-ხალიფა.

არცერთი სპარსეთის მწერალი არა ყოფილა იმდენჯერ გამოცემული, როგორც საადი, განსაკუთრებით მისი გულისტანი. საადის ნაწერთა სრული კრებულის საუკეთესო გამოცემანი ითვლებიან ბომბეის, ხოლო ცალკე გულისტანი ყველაზე უკედ გამოცემულია ლონდონში. ლონდონის გამოცემას დართული აქვს სიტყვარი და შენიშვნები. საადი თუ სპარსეთის ყველაზე უკეთესი პოეტი არ არის, ყოველ შემთხვევაში ეს ყველაზე მეტად პოპულიარულია, და მისი გულისტანი ცნობილია ყოველი მუსლიმანისათვის, რომელმაც ანამყოლ წერა-კითხვა იცის.

გულისტანი იყოფა შემდეგ შვიდ თავად: I—მეფეთა ქცევანი, II—ღარვიშთა ზნე-ჩვეულება, III—საკუთარი ბედით კმაყოფილება, IV—სარგებლობა დუმილისაგან, V—სიყვარული და სიკაბუჯე, VI—სისუსტე და მოხუცებულება, VII—აღზრდის მიერ დატოვებული კვალი, VIII—განათლებული საუბრის წესები.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს ერთ ადგილას:

„ღრუბელი, მთვარე, მზე—ყველა საქმეშია (მუშაობს)

იმისათვის, რომ შენ პურს ხელში იღებდე და სიზარმაცეში არა სკამდე (მას),

უსინდისო იყავ, თუ შენაც არ შეასრულებ ბრძანებას (შემოკმედისას).

მეორე ადგილას:

„პირში ენა, ო ბრძენო, რა არის?

(ეს) გასაღებია ნიჭის მქონე ადამიანის სალაროს კარის.

როდესაც კარი დახურულია, შეუძლია იცოდეს ვინმემ.

ვინ არის იგი, ძვირფასეულთა გამყიდველი თუ ძონძებით მოვაკრე?

თუმცა სხვის თვალში სიჩუმე თავაზიანობაა,

(თავის) ღროზე სჯობს სიტყვის თქმა,—

ორი რამ ეჯავრება გონებას—სულის განაბვა,

როდესაც ღროა ლაპარაკის და ლაპარაკი, როდესაც სიჩუმის ღროა.

საადიმ დასწერა გულისტანი იმ მიზნით, რომ ძველი დაეტოვებია თავის სიცოცხლის შემდეგ და მკითხველისთვის მიეცა ისეთი დარიგებები, რომლებიც სამუდამოდ გამოსადეგნი არიან:

„რად გინდა ხონჩა ვარდისა?

ჩემი გულისტანიდან წაიღე ყვავილი.

ვარდი მხოლოდ ხუთი—ექვსი დღე გასძლებს,

ეს გულისტანი კი (ყვავილნარი) ყოველთვის კარგი იქნება“.

პირველი თავი მეფეების ქცევათა შესახებ შეიცავს 40 ამბავს, მაგალითად, პირველი ამბავის შინაარსი შემდეგია:

ერთმა ხელმწიფემ ბრძანა მოეკლათ ტყვე. ტყვემ გინება დაუწყო მეფეს: „ყველა, ვისაც თავი არაფრად უღირს, იტყვის ყველაფერს, რაც გულში აქვს“.

„უკიდურეს, როდესაც გაქცევა აღარ ხერხდება, ხელი ხმალის წვერს ჩაეჭიდება“.

მეფემ ვერ გაიგო დატყვევებულის საგინებელი სიტყვები და ჰკითხა ვეზირს თუ რაშია საქმე. ვეზირმა იცრუა და უთხრა მეფეს, რომ ტყვე კითხულობს ლოცვას ყურანიდან; მეფემ შეიწყნარა ტყვე. მეორე სიმართლის მოყვარულმა ვეზირმა გამოამკლავნა კოლეგის სიცრუე, მაგრამ მეფეს სიმართლეზე უფრო სიცრუე მოეწონა, რომელმაც მისი წყალობაც კი გამოიწვია:

„კეთილი განზრახვით გამოწვეული სიცრუე უკეთესია, ვიდრე სიძულვილის აღმძვრელი სიმართლე“.

ამბავი თავდება ამ სოფლის ამაოების გამომხატველი ლექსით, რომელიც ფერუდინის სასახლის ფრონტონზე იყო წარწერილი:

„სოფელი, ო ძმავ, არავის შერჩება.

გულით (მხოლოდ) ქვეყნის შეპოქმედი შეიყვარე და კმარა (ეს).

ნუ გაიხდი დასაყრდნობლად (ამ) ქვეყნიურ სამეფოს და შთამომავლობას, ვინაიდან ბევრი შენისთანა აღზარდა სოფელმა და (შემდეგ) მოკლა.

როდესაც ნათელი სული წასვლის სურვილს გამოხატავს,

თუნდ მეფის ტახტზე მომკვდარხარ, თუნდ (ტიტველ) მიწაზე“.

ამგვარი მოთხრობები, ანდაზებით და ლექსებით აჭრელებული, შეადგენენ მთელი წიგნის შინაარსს. მოთხრობები ზოგი ძალიან გრძელია, ზოგი ისე მოკლე, რომ ორი-სამი სტრიქონისაგან შესდგება, მაგალითად უკანასკნელი თავის მეექვსე მოთხრობა:

„სამი რამ არ არის მტკიცე — ქონება უვაჭროდ, მეცნიერება უდავოდ და სამეფო უპოლიტიკოდ. გულკეთილობა ბოროტებზე მიმართული უკანონოა კეთილთა მიმართ, და მჩაგვრელთა პატიება არის ჩაგვრა დარვიშთა (ე. ი. ღარიბების და უდანაშაულო ხალხის).

ბოროტს თუ პატივსა სცემ და მოეფერები,

(ის მაშინ) შენს კეთილდღეობას მიაყენებს ზარალს შენივე სახელით“.

ქვევით მოგვყავს გულისტანის სხვა და სხვა თავებიდან და მოთხრობებიდან ამოკრეფილი საადის აზრები.

„მრავალი წარჩინებული დაიმარხა მიწაში,



ასე რომ მათი ქვეყნად არსებობისაგან არ დარჩა კვალი არაფერითა, და მიწისათვის მიბარებული მოხუცი გვამისაგან, მიწამ ისე გამოხრა (ის), ძვლებიც კი არ დარჩა.

ერეკუნუნი
ზიზნიქსუნი

ცოცხალია ნუშირვანის სახელი (მისგან ჩადენილი) სიკეთით, თუმცაღა საკმაო (დრო) გავიდა, რომ ნუშირვანი აღარ იყოს. კეთილი მოიმოქმედე, ო უცნობო, და ადვილად შეძენილ სიმდიდრედ ჩასთვალე ცხოვრება (ე. ი. ისარგებლე ცხოვრებით),

ვიდრე გაისმოდეს ყვირილი, (რომ) ეს უცნობი აღარ არის (ცოცხალი)!”

თუ ნახევარ პურს შესჯამს ღვთის კაცი,
მეორე ნახევარს დარვიშთა საჩუქრად გახდის.
თუ ვრცელ მხარეს დაიპყრობს ხელმწიფე,
ის ცდილობს იმგვარადვე დაიპყრას მეორეც.

იცი, რა უთხრა როსტომს ზაალმა?

მტერი არ უნდა ჩასთვალო ბილწად და უძლურად.

გვინახავს ბევრი, წყალს რომ სვამდა წყაროდან,

როდესაც (კი) აღიდდა (წყალი), (მაშინ მან) დატვირთული აქლემიც კი წაიღო.

„კარგ ხმაღს ცუდი რკინისაგან განა აკეთებს ვინმე?

არარაობა აღზრდის მეოხებით, ო ბრძენო, ვერ გახდება რაიმე.

წვიმა, რომლის კეთილ თვისებათა შორის წინააღმდეგობა არ არის, ბაღში ყაყაჩოსა ზრდის, უდაბნოში კი ნარეკალს.

უდაბნოში ზამბახი არ აპყვავდება,

მასზე დათესით ნუ დაიღლები!

კეთილის ქმნა ბოროტთათვის — იგივეა,

რაც ბოროტის ქმნა კეთილთათვის..“

„ხელმწიფე, რომელიც აჯახირებს თავის ქვეშევრდომთ, —

თავის მეგობრებს გაჭირვების დროს აქცევს თავის მტრებად.

ქვეშევრდომებთან კეთილად იცხოვრე და მტრებთან ომზე დამშვიდებული იჯექ (ე. ი. ნუ გეშინია ომის),

ვინაიდან სამართლიანი მეფისათვის ხალხი ლაშქარია!“

„არის განსხვავება მათ შორის, ვისაც სატრფო გულზე ჰყავს მიყრდნობილი,

და ვისაც ორივე თვალი (სატრფოს) მოლოდინში კარისკენ მიუპყვრია.

დარვიში და მდიდარი — ორივე მონაა სხეულის,

ვინც უფრო მდიდარია, მას საჭიროებაც მეტი აქვს.



„ვერ დამაგრდება უხეთა ხელში სიმდიდრე,
ვერც მოთმინება შეყვარებულის გულში, ვერც წყალობა ცხელი“

„ასი წელიწადი რომ ანთოს ღებრმა ცეცხლი,
ერთხელაც ჩაფარდეს შიგ—დაიწვება.“

„მრავალ მშიერსა სძინავს (მიწაში) და არავენ იცის, თუ ვინ არიან
ისინი.“

მრავალი სული აღგება პირს (ე. ი. ბევრი კვდება) და არავენ არ დას-
ტირის მათ“.

„სისწორე ხდება მიხეზი უფლის წყალობის,
არავის უნახავ, (რომ) გზა დაბნეოდეს კაცს სწორ გზაზე.“

„ან ორივე ხელით ოქროს ჩაიყრის ვაჭარი კალთაში,
ან ტალღა მკვდარს გადმოისვრის მას ნაპირზე“.

„თუ ქვეშევრდომის ბალიდან მეფე შესქამს (მხოლოდ) ერთ ვაშლს,
მისნი მსახურნი ძირიანად მოსთხრიან ხეს.“

„უთო კვერცხის გამო, რომელსაც სულთანსი წაართმევს,
ათას ქათამს შესწვავენ შამფურზე მისი ჯარისკაცები“.

ერთგულება ან აღარ არის ქვეყნად,
ან ჩვენს დროში აღარავენ იჩენს მას.
ისე არავენ ისწავლა სროლა ჩემგან,
რომ ბოლოს მევე არ გამხადოს მიზნად.“

„მტრის სიკვდილი ნუ ვაგახარებს,
ვინაიდან არც ჩვენი სიცოცხლეა მარადი.“

თუ საქმე ჩემდა ჩაურევლად ჩატარდება,
მე მის შესახებ არც (კვი) უნდა ვილაპარაკო.
მაგრამ, თუ მე ვხედავ, რომ (აი) უსინათლო და ქა,
(მაშინ) თუ ჩუმიდ ვიჯდომები, ეს (იქნება) ცოდვა (ჩემის მხრით)“.

დიდ კაცად არა სთვლიან ბრძენნი
მას, ვინაც დიდი კაცის სახელსა სთვლავს.
„ველაფერი არაა, ვინაიდან წარმავალია ვველაფერი,—
ტახტი, ბედნიერება, სიცოცხლე, ძალა-უფლება, ქონება!“

წუთისოფლიდან გასულის კეთილ სახელს ნუ ღუპავ,
რათა შენი კეთილი სახელიც დარჩეს საუკუნოდ.“

„ადამიანებთან შეხვედრა არაფრით არის ცუდი,
...“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მავრამ არც იმდენად, რომ სთქვან: კმარა!
თუ შენს თავს საყვედურს ეუბნები,
(მაშინ) საყვედური არ უნდა გაიგონო სხვისაგან.“

ო ის, ვისაც თუბები შეკრული აქვს ოჯახით,
ნულარ მოიხიბლები განთავისუფლების აზრით,—
ზრუნვა ბავშვებზე, პურზე, ტანსაცმელზე, საშუალებებზე,
ნებას არ მოგცემს იფიქრო სულიერი ქვეყნის შესახებ.
ყოველდღე ვთანხმდები,
რომ ღამე უფალს შევსწირო,
ღამით (კი), როდესაც შევუდგები ლოცვას, (ეფიქრობ),
რა უნდა სჭამონ ჩემმა შეილებმა ხვალ.“

„უხვი ზღვა არ იმღვრევა ერთი (გადასროლილი) ქვით.
ბრძენი, რომელიც შეურაცყოფასა გრძნობს, ეს მცირე წყალია კიდევ-
თუ შენ უბედურება შეგემთხვევა—გადაიტანე,
იმიტომ რომ ცოდვების შენდობით (თვით) განიწმინდები.
ო ძმაო! ვინაიდან ბოლო მტვერია—
გახდი მტვერი უმალ, ვიდრე მტვრად იქცეოდე“.

„ნუ შეეჩვევი ნურათერს და ნურავის,
ვინაიდან გულის მოწყვეტა (შემდეგ) ძნელი საქმეა“.

„მას, ვინც საკმაოდ პატივაყრილია (თვითონ),
რაში ენაღვლება სხვისი პატივი!
ბევრი პატიოსან სახელს ორმოცდაათი წელი (ატარებდა),
(იმისთვის, რომ) ცული ზნის კაცმა ის ფეხით გასთელოს“.

„მოძებნე უკეთესი შენზე და ისარგებლე შემთხვევით,
იმიტომ რომ, თუ ისეთებს (მონახავ), როგორც შენ ხარ, (მაშინ) დროს
დაჰკარგავ (მხოლოდ)“.

„ვიდრე არ იცი, რომ სიტყვა შენი გარდევით შესაფერია—ნუ იტყვი.
თუ იცი, რომ პასუხი ცული იქნება, (მაშინაც) ნუ იტყვი“.

„მას, რაც წარმავალია, გულით ნუ მიენდობი—მდინარე ტივროსი
ხალიფის შემდეგ კიდევ დიდი ხანი ივლის ბაღდადზე.
თუ (სიმდიდრე) ხელში მოგხვდება, იყავ უხვი, როგორც პალმა,
თუ ხელში (არაფერი) მოგხვდება, კვიპაროსივით იყავ თავისუფალი (ე. ი.
დიდებული და გულზვიადი).“



ქართული
ზნობრივობა

პროტოკოლი, მხატვრობა
და მემორიები

აკაკი წერეთელი.

(მისი ცხოვრება და ნაშრომი).

მიმდინარე წლის თებერვლის 8-ს ათი წელი შესრულდა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან; ხოლო ამიტომ სავსებით მართებულია მოკლედ მაინც თვალი გადაევლოს განსვენებული მგოსნის ცხოვრებასა და ნაშრომს.¹⁾

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, 22 ივნისს, სოფ. სხვიტორში (სახერეში), ზემო იმერეთს, ძველი ფეოდალის როსტომ წერეთლის ოჯახში. დედამისი ეკატერინე აგრეთვე მეორე დიდი ფეოდალის, ივანე აბაშიძის ქალი და იმერეთის მეფის სოლომონ I-ელის ჩამომავალი იყო. უექველია, ასეთ ოჯახში აკაკის ბავშობა და პირველ დაწყებითი აღზრდაც ძველი ფეოდალური გეზით წარემართებოდა, რომ ერთს ჩვეულებას არ მიეცა მისთვის სულ სხვაგვარი ხასიათი და მიმართულება. ეს „ჩვეულება“ იყო „ძიძობა“, ანუ ახლად დაბადებულის გაბარება სხვის ოჯახში აღსაზრდელად. ამ ჩვეულების ძალით პატარა აკაკი ერთი გლეხის ოჯახში გააბარეს სოფ. სავანეს. აქ დაჰყო მან ექვს წლამდე და ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი ყოველსავე იმას, რაც ისე ნაზის გრძნობით აკავშირებდა განსვენებული პოეტის გულს მშრომელი ხალხის, გლეხკაცობის, სულთან და გულთან. „არ შემძლია არ გამოვტყდეო, — ამბობს თვითონ მგოსანი თავის ავტობიოგრაფიაში ამ შემთხვევის გამო, — რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შეილებთან ერთად ვიზრდებოდი“².

მართლაც აქ, ამ გლეხის (თავისი ძიძის) ოჯახში უშუალოდ გაეცნო იგი

¹⁾ აკაკის ვრცელი ბიოგრაფია ცალკე მზადდება მისი „რჩეული ნაწერებისათვის“, რომელსაც სახელმწიფო გამომცემლობა ჰბეჭდავს ოთხ ტომად, ამ სტრიქონების ავტორისა და ს. აბაშელის რედაქტორობით. პირველი ტომი უკვე დაბეჭდილია და მალე გამოვა. რაც შეეხება აკაკის „სრულ ბიბლიოგრაფიას“, იგი დამზადებული გვაქვს უკვე 1916 წლიდან და ამჟამად ხელნაწერად ინახება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში (№ 1466). აქ მოგვყავს მხოლოდ უმთავრესი ცნობები როგორც აკაკის ბიოგრაფიიდან, ისე მისი „სრული ბიბლიოგრაფიიდან“.

²⁾ იხ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, გვ. 5—6 (სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემა აკაკი წერეთლის „რჩეული ნაწერები“ ტ. I).



გლახის ყოფა-ცხოვრებას, მის ყოველ-დღიურ საქმიანობას, მშრომლობას და გარ-
ჯილობას, ჭირსა და ვარაშს, ლხენასა და სიამოვნებას, შეესისლ-
ხორცა ამ ყოფა-ცხოვრებას იმ ზომამდე, რომ, როცა ექვსი წლის შემდეგ, მშო-
ბლის ფეოდალურ ოჯახს დაუბრუნდა, საშინელი მარტოობა და უცხოობა გა-
ნიცადა ამ უკანასკნელში¹. და შემდეგშიაც, მუდამ თავს უცხოდ ჰგრძნობდა იმ
არიოსტოკრატიულ წრეში და ოჯახში, სადაც დაბადებით წილად ხვდა ცხოვ-
რება და ტრიალი. მისი თანაგრძნობა არასოდეს ამ გაბატონებული წრისაკენ
არ ყოფილა; პირიქით, ამ წრისადმი იგი მუდამ მტრულს გაწყოფილებას ჰგრძნო-
ბდა და მისი ჩანგიც, შემდეგში, ხომ მუდამ დაჩაგრულთა სასარგებლოდ და
მჩაგვრელთა საწინააღმდეგოდ იყო მომართული!²

ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა აკაკი წერეთელი, როცა მშობლებმა ძიძის
სახლიდან გამოიყვანეს და შინ დაუწყეს ბატონკაცურად აღზრდა. მაგრამ უკან-
ასკნელმა ვერ შესძლო მის გულში ჩაეკლა ის თესლი, რომელიც გლახის ოჯახ-
ში ექვსი-შვიდი წლის ტრიალმა და ცხოვრებამ ჩაუნერგა. დედ-მამის ოჯახში
მისი ნორჩი, სულ სხვაგვარ წრეში გაფურჩქნული, გული და გონება ყველაფერს
კრიტიკული თვალთ უყურებდა და თავისთავად იგულისხმებდა, რომ იქ ბევრი
რამ არ ესმოდა და არც მოსწონდა, მამამისის ახირებულობით დაწყებული და
მოურავის თავგასულობით გათავებული; არ მოსწონდა არც ის ფეოდალურ-პა-
ტრიარქალური უთავბოლობა, რომლითაც აღბეჭდილი იყო მისი მამის საოჯახ-
ხო ცხოვრების ყოველი წვრილმანი, ყოველი მომენტი³. ასე გასინჯეთ, დედის
გულიც დახურული იყო ექვსი-შვიდი წლის ყმაწვილისათვის იმ გარეგნული გუ-
ლგრილობის წყალობით, რომელიც ახასიათებდა დედამისის მოპყრობას შვილე-
ბისადმი⁴. ერთი სიტყვით, მშობლის ოჯახში მის გულს არაფერი იზიდავდა, იქ
მისთვის თითქმის ყველაფერი უცხო იყო. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ მო-
მავალი მგოსნის გულში იმთავითვე უარყოფითი განწყობილება ჩაისახა და გა-
ღვივდა საზოგადოდ იმ დახვეწებულის, დროგადასულის, უსამართლობისა და
თვითნებობის საფუძველზე დამყარებულის, წყობილებისადმი, რომლის მინია-
ტურულ სახეს, სხვა ფეოდალურ ოჯახის მსკავსად, მამამისის ოჯახიც წარმო-
ადგენდა. ამ უარყოფითი განწყობილების ნიადაგზე განვითარდა მომავალი მგო-
სნისა და საზოგადო მოღვაწის ხასიათში ის „ხალხოსნური“, დემოკრატიული,
თვისებები, რომელნიც ისე ამშვენებდენ და თან ასხვაგვებდენ აკაკი წერეთელს
ყველგან და ყოველთვის, მთელი მისი ხანგრძლივი, 75-წლოვანი, სიცოცხლის
მანძილზე.

მშობლიურმა ოჯახმა ერთი სიკეთე შესწირა პატარა აკაკის, სახელ-

¹. შეად. „ჩემი თავგადასავალი“ (იგივე გამოცემა), გვ. 11—12.

². სიტყვები ლექსიდან „ჩანგური“ ანუ „ვარდის ხმაზე“: „... რომ დაჩაგრულს იმ სიმღე-
რით თვალს ცრემლები ეშრობოდეს, და მჩაგვრულს კი გულში ძგვრით ისარბით ესობოდეს“.

³. შეად. ამის შესახებ აკაკის „თავგადასავალი“. (იგივე გამოცემა), გვ. 13—15; 16—18;
18—20.

⁴. კერძოდ დედამისის „ციგულობის“ შესახებ იხ. იქვე 18 და აგრეთვე ლექსი „თავგა-
დასავალი“, რომელიც დღემდე ხელნაწერად მოიპოვება.



დობრ: უფროსი დისა და განათლებული დედის მეოხებით მან მალე შეესწავლა ჯერ ქართული და შემდეგ რუსული წერა-კითხვა; ასე რომ რვა თუ ათი წლის შემწვილს უკვე გადაკიოხული ჰქონდა ჩუბინაშვილის ქართული ქრესტომატია და, ასე გასინჯეთ, მთელი „ვეფხისტყაოსანიც“; ხოლო 1850 წელს, როცა პირველად გამოიცა და სცენაზე დაიდგა „გლუხარჩის“, ე. ი. გიორგი ერისთავის, კომედიის „გაყრა“, ათი წლის აკაკიმ „თვითონაც მოინდომა, რომ იმგვარი რამ კითხვა-მიგებითი დაეწერა, და მართლაც ასწერა თავიანთი შინაურობა, მაგალითად, როგორ აწვალებდა მათი მოურავი ხალხს, შერე ბატონს აბეზლებდა, ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა და ჯავრობდა და სხე.“ ასე დაიწყო აკაკის პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე. მისი ბავშური სცენები სასახლეში (ე. ი. მამის სახლში) ყველას მოსწონდა, გარდა მოურავისა, რომელიც გულმოსული გაიძახოდა: „ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ენახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს, და ნუ აქეზებთო“¹.

ამასობაში, აკაკის სკოლაში სწავლის დროც მოუვიდა და მშობლებმა სოფელს მოაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადაიყვანეს. თუ მოვიგონებთ, რომ ქუთაისი იმ დროს უფრო დაბას ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ქალაქს, არ გაგვიკვირდება, რომ თავის „თავგადასავალში“ აკაკი წერეთელი არაფერს მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მის ნორჩ გონებაზე „ქალაქის“ წყობილებამ, მისმა გარეგნობამ და ყოველდღიურმა ცხოვრებამ: სჩანს, ქუთაისი ამ მხრით დიდად არ განირჩეოდა აკაკის სამშობლო-დაბა საჩხერისაგან. სამაგიეროდ პირდაპირ შემადრწუნებელი შთაბეჭდილება დაუტოვებია ყმაწვილის ხსოვნაში იმ დუხჭირ პირობებს, აღზრდისა და სწავლების იმ გამაუკუღმართებელ წესებს, რომელნიც მაშინდელი სკოლის ცხოვრებაში იყვენ გამეფებულნი. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ამ შემადრწუნებელი წესების აღწერას, რომელნიც წარსული საუკუნის 50-ან წლებში ქუთაისის გიმნაზიას (და საზოგადოდ მაშინდელ გიმნაზიებს) ახასიათებდენ: ამ წესების მხატვრულ სურათს მკითხველი ვრცლად ამოიკითხავს თვითონ აკაკის „თავგადასავალში“².

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ გიმნაზიაში გამეფებულმა დუხჭირმა პირობებმა ისეთივე უარყოფითი განწყობილება გააღვივა აკაკის გულში მაშინდელი სინამდვილისადმი, როგორც მამის ფეოდალურმა ოჯახმა—მაშინდელი სოციალური წყობილებისადმი. როგორც უკანასკნელმა თვალი აუხილა და დაანახვა ბატონუმობის შემადრწუნებელი ხარეები, ისე გიმნაზიამ თვალწინ გადაუშალა და დაანახვა ის საზიზღარი, ანტიადამიანური და ანტიეროვნული საქმე, რომელსაც მაშინდელი იმპერიალისტური და ბიუროკრატიული რუსეთი აკეთებდა სკოლების შემწეობით როგორც შინ, შიდა გუბერნიებში, ისე და კიდევ უფრო მეტად განაპირა ოლქებში და „ინოროდცებში“.

ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ, უკვე ცნობაზე მოსულმა ახალგაზრ-

1. იქვე, გვ. 43. როგორც თვითონ მოგვითხრობს, ეს საინტერესო „ცდა“ ნორჩი კალმისა ავტარს შემდეგ თვითონვე დაუხვეია და დაუწვავს.

2. იქვე, გვ. 43—47; 52—54. შეად. გ. წერეთლის მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვაველი“, რომელიც იმავე საგანს შეეხება.

დამ, როცა გიმნაზიის უკანასკნელ კლასში იმყოფებოდა, აღარ მოიხურვა კურსის დასრულება, გამოცდების წინ ხელი აიღო გიმნაზიაზე დასრულების თვითვე გამოეტყველა თავისი მომავალი.

როგორც ქუთაისის გიმნაზიის არქივის საქმეებიდან ირკვევა, აკაკი წერეთელი გამნაზიაში შესულა 1852 წელს, ხოლო სწავლა შეუწყვეტია და გამოსულა მეშვიდე კლასიდან (მაშინ გიმნაზიაში მარტო შვიდი კლასი იყო) 1859 წელს, 10 თებერვალს. (იხ. „სახ. ფურც.“ 1915 წ. № 209: „აკაკი—მოწაფე“).

ამ მოწაფეობის პერიოდს ეკუთვნის აკაკის პირველი თარღიანი ლექსი-აკროსტიხი: „ეკატორინე“, რომელიც 12 წლის მგოსანს თავისი დედის (ეკატორინეს) შესახებ დაუწერია 1852 წელს, 4 აპრილს, და ამ თარღით მოუთავსებია მათი ეხოს ბაღში, ქვის მაგიდაზე წარწერად. (გაზ. „ივერია“ 1904 წ. № 181—ფელეტონი).

გიმნაზიაში ყოფნის დროსვე დაუწერია აკაკის, როგორც თვითონ მოგვითხრობს, რაღაც კომედიისებური („დილოგებად“) თხზულება ვიღაც „გადამდგარი თუ გამოგდებული ჩინოვნიკის“ შესახებ, რისთვისაც კინალამ თვითონაც არ გამოუგდიათ გიმნაზიიდან, მაგრამ დირექტორს დაუხსნია. (აკაკის „თავგადასავალი“ გვ. 57—58).

ამავე დროს ეკუთვნის აკაკის სამი ლექსი: „რტო პალესტინისა“ (ლერმონტოვიდან, „ჩემს ვენერას“ და „პ. წ.: ჩვეულებითად გახალისებულს“, როგორც მათი თარღები გვიჩვენებს, სამივე 1858 წელს დაწერილი და ჟურნალ „ცისკარის“ 1858-ისა და 1859 წლის ნომრებში დაბეჭდილი.

ასე დამთავრდა აკაკის ცხოვრების გიმნაზიური ხანა და დაიწყო სტუდენტობის პერიოდი.

1859 წლის ივლისში აკაკი წერეთელი უკვე პეტერბურგში ჩანს, რასაც ადასტურებს მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი“ რომელიც დაწერილია ქ. პეტერბურგს, 1859 წელს, 20 მკათათვეს.¹

„ჩემი თავგადასავალიდან“ ვტყობილობთ, რომ, თუმცა აკაკის დიდი სურვილი ჰქონია სამხედრო სამსახურში შესვლისა, მაგრამ პეტერბურგში ქართველ სტუდენტებს იმზომად გაუტაცნიათ, რომ გადაუწყვეტია უნივერსიტეტში შესულიყო. რამდენადაც პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივის საქმეებს ხელი მიგვიწვდებოდა,² ჩვენთვის შესაძლო შეიქნა გამოგვეჩვენა, რომ უნივერსიტეტში აკაკი წერეთელი 1862 წლამდე დარჩენილა, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე, როგორც „გარეშე მსმენელი“, მაგრამ ბოლოს საჭირო გამოცდები ჩაუბარებია და მოუპოებია უფლება საკანდიდატო თხზულების წარდგენისა (1862 წ. 31 მარტს).

როგორც აკაკის ერთერთმა ნაამხანაგარმა, კირილე ლორთქიფანიძემ, გვარწმუნა³, აკაკი წერეთელს საკანდიდატო თხზულება მართლაც წარუდგენია, სახელდობრ: „О подлинности Барсовоѣ Кожѣ“, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის ორი-

1. ჟურნ. „ცისკარი“ 1860 წ., იანვრის ნომერი. აქ „საიდუმლო ბარათი“ დათარღილებულია 1859 წლით და არა 1856-ით, როგორც ზოგიერთი მკვლევარი შეცდომით აღნიშნავს.

2. იხ. ჩვენი წერილი: „აკაკი უნივერსიტეტში“ (გაზ. „საქართველო“ 1916 წელი, 26 იანვარი № 19), დამყარებული განსვ. პროფ. იოს. ყაფშიძის მიერ მოწოდებულ მასალებზე.

3. იხ. იგივე ჩვენი წერილი: „აკაკი უნივერსიტეტში“.

გინალობის შესახებ“. ამ თბზულებაში გატარებული აზრები შემდეგ უფრო ვრცლად აკაკის განუვითარებია თავის ლექციებში „ვეფხისტყაოსნის შესახებ“.

თბზულება, როგორც ჩანს, მოუწონებიათ, რადგან აკაკი უცვნიათ ღირსად საკანდიდატო ხარისხის მიღებისა, თუ გიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობას წარადგენდა. მაგრამ აკაკის ასეთი მოწმობა არ წარუდგენია და ამის გამო არც დიპლომი მიუღია.

როგორც თავისი ავტობიოგრაფიის მეორე ნაწილში მოგვითხრობს, აკაკის დროს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში „ოცდაათ სულზე მეტი“ ქართველობა ყოფილა. მაგრამ, როგორც კირილე ლორთქიფანიძის მოწმობიდან ჩანს, ამ ქართველ სტუდენტობას უნივერსიტეტში არავითარი წრე არა ჰქონია; არსებულა მხოლოდ პოლონელ და რუსის სტუდენტთა წრეები, მაგრამ იმ წრეებში ქართველ სტუდენტებს (და არც აკაკის) მონაწილეობა არ ჰქონიათ. სამაგიეროდ აკაკის ძალიან ჰყვარებია რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა და მე-19-ე საუკუნის რუსის მგოსან-ბელეტრისტები ძალიან კარგად ჰქონია შესწავლილი. თავის თავგადასავალშიაც აკაკი წერეთელი საკმაო ხაზგასმით იხსენიებს რუსის კრიტიკოსებს: ჩერნიშევსკის და პისარევს, რუსის მწერალს ტურგენევს და განსაკუთრებული თანაგრძნობით იგონებს პოეტს ალექსეი ტოლსტოის. („ჩ.-თავგადასავალი“ 72--73).

კერძოდ თავის სამწერლო მიმართულებას იმ დროს აკაკი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „მწერლობაშიაც შემეძლო, რომ, სხვების აყოლით, დიდი სახელი მომეპოებია, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვუღალატე და, ტოლსტოისა არ იყოს, შუა ადგილი მეჭირა... სხვებსავით წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჯერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად“. („ჩ.-თავგად.“ იქვე).

ამ განკერძოებას და თავისებურობას, ან, როგორც თვითონ ამბობს, „ორთა შუა ყოფნას“, აკაკი საკმაოდ ჩამოუშორებია ამხანაგებისაგან და ამ უკანასკნელთა შორის მის წინააღმდეგ ერთგვარი ინტრიგებიც დაწყებულა. ერთ ამგვარ ინტრიგაზე აკაკი თავის ავტობიოგრაფიაშიაც მოგვითხრობს. მაგრამ ვერავითარ ინტრიგას ის ვერ გადაუცდენია იმ გზიდან, იმ განსაკუთრებული პოზიციიდან, რომელიც სტუდენტობის ხანაში ჰქონია არჩეული. მეტად დამახასიათებელია აკაკის პიროვნებისათვის შემდეგი სიტყვები, რომელიც სწორედ ამ ხანას შეეხება: „იმ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში. ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვყოფილვარ!... არა იმიტომ, რომ ციხის მშინებოდეს!... მაშინაც ის რწმუნება მქონდა, რასაც დღესაც ვადგივარ და ვერ ვუღალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკულმა ხდება ეს!... ამან სრულიად ჩამომანორა ამხანაგებსო“.

1. შეად. აკაკის თვითონ „კრებული“ 1898 წ. № 5 და 6.

ამგვარად, როგორც საკუთარი მამის ოჯახში და შემდეგ გიმნაზიაში, ისე აქაც, უნივერსიტეტში, აკაკი თავს ყველგან უცხოდ და განსაკუთრებულად პერძობს, მისი გული ვერსად გარემომცველ წრეს ვერ ეგუება. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ მთელ თავის სიცოცხლეშიაც აკაკი წერეთელს შერჩა ეს განკერძოებულობა და იმ საზოგადოებრივ ფენებთან შეუგუებლობა, რომლებთანაც მას ჩამომავლობითა და თავისი სოციალური მდგომარეობით ძალუწებურად უხდებოდა ცხოვრება და ურთიერთობის დაქერა.

ამ სტუდენტობის ხანას (1859 წლის ივლისიდან—1862 წლის აპრილამდე) ეკუთვნის აკაკის 23-მდე ნაწარმოები, რომელთა შორის, ზემოხსენებული „საიდუმლო ბარათის“ გარდა, ჩვენ კიდევ შემდეგს დავასახელებთ:

- 1859 წ. 1. ლექსი: „ქართლის სალამი“¹.
 „ 2. ლეგენდა: „მეუღაბნოე“².
 „ 3. ერთ მოქმედებიანი კომედია ლექსად: „ძველი ამხანაგები“.
 1860 წ. 4. ლექსი: „ამარ ძებნა“³.
 „ 5. ვოდვეილი ერთ სცენად: „პირუტყვების არჩევანი“⁴.
 1861 წ. 6. პოემა „რუსეთუმე“⁵.
 „ 7. ლექსი: „სალამური“⁶.
 „ 8. ლექსი: „მუშური“⁷.
 „ 9. ელეგია: „საბრალო გული“⁸.
 „ 10. სატირა: „აპელაციის მკოდნე“⁹.
 „ 11. ლექსი: „გლეხის აღსარება“¹⁰.
 1862 წ. 12. სატირა: „ფუტურო“¹¹, და სხვანი.

როგორც ვნახეთ, 1862 წლის 13 აპრილს (ძვ. სტ. 31 მარტს) აკაკი წერეთელმა ჩააბარა უნივერსიტეტში უკანასკნელი გამოცდა. ამ დროს იგი 22 წლისაც არ იყო. აქედან იწყება მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

მორჩა თუ არა უნივერსიტეტს, აკაკი წერეთელი გადავიდა მოსკოვში და აქ, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა „ცოლი არ შეერთო და მერე ისიც უცხოელი“, ერთი, წმინდა რომანტიული ხასიათის შემთხვევისა გამო, რომელსაც თავ-

¹. „ცისკარი“ 1859 წ. დეკემბერი.

². იქვე 1859 წ. ნოემბერი.

³. „ცისკარი“ 1861 წ. ივლისის ნომერი.

⁴. იქვე, 1860 წ. აპრილი.

⁵. დაიბეჭდა „დროებაში“ 1873 წ. 11 მაისს, № 18.

⁶. ამ პოემის ორი თავი (II და X) დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წ. № 2 და 1863 წ. № 4. დანარჩენი თავები დაკარგულია.

⁷. „ცისკარი“ 1861 წ. მარტი.

⁸. იქვე, 1863 წ. № 1.

⁹. იქვე, 1862 წ. აპრილი.

¹⁰. იქვე, 1862 წ. ოქტომბერი.

¹¹. იქვე, 1863 წ. მაისი.

¹². იქვე, 1862 წ. მაისი.



ვის „თავგადასავალში“ აგვიწერს¹, სრულიად მოულოდნელად, რომეცა „წელს და-
ცოლშვილიანდა; მაგრამ მალე მატერიალური ხელმოკლეობის² „განაგრძობის“³ შედეგად
ლი შეიქნა რუსეთი მიეტოვებია და ცოლშვილიანა სამშობლოში წამოსულიყო.

ეს უნდა მომხდარიყო 1863 წელს, რადგან აკაკი ამბობს: „რუსეთი რომ
მივატოვე და ცოლშვილით დაებრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული
და გამოურკვეველი დრო იყო: ბატონყმობა უნდა გადაეარდნილიყო, ახალი რე-
ფორმები შემოდიოდაო“⁴. ჩვენში საგლახო რეფორმამ, როგორც მოგეხსენე-
ბათ, რუსეთთან შედარებით, რამოდენიმე წლით დაიგვიანა და მხოლოდ 1863
წლიდან დაიწყეს ახალი რეფორმების შემოღება.

თვითონ აკაკი დიდის ალტაცებით შეხვდა გლეხთა განთავისუფლებას და
შესაფერი „ნანაც“ მიუძღვნა ახლად განთავისუფლებული გლეხის შვილებს. მაგ-
რამ თვით რეფორმა, როგორც მოგეხსენებათ, ისეთის მახინჯი სახით იყო „ზე-
მოდან“ მოაგრობის მიერ ჩატარებული, რომ ვერცერთი ქეშმარიტი ხალხის
მეგობარი ვერ დააკმაყოფილა. როგორც ჩანს, აკაკისთვისაც ამ გარემოებას
დიდად ვული უტკენია, და აი რას ამბობს ამაზე თავის „თავგადასავალში“:

„ბატონყმობა უნდა გადაეარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა
და, რასაც ჩვენ ისე შეეხაროდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა, სახელით
ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად, რა
ბატონყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთ-
ზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს აღრჩობდა—ლლეტდა? რა-
ლა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და
ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამლლეტ-გამცვეთელებს ჩავარდნიოდა
ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და მიტომაც სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ
მოიპოვეს რეფორმებმა“⁵.

ამ იმედგაცრუებას მალე ზედდაერთო: „ერთი მხრით მალლიდან რისხვა,
მეორე მხრით თავად-აზნაურობის გაწყრომა“ და მესამე მხრით ინტელიგენ-
ციის მიეთმოეთობა, რომელიც ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეს მოსვენებას არ
აძლევდა. „ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავდიო, — განაგრძობს იგი, — რომ მიკედლე-
ბა და გვერდში ამოდგომა შესაძლებელი ყოფილიყო; ყველას ჩამოვშორდი და,
როგორც იმედგაცრუებული, ახირებულად დავრჩი მარტოდა“⁶.

ამგვარად, დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზედაც იგივე „მარტოობა“
და „სულითობლობა“, რომელიც აკაკის უკვე დიდიხანია გამოცდილი ჰქონ-
და ჯერ მამის ოჯახში და შემდეგ მოწაფეობის პერიოდში (გინნაზიაში და გან-
საკუთრებით უნივერსიტეტში).

ჯამაგირიან ადგილზე, სამსახურში შესვლაც არ მოისურვა გაკერპებულმა
ახალგაზრდამ, რადგან ასეთი სამსახური მის ბუნებასა და ერთხელ არჩეულ
მიმართულებას ორგანიულად ეწინააღმდეგებოდა. „ყველასაგან მოძულეებულს,

¹. „ჩემი თავგადასავალი“, გვ. 76—78.

². „ჩემი თავგადასავალი“ გვ. 78.

³. იქვე, გვ. 78—79.

⁴. იქვე, გვ. 79.



ბევრჯელ კარგი ადგილი, ღირსი, რომ არ ვიყავი მისთანა ქვეყნულ-ქათავრობამ, მაგრამ, რაღაი კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული „არცერთი სამსახურ-ში შესვლა და დაერჩა ოხრად, ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდენ“ (იქვე). დრო გადიოდა. მგოსანი ხშირად საწინელ ხელმოკლეობას განიცდიდა (იხ. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკი „აკაკი“ ტფილისი 1897 წ. გვ. 36); მაგრამ გულს არ იტეხდა და შორეული მონაგლისკენ მუდამ იმედიანად იცქირებოდა. თავისი ცხოვრების მიზნად მას დასახული ჰქონდა წმინდა საზოგადოებრივი სამსახური და კერძოდ მწერლობა: იგი შეიქნა ჩვენში პირველი პროფესიონალური მწერალი ამ სიტყვის ვიწრო და თან მაღალი საპატიო მნიშვნელობით. და როგორც მწერალს, გინდ საზოგადო მოღვაწეს, მას ჩვენში მუდამ თავისი საკუთარი პოზიცია, საკუთარი ადგილი ეჭირა: არცერთ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, არცერთ „პარტიას“ (რამდენადაც ეს უკანასკნელნი აკაკის დროს ჩვენში ჩამოყალიბებულნი იყვნენ), მგოსნის მკაფიოდ გამოქანდაკებული ინდივიდუალობა სავსებით არ ეგუებოდა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, მისი თანაგრძნობა მუდამ ახალგაზრდობისაკენ და მშრომელი ხალხის შესვეური ჯგუფებისაკენ იყო მიმართული.

ნახევარი საუკუნის მანძილზე, არ დარჩენილა ჩვენში არცერთი ჟურნალი და გაზეთი, რომელშიაც აკაკი წერეთელს მცირეხნობით მაინც არ ეთანამშრომლოს; მაგრამ უფრო ხანგრძლივ და ნაყოფიერად იგი ჯერ გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობდა და შემდეგ გიორგი წერეთლის „კვალში“, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ბოლოს „მესამე დასელებს“ (ე. ი. ქართველი სოციალ-დემოკრატების) ორგანოდ იქცა. ხოლო 1897 წლიდან აკაკიმ საკუთარი ორგანოც („აკაკის თვიური კრებული“) დაიარსა, რომელსაც 1900 წლამდე ხელმძღვანელობდა.

როგორც მგოსანი, აკაკი წერეთელი თავის თავს „ცხოვრების სარკესა“ და „გარემოების საყვირს“ ეძახოდა, მწერლობა „ცხოვრების მესარკეობად“ მიაჩნდა, და არ გამოპარვია არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც მისი მუდამ მფეთქავი / და „ცეცხლ-მქშინავი“ გული სათანადოდ არ გამოხმაურებოდა. მაგალითად, როდესაც 1-ელ მარტს 1881 წელს პეტერბურგიდან დეპეშამ ტფილისში ალექსანდრე მე-II-ის მოკვლის ამბავი მოიტანა, აკაკიმ იმავე წუთს ცნობილი ლექსი „გაზაფხული“ („დღეს მერცხალი გადმოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმომძახა“) დასწერა, რომელიც გაზეთ „დროებაში“ 3 მარტს დაიბეჭდა¹; ან კიდევ, როცა ჩვენში ეგრეთ წოდებული „მესამე დასი“ ან უკეთ „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ ყალიბდებოდა, აკაკი ამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენასაც თავისებურის თანაგრძნობით შეხვდა, თუმცა არც ის დაჰფარა, რაც ამ პარტიის ტაქტიკაში პროეტის გულს ტკივილებად ჰხედებოდა. ეს ლექსი იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლია იქიდან ზოგიერთი ადგილი მაინც არ მოვიყვანოთ. აი ეს ადგილები:

¹ „დროება 1881 წ. № 45.



„ზოგი არ მომწონს რამ შენში,
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ!
ერთ დროს მეც გამომაღგები,
თუმც ჯერ კი! სხვისი ბარგი ხარ...“

ახლა იღვიძებ... ჯერ კიდევ
თვალი არ მოგიფშენეთია
და შენს სიცოცხლე-ფართხალში
ბევრი უდროეო... მეტია!

მაგრამ ეს არის კანონი
ბუნების, უტყუარისა!

ყმაწვილურის იმედებითა და აღფრთოვანებით მივგება, უკვე სიკვდილის
სარეცელზე მწოლი, მოხუცი მგოსანი 1914 წელს მსოფლიო ომს, რომლისგა-
ნაც ბევრს რასმე გამოელოდა, როგორც ჩანს, ასწლოვანი მონობით წელში გა-
წყვეტილის ქართველი ხალხისათვის და თავისი იმედი ჩვეულებრივის ბელოვნებით
ჩამოაყალიბა ვრცელს ლირიკულ პოემაში: „ომი“,¹ რომლის წერის დროს მას
დამბლა დაეცა, რომლისგანაც აღარ წამომდგარა. 1915 წელს 22 იანვარს (ძვე-
ლი სტილით), ნაშუაღამევის 1-ელ საათზე, აკაკიმ სამუდამოდ დახუჭა თვალები
იქ, სადაც პირველად აახილა 75 წლის წინათ, სოფ. სხვიტორს (საჩხერეში),
მამაპაპეულ ძველებურ სასახლეში².

ქართველმა ხალხმა ღირსეულად პატივი სცა მგოსანს ჯერ სიცოცხლეში,
1908 წელს, როდესაც არაჩვეულებრივი აღფრთოვანებითა და მასობრივი ზეი-
მებით აღნიშნა საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა მნიშვნელოვან პუნ-
ქტში მისი 50-წლოვანი სამწერლო მოღვაწეობა, და შემდეგ დასაფლავების
დროს, როდესაც დიდის ამბით გადმოასვენა განსვენებულის ნეშტი საჩხერიდან
ტფილისს და დაკრძალა პოეტისათვის ყველაზე უფრო საყვარელ ადგილას, „მა-
მადავითის“ მთაზე, რომელსაც ისეთის აღფრთოვანებით უგალობდა სიცოც-
ხლეში განსვენებული მგოსანი თავისის „ცაფირუზ-ხმელეთ ზურმუხტი სამშობ-
ლო-ქვეყნის“ დიდებულ საგალობელს (ლექსი „ვანთიადი“⁴).


არ დარჩენილა აკაკის დასაფლავების დროს არცერთი კუნძული საქართ-
ველოსი, არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, არცერთი პარტია, არცერთი კუ-
ლტურული ერი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც თავისი წარმომადგე-
ნელი არ წარმოგზავნოს და პატივი არ ეცეს განსვენებული მგოსნის ცხედრი-
სათვის. ყველა ჯგუფი და ყველა პარტია ერთხმად აღიარებდა, რომ აკაკის და-
კარგვა იყო უდიდესი ეროვნული დანაკლისი ქართველი ხალხისათვის, რომ აკა-

1. ვებქდავთ ავტოგრაფიდან (32,13), რომელიც დაცულია „საისტ.-საეთნ. მუზეუმის“
წიგნთსაცავში, ხელნაწ. № 1498; აქ ამ ლექსს სათაურად უზის: „ზოგი რამ, ვუძღვნი
ს...დ...ს“ (ე. ი. „სოციალ-დემოკრატიას“). ბაზგასმა ყველგან ჩვენია. პირველად ეს ლექსი
დაიბეჭდა „ივერიაში“ 1906 წ. 25 ივნისს, № 17.

2. ამ პოემის დედანი (აკაკის ავტოგრაფი) დღეს დაცულია „საქართველოს საისტორიო
და საეთნოგრაფიო მუზეუმში“ (ხელნაწერი № 1470).

3. აკაკის დამბლისა („ომის“ წერის დროს) და უკანასკნელი ავადმყოფობის შესახებ იხ.
ვჭიშის სევერიანე ტილოშვილის მოგონება გაზეთ „თემში“ 1915 წ. 22 მარტის № 211.

4. ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა „გვალში“ 1893 წ. 3 იანვარს № 1.



კის სახით ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული ტყვეობის უდიდესი კირისუფალი და ყოველი დაჩაგრულის გულწრფელი ნიშანი და გულშემატკივარი¹.

აკაკის ხსოვნას ღირსეული პატივი მიაგო მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამაც, როცა მშვენიერი ძეგლი აუგო ტფილისის საუკეთესო ქუჩაზე (რუსთველის პროსპექტზე), საუკეთესო ალაგას (ოპერის თეატრის ბაღში), და უკვე შეუდგა აკაკის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემას ოთხ ტომად, რომელთაგან პირველი უკვე დაბეჭდილია და მალე გამოვა გასაყიდად.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა აკაკის ნაწრომის შესახებ².

როგორც ვნახეთ, აკაკი წერეთელს წერა 1850 წლიდან დაუწყია, მაგრამ მისი ნაწერების ბეჭდვა მხოლოდ 1858 წლიდან დაწყებულა ჟურნალ „ცისკარში“. მას შემდეგ არ დარჩენილა, როგორც ვთქვით, არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, რომელშიაც აკაკი წერეთელს რაიმე სახით მონაწილეობა არ მიეღოს. ერთხანად იგი თავის ნაწერებს ჰბეჭდავდა ფსევდონიმით და ინიციალების მოწერით, შემდეგ სრულად თავისი სახელისა და გვარის ილნიშვნით, ხოლო ბოლოს მარტო სახელის მოწერით: „აკაკი“.

მისი ფსევდონიმები იყო:


- „ს.—ლი“ ესე იგი „სხვიტორელი“.
- წ. „წერეთელი“.
- „იმერელი“.
- „ალექსანდრე სამარაძე“.
- „Z“.
- „გაჩეჩილიძე“.
- „ლეონ ვამეხის ძე დადიანი“.
- „სხვიტორელი“.
- „ვერ შიცანი ნინიაო“.
- „გიორგი ქართველიშვილი“.
- „ჩოხოსანი“.

როგორც აკაკის ნაცნობ-მეგობრებმა გვარწმუნეს, პირველხანად აკაკის „თერგდალეულის“ ფსევდონიმითაც დაუბეჭდია რამოდენიმე ლექსი, ხოლო რუსულ ნაწერებში ფსევდონიმად ჰქონია: „Сам-Шью-Чай“³.

აკაკის ნაწარმოებთა საერთო რიცხვი 2000-მდე ახწევს. აქედან 30-ოდე სახელწოდება ყრმობისა და მოწაფეობის ხანას ეკუთვნის (სტუდენტობითურთ), დანარჩენი—შემდეგს პერიოდს, გარდაცვალებამდე. აქედან 500-ზე მეტი ნაწარმოები ავტოგრაფადაც არის დარჩენილი (იხ. საქართ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწერები №№ 761 და 1467—1502), დანარჩენები ცალკე გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული.

¹ იხ. ამის შესახებ სხვათა შორის კრებული რუსულ ენაზე: „Памяти великого грузинского поэта кн. Акакия Ростомовича Церетели. Петроград. 1915г. издание Д. З. Чидриова), სადაც მოთავეებულია სხვადასხვა წარმომადგენელთა სიტყვები და სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან.

² ამას ქვემოთ ჩვენ ვემყარებით ჩვენს ნაწრომზე: „აკაკის ბიბლიოგრაფია“, რომელიც 1916 წლიდან დამზადებული „საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმშია“ დაცული № 1466-ით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ცალკე გამოცემათაგან ჩვენ აქ დავასახელებთ შემდეგთ:
1. საახალწლო მუშაობა. ტფილისი. 1874 წ.
 2. ბაგრატი დიდი (პოემა). ტფილისი. 1875 წ.
 3. გოგია მეჩანგურე და რამოდენამე ლექსი. ტფილისი. 1877 წ. კიდეც 1908 წლისა.
 4. ბუტიაობა (ვოდვეილი). ტფილისი. 1879 წ.
 5. ალექსი (ზღაპარი-პოემა). ტფილისი 1880 წ.,
 6. კულა გდანელი და ნესტორ ესებუა (ანუ „ჭიდაობა“, მესტვირული ლექსი). ტფილისი 1883 წ., კიდეც 1890 წ. და 1924 წ.
 7. სამგვარი სიყვარული (მოთხრობა). ტფილისი. 1884 წ.
 8. თორნიკე ერისთავი (ისტ. პოემა). ტფილისი 1884 წ. კიდეც 1908 წ.
 9. გადია (საყმაწვილო წიგნი). ტფილისი 1885 წ.
 10. საყმაწვილო ამბები. ტფილისი. 1885 წ.
 11. თამარ-ცბიერი (დრამა). ტფილისი 1886 წ.
 12. პატარა კახი (დრამა). ტფილისი. 1890 წ.
 13. ხოლერა (მესტვირული შაირი). ქუთაისი 1892 წ.
 14. სალამური (სასიმღერო ლექსები). ქუთაისი 1893 წ.
 15. თხზულებანი აკაკი წერეთლისა. ამხანაგობის გამოცემა. ტფილისი 1893 წ. ტომები I და II.
 16. ყვითელი სანთელი. ქუთაისი. 1896 წ.
 17. გამზრდელი (პოემა). ტფილისი. 1898 წ.
 18. ბაში-აჩუკი (ისტორ. მოთხრობა). ქუთაისი. 1900 წ.
 19. ჩემი თავადასავალი. ტფილისი. 1903 წ.
 20. თამარ მეფე. ტფილისი. 1903 წ.
 21. ვაქრული ჭკუა. ტფილისი. 1903 წ.
 22. დათუნა გოცირიძე. რაჭის ერისთავი როსტომ. ტფილისი. 1903 წ.
 23. ორი მოთხრობა: „სიკვდილი“ და „სიზმარი“. ქუთაისი. 1903 წ.
 24. წმინდა ნინო (პოემა). ტფილისი. 1906 წ.
 25. მოხუცის გრძნობა (ლირიკული პოემა). ქუთაისი. 1905 წ.
 26. შამლის ყვილზე (პოემა). ტფილისი 1906 წ.
 27. საქართველოს დღევანდელი საბე (ლირიკული პოემა). ტფილისი. 1908 წ.
 28. ნაცარქექია (ზღაპარი-პოემა). ტფილისი. 1908 წ.
 29. ქუთათლის სიზმარი. ტფილისი. 1908 წ.
 30. ჩემი ნაწერები. წიგნი I. ტფილისი 1912 წ.; წიგნი II. ქუთაისი 1913 წ.
 31. აკაკის რჩეული ლექსები. ტფილისი 1915 წ.
 32. ამათ გარდა ცალკე უნდა მოხსენებულ იქნას „აკაკის თვიური კრებული“, რომელშიაც უმთავრესად აკაკის ძველი და ახალი ნაწერები იბეჭდებოდა (1897—1900 წლებში).

აკაკის ნაწარმოებთა სრული გამოცემა განზრახული ჰქონდა „საქართვე-

1. აწ განსვენებულის კირ. ლორთქიფანიძის მოწმობა (იხ. ჩვენი ხელნაწერი „აკაკის ბიბლიოგრაფია“, გვ. 7—9).



ლოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას¹ 1915-1916 წლებში, მაგრამ ომიანობისაგან გამოწვეული სიძვირისა გამო ეს საისტორიო-ეტიმოლოგიური ბიბლიოგრაფიის² შედგენით დათავდა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა მონდობილი; მაგრამ ვერც ეს „ბიბლიოგრაფია“ და ვერც აკაკის ნაწერები დაბეჭდვას ვერ ეღიარეს. ამჟამად, როგორც მოგახსენებთ, ეს საქმე დაწყებული აქვს სახელმწიფო გამომცემლობას, რომლის გეგმითაც ჯერჯერობით აკაკის მხოლოდ რჩეული ნაწერები იბეჭდება ოთხ ტომად, რომელთაგან პირველი უკვე დაბეჭდილია.

ფორმისდა მიხედვით, აკაკის 2000 ნაწარმოებიდან ნახევარზე მეტი გალექსილია, ან ლექსნარევ პროზას წარმოადგენს, და გალექსილთა შორის უდიდესი ადგილი ლირიკას უჭირავს. აკაკის პროზით წერაც ემარჯვებოდა, და მისი პროზა, როგორც მოგახსენებთ, ახალი ქართული სალიტერატურო პროზის შედევრს წარმოადგენს, მაგრამ მისი ნამდვილი სტიქია მაინც მხატვრული პროზა და პოეზია იყო. ამ მხრით საყურადღებოა, რომ მის პუბლიცისტურ და საეურნალ-გაზეთო წერილებშიაც კი მხატვრული სტილი და პოეტური ენა სჭარბობს საპროზოს, ხოლო მისი პუბლიცისტური სტატიები „ცხელ-ცხელი ამბებისა“, „ბოდვისა“ და „ნადულის“ სახელწოდებით³, ხომ ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან მცირედ განსხვავდებიან. ესევე შეიძლება ითქვას აკაკის საპოლემიკო წერილებისა, საზეიმო სიტყვებისა, ლექციებისა და სხვათა შესახებაც; რომელნიც აგრეთვე ძრავლად მოიპოვება აკაკის ნაწარმოებთა შორის.

საკუთრივ მხატვრული ნაწარმოებნი, ლიტერატურულ გვართა მიხედვით, ასეთის თანდათანობით ნაწილდებიან: როგორც აღვნიშნეთ უპირველესი ადგილი (რაოდენობით) ლირიკას უჭირავს, შემდეგ სატირა და პოემებია, მერე მოთხრომები, წვრილწვრილი ამბები, ნაკვესები და ბოლოს დრამა (ე. ი. საკუთრივ „დრამები“, სცენები და კომედიები).

ადგილი და სტატიის ფარგლები ნებას არ გვაძლევს აქ აკაკის მხატვრულ ნაწარმოებთა სრული სია წარმოვადგინოთ; ხოლო მისი რჩეული ნაწერები ჯერ კიდევ იმდენად ცნობილია მკითხველ საზოგადოებაში, რომ ხელმეტად მიგვაჩნია მათი დასახელება.

ტფილისი. 1925, I, 23.

შენიშვნა: ამ წერილის („აკაკი წერეთელი“) პირველ ორ გვერდში შემდეგი კორექტურული შეცდომებია შეპარული:

გვ. 175, ტექსტის პირველ სტრიქონში, შემდეგ სიტყვებისა: „თებერვლის 8-ს“, უნდა ჩაემატოს ფრჩხილებში: „ძვ. სტილით 26 იანვარს“; მერე სტრიქონში სიტყვა „ხოლო“ შედმეტია; მფოთხე სტრიქონში, შემდეგ სიტყვებისა: „22 ივნისს“, უნდა ჩაემატოს ფრჩხილებში: „ძვ. სტილ. 9 ივნისს“.

გვ. 176: შემოდან 2—3 სტრიქონში უნდა იყოს: „შეესიბღორცა“; მე-8 სტრიქონში უნდა: „არისტოკრატიულ“; მე-8 სტრიქონში უნდა იყოს: „განწყობილებას“; ქვემოდან პირველ სტრიქონში დაბეჭდილია: „სიკვთე შესწირა“, უნდა იყოს: „სიკვთე შესძინა“.

¹. იბეჭდებოდენ „დროებაში“ 1870 წლიდან, შემდეგ „იენერიაში“ 1886 წლიდან, „კვალში“ 1893 წლიდან და სხვაგან.

ს კ ა კ ი *).

ძველის ძველი ფეოდალური გვარი წერეთლებისა ამაყობს ამ სახელით ისე, როგორც ამით ამაყობს მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად წოდებისა, კლასისა და მიმართულებისა. იგი სიმბოლო გახდა ქართველი ხალხის „გაერთიანების“.

აკაკის გულისცემა შესწყდა მსოფლიო ომის დასაწყისში (1915 წ. თებერვალს) თითქოს მგოსნის გულმა ვერ აიტანა კაცობრიული კატასტროფა მისი ჩანგის ეღერა სულ რამდენიმე თვით ამაზე აღრე შეჩერდა. ამის შემდეგ სულ რაღაც ათმა წელმა განვლო და რას ვხედავთ?!

აკაკის პოეზიას დღეს მხოლოდ უკან ჩამორჩენილი თუ ეტანება! თითქო ახალმა თაობამ ის სულ მიივიწყა. მისი პოეზია უკვე ვალშობილია ქართველი ხალხის წინაშე, იგი დღეს მხოლოდ მნიშვნელოვან და სასახელო ისტორიულ ნაშთს წარმოადგენს ძველი კულტურისას.

ღიახ, მხოლოდ ნაშთს—, რადგან მისი ვერც იდეა და ვერც ფორმა თანამედროვე ქართველ მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს.


განა მცხეთის „დიდებული სვეტიცხოველი“ ან გელათის „გაენათი“ საქართველოში დღეს მაღალ კულტურულ გრძნობას დააკმაყოფილებს?!

უტყუარი ფაქტია: აკაკიმ ქართული პოეზიის და ენის სრულიად ახალი, ხალხური სტილი შექმნა, მაგრამ ეს განა გვაძლევს იმის საბუთს ვთქვათ: აკაკის პოეზიის სტილი ეხლაც მტკიცეა, ეხლაც მისი გავლენის ქვეშ, მისი მიბაძვით სწერენ ჩვენი პოეტებიო? სხვებზე ლაპარაკიც მეტია და გაზ. „მოწათის ხმას“ რომ გადახედოთ, დარწმუნდებით—დღეს ჩვენში ბავშვებიც კი არ სწერენ ამ სტილით, ე. ი. აკაკისებური წყობილ სიტყვაობით, ანუ აკაკისებური ლექსით.

რას ნიშნავს ეს?

იგი—ნათლად, აშკარად გვიჩვენებს: მსოფლიო ომი და მისი შედეგი, ნაყოფი—პროლეტარული რევოლიუცია—ისეთი სწრაფი ტემპით მოძრაობს, იმდენად გარდამქმნელი ძალის მქონე გამოდგა, რომ რაღაც ათი წლის განმავლობაში ყველაზე გამძლე და კონსერვატიული საზოგადოებრივი ელემენტიც კი, პოეზია ძირეულად გარდაქმნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენში სწორედ აკაკის (ძველებიდან) აუგეს ძველი რუსთაველის პროსპექტის ერთერთ შვენიერ ადგილზე (ოპერის თეატრის ბაღში) აქ დღეს აკაკის წინასწარმეტყველური

*) წერილში გამოთქმულ ზოგიერთ აზრებს რედაქცია არ იზიარებს.



სახე გამვლელთ თავისი ერის დიდებას შეაღალაღებს დაიქნესაფლით“ იმედ
 ალტყინებული პოეტი მაღალი, მგრძნობიარე ტემპით თეატრალური გასცახის:

„გამოსულა მუშათ ერი,
 ერთმანეთთან შეთანხმებით
 ძლიერი და ბედნიერი!

„არ მომკვდარა საქართველო
 აყვავდება ერთხელ კიდევ
 და გაისმის ძველებურად
 იმისი ხმა კიდით კიდევ“.

საქართველოს მეორე ძველმა ფეოდალურმა გვარმა, ქავჭავაძეების გვარ-
 მა მოგვცა—თავის დროზე არა ნაკლები სახელგანთქმული მგოსანი—ილია, მაგ-
 რამ პროლეტარულმა რევოლუციამ დღემდე იგი დავიწყებას მისცა.

რატონ?

ამის სრულიად დამაკმაყოფილებელ პასუხს მოგვცენს ჩვენ ამ ორი დიდი
 მგოსნის ორი ლექსის შედარება: „ჩონგური“ აკაკის, „პოეტი“—ილიასი: თემა
 ერთი და იგივეა: **პოეზიის დანიშნულება და მგოსნის როლი ცხოვრებაში.**
 აკაკი მთელი თავისი პოეტური აღგზნებით გვეუბნება:

„მე ჩონგური მისთვის. მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს,
 განამტკიცოს აზრი წმინდა და გულს წრფელად ახურებდეს,
 რომ **დაჩაგრულს** მის სიმღერით თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
 და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს.

გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმეს მოვეფერო
 და გამიხმეს ეს მარჯვენა თუ, სიმრუდით სიმთ ვაუღერო.
 რა გინდ ბედით ვიყო კრული, საშინელიც მექნეს ბოლო
 არ შედრკება ჩემი გული გინდა ქვითაც დავიჭოლო!“

და კიდევ აკაკისავე „პოეტი“.

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი;

ხან არც ესა ვარ, არც ისა...

გარემოების საყვირი

არც მიწისა ვარ არც ცისა.

ეს გული სარკედ ქცეული

ბუნების ნათავხედია

თქვენ რომ გგონიათ ის არ ვარ,

სხვებს რომ ჰგონიათ არც ისა.

შუაკაცი ვარ უბრალო,

ხან მიწისა ვარ, ხან ცისა!“.

ხოლო ილია კი ამავე თემაზე შემდეგს გვიცხადებს:

„ . . . მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის



ქართული
წიგნების კავშირი

მიწიერი ზეციერსა:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ.

რომ წარუძღვე წინა ერსა.“

რა ძირითადი განსხვავებაა!!

აკაკიმ უნდა თავდადებით და შტკიცედ ემსახუროს სიმართლეს, უნდა თავისი პოეტური ნიჭი გამოიყენოს გულწრფელად, შეუპოვრათ და მიუღწერებლათ ჩაგვრის მოხასპობად და მჩაგვრელთა გასანადგურებლად.

ხოლო ილიას „ციდან“ მოვლენის, თუმცა „მიწიერი ერის“ მიერ აღზრდილს სურს მუსაიფი ღმერთთან: ალბად, მანდატი უნდა მიიღოს მისგან წინამძღვრობის და „ერს წინ წაუძღვეს“ „უზენაესი“ ძალის ღვთის დირექტივების „გასატარებლად“.

აკაკი „უბრალო შუათანა კაცია“, გული მისი ცხოვრების „სარკედ ქცეულა“ და ენა მისი „გარემოების საყვირი“ გამხდარა.

ხოლო ილიას ცა („უზენაესი“) ნიშნავს:

„იგი“ ზეციერი ღმერთთან ლაპარაკობს“.

მართალია: აკაკის აბსოლიუტური „სიმართლე“ ისეთივე ფეტიშია, რაც ილიას „ღმერთი“, მართალია ისიც: აკაკისათვისაც დაჩაგრული იგივეა, რაც ილიასთვის ე. ი. ქართველი ერი და დამჩაგვრელიც ორივესთვის ერთია-უცხო გარეშე ერი. მაგრამ მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა: აკაკი თავს „უბრალო შუათანა მიწიერ“ კაცად სთვლის, ხოლო ილია კი თავს ციდან მოვლენილად ისახავს; დირექტივებს ღმერთისაგან ღებულობს და „ერს“ მბრძანებლობს, წინამძღვრობს.

ეს განსხვავება რომ ჩვენი ეპოქის, რევოლუციური სტილით გამოვთქვათ, გამოვა: აკაკი თავს კოლექტივის თანასწორუფლებიან წევრად სთვლის, იგი ერთერთი ამხანაგია და თავს ხალხის მეგობრად სახავს, ხოლო ილიას კი ამავე ხალხის (ერის) ავტორიტეტად მბრძანებელ ორგანიზატორად მოაქვს თავი.

ეხლა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ შეიყვარა აკაკი მთელმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ხოლო ილია კი არა.

ცხადია: ამის მიზეზი მართლაც ეს განსხვავება როდია.

არის სხვა მიზეზიც, სხვა განსხვავებაც.

აღვნიშნოთ და გავარკვიოთ ყველა ეს: დავინახოთ აკაკის სახე უფრო ნათლად და შევიმცნოთ, თუ რატომ შეიძლება ის ჩვენს გარდამავალ ხანაშიაც დარჩეს ქართველი ხალხის სიმბოლოდ.

ქართველი ხალხი ერთნაირად მოყვარულია როგორც შრომის, ისე იარაღით ბრძოლის. ეს არის მისი არსებითად დამახასიათებელი განმასხვავებელი თვისება და ეს თვისება შერჩება მას მანამდე, ვიდრე სოციალური პირობები ერთნაირათ საჭიროდ ხდიან, როგორც შრომას, ისე იარაღით ბრძოლას. ქართველ მშრომელ კაცს ერთნაირად უყვარს როგორც გუთანი, ისე ხმალი. სწორედ ასეთი სულის კვეთებით არის გამსჭვალული აკაკის მთელი პოეზია. მისი ლეიტმოტივი შრომასთან ერთად იარაღით ბრძოლაც არის.

აკაკის პოეზიის არსებითად დამახასიათებელია ის, რომ იგი ერთნაირი

ალფრთოვანებით, ერთნაირი გრძნობით, ერთნაირი სიმარტყვიით და ერთნაირი სიძლიერით უმღეროს, როგორც შრომას, ისე იარაღით ბრძოლას. ლექსში — „მუშებს“ — ეუბნება:

„მუშებო თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი.

.....
მიმხედარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება
რომ პირუტყვისათ არ შეენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება“.

ამავე დროს ლექსში — „ხანჯალი“ — მისი პოეტური გულის სიღრმიდან აღმოხდა შურის ძიებით სავსე სიტყვები: „მიმოციქულე მტრის გულთან, მიუძღვენ ჩემ სალამი:

ისე ვითომ საწერელა, ჩაერჭვი ვითა კალამი!
მისი წითელი მელანით შენ შენიღებე ჭალარა,
იმისი კვნესა იქნება ჩემთვის დაფი და ნალარა!“
მაგრამ ვინ არის მისი მტერი?

რა თქმა უნდა — არა გლეხის მჩაგვრელი — თავად-აზნაურობა, არა მუშის მკვლეველი — ბურჟუაზია, ამათ ის უყურადღებოდ სტოვებს, თითქო ისინი არც კი არსებობენ. მთელი მისი უაღრესად პოეტური არსება ერთიანად შეპყრობილია მხოლოდ ერთად ერთი იდეით — ეროვნული იდეით.

მისი სატრფოა ქართველი ერი, ხოლო მტერია ყველა ის, ვინც ქართველი ერის ეროვნულ ინტერესებს არ იცავს.

ეროვნული ჩაგვრა — აი თითქმის ერთად-ერთი თემა და საკითხი, რომელსაც აკაკი თავს დასტრიალებს თავის „ჩონგურით“ და ცდილობს ჩაგრულს ე. ი. ერს „თვალთ ცრემლები ეშრობოდეს“, ხოლო მჩაგვრელს, ე. ი. ქართველზე გაბატონებულ ერს და მის წარმომადგენელს „გულში ძვერით ისარივით ესობოდეს.“

ბევრი აკაკის „ქართველების პუშკინს“ უწოდებს. — ეს არაა სინამდვილესთან სწორი. პუშკინს, როგორც დიდი და ძლიერი გაბატონებული ერის შვილს არ სჭირდებოდა ეს, მას როგორღაც მხოლოდ ერთ ლექსში — „Клеветникам России“ წამოცდა ეროვნული მოტივი და ისიც შოვინისტური ელფერის. სხვაგან კი იგი სულ სხვა თემებს შეეხო. ერთი მხრით კი სტილით ძალიან ჰგავს ეს ორი პოეტი ერთი მეორეს, მაგრამ ეს ერთი ხომ არ კმარა?.., ამაზე სხვა დროს. აქ კი განვაგრძოთ ისევ ჩვენი ანალიზი.

საქართველო.

„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“.

აი რა დებულება წამოაყენა აკაკიმ მთელი თავისი პოეზიით. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის მწერლობის ლეიტმოტივი სწორეთ ეროვნუ-

ლი იდეა იყო, რაც მხოლოდ გოდებას წარმოადგენს ქართველი ერის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო.

შემცდარია მოქ. სეით დევდარიანის მტკიცება: ვინაშნა ვაქავაძე ნაციონალისტი არ იყო (ნახ. ჟურნ. „მნათობში“ № 6 გვ. 226). ქართულ პოეზიაში მხოლოდ აკაკის ზემოდ აღნიშნული დებულება ჰგმობს ეროვნულ „ერემიას გოდებას“ და ეროვნულ იდეიას მომავლის იმედის ბეჭედს ასვამს შარავანდედით ჰმოსავს და მუშათა მოძრაობას აშკარად უკავშირებს.

აკაკი სწორედ ამით განსხვავდება ყველა თავის თანამედროვე პოეტთაგან.

„ერემიას გოდებით“,

„რომ ვინუგეშო მეც მინდაო“, ამბობს ის ერთ ღიდ ლექსში — „საქ. თანამედროვე სახე,“ მარა ცოტა ჩაფიქრების შემდეგ დასძენს:

„ვამ და უი წარსულსა,

უი და ვამ აწმყოსა,

თუ მომავალმა იმედი

მაღამოდ გულს არ აცხოსა“!

ცხადია ისტორიული კლასობრივი თვალსაზრისით „ეროვნული იდეა“ ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა — ეს ბურჟუაზიული იდეაა, ბურჟუაზიულია თავისი წარმოშობის ისტორიით, ბურჟუაზიულია ამ იდეის გამტარებელთა და დამცველთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მიზნით და შედეგით იგი პროლეტარულიც არის.

ამიტომ აკაკის „ქმუნვა“ (წუხილი) იმის გამო რომ: —

„მტერი (?) იძახის: ვინ გაიგონა

ეხლანდელ დროში ეროვნებაო!..

მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“,

გულს დაიბეჭდეთ ნარქსის მცნებაო“.

ეს თუმცა დიდი შეცდომაა და უსათუძვლო ეჭვია მუშათა კლასზე აღებული, მაგრამ აკაკისავე შენიშვნა ამ ლექსში:

„და არ ფიქრობენ (პოეტი გულისხმობს „მესამე დასელებს“ რ. კ.) ერს თუ წარსულში არ აღუნიშნავს ცხოვრების კვალი

და მისი აწმყოც უვარგისია, რაზედ ააგოს მან მომავალი“? — საყურადღებო აზრს შეიცავს.

პოეტს ქართულ ცხოვრებაში „მესამე დასის“ გამოსვლის პირველ ხანებში ეგონა: „ეროვნული ქართული ციხე შეუვანებლობით შიგნიდან ტყდებოდა“, მაგრამ ის მალე მიხვდა თავის შეცდომას, ეჭვისაგან განთავისუფლდა და თავის ჩონგური „მუშათა ერის“ ხმაზე მომართა:

„ეროვნებავ ღვთის ნიჭი ხარ, —

არც საპოენი, ვერც საყიდი,

და მხოლოდ თვითარსებობა

არის შენი გზა და ხიდი.

და თუ ეს გზა და ეს ხიდი

უშიშრათ არ გაუვლია,



ეროვნული
ბიბლიოთეკა


დახმარება ამირანის (საქართველოსი. რ. კ.)

თვით გმირსაც არ შეუძლია,
მაგრამ ვხედავ: „მომავალში“
გამოსულა მუშათა ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს
სისხლითა და ოფლით რწყულსა.
გამარჯობა ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა“.

ღიახ აკაკის მისი თანამედროვე „ქართველი საზოგადოების“ გადაგვარების გზაზე დადგომით და მათი „ბალი აღობით“ მოთმინებიდან გამოსულს ერთ დროს სასოწარკვეთით წამოცდა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“, და მან თავისი თანამედროვე „მამულიშვილების“ მიერ ეროვნული აღორძინების პროგრამა და მათი მოღვაწეობა „გზისა და კვალის გამრუდებათ ე. ი. შეცდომათ აღიარა და თავის პოეტური წინასწარგრძნობით ცოცხალი წარმოდგენა შეადგინა აწინდელ გარდამავალ ხანაზე: მან საღი ოცნების თვალთ ნათლად დაინახა დღევანდელი საქართველოს ნამდვილი პროლეტარული დამოუკიდებლობა და ამ დანახვაზე მასში აღძრული აღტაცება შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„ნეტავ იმ დროს და მის მომსწრეს
ზეზეურ გრძნობს ცხოვნებასა.
არც ისურვებს („მუშათა ერი“, რ. კ.) ბატონობას
და არც ვისმეს მონებასა.
აღიარებს მხოლოდ ძმობას
თანახლოობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება,
მის უმანკო სიხარულსა.
შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს,
ამ ცუდ დროში დანაბადი
და ანდერძათ მხოლოდ რჩება
ჩემი გუდა და ნაბადი.

რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ.
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ
მომავალ ბედს? და ამ გრძნობას
სულთ მებრძოლი თან ჩავიდნობ.
არ მომკვდარა საქართველო.
აყვავდება ერთხელ კიდევ



ქართული
კომუნისტური

და გაისმის ძველებურათ
იმისი ხმა კიდითკიდე“.

რას იგრძნობდა და იტყოდა აკაკი, თუ დაინახავდა, რომ დღეს პროლეტარული რევოლუციის ხანაში ქართველი ხალხი თითქო ჰკარგავს „თვითარსებობას“, ე. ი. ინდივიდუალურ, ეროვნულ სახეს და თითქო არა თუ „ძველებურათ“, არამედ ახალქართველურადაც აღარ ისმის მისი ხმა.

მე მგონია, რომ მასაც ის მოუვიდოდა, რაც ცნობილს, ჩვენებური სოც-დემოკრატიის ბელადს, ნოე ჟორდანიას მოუვიდა, რის შესახებაც ვერ ისევ 1893 წელს, მისი საზღვარ გარეთ გამგზავრების ქამს (ბათუმის ნავთ-სადგურში) ეგნატე ნინოშვილმა იწინასწარმეტყველა: „დიდი კაცი იქნება, მარა მასში ეროვნული გრძნობა სჭარბობს და ამას იგი ვერ დათმობსო“.

ძნელი სათქმელია, თუ რა ვერ დათმო ნოე ჟორდანიამ, როცა მას დიღემა წამოუყენა პროლეტარულმა რევოლუციამ: ან დათმობა, ან საქართველოს საზღვრების სამუდამოდ დატოვება. მას დასათმობი ორი რამ ჰქონდა: მენშევიკური პარტიის და „დემოკრატიული საქართველოს“ (ბურჟუაზიული) არსებობა. ერთი კი ცხადია: მისთვის ორივე ამის დათმობა შეუძლებელი გახდა, ამიტომაც მან საზღვარ გარედ გარდახვეწა არჩია.

რაც შეეხება აკაკის ცხადია, გადაჭრით შეიძლება ითქვას: უთუოთ ისიც წყველა კრულვით შეშხვდებოდა საქართველოს გასაბჭოებას და არა—„უმანკო სიხარულით“. იგი „ზეზეულ ცხოვრების“ ნაცვლად ზეზეულად წაწყმენდას იგრძნობდა და სხვას არაფერს, რადგან საქართველოს გასაბჭოებაში ისიც სხვა ჯურის ნაციონალისტებივით ეროვნული იდეის დამარცხებას, „დამოუკიდებლობის“ დაკარგვას და სხვა ასეთებს დაინახავდა.

არც გასაკვირველია, თუ ავტორიტარულად მოაზროვნე აკაკი, რომელსაც ღმერთიც სწამს, საიქიოც და ცხონება—წაწყმენდაც, შეფარდებითი თეორიის მცოდნე არ გამოდგებოდა და ეროვნულ იდეას თავის უკიდურესობამდე მიიყვანდა და იტყოდა: თუ საქართველოში ქართველი ერი „დამოუკიდებელი“ და თავისებური, განსაკუთრებული სახის პატრონი არ იქნება, ისე ნურც სოციალიზმი და კომუნიზმი იქნებაო.

ავტორიტარულ დიდ მოაზროვნეთა შორის მხოლოდ იესო ქრისტემ შესძლო, კულტურის იმ დონემდე ამაღლება, რომ ეთქვა: „ადამიანი შაბათისათვის კი არ არსებობს, არამედ პირიქით შაბათი არსებობს ადამიანისათვისო“ ნუ გავიკვირვებდით თუ აკაკიც ვერ ამაღლდებოდა ისევე, როგორც ნოე ჟორდანიაც ვერ ამაღლდა აღნიშნულ საკითხში ქრისტეს აზროვნების და მორალის გაგების დონემდე და ვერ იტყოდა: **ადამიანი ეროვნებისათვის კი არ არსებობს, არამედ პირიქით ეროვნება არსებობს ადამიანისათვის**, ე. ი. ეროვნული განვითარება კარგია იმითომ, რომ ის ხელს უწყობს მუშათა კლასს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ე. ი. გვიახლოვებს კომუნიზმსო.

მაგრამ თავი დავანებოთ იმის გამოცნობას, თუ რა იქნებოდა ისე რომ მომხდარიყო და არა ასე, როგორც მოხდა.

მოხდა კი აკაკის სახელის შესარჩენად და ჩვენდა საბედნიეროდ: პროლეტურნალ ი„მნათობი“ № 2 (10).



ტარულმა რევოლუციამ ჩვენშიაც გაიშარჯვა, საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკა, ს. ს. ს. კ. დამყარდა და საქართველოშიაც უტყუარი ეფუძნებოდა, თავისებურება შეიქმნა, „გაეროვნების“ უტყუარი უფლებაც მოიპოვა... რომ მართლაც შეიძლებოდეს და აკაკი დღეს ამას ხედავდეს და თან ამისი გაგების ნიჟიც გაუჩნდეს, დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ, რომ იგი ნაშინ მართლაც და „ზეზეულათ“ იგრძნობდა ნამდვილ „მიწიერ ცხოვრებას“ და არა „ზეციურს მოჩვენებითს“, როგორც ის ამაზე „შაირობდა“.

მაგრამ როგორც ვიცით, აკაკი ამას ვერ „მოესწრო“ მან მხოლოდ გულში „ჩაიდნო“ ეს იმედი და ტკბილი ოცნებით ჩაესვენა საფლავში, დღეს „მომსწრენი“ და რევოლუციის მუშაკნი ვხედავთ, რომ აღსრულდა მისი სიტყვები.

„საქართველო არ მომკვდარა.

მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“.

მაგრამ, ცხადია, საქართველო დღეს გაღვიძებულია და „მკვდრეთით“ აღდგენილია,“ ნარა არა ძველი საქართველო არა თავად-ახნაურობის, არა ვაქარ-ჩარჩების საქართველო, არამედ მუშებისა და გლეხების!

რით შეუწყო ხელი აკაკიმ საქართველოს მუშებისა და გლეხების გაღვიძებას და აღდგენას?

არა ეროვნული იდეის თავის პოეზიაში გამოსახვით, არა თავის „მამული-შვილობით“, არა თავისი საკვირველი გონებამახვილობით, არც თავისი პატრიოტული მომხიბლავი ლექსებით, არამედ იმით, რასაც ჩვენ ხალხურ სტილს ვუწოდებთ: აქ, მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება ის დავადაროთ რუსის დიდებულ პოეტს,—პუშკინს. ისე როგორც პუშკინმა რუსულად ძველი წიგნობრული ენა ახალ ენად გარდაქმნა, აკაკიმაც ძველი ქართული წიგნობრული ენა ახალ სასაუბრო ხალხურ ენად გახადა. მეორე მხრით თვით ხალხური ენა სამწერლო ენად გარდაიქმნა, ხალხურ ენას, გამოთქმას ლიტერატურული ღირსება ნიანიჭა ხოლო განყვანებული მწიგნობრული ენა ხალხისათვის გასაგები გახადა. ამნაირად მან შექმნა სრულიად ახალი ქართული ლიტერატურული ენის სტილი.

მწერლის სტილი ეს თვით მწერალიაო, ამბობს ერთი კრიტიკოსი და ეს მართლაც აკაკინედ არის ზედ გამოპრილი: არ შეექმნა მას ახალი, სახალხო სტილი, მისი პოეზიიდან ჩვენ დღეს თითქმის არაფერი დაგვრჩებოდა.

რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსნის“ შემდეგ ჩვენში ყველაზე უფრო აკაკის კითხულობდნენ, მისი ზოგი ლექსი და შაირი თითქმის მთელმა მშრომელმა ხალხმა იცის ზეპირად. დღემდე ჩვენებური მუშათა კლასის მოწინავეები მის ლექსებს მღეროდნენ ჭირსა და ლხინში და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები აკაკიმ ხალხისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები გახადა. დიდი ბრძოლა გადახდა მას და დიდი შემოქმედება გამოიჩინა აკაკიმ ამ საქმეში. გრავოლ ორბელიანიდან დაწყებული ილია ჭავჭავაძემდე ამ საქმეში მას ებრძოდნენ დაუზოგველად, მაგრამ მისმა დიდმა ნიჭმა და საოცრად მოქნილმა ენამ ამ ასპარეზე ბრწყინვალედ გაიშარჯვა. ამას აშკარად და ნათლად ამოწმებს ჩვენს თანამედროვე მწერლობაში განმტკიცებული ქართული ენის სტილი, ვგრძნობდ წოდებული „იმერული კილო“.



კონსტანტან მანიე და ხელოვნების რეპოლუცია.

1.

ვისაც თანამედროვე ევროპული კულტურის ზოგადი ხასიათის გაგება სურს, მან უწინარეს ყოვლისა ტექნიკას უნდა მიჰმართოს და არა ხელოვნებას: მიტომ რომ ევროპულ საზოგადოებას ნიშანდობლივს დაღს სწორედ ტექნიკა აქდობს. დღეს ევროპაში ინჟინერი პატონობს და არა არტისტი, მანქანა და არა მოქანდაკის კვერი და საკვეთი. სხვათა შორის ამითაც აიხსნება, რომ იქ ცხოვრების მაჯისცემა ასე ჩქარი, მისი მინდინარეობა ასე აღელვებულია.

აღელვება და სიცხარე ეტყობა თანამედროვე ხელოვნებასაც. პოეტებისა თუ მხატვრების ნაწარმოებშიც, უმეტეს ნაწილად, ისევე უღაზათო, ნაჩქარევად შეკოწიწებული და მდარე ხარისხოვანია, როგორც ქარხანაში დამზადებული საქონელი, მას აკლია ის ფარული სიდიადე და ის მონუმენტალობა, რომელიც თითქო დროების მიმდინარეობის გარეშე აყენებს ეგვიპტურ სფინქსს, ბერძნულ ტორსს ან გოტიურ ტაძარს.

მაგრამ თანამედროვე ევროპაშიც მოიპოვებიან ოცნებისა და ეთიური მოქმედების ადამიანები. ასეთია სხვათა შორის ბელგიელი სკულპტორი კონსტანტენ მენიე.

მენიეს ხშირად ასახელებენ როდენტთან ერთად. ეს იმით აიხსნება, რომ თანამედროვე პლასტიური ხელოვნების წინაშე ამ დიდი ფრანგის შემდეგ თითქმის არავის მიუძღვის ისეთი ღვაწლი, როგორიც მის ბელგიელ მეგობარს. მაგრამ მათ შორის მაინც მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება.

როდენი უნივერსალური ნიჭის ადამიანია. მისთვის უცხო არ არის სინამდვილის არც ერთი დარგი, ადამიანობის არც ერთი დიდი პრობლემა. მას ძლიერი ტემპერამენტი აქვს; მას აქვს აგრეთვე ის გულუბრყვილობა, რომელიც საჭიროა, რომ მხატვარმა თავისებურად დაინახოს და გამოჰხატოს ის, რაც სხვებს მასზე ადრე მრავალჯერ დაუნახავთ და გამოუხატავთ. ამას გარდა მას აქვს არაჩვეულებრივი ფორმალური ნიჭი, რომლის შემწეობით ის ჰქმნის ფორმათა ახალ ენას.

მენიე უფრო შეხლულულია. ის ნაკლებ აღელვებულია ვიდრე როდენი, უფრო წყნარი და უბრალო; ამასთან ერთად მისი შემოქმედება უფრო ეპიური



და მონუმენტალურია. მას აქვს დაკვირვების ნიჭი, ტექნიკური და ძლიერი ეთიური გრძნობა, მაგრამ ტემპერამენტის სიცხოველუ და პოროზონტის სიფართოვე აკლია. მისთვის თითქო სრულიად არ არსებობს მრავალი ღრმა ადამიანური პრობლემა, მაგალითად სქესობრივი. მაგრამ სამაგიეროდ მენიემ სკულპტურას აღმოუჩინა და დაუპყრო ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც თუმცა ლიტერატურასა და მხატვრობაში უკვე ისახებოდა, მაგრამ თითქო უცნობი იყო მარმარილოსა და ბრინჯაოს ხელოვნებისთვის.



მენიე.

მადაროდან აქოსვლა.

ეს არის მუშათა კლასი.

მეცხრამეტე საუკუნეში სოციალისტური და ფილანტროპიული იდეების გავლენის ქვეშ პირველად დიდმა ფრანგმა მხატვრებმა მიაქციეს ყურადღება მშრომელ ხალხს. დომიემ და კურბემ დაჭაბეს მძაფრი რეალიზმით გამსჭვალული სურათები ქალაქის და სოფლის პროლეტარიატისა, მილლემ გლუხკაცობის ეპოპეია შექმნა. შემდეგ ზოლამ „ეერმინალში“ პროლეტარული ცხოვრე-



ბის უნეგეშო მდგომარეობა დაგვანახვა. მენიეზე განსაკუთრებული გავლენა მილ-
ლემ მოახდინა.

მილლე ერთი უდიდესი რეალისტია. მან აღმოაჩინა მხატვრობის ახალი
ტემა — გლახაკობა და ახალი მხატვრული ფორმაც შექმნა ამ ტემისთვის. ის
უარპყოფს დეტალებს: გლახების სილუეტები უბრალო პეიზაჟზე ამოჭრილია.
სინამდვილე განთავისუფლებულია სიტლანქისა და ზედმეტი ტვირთისაგან და
ატანილია იმ სფეროში, სადაც ადამიანი ივიწყებს წვრილმან ტანჯვას და
წვრილმან სიამოვნებას.

* * *

პაწია ბელგია უდიდესი მწარმოებელი ქვეყანაა ევროპაში. აქ დიდათ
განვითარებულია როგორც მეურნეობა და საქონლის მოშენება, ისე მრეწვე-
ლობა და ალემ მიცემობა. ანტვერპენი ერთი უდიდესი ნავთსადგურია ევროპის
კონტინენტზე, ლიეჟი, მონსი, ნამიური უდიდესი სამრეწველო ცენტრებია.
ფლამანდიულ პროვინციებს მსუქანი შავი ნიადაგი აქვთ, ვალონური პროვინ-
ციები ქვანახშირით და მადანით არიან მდიდარნი. ამასთან ერთად კლასთა-
წინააღმდეგობა და სოციალური ბრძოლა უდიდესათ გამწვავებულია: სამხრეთ-
აღმოსავლეთ ნაწილში სქარბობს პლუტოკრატია, პროლეტარიატი და ლიბერა-
ლურ სოციალისტური იდეები. ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი კი გლახაკობას,
წვრილს ბურჟუაზიას და კლერიკალიზმს ეკუთვნის. ეს არის ქვეყანა კაპიტა-
ლისტებისა, მუშებისა და შავანაფორიანი ბერებისა.

ინდუსტრიულ და პროლეტარულ ბელგიას მენიე დიდხანს ვერ იცნობდა
ხეირიანად. თავისი ახალგაზრდობა მან ბრიუსელში გაატარა. ბრიუსელი კი
მაშინ უფრო ინტელიგენციის ქალაქი იყო, ვიდრე მრეწველობისა და ალემ-
მიცემობის. მხოლოდ მეოთხმოცე წლებში გაეცნო ის ლიეჟის მიდამოებს, განსა-
კუთრებით სერენს და მის დიდ შუშის ქარხანას. შემდეგ ბელგიელ მწერალ
კამილ ლემონიესთან ერთად ინახულა ქვანახშირის სამეფო, ეგრედ წოდებული
ბორინაჟი.

ბორინაჟმა მენიეზე ღრმა, წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. უჩარ-
მახარმა თვალუწვდენელმა არემარემ, გაძარცულმა ყოველი ნიკენარისა და
მწვანეულობისაგან, ღრმად დასერილმა და გადაბრუნებულმა ნიადაგმა, შეზვი-
ნულმა ქვანახშირმა, მქვარტლიანმა პაერმა და ბურუსიანმა ცამ მას უშუალოდ
აგრძნობინა სოციალური შრომის ელემენტარული ძალა. მან დაინახა თანამედ-
როვე მუშა არა როგორც განცალკევებული პიროვნება, არა როგორც საცოდავი-
მშიერ მწყურვალე და ქლექიანი ადამიანი, არამედ როგორც ძლიერი, უპიროვ-
ნო კოლექტიური ერთეული. როგორც დედამიწის ზედაპირს სცვლის და და-
ფარულ განძს მზის სინათლეზე აფენს.

მენიეს შემოქმედების უკეთ შესაგნებლად საჭიროა რომ ის სხვა ეპოქისა
ან სხვა ხასიათის ხელოვნებას დაეუპირდაპიროთ. მისი მსგავსება კლასიკურ ბერ-
ძულ ხელოვნებასთან იმაში მდგომარეობს, რომ ის ამ უკანასკნელივით ცხოვ-
რების პრინციპს ადასტურებს და სხეულის სისაღესა და სისოულეს უდიდეს
ღრმებულებათ სცნობს.



მაგრამ კლასიკური ხელოვნება ღრმად არისტოკრატიული ელემენტების პროდენი სამართლიანად ამბობს, რომ მშვენიერება, როგორც ისტორიკოსმა [ქუჩინცმა] შესმოდათ განათლებული გონების ოცნება იყო და განათლებული საზოგადოებისთვის იყო დანიშნული; მას სძაგდა ლატაკნი სულით; მას არავეითარი სიბრაღული არ ჰქონდა დაქანცულითა და მაშვრალთადმი და არ სცნობდა რომ ყოველ გულში „ხეციური“ ძალა მეუფებს. ის ტირანიულად მოეპყრო ყველას ვისაც არ შესწევდა მაღალი აზროვნების ნიჭი, მან არისტოტელს მონობის აპოლოგია შთააგონა. ის მხოლოდ ფორმათა მშვენიერებას აღიარებდა და არ სცნობდა, რომ ულამაზო ადამიანის გამომეტყველებაც შეიძლება ამაღლებული იყოს; ის მშობლებს აიძულებდა მახინჯი ბავშვები ხრამში გადაეყარათ (შეად. ოგიუსტ როდენი, ხელოვნება, პარიზი, 1911 წ. 279 გ.).



ბენიე.

მკა.

ამის წინააღმდეგ თანამედროვე ხელოვნება საზოგადოთ და ბენიეს სკულპტურა კერძოდ დემოკრატიულია არა მარტო ამ სიტყვის სოციალური, არამედ მისი ზოგადი ფილოსოფიური მნიშვნელობით. ის ცნობს „ლატაკთა საუნჯეს“; ის ეძებს პოეზიას წვრილმან და ყოველდღიურ მოვლენებში, ის აღიარებს მაშვრალთა გმირობას და შრომის მშვენიერებას.

ამ გარემოებასთან კიდევ მეორე განსხვავებაა დაკავშირებული. ვარჯიშობის შემწეობით ბერძნის სხეული ყოველმხრივ ჰარმონიულადაა განვითარებული. ჯანსაღი სხეული აბსოლუტური თვითღირებულებაა და არა საშვალება

ლიონებულებათა შესაქმნელად. შრომისთვის მონები და ბარბაროსები ელლინის სხეული ომისა და გინნასტიკისთვის არის გაჩენილი. ამიტომ ყოველ ნაკვირი, ყოველი ასო ერთნაირად უნდა განვითარდეს. ასეთი სხეული ძალთა შეწონილობისა, წყნარი მშვენიერებისა და თვითკმაყოფილების გრძნობას იწვევს და თავის გარშემო ერთნაირს გადუვალ დისტანციას ჰქმნის; მისი ენერჯია არ გადადის გარეშე ობიექტში, როგორც ეს მუშაობის დროს ხდება: ის უფრო პოტენციურია, ვიდრე დინამიური.

ეს აღარ შეიძლება ითქვას რენესანის ქანდაკებაზე, მაგალითად ლონატელოს „დავითსა“, ვეროკკიოს „კოლლეონესა“ ან მიქელანჯელოს „მონების“ შესახებ. ცხოვრების ენერჯია აქ უდიდეს კონცენტრაციას აღწევს და მძაფრ მოუსვენრობას ჰქმნის. ეს ენერჯია არ ვარგა მეტოდიური ყოველდღიური შრომისთვის: ის დიდი მომენტებისთვის არსებობს. თუ ბერძნებისთვის ძალღონე ბედნიერების წყაროა, აქ ის უფრო საშინელ ბედისწერას ჰგავს.

თანამედროვე სკულპტორის, მაგალითად როდენის, ჯვა და ბრინჯაო მოკლებულია ამ ველურ ენერჯიას, მაგრამ მას არ აქვს არც ის კლასიკური ძალთა შეწონილობაც. მისი ძალა უფრო ფსახიური ხასიათისაა, ფსიხიური ძალა კი უფრო სხეულის ზოგიერთ ნაწილში განმოსქვივის. ეს გარემოება თანამედროვე პლასტიკაში სპობს მარტივს ჰარმონიას და დისონანსებთან ერთად მრავალმხრივობასა და სიმდიდრეს ჰქმნის.

ამას გარდა როდენი დიდი ინდივიდუალისტია: მას ყველაზე მეტად სუბიექტური განცდა და განუმეორებელი მოვლენა აინტერესებს: ამიტომ ის ზოგიერთ ნაკვთს აქარბებს, ზოგიერთს კი ჩრდილში სტოვებს; ამასთანვე ის თავის ფიგურებს აცალკევებს გარეშე პირობების ურთიერთობისაგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამიტომ ისინი საშინლად განმარტოებულნი არიან სივრცეში, თითქო სულ სხვა მსოფლიოს წესწყობილებას ეკუთვნოდნენ. მათი მოძრაობა კი უმეტეს ნაწილად სრულიად უმიზნოა სოციალური შემოქმედების თვალთსაზრისით.

მენიე როდენის დიდი დამფასებელია. მან ბევრი ისწავლა საბერძნეთის და ალორძინების დროის ქანდაკებისგანაც. მაგრამ მისი შემოქმედება მაინც არსებითად განსხვავდება უკანასკნელთაგან.

მენიეს სწამს რომ ხელოვანი თავისი ეპოქის შვილი უნდა იყოს: მან მისი ძირითადი ინსტინქტები და ტენდენციები უნდა გამოჰხატოს. თანამედროვე ეპოქას კი ორი ძლიერი ტენდენცია ეტყობა: ერთი მხრით საზოგადოებრივი დიფერენციაციის ზოდა და ინდივიდუალისტური ფსიხიკის განვითარება (აქედან გამომდინარეობს მარტოობა და ობლობა თანამედროვე ადამიანისა), მეორე მხრივ, პირიქით სოციალური კოლექტივის და სოციალური ფსიხიკის შექმნა. პირველი ტენდენცია როდენმა გამოჰხატა, მეორე მენიემ.

შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ მენიეს შემოქმედება, პირველი შეხედვით, ცოტა არ იყოს მონოტონურს შთაბეჭდილებას ახდენს. მას ხშირად უსაყვედურებენ კიდევ, რომ სხვადასხვაობა აკლია, რომ ერთსა და იმავე ფიგურებს ხშირად იმეორებს. ეს საყვედური არ არის სამართლიანი. მენიეს



არ სურვებია ინდივიდუალური მრავალმხრივობის გადმოცემა, მხოლოდ ერთი პროლეტარული კოლექტივის გამოკვეთა დაბნელებულ მხარე-სებრით მიაღწია.



მენიე.

მთეხველი.

მისი მუშა ძლიერი ადამიანია, როგორც ბერძენი გმირი, რომელი გლადიატორი ან იტალიელი კონდოტიერი. მაგრამ მისი ენერჯია უფრო გაშლილი და ნომქმედია, ვიდრე პოტენციური. ის თითქმის ყოველთვის ეხება რაიმე გარეშე ობიექტს. მისი სხეული ლამაზი არ არის ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით: მას აკლია ის ყოველმხრივი სისრულე და ჰარმონია, რომელსაც ტანს გიმნასტიური ვარჯიშობა და წმინდა ჰაერზე ყოფნა აძლევს. მაგრამ მენიეს მუშა არც ნახინჯია საშუალო საუკუნეების წმინდანივით. რადგან ის წარმოებაში სპეციალურ ფუნქციას ასრულებს, მისი სხეული უსწორმასწოროდ



არის განვითარებული: ხელები ხშირად დაგრძელებულია, ქვედაკიდურების მუშებთან შედარებით. ზურგის კუნთები გადაქარბებულია და ქედის ქვედა ნაწილში მხარბილი. მას აკლია ოენესანსის ადამიანების ვეფხისებური ელევანტობა, მისი ნაბიჯი ნძიძეა, მისი მოძრაობა მოუხეშავი, მაგრამ მასში სჩანს უდრეკი და მიზანშეგნებული ძლიერება, რომელმაც ძველი ქვეყნის სახე უნდა შეცვალოს.

* * *

მენიეს ბრინჯაოს და ქვის ზოდებს შორის „მალაროდან ამოსელა“ ერთს საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ხელსაწყოიანი მუშები მზის სინათლეზე ამოდიან. მეთაურს ხელში სანათური უჭირავს. ეს ბნელ კაპიტალისტურ ჯურღმულიდან გამოსული ადამიანი ხარბად მიისწრაფვის მზის სხივებისაკენ.

ასეთივე დამთავრებული ქანდაკებაა „მუშა წყლის სმის დროს“ დაქანცულს ადამიანს პირზე სურა მიუყუდებია. ის კი არ სვამს, თითქო სწოვს დედის მკერდს. ის თითქოს მთელი სხეულით სვამს და არა მარტო პირით. კარგად სთქვა როდენმა, რომ ადამიანის სხეულზე არ არის არც ერთი ადგილი, რომელიც მუნჯი იყოს ფსიხოლოგიურად.

მენიეს უმთავრესი მხატვრული ანდერძი „შრომის ძეგლია“. ოცი წელიწადი იმუშავა, მექანდაკემ ამ ძეგლზე, მაგრამ სიცოცხლეში მაინც ვერ ეღირსა მის დამთავრებას. ის ოთხი დიდი რელიეფისა და ექვსი თავისუფალი ფიგურისგან შესდგება.

პირველი რელიეფი, „მკა“, მეურნეობას წარმოადგენს. გაშლილი ჰაერი, მზე და ზაფხულის სიცხე შეუდარებლად არის გადმოცემული. ახალგაზრდა მამაკაცები თითქმის კლასიკურად ლამაზები არიან. გრაციით აღსავსე დედაკაცს და პირუტყვის თავს იდილიური ელემენტი შეაქვს ამ ქვის ზოდში. მთელი ჯგუფი არაჩვეულებრივად ნათელ და მხიარულ ფონზეა ამოკრილი. „მრეწველობას“, პირიქით, თითქო ცეცხლისა და კვანლის ფონი უძევს სარჩულად. მთელი ჯგუფის ენერჯია ერთი ბთავარი წერტილისკენ არის მიმართული, თითქო ეს რამდენიმე, განცალკევებული ადამიანი კი არა, ერთი მრავალთავიანი არსებია იყოს.

ეს კოლექტივის გრძნობა კარგად არის დაცული მესამე რელიეფზედაც, რომელსაც „ნავთსადგური“ ჰქვია და აღებმიცემობას წარმოადგენს. მაგრამ საწუხაროდ ეს არ შეიძლება ითქვას უკანასკნელ ჯგუფზე, რომელიც „მალაროს“ ჰხატავს: მუშების მოძრაობას აქ აკლია ენერჯია და მკერმეუცველობა, თითქო მენიეს მოხუცებულობა და სიუძღურე მათაც გადასცემოდეს. მოწინავე მუშა წერაქვით მისდევს ლითონის ძარღვს. უკანასკნელი კი მელანქოლიურად დაჰყურებს ნიადაგს.

ამ რელიეფების სტილი კემმარიტად მონუმენტალურია. ისინი დიდი ქალაქის მოედანს უფრო შეეფერებიან, ვიდრე ნუხეუშის ზალას. მენიესაც განზრახული ჰქონდა ბრიუსელის ცენტრი შეემკო ამ იფგლით. ეს უნდა ყოფილიყო დიდი პირამიდული შენობა. პირამიდის საფეხურზე უნდა მოთავსებული-



ყო „დედა“ ორი პაწია ბავშვით, ხოლო თავზე ამართლებულია მთელი
სველი“, როგორც სიმბოლო შრომის ნაყოფიერებისა. გიგლიძის
ბრიუსელი—ბერნი. 1913 წ.

II

კონსტანტინე ჰენიე გარდაიცვალა ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ. ის
არ იყო პროლეტარული კულტურის წარმომადგენელი ამ სიტყვის დღევანდელი
გაგებით. მისთვის პროლეტარიატი მხოლოდ საინტერესო ტემა იყო, რო-



პანათინური დღესასწაულებრივი პროცესია (პართენონის რელიეფი).

გორც მაგალითად დომიესა. ზოლასა ან ჰაუბტმანისთვის, ამ ტემის დამუშავებას
არც ახალი მსოფლმხედველობა ედვა საფუძვლად, არც ახალი გარეგანობა, რო-
გორც წარმოშობით, ისე მსოფლმხედველობით ჰენიე ბურჟუაზიის ეკუთვნოდა.
მისი ქვა და ბრინჯაო არსებითად არაფერს შეიცავდა რევოლუციურს.



რა ჰქმნის რევოლუციას ხელოვნებაში? რასაკვირველია, არაა ტყუილი. ერთ-სა და იმავე ტემას ამუშავებდნენ გოტიური ფრესკებისა და მხატვრული ოსტატები ერთის მხრივ და რენესანსის დროის მხატვრები მეორე მხრივ; ჯიოტოც იმავე ნაღონებსა და წმიდანებს ჰხატავდა, რომელსაც ორიოდე საუკუნის შემდეგ რათაელი და მიქელანჯელო ჰხატავდნენ. მაგრამ ჯიოტოს ფრესკები ღრმა ქრისტიანული მისტიციზმით იყო გამსჭვალული და წმ. ფრანცისკის და დანტეს მსოფლმხედველობის ხიდაგზე იდგა, რათაელი და რენესანსის დროის ოსტატები კი ხშირად თავიანთ საყვარლებს ჰხატავდნენ ნაღონების პოზაში და მათი შემოქმედება ანტიური წარმართული სულის აღორძინება იყო.

ყველა გრძნობს რომ თანამედროვე ევროპიული ხელოვნება რაღაც გამოუსვლელ ჩიხში მოექცა, რომ ნან ამოსწურა იდეური და ფორმალური შესაძლებლობანი, რომ რევოლუციური გზების ძიებაა საჭირო. მაგრამ ხელოვნების რევოლუციური განახლება არ შეიძლება მარტო ტემის შეცვლის ნიდაგზე მოხდეს, მას საფუძვლად ახალი ადამიანის მსოფლმხედველობა და გარეგრძნობა უნდა დაედოს. ამ ახალს ადამიანს კი ჯერ ევროპაში არ გაუმარჯვია. ამით აიხსნება ბევრი ფსევდო რევოლუციური მიმართულების უნაყოფობა თანამედროვე ევროპულ ხელოვნებაში. ვანგოგი შევნიშნულად პრიმიტივს დაუბრუნდა, გოგენი ტაიტის კუნძულებზე დასახლდა ოკეანიაში, მარინეტტი მანქანებში ეძებდა შთაგონებას, ზოგიერთ ფრანგ რომანისტსა და გერმანელ ექსპრესიონისტს მხატვარს ჰგონია, რომ მისი სული გაახალგაზრდავდება თუ აფრიკელი შავკანიანის ავგაროზს შეეხება. ყველა ეს ადამიანები მაძიებელნი არიან, არც ერთი მათგანი არ არის რევოლუციონერი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

შეიძლება ხელოვნებაში არასოდეს არ მომხდარა ისეთი ღრმა გარდატეხა, როგორც ძველი რომის იმპერიის ფარგლებში ქრისტიანობამ მოახდინა. მიტომ რომ საშუალო საუკუნეებში შეიცვალა ადამიანის მსოფლმხედველობა და გარეგრძნობა და სანამ ახალი ესთეტიური ღირებულებები შეიქმნებოდა, ახალი სორალი, მგრძნობიარობა და ახროვნობა შეიქმნა. ამიტომ გოტიურ ხელოვნებას კლასიკური ელლინური და რომაული ხელოვნებისაგან ღრმა უფსკრული ჰყოფს.

აიღეთ კლასიკური ხელოვნების რომელიმე ნიმუში, მაგალითად პართენონის ან პერგამონის ბარელიეფები და შეადარეთ რომელიმე ტიპიურ ქრისტიანულ მხატვრობას, მაგალითად ანდრეა ორკანიას „სიკვდილის ტრიუმფს“ ქალაქ პიზის კამპოსანტოში (სასაფლაოზე). იქ ნათელი მარმარილოს ტაძრის ფრონტონსა და სამურხულოს (ფრიზს) გარს უვლიან ბედნიერი თაობის წარმომადგენლები, მშვენიერი ქალ-ვაჟნი, რომელთაც შეწირული მოხვრები მიჰყავთ სამსხვერპლოზე ან მხრებზე ღვინით, ხილით და სურნელებით სავსე ღარნაკებს ატარებენ. თვით მათი ტანჯვა მსუბუქია, როგორც მაგალითად მეტროპოლ ამორძალებისა და გიგანტების ჯგუფში.

რა კონტრასტს წარმოადგენს ამ კლასიკურ პლასტიკასთან შედარებით პიზის კამპოსანტოს გალერეის კედელზე დახატული „სიკვდილის ტრიუმფი“! ბრწყინვალე რაინდებისა და მანდილოსნების კავალკადა სანადიროდ გამგზავრებულა. მათ ახლავან ბაზიერები დაგეშილ მიმინოვებითა და მეძებრებითურთ. ეს საზოგადოება მოულოდნელ სანახაობას შეუჩერებია, მიწაზე სამი ახდილი კუბოა. სამი შეფის გვამი ნახევრად გაბოწნილა კიდეც და გველებისა და მატლების დავლა გამხდარა. სხვა და სხვა გრძნობას იწვევს ეს სანახაობა ამ გასართობად გამოსულ არისტოკრატიულ საზოგადოებაში: ერთს მანდილოსანს თავი დაუხრია სევდიანად, ერთს რაინდს ცავირზე ხელი წაუჭერია, სხვები ერთმანეთს ესაუბრებიან ან გან'ხე იტყვიებიან. ცოტა ხემოდ განდევილი ბერები მოსჩანან, ერთს ხელში გრძელი ეტრათი უჭირავს, ერთი წიგნს ჰკითხულობს, ერთიც

შველს სწველის. მარჯნივ მთელი საშუალო საუკუნოებრივი ფანტასმაგორიაა გამონატული ქიმერებითა და საიქიო ცხოვრების სურათებზე.

ევროპიული კაცობრიობა რომ პარტენონის ნათელ ხილვადან კამპოსანტოს ბნელ ხილვამდე მისულიყო დიდი გარდატეხა იყო საჭირო და ეს გარდატეხა



ანდრეა ორკანია.

სიკვდილის ტრიუმფი (პიზის კამპოსანტო)

მოხდა ქრისტიანობისა და ხალხთა გადასახლების შემწეობით. ველურმა გერმანელმა ტომებმა ჩრდილოეთის ნისლიან ტყეებიდან ახალი მგრძნობიარობა და ეთიური შემეცნება მოიტანეს და მიბრწყნილი კლასიკური საზოგადოების ძარღვებში ჯანსაღი სისხლი ჩაასხეს. სხეულის განახლება ისე რადიკალურად მოხდა, რომ შენდევ, რენესანსის ეპოქაში, კულტურის გადახალისება ბურჟუაზიამ მოახდინა გარეშე ძალების დაუხმარებლად. მაგრამ ეს რევოლუცია ისე საფუძვლიანი არ ყოფილა, როგორც პირველი იყო და ანდრეა ორკანიას ან დანტეს რაფაელისაგან ნაკლებ ღრმა უფსკრული ჰყოფს, ვიდრე ფიდიასისაგან.

დღეს ევროპის ხელოვნებას ხელახლა სჭირდება გადახალისება. მრავალი მხატვრული ფაქტი, სხვათა შორის კონსტანტინე მენიეს პლასტიკაც, რევოლუციური ხელოვნების ძიების და წინათგრძნობის მომასწავებელი. ამაშია ამ ბელგიელი მოქანდაკის მნიშვნელობა ჩვენი ეპოქისთვის.

ტფილისი, 1925 წ.



1924 წელი ქართულ ლიტერატურაში.

(დასასრული)

პ რ ო ზ ა

1924 წელი ქართული პროზისათვის უეჭველად მიღწევებით და გამარჯვებით აღინიშნა.

დიდი ხანია პროზა ჩვენში დაჩრდილული იყო ლექსის პრიორიტეტული მდგომარეობის წინაშე. შეიძლება ეს გარემოება ტუბერკულოზის ბაცილებზე მეტად სტანჯავდა „მთვარეულები“-ს ნაადრევად დაღუპულ ავტორს სანდრო ცირეკიძეს, რომელიც თითქოს ლექსზე შურისძიებისათვის პოეზიის გათავების მისი სათაურამდე ან ფრაზამდე დასვლის და ფრაზისა და პოეზიის სინთეტიური შეხვედრის თეორიებს არკვევდა.

თუ პროზის ასეთ ჩამორჩენილობას ჰქონდა თავისი ისტორიული ახსნა, ჩვენმა რევოლუციონერმა თანამედროვეობამ დააყენა პროზის რესტავრაცია. ასეა თანამედროვე დასავლეთში. პროზის სეზონი სდგას რუსეთის ლიტერატურაში და ასეთივეა მდგომარეობა ჩვენშიც.

გასულ წელს ქართული პროზა გაიმართა, როგორც პოეზიასთან თანაბარი ქმედითი ფორმა და ამით ნათელი გახდა ნათელი უსაფუძვლო იმ მოსახრებებში, რომლითაც ქართული კრიტიკა ჩვენში პროზის პერსპექტივებს უიმედოთ უცტერდა. ჩვენი სამიმობილო წლის განმავლობაში ქართულ ბელეტრისტიკას მოველინა ნათელი რიგი სრულიად ახალი სახელების. ჩვენ გვინდა ამ წერილს ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მათზე შეჩერდეს, როგორც გასული წლის მიღწევასა და დამსახურებაზე. გასულ წელს იბეჭდებოდნენ ჩვენს ბელეტრისტიკაში უკვე დიდი ხნით დამკვიდრებული მწერლებიც, რასაკვირველია შეუძლებელია მათი გვერდის ავლა, მაგრამ მათი მოქცევა შესაძლებელია სწრაფ და გაკვრითი ექსკურსში, რადგან მათთვის გასულ წელი ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი იყო მათს, ჩვენთვის უკვე დიდი ხნით ცნობილ, სალიტერატურო გზებზე.

დავით კლდიაშვილი გასულ წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონი“-ს პირველ ნუმერში. ესკიზი „კიმოთე მეშველიძე“ კიდევ ერთი ნიმუშია მისი

რეალისტური შემოქმედების. აქაც იმერეთი. ჩვეული ჰუმანური სრატეგიაში. მაგრამ კინოთვ მეშველიძე უკანასკნელი წლების ჩამორჩენილ ქვეყნებში ტიპია, რომელიც ვერ ერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების თავბრუს დაძვევ ცვალებადობის ფაქტებში. მისი კონსერვატიული აზროვნება აღშფოთებულა ამ გაუგებრობით და გულუბრივედლოთ გაიძახის.

„ვართ, მარა რაღა ვართ! სულ დავიბენით ჩემო ბატონო! აღარაფერი გვესმის, რა ხდება ამ ქვეყნიერებაზედ“.

ნიკო ლორთქიფანიძის პირველ ტომშივე, რომელიც გასულ წელს გამოვიდა, წარმოდგენილია მისი ადრინდელი შემოქმედება. წიგნის პირველ ორ ნაწილში („პანაშვიდი“ და „უიალქნოდ“) დაყენებულია კოსმიური უიმედობა „დანგრეული ბუდეები“ ქართული ფეოდალური საზოგადოებრიობის დანგრევის ისტორიის ერთი ფრაგმენტი.

„იმერი“-ში განსახებაა იმერეთის, თავისი მრავალფეროვნებით. აქ ლორთქიფანიძე ნამდვილი იმპრესიონისტია. ეურნალ „კავკასიონ“-ის ნუმრებში დაიბეჭდა ორი ციკლი „ხელოვანთა კავახანა“-დან. შედარებით კარგია მეორე ციკლი — „რაინდები“.

შალვა დადიანის „უბედური რუსი“, რომელიც ეურნალ „კავკასიონში“ იბეჭდებოდა ისტორიული რომანია. აქ აღებულია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოესი მომენტი, ვგრედ წოდებული თამარის მეფობის, რომელიც საკმაოდაა შესწავლილი და შესრულებულიც. ამ რომანში გაცოცხლებულია იმ დროინდელი საქართველო თავისი მთელი ტრადიციებით. აღებულია მხოლოდ სასახლე და მაღალი არისტოკრატია. ამიტომ მთლიანი წარმოდგენა საზოგადოებრივ ყოფაზე არ იქმნება. სტილი შეფთვარდება ტემას. ავტორს ეხერხება აღწერილობა.

ლეო ქიაჩელის ნაწერების პირველ წიგნში თავმოყრილია ესკიზები, ნოველები და პატარა მოთხრობები, „ჯადოსანი“ „წუთისოფელი“ „ცოდვიშვილები“, მარტო სათაურები ცხადჰყოფენ, რომ ავტორის თვალთხედვა არ ჩერდება ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარებასა და ნორმალურ ადამიანებზე. „Isclade“ არის ერთი შტრიხი დიდი კაფეების ცხოვრებიდან. ევონებ ჩემზე ადრე აღნიშნა ვილაც ბიბლიოგრაფმა, რომ „ტარიელ გოლუა“-ს შენდევ ეს წიგნი არ ქმნის სასურველ შთაბეჭდილებას.

თანამედროვე პროზის სეზონი გასულ წელს გახსნა **დემნა შენგელაიამ** ეურნალ „მნათობი“-დან, რომანით: „სანავარდო“.

დემნა შენგელაია ჩვენს ბელეტრისტიკაში იგრძნობოდა უფრო ადრეც თავის მინიატურებით, ნოველებით და პატარა მოთხრობებით, მაგრამ უკანასკნელმა წელმა მთელი მისი წარსული სამზადისის რკალში მოაქცია და ხსენებული რომანით ავტორი ახდენს გაბედულ ცდას.

„სანავარდო“ პირველი უსიუყვეტო რომანია ჩვენს ლიტერატურაში. მასში არ არის მთლიანი ფაბულა. რომანში მოცემულია „Mal'aria“-ს სამთავრო-თლიში მთელი თავისი:



„ბაყაყებით, გველებით, ყინჩებით, ხაწმით, უემურით, აკოლილით, საწერელით; შეშლილობით, სიკვდილით, ცხელებით, მავლაჯუნით, ავი თვალით, უშვილობით, თუთაწით, შაკიკით, ნეკრესის ქარით, ფილენჯის ქარით, ბატონებით, საყმაწვილოთი, შენახედოშით“.

ესაა ფონი, რომელზედაც ვითარდება „სანავარდო“, ტემა თითქმის ხელუხლებელი ჩვენს ლიტერატურაში, და შესრულების მხრივაც ავტორი სრულდამოუკიდებლობაშია.

ყოველი პერსონა რომანის, ყოველი წერიტი და საერთოდ რომანის მთელი კომპოზიცია დახაშმულობის და მოშხამულობის განცდას ემნის. ავტორს ეხერხება შემოქმედების ობიექტთან დაახლოვება. აქედან გამომდინარეობს ფაქტი ყოველ დეტალის და წვრილმანის დაუვიწყებლობის. ეს გარემოება ქმნის ქარბინატურალიზმის ილლიუზიას. ლაპარაკობენ „სანავარდო“-ში სტილის ორმაგობაზე, ან მრავალშაგობაზე. ჩემის აზრით ეს გაუგებრობაა. „წმ. გომბეშო“ „დაღლილი სისხლი“, „უემურთ უემური“ „ქინკები“ „ბაყაყები“ და სხ. რაიმე დეკადენტური სახეები და ფანტასტიური სილუეტები კი არაა, არამედ მხატვრული ხერხი, ალლეგორიული მეთოდი მეტი გამომსახველობითი ინტესივობისათვის ნახმარი. რეალიზმი არასოდეს არ ყოფილა გაგებული ისე ვულგარულად, რომ ავტორი მოკლებული იყოს ობიექტის თავისებურ გარდასახეობის უფლებას.

„სანავარდო“-ში მოცემულია სამეგრელოს ეტნოგრაფია და ფოლკლორი.

შენგელაიას ეხერხება დაპყრობა სიტყვის და მისი მიზნობრივი უტილიზაცია.

„სანავარდო“-ს ავტორი თავისი ამ პირველი ცდით იძლევა რწმენას, რომ მასში უნდა ველოდეთ სავსებით თანამედროვე და ნემარცხენე რომანისტს. ასეთ შთაბეჭდილებაში გვტოვებს ეს რომანი—საერთოდ. თუმცა არის დეტექტივებიც. შესრულების მხრივ სუსტი ადგილებია განსაკუთრებით შესამე ნაწილში.


„ჯავშნოსანი მატარებელი“, რომელიც „მნათობი“-ს მე-5 ნუმერში დაიბეჭდა, შედარებით სუსტია დამუშავების მხრით და ხედლი მასალის ღირსებაში რჩება. არე—აქაც პროვინცია, და პერიფერია. ეტყობა ნაჩქარევი და „სახელდახელო“ მუშაობა. ეს ყველაზე მეტად ბელეტრისტისათვისაა სახიფათო.

გასულ წელს, 15 წლის დუმილის შემდეგ, ჩვენს ბელეტრისტიკას დაუბრუნდა მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი. ასეთი ინტერვალი არაა უჩვეულო ლიტერატურის ისტორიისათვის, კლასიკური მაგალითი ვიქტორ ჰიუგოა.

ჯავახიშვილ-ადამაშვილის დაბრუნება ქართულ ლიტერატურაში სიამოვნებით იყო აღნიშნული. მან უეცრად შექქმნა ფართო მკითხველი, აუდიტორია და მოიპოვა საერთო სიმპატია.

1924 წლის განმავლობაში მან დაბეჭდა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ჯაყოს ხიხნები“. ჟურნალი „მნათობი“-ს ნუმერებში.

ეს ორივე ნაწარმოები სეზონის მოვლენას წარმოადგენს. ამ საერთო ყურადღების შემდეგ, რომელიც დაიმსახურა „კვაჭი კვაჭანტირაძე“-მ ჩვენ გვინდა



მას რამდენადმე კრიტიკულად შეეხედოთ. პირველყოვლისა სტრლი. თანამედროვე ხელოვნება ექვემდებარება მატერიალურ მშენებლობის კანონებს. ამიტომაც, რომ თანამედროვე ლიტერატურაში სდგას პრინციპი—ჰიდონიზმის: „ჰომო-ეკონომიკუს“. აქედან არის სიტყვის ეკონომია და ტელეგრაფის სტილი. „კვაჭი კვაჭანტირაძე“-ში სიტყვა აღებულია ამ პრინციპის გარეშე.

ილლიუსტრაციისათვის:

„ელენე ჯერ მორცხვობდა, თავი ჩაპლუნა, თვალები მილულა, გაინაბა, დადნა და გალხვა ზოგჯერ თავის შავს, ნუშის ოდენა თვალებს წმინდანის ლობიოს ოდენა ლურჯს თვალებში გაუყრიდა, ელვასავით დაატაკებდა, ნერე კობტათ მოაშორებდა და ხშირს წამწამებს ნისლის ვარდისავით ჩამობურავდა და ისედაც შავ თვალებს სულ დაიღამებდა“.

(თავიდან: „რასპუტინის კულხე“).

„უცებ იქვე ზღვის ტალღებიდან ამოვიდა ქაფის ფერის ამქვეყნიური აფროდიტა, შვენიერი ოკეანიდა, მზეთუნახავი ალქაჯი, კვიპაროსივანი, მოსხლეტილი, დიდმკერდიანი, თეძოიანი, წელ-წვრილი, თხელ-ძვალა, მალალკისერა, ალისთმაინი და ცისტვალა“.

(თავიდან: „ევროპის ედემში“).

ეს პატარა ამონაწერები მოწმობენ, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დატვირთულია აღწერილობით „ლაპსუსით“, რომ ამ ნაწარმოებში ხშირია „წვიმა, რომელიც შეიძლებოდა არც წამოსულიყო“.

ჟანრის მხრით „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ე. წ. ავანტიურისტული რომანია. ასეთი ჟანრის ლიტერატურას ჰყავს მძლავრი კონკურენტი კინოს სახით, რადგან აქ უმთავრესი მოქმედებაა. ამიტომაც ავანტიურისტული რომანის პერსპექტივა—პრობლემატური. თანამედროვე პროზა უნდა შეჩერდეს ისეთ ფორმაზე, რომელიც სავსებით დაეყრდნობა სიტყვას, და ამ რიგით შეუცვლელი იქნება სხვა რომელიმე ხელოვნებისაგან.

სიუჟეტის შენების მხრით ამ ნაწარმოებს ის ნაკლი აქვს, რომ ხშირად ლეგენდარულ და ანეგდოტიურ ფაქტებზე ემყარება. გარდა ამისა, ხშირად მეორდება ერთი და იგივე „მოგონილი ინტრიგა“, რაც ფაბულურ მონოტონურობას ჰქმნის. ეს ნაკლი აქვს, სხვათა შორის, ბეროსოუსის „ტარზან“-საც. მიუხედავად ამისა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ლიტერატურის სინამდვილეში.

აღნიშნულ დეფექტებისაგან სავსებით დაწმენდილია „ჯაყოს ხიზნები“. ეს ნაწარმოები ემყარება სავსებით რეალურ სიუჟეტს. აქ არაფერია ლეგენდარული და სასწაულთ მომქმედური. მასში წარმოდგენილია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უკანასკნელი წლები. ეს უახლოესი პერიოდი, რომელსაც ჯერ არ შეხებია ბელეტრისტის ხელი, კარგადაა გამოყენებული „ჯაყოს ხიზნებში“. გარდამავალი წოდების უკანასკნელი თაობა, რევოლუციონური იდეებით გატაცებული, მაგრამ დამფრთხალი და განადგურებული რევოლუციონური



პრაქტიკის მიერ, მთელი თავისი კურორტული ყოფა-ცხოვრების საკმაოდ გარკვეული შტრიხებითაა, მოცემული თეიმურაზ ხევისთაის კერძო კონსტრუქციის

უეჭველად ტიპიურია ჯაყოც. ეს ყოველგვარ იდეების გარეშე მდგარი, ტლანქი და უხეში, სიცოცხლის „ბიოლოგიურ“ ინტერესით განსაზღვრული ადამიანი, რომელიც მოხერხებულად სარგებლობს შემთხვევით და კარგად იყენებს გარდამავალ პერიოდს, მართლაც ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენაა ჩვენი თანამედროვეობისათვის. მართებულადაა განკვეთილი ასეთი „შემთხვევითი ჰეგენონების“ წუთიერება და უნიადგობა საზოგადოებრივ ცხოვრების ზედაპირზე.

სტილიც „ჯაყოს ხიზნები“-ში უფრო დახვეწილია და დამუშავებული.

საერთოდ, „ჯაყოს ხიზნები“ გაცილებით სერიოზული და გამართლებული ნაწარმოებია, ვიდრე „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

ამ ნაწარმოებით ჯავახიშვილი—ადამაშვილი დამკვიდრდა, როგორც ერთი მძლავრი, რეალისტურ შკოლის ბელეტრისტი. ამ მხრით მას ეხლა საქართველოში მეტოქე—არა ჰყავს.

„ცისფერი ყანწები“-ს პოეტებიდან გასულ წელს ჟურნალ „მნათობ“-ში დაიბეჭდა პაოლო იაშვილის „ფერადი ბუშტები“. ეს მოვლენა საინტერესოა მით უფრო, რომ ეს სადებიუტო ცდაა არა მარტო პირადად პაოლო იაშვილისათვის, არამედ მთელ შკოლისათვის. აღსანიშნავია, რომ თუ რუსული სიმბოლიზმი მთელ თავისი სიძლიერით დამკვიდრდა პროზაში, (ბელი სოლოგუბი, ჩულოკოვი და სხ.) ქართული სიმბოლიზმის მთელი პრაქტიკა ლექსით განისაზღვრა და „ფერადი ბუშტები“ პირველი შემთხვევაა ამ ტრადიციის დარღვევის.

„ფერად ბუშტებში“ ლიტერატურულ ნათელზე გამოყვანილია ქალაქის გარე უბნებში ხიდების ძირ ქვეშ და საერთოდ სოციალურ ცხოვრების ფსკერზე მობინადრე ადამიანები, ავტორი სიმპატიითაა განწყობილი თავისი გმირებისადმი და პირდაპირ შეყვარებულია მათზე.

პროზაში არის მგრძობელობითი სიქარბე და წრფელი ცრემლიანი „კარამაზოვშიჩინა“. ხშირია რეალი და ნატურალისტურად შიშველი ფაქტებიც, როგორც მარგერიტის „პროსტიტუტკა“-ში.

„ფერადი ბუშტები“ მოდის იმ ტემპერამენტით, პათოსით და შეუკავებლობით, რაც უფრო სპეციფიურია პოეზიაში. აქ არ სჩანს ბელეტრისტის ანალიტიური გამძლეობა და ამომწურავი მკვრეტელობა. ამით უნდა აიხსნას, რომ პროზა მთავრდება რამოდენიმე გვერდზე. მთავარი მომენტი ამ ნაწარმოებში განსახიერებულია კაჩერგას მონოლოგში. სათაური შეეფარდება სიუჟეტის მეორეხარისხოვან ელემენტს.

მომავლის საკითხია: როგორი ინტენსივობით განვითარდება ეს დებიუტი.

ყოველ შემთხვევაში „ფერადი ბუშტები“ არ აძლევს საბუთს მის ავტორს, თავი დაანებოს პროზას.

პავლე ნოზაძის „ღღე და ღამე რევოლიუციის“ არის—აჯანყების რომანი. რამოდენიმე სიტყვა თვით ამ თანრის შესახებ:

აჯანყების რომანი არ არის ახალი ლიტერატურული მოვლენა, როგორც



ახალი არია მისი ობიექტი—აჯანყება და რევოლუციები, რომლებშიც რომანებში სახიერდება სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული კოლლიზიები აჯანყების რომანებში იმჩნევა სამი მთავარი გვარეობა, —ორკესტროვკის მიხედვით: რომანი პერსონაჟით; უპერსონაჟო და კინემატოგრაფიული. პერსონაჟიან აჯანყების რომანებს, რომლებშიაც აღნიშნული კოლლიზია სახიერდება კერძო გმირების სახით, სწერდენ: ზოლლა, ლემონიე, გიუგო, დიკენსი, დოსტოევსკი., თანამედროვეთა შორის: კელერმანი, სინკლერი, ერენბურგი, ბაბელი; ექსპრესიონისტები: კაზიმირ ედშიტი, ლეონარდ ფრანკ და სხვ.

ასეთი რომანის ნაკლი იმაშია, რომ უმთავრეს შემთხვევაში, მათში მოცემულია მხოლოდ ერთი მხარე; ნაკლებად იგრძნობა ანტიპოდი და ამ გვარად არ არის კოლლიზიის მთლიანობა. (მაგალითად კელერმანის „9 იანვარი“),

ლეონარდ ფრინკის „ბურჟუა“-ში თითქოს დაძლეულია ეს დეფექტი. აქ რომანის ფაბულა ვითარდება მოწინააღმდეგე ბანაკებიდან გამოყვანილ გმირების ინტერესთა შეფარდებით. ასეთი რომანის დასრულებულ ტიპს იძლევა ჯექ ლონდონიცი. („რკინის ქუსლი“, „ჯანყი“) საერთო ნაკლი პერსონაჟიან აჯანყების რომანებისა იმაში მდგომარეობს, რომ აქ ნაკლებად იგრძნობა თვითონ მასსა, —ერთად-ერთი გმირი ყოველი აჯანყების.

უკანასკნელად, როდესაც მებრძოლ კლასთა ფორმაცია ხდება უნივერსალური მასშტაბით და ბრძოლა უაღრესად კოლექტიურ ხასიათს ღებულობს, ბუნებრივად იბადება უპერსონაჟო რომანი, სადაც გადმოცემულია არა კერძო პირთა ისტორია და მოქმედება, არამედ მოქმედება მასსების, —ხალხის. აქ არ სჩანს გმირი-ინდივიდი. აქ არ არის ისტორიზმი და ეტნოგრაფია. ასეთი ორკესტროვკის რომანი ახალია შედარებით. მის პიონერად შეიძლება ფაბრი ჩაითვალოს.

კინემატოგრაფიული ორკესტროვკის რომანში ფაქტები და მოვლენები ფოტოგრაფიის მაგიერ გადადიან კინემატოგრაფიულ აპარატზე. ამ ფორმაში თავსდება ყველა ის თვისებაც, რომლითაც ხეობდ აღნიშნული რომანები ხასიათდებიან. ასეთი რომანი მოდის მაგალითად პოლ მორანიდან.

პაველ ნოზაძის აღნიშნული რომანი არის კომპოზიცია აჯანყების რომანის შენების სამივე პრინციპისა. პირველი ნაწილი რომანისა ვითარდება პერსონალურად, აქ წერბაშიძის, განდაბიას და მერკვილაძის სახით მოცემულია ორი მებრძოლი ბანაკი. აქ მოცემულია თავად-აზნაურობის დაღუპვის ისტორიაც. აქ ფოლკლორიცაა, ეტნოგრაფიაც, ისტორიზმიც. რომანის მესამე ნაწილში მოქმედობს თვით მოჯანყე მასსა. აქ დაკარგულია პერსონა თავისი ინდივიდუალური ბუნებით, არ არის ისტორიზმი და ფოლკლორი. ეს ორი სტილი ერთიანდება კინემატოგრაფიული კომპოზიციის პრინციპზე. ვილაც ბიბლიოგრაფი აქედან ასკენიდა ნოზაძის ერენბურგიდან გამოსვლას. ეს გაუგებრობაა:

კინემატოგრაფიკა ერენბურგის რომანებში. („ხულიო-ხურენიტო“, „ტრესტი“ დ. ე.) გამომდინარეობს მოქმედთა შინაგანი მექანიზაციით, ნოზაძის რომანში კი — პირიქით: ყანწების, ყვინიხ და სისხლის განცდა სდგას. ამ რი-

გად ნოზაძის რომანი არაა დაშორებული მიწასთან. ამდენად ნათელია მისი სხვაობა ერენბურგისაგან. რაც შეეხება რომანის კონსტრუქციას, მათემატიკურ მეთოდს, (მაგალითად სათაურების კინემატოგრაფიული დალაგება) ეს ხაზი არ ეკუთვნის ერენბურგს. ასე სწერდენ ბალზაკი, მორანი, ჩესტერტონი და სხვები.

ნოზაძის რომანში ირონია გამახვილებულია უკიდურესად. რემიდუგურმონის თქმა: ირონიის წიგნი-ამავე დროს არის წიგნი დიდი სიყვარულის. რამდენადაც არ უნდა ენათესავებოდეს ნოზაძის ირონია ჩესტერტონის, ფორის და ლოტრეამონის მალდარორის ირონიას, მასში მაინც ნათელია თავისებურობა და ქმედითი დამოუკიდებლობა.

ხაერთოდ „დღე და ღამე რევოლიუციის“ ღირსია ყურადღების. კრიტიკა მას გვერდს ვერ აუვლის. ყოველ შემთხვევაში დასრულებული აზრი ამ რომანზე შეიძლება გამოითქვას მას შემდეგ როცა იგი დამთავრდება. ჯერ-ჯერობით კი—მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი.

გასულ წელს ქართულ ბელეტრისტიკას შეემატა კიდევ ერთი, უეჭველად ნიჭიერი მწერალი—**ივანე იოსელიანი**. 1924 წელი მისთვის სადებიუტოა. დაიწყო ჟურნალ „გრემლი“-დან და ორჯერ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობ“-ში. აღსანიშნავია, რომ ყოველი ახალი ნაბიჯი ზრდისა და წინსვლის სიმპტომია. ეს ნათელი ხდება, როცა ამ ავტორის შემოქმედებას ქრონოლოგიური თანმდევრობით განიხილათ.

ჩემის აზრით ასეთი საგრძნობი ზრდა არის ქეშმარიტი ხელოვანის ბუნება. რა თქმა უნდა ეს არ ითქმება მასზე, ვინც უკვე დასრულებულია სავსებით და წინ აღარაფერი აქვს საიმედო. იოსელიანს კი—როგორც ვსთქვით, მხოლოდ ერთი წლის წარსული აქვს და ლიტერატურულად ჯერ იგი ახალგაზრდაა. დღემდე გამოქვეყნებული მასალები გვარწმუნებენ, რომ მასში არის საკმაო პოტენცია. მხოლოდ მას ჯერ ვერ მიუგნია სათანადო სიუჟეტისათვის, რომელზედაც მთელი შესაძლებლობით გაიშალოს ეს ქმედითი ენერჯია. სიუჟეტი, რასაკვირველია არ განსაზღვრავს შემოქმედის ნიქს, მაგრამ იგი განმაპირობებელი იმპულსია ქმედითი პოტენციის აღსაძვრელად. ჩვენ გვჯერა, იოსელიანი მიაგნებს ამ სიუჟეტს და ეს იქნება მისთვის ამ უხერხულობის ამოვსება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე იგი პატარა მოთხრობებით განისაზღვრა.

ტემა, იოსელიანის მიერ დაბეჭდილ მოთხრობებისა არის ეპიზოდები რუსეთის რევოლიუციიდან. ფაბულის ცენტრში დაყენებულია ქართველი ახალგაზრდა, მთელი აღფრთოვანებით მებრძოლი მოსკოვისა და პეტროგრადის ქარიშხალიან ქუჩებზე რევოლიუციის ბარიკადები—საერთო ფონია იოსელიანის მოთხრობებისათვის „უკანასკნელი ბარიკადა“, რომელიც ჯერ-ჯერობით უკანასკნელი ნიმუშია იოსელიანის შემოქმედების, მართალია სტილსა და შესრულების სიუჟეტთან შეფარდებით. აქ ყოველი სტრიქონი და სიტყვა. სცოცხლობს იმ ენტუზიასტური აღფრთოვანებით და ნერვიულ დაჭიმულობით, რომლისთავე შეპყრობილ იყო რევოლიუციის წინა დღეებს განწყობილება. კარ-



გათაა გაგებული და გადმოცემული ახალგაზრდა რევოლუციური ქალის ტიპი. აქ რომანტიკაცაა.

ან მიერა სადაა, რეალისტური და მეტად თავისუფალი.

ეს მოთხრობაც ჯერ დაუსრულებელია და მხოლოდ დაბეჭდილ ნაწილის მიხედვით გვიხდება მისი დაფასება,

საერთოდ იოსელიანის მიერ სადებიუტო წელი გამართლებულია და მისი ლიტერატურული პრესპექტივა — იმედია.

თანამედროვე ქართული პროზა უმთავრესად პროვინციის ყოფას ზვერავს განსაკუთრებით ადგილი უკავია აკაკი ბელიაშვილის „ცხრა ცენტრს“. ეს რომანი ცდაა „წითელი პინკერტონის“ გადმოტანისა ქართულ ლიტერატურაში. მისი ინტერესიც სწორედ ამაშია.

ამ წერილში ტექნიკური შეუძლებლობით ვერ მოექცეო გასულ წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შემდეგი მასალები ქართული პროზის.

კონსტანტინე გამსახურდია: „ქვეყანა რომელსაც ვხედავთ“. ნოველები. ცდა ექსპრესიონისტული პროზის ქართული ნიმუშისა.

არჩილ ჯაფანაშვილი — მოდერნისტული სტილის პროზა.

პოლიო ირეთელი — „ზღვის ნიაფი“ მოთხრობა. 26 კომუნარის დახვრეტის ისტორია.

და სხვა.

მეცნიერება და კულტურისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევონ მელიქსეთ-ბაზი.

ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში

(საქართველოში ახლად აღმოჩენილი „ციკლოპიური“ შენობების გამო).

კაცობრიობის ცხოვრებისა და მეცნიერული შემოქმედების წინსვლის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ მთავარ ხრიკად, უთუოდ, ეგრედწოდებული „ტრადიცია“ და, ამასთანავე ერთად, თუ გნებავთ, „ნამდვილად“ ჩამოყალიბებულ და დამჯდარ მეცნიერთა ჯიუტობაც უნდა ჩაითვალოს!

ერთხელ მოხდა, რომ დედამიწის სხვა ნაწილებს ევროპამ თავის კულტუროსნობით წინ გაუსწრო. მაშასადამე, ევროპა ყველაფრის მაგალითი უნდა იყოს, და რაც ევროპაში ითქმის, ის სრულიად უდავოდ და შეურყეველ ქეშმარიტებად უნდა აღვიაროთ; ევროპა — ერთგვარი მარკაა, რომლითაც უნდა ვზომოთ და ვჭრათ კიდევ სულყველაფერი!

მაგალითად, დანიის მეცნიერმა Thomsen. მა კაცობრიობის ისტორია სამ მთავარ ხანად დაპყო: „ქვის“, „ბრინჯაოს“ და „რკინის“ ხანად, რომელთაგან პირველი Livbok-ის მიერ მერმედ დაყოფილ იქმნა ძველ და ახალ ქვეხანებად, ანუ პალეოლითისა და ნეოლითისად; და, მაშასადამე, ასეთი დაყოფა ჩვენც უნდა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის წარსულის მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად უდგება ან არ უდგება ამ დებულებას ჩვენი სიძველეთა შესწავლის შედეგები. მეტსაც ვიტყვი. — ერთ რუსის არქეოლოგს, რომელსაც ეკუთვნის „ახალი კლასიფიკაცია“ ქვის ინდუსტრიისა, თავის შესაფერ პროსპექტში, როგორღაც გამოუთქვამს ის აზრი, რომ უუძველეს საფლავებში ხელაღებისა და ლიტრების გარკვეული რიცხვი უნდა იყოსო; და მის ერთ მოწაფეს, რომელსაც უკანასკნელ წლებში მოუხდა მუშაობა ჩვენში, ბრაზი მოსდიოდა, როდესაც ის აღნიშნული კლასიფიკაციის წინააღმდეგ აღმოაჩენდა ხოლმე სულ სხვა სახისა და ხასიათის აკლდამებს, სადაც ნაკლები ან ხედმეტი ხელაღები იყო მოთავსებული. „ეს ყოვლად შეუძლებელია!“ „ეს ასე არ უნდა ყოფილიყო!“ „აკლდამები ვილაცების მიერ არეულ-დარეულია!“ და სხვა, — ასე გაიძახოდა ის. ამ „მოწაფეს“ სპეციალისტებმა, რასაკვირველია, თავისი ადგილი უჩვენეს...

ესევე ითქმის ინდოევროპიულ ლინგვისტიკაზე, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის ენათმეცნიერების თეორიულად დამუშავების წინაშე, მეგრამ აქაც, სამწუხაროდ, უკიდურესობამდე მივიდნენ და ევროპიული ენების შესწავლაზე

აგებული ნორმები დოგმად აღიარეს, რომლებიც ვითომდა უნდა გამოდგეს სხვა ოჯახის ენების და აგრეთვე, საზოგადოებრივების მიწოდებაში. Наука о человеке, как общественном деятеле, — აღნიშნავს აკადემიკოსი ნ. მარრი (Об яфетической теории, — "Новый Восток", № 5, 1924, стр. 303), — весь XIX век прошла, поскольку дело касалось отложений в памятниках речи пройденного им пути исторической жизни, под углом зрения индоевропейской лингвистики. Даже те, которые в процессе работы над вещественными памятниками исторической культуры расходились в корне с построениями лингвистов-индоевропейцев, не могли освободиться от основных положений, внушавшихся им теориею или их разысканиями по ней. Достаточно вспомнить крайне отрицательное отношение выдающегося французского археолога Соломона Рейнаша (Reinach) к индоевропейской лингвистике, как к своего рода бедствию в изысканиях по до-истории, как к одной лишь помехе в деле правильной постановки изучения памятников материальной культуры".

აკადემიკოს ნ. მარრის მიერ წამოყენებული „იაფეტურ“ თეორიას, სხვათა შორის, მიზნადა აქვს შეარყიოს ეგრედწოდებული ინდოევროპიული ენათმეცნიერების მნიშვნელობა, ვითარცა „მონოპოლიური“ დისციპლინისა, რომლითაც ჩვეულებრივ ზომავენ და სჯიან ხოლმე ენათმეცნიერები. ნ. მარრი, რასაკვირველია, სცდება, სცდება უფრო ხშირად, ვიდრე თვითელი ჩვენთაგანი; გარდა ამისა, მას წამდაუწუმ შეაქვს შესწორებანი თავის წინანდელ წერილებში; აგრეთვე, ხშირად ერთ და იმავე წერილში თავისივე ნათქვამს ეწინააღმდეგება. მაგრამ, ყველა ეს რომ ავხსნათ ფსიქოლოგიურად, ჩვენ დავინახავთ, რომ აკად. ნ. მარრის თეორიის მთავარი აზრი იმაში მდებარეობს, რომ დაამტკიცოს „მონოპოლიური“ მდგომარეობაზე აყვანილი ყოველნაირ მეცნიერებათა უვარგისობა და, ამასთან ერთად, ენის პირველყოფილი სახის გამოკვლევით, მიანიჭოს ლინგვისტურ პალეონტოლოგიას ისეთივე მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, როგორი მნიშვნელობითაც აღჭურვილია პირველყოფილი არქეოლოგია (ამის შესახებ იხ. ნ. მარრის — Об яфетической теории, ხსენებულ გამოცემაში, გვ. 303—303; Термины из абхазо-русских этнических связей „лошадь“ и „тризна“, Ленинград 1924, გვ. 1—2 და შემდ.).

ყველა ამის თქმა დამკირდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ნათელყო, თუ რამდენად სახიფათოა აღიარება უდავოდ ყველა იმისა, რაც ევროპაში, კერძოდ რუსეთში, ითქმება ხოლმე ისტორიის უუძველესი პერიოდის შესახებ, შეტადრე მაშინ, როდესაც ევროპიული მეცნიერების დებულებანი არ უდგება ჩვენი ქვეყნის შესწავლის შედეგებს. საკმარისია ითქვას, რომ კაცობრიობის კულტურის დაყოფა სამ მთავარ ხანად (ქვის, ბრინჯაოსი და რკინის) ჯერ კიდევ გადასინჯული უნდა იქმნას. აგრეთვე გადასინჯული უნდა იქმნას ეგრედწოდებული „პირველყოფილი“ კულტურის ისტორიაც, რასაკვირველია, მახლობელი აზიის, კერძოდ კავკასიის, არქეოლოგიის ცნობებისდა მიხედვით და მის ნიადაგზე.

თუმცა ამ ქამად უკვე უკუგდებულა ის დებულება, სხვათა შორის, „და-

ბადება“-შიც გამოხატული, ვითომდა მახლობელი აზია, საქართველო და კავკასია, კერძოდ, „კაცობრიობის აკვანია“ (შდრ. ნ. მარრი, Термины на абхазо-русских этнических связях, გვ. 57), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას მაინც და მაინც არ ეკარგება თავისი უალრესი მნიშვნელობა „პირველყოფილი“ ისტორიის მრავალი საკითხების გაშუქებაში. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ კავკასიას შეუნარჩუნებია დღემდე ისეთი სიმრავლე პრეისტორიული ხანის ნაშთებისა, რაც დედამიწის სხვა ადგილებისათვის იშვიათ ნოვლენას წარმოადგენს. თუ ჯერჯერობით საკითხის ქვეშ დავსვამთ მარგილებზე დადგმულ სახლების არსებობას (სევანის ტბაზე, რიონზე?), ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა ჩავთვალოთ ე. წ. დოლმენების, კრომლეჭების, მენჰირების და აგრეთვე „ციკლოპიური“ აგებულობის შენობების არსებობა ჩვენში მრავალ ადგილს და მრავალი რაოდენობით.

ამ წერილს მიზნადა აქვს გააცნოს ქართველი საზოგადოება იმ პრობლემას, რომელიც ისმება საქართველოს ისტორიაში ე. წ. „ციკლოპიური“ შენობების აღმოჩენით ჩვენში, დღემდე აღნუსხული და ჩემ მიერ ნანახი ასეთი ნაშთების ზოგადი აღწერითურთ.

* * *

1923 წლის ზაფხულს, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის დავალებით შევუდექი არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათ აღგეთის ხეობაში. მანგლისში ყოფნის დროს, ადგილობრივი სამხედრო კურსების მოწვევით, ხელმძღვანელობა გაუწიე მასწავლებლთა და კურსანტთა ექსკურსიას ე. წ. „Желтая гора“-ზე, სადაც ასვენია ე. წ. „Каменная невеста.“ და აი სწორედ ამ „Каменная невеста“-სთან მისვლის შემდგომ ერთ-ერთ კურსანტთაგანმა მაცნობა, რომ იქვე ახლოს, ერთი-ორი ვერსის მანძილზე, წალკის მხარეს და ბაშკოვის ტბისკენ მიმავალი გზის ცოტაოდენ დაშორებით, სჩანს რაღაც ციხე. მე, რა თქმა უნდა მოვისურვე ამ ციხის ნახვა და, მიუხედავად ექსკურსანტების დაღლილობისა, ჩემს გარშემო შემოიკრიბა რამოდენიმე კაცი. მაგრამ რანაირი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ჩვენ მიუდექით ერთს საშინელ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქვათა ტბას“, სადაც წამდაუწუმ გადახტომა გვიხდებოდა უზარმაზარ (ას—ათას ფუთიან) ქვებზე, სანამ მივალწიეთ ერთ პატარა ზეგანს, რომელზედაც მართლაც ემჩნეოდა იმავე უზარმაზარი ნაგლეჯი ქვებიდან აგებული „ციხე“ ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, „ჯალავნები“ შიგნითი „ციხე-დარბაზით“ და აგრეთვე ე. წ. დოლმენებით; ადგილადგილ გვხვდებოდა ბუნებრივი ნაპრალები. ხოლო კედლის სისქე ყველგან აღწევდა 1 საყენს და მეტსაც.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მომაგონდა, რომ ასეთ შენობათა აღწერა მოიპოვება ევროპიულ და აგრეთვე სომხურ ლიტერატურაში, სახელდობრ ატრპეტისა და თორა მანიანის ნაშრომებში. პირველისა— შირაკის ციკლოპიურ შენობათა შესახებ, ხოლო მეორის—პრაქრისტიანული სომხური ხუროთმოძღვრებისათვის, სადაც საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად

არიან აღწერილი ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში აღმოჩენილი ე. წ. „ციკლოპიური“ შენობები და კოლონადები, რომდენიმე დღის შემდეგ, ტფილისში ჩამოვედი, ყველა ამაზე წერილობით ვაცნობე სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველს და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, და ვთხოვე, რომ აღნიშნული პუნქტის დასაზვერად და წინასწარი ხასიათის კვლევა-ძიებისათვის მოეწყობთ ექსპედიცია, რომელიც შედგენილი იქნებოდა ხუროთმოძღვრის, ფორტიფიკაციის, გეოლოგის, ტოპოგრაფის და ფოტოგრაფისაგან. სანამ ექსპედიცია მოეწყობოდა, რომლისთვისაც საგანგებოდ ზრუნავდა პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილი, მე დავბრუნდი მანგლისში, და 31 აგვისტოს, საზაფხულო სამასწავლებლო კურსების გამგის თხოვნით, მოვაწყვე მეორე ექსკურსია ე. წ. „Каменная невеста“-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ დრო გადიოდა და ტფილისში საბოლოოდ დაბრუნების ვადა მიახლოვდებოდა, ექსპედიციის მოწყობის შესახებ, სანამ მანგლისში ვიყავი, ვერაფერი გავიგე; და როდესაც ჩამოველ ტფილისში, მაცნობეს, რომ განათლების კომისარიატის მიერ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელზე ექსპედიციის მოსაწყობად შესაფერი კრედიტი გახსნილი ყოფილა, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო (?) ფულის მიღება ვერ მოხერხებულა.

ასე თუ ისე, 1923 წლის საზაფხულო თვეებს განმავლობაში არავითარი ექსპედიცია ზემოდ დასახელებული „ციკლოპიური“ ნაციხარ-ნაქალაქევის დასაზვერად და შესასწავლად არ შესდგა, და ამნაირად ჩემი ზრახვის განხორციელება გადადებულ იქმნა 1924 წლისთვის.

ტფილისში ჩამოსვლის და საარქეოლოგიო ლიტერატურასთან გაცნობის შემდგომ ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ „ციკლოპიური“ სისტემის შენობებს საერთოდ აღგილი უნდა ჰქონდეს ისეთ მხარეებში, სადაც ბუნების პირობები ხელს უწყობენ ხოლმე ამას, და, ვინაიდან ასეთივე სისტემის ნაციხარის შესახებ ცნობა მოგვეპოვებოდა ჩხიკუთის სამების შესახებაც, ამიტომ მოვიწადინე უკანასკნელის ნახვაც. სწორედ ამ ფიქრებით ვიყავ გართული, როდესაც საქართველოს მუზეუმის დირექტორმა მომმართა წინადადებით, ვიკისრებდი თუ არა რაიმე არქეოლოგიური ექსკურსიის მოწყობას ტფილისის ახლოს. მე, რასაკვირველია, გაუზიარე ჩემი სურვილი, და ამას მოჰყვა ის, რომ ხსენებული მუზეუმის დავალებით გავემგზავრე აღბულახის რაიონში, სადაც, სხვა ძეგლებთან ერთად, ვინახულე ჩხიკუთის სამებაც, რომელიც მართლაც „ციკლოპიური“ სისტემისა აღმოჩნდა; ხოლო ამ ექსკურსიის მოკლე ანგარიში მუზეუმს წარუდგინე.

1924 წლის გაზაფხულიდან დავიწყე ზრუნვა საზაფხულო თვეების განმავლობაში მანგლისის რაიონში გარკვეული მიზნით სამეცნიერო ექსპედიციის მოსაწყობად. ამ შემთხვევაში ექსპედიციის მოწყობას კისრულობდა კვლავ საქართველოს მუზეუმი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემთვის სრულიად უცნობი მიზეზის გამო, ამ დაწესებულების საარქეოლოგიო-საეთნოგრაფიო განყოფილებათა ხვედრი თანხა მთლად გადადებულ იქმნა სულ სხვა მიზნებისათვის (რამდენადაც

ვიცი, მესხეთსა და ქართლში გაგზავნილ საარქეოლოგიო-საეტიმოლოგიურ ექსკურსიების საქიროებისათვის, და ჩემი ექსპედიცია ვერ მოეწყო, — მითხრდავად იმისა, რომ ექსპედიციის მოწყობას დაბეჯითებით ითხოვდა უნივერსიტეტის გამგეობა, ვინაიდან მას უნდა მოეტანა უაღრესი მეცნიერული მნიშვნელობის შედეგები მსოფლიო მასშტაბის და მსოფლიო მნიშვნელობისა.

ამასობაში დაიბეჭდა და გამოქვეყნებულ იქმნა კიდევ ჩემი ერთი წერილი: „მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოდ საზაფხულო ექსკურსიების მოსაწყობად“ („ახალ სკოლისაკენ“ 1924 წ. № 2—3, გვ. 71—80), სადაც მე-X-ე მუხლში (გვ. 77—79), სხვათა შორის, წარდგენილი იყო მანგლისის რაიონის „ციკლოპიური“ ნაციხარ-ნაქალაქევის წინასწარი მოკლე აღწერა.

ხოლო ყველა ეს „ამბავი“ დამთავრდა იმით, რომ მანგლისის რაიონის „ციკლოპიური“ ნაციხარ-ნაქალაქევის დაზვერვა და შესწავლა 1924 წლის ზაფხულზედაც ვერ მოხერხდა „უსახსრობის“ გამო.

1924 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის თანამშრომელმა ნ. კ. კეცხოველმა მაცნობა, რომ პატარა ლიახვით ს. ს. აწრისხევსა და შულაურს შორის, ე. წ. წიფორის მთის ახლოს, რომლის ზევით გნულოა და ყელის ტბა, უცნაური შენობებია უზარმაზარი ქვებიდან აგებული. ამ ცნობამ დაიპყრო ჩემი ყურადღება და მე მოვიწადინე 1925 წელს მარტოოდენ თებით გამგზავრება პატარა ლიახვით ნ. კეცხოველის მიერ აღნიშნული შენობების სანახავად.

1924 წ. 2—12 ოქტომბერს განათლების კომისარიატის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგის თხოვნით, ვიკისრე გარკვეული მიზნით მოწვევლო წალკის რაიონი, და აი სწორედ ამ მოვლამ საშუალება მომცა მენახა და ამენუსხა წალკის ფარგლებში არსებულ „ციკლოპიური“ სისტემის შენობები, სახელდობრ: ტაშბაშში, ნარდევანში, ოზნიიში, ავრანლუში და ვიუმბეთში.

ხოლო წალკიდან დაბრუნების შემდგომ, იმავე პირის თხოვნით და იმავე მიზნით გავემგზავრე სამხრეთ-ოსეთში, სადაც საშუალება მომცა მენახა ერთი „ციკლოპიური“ ნაციხარი დიდი ლიახვის სათავეში, ს. გალუათ. კაუს პირისპირ, და აგრეთვე ამენუსხა რამოდენიმე სხვა ასეთივე ნაშთი პატარა ლიახვის სათავეში და სხვაგან. ამ მოგზაურობას მოჰყვა საგანგებო წერილი ამ სათაურით: „К археологии и этнологии Туальской Осии. Из материалов первой поездки в „Юго-Осетию“, 17—31 октября 1924 г.“ (Труды ЗНА, [серия I, вып. 1: Материалы по изучению Грузии. Юго-Осетия. Тифл. 1925, გვ. 252—279), სადაც საკმაოდ ვრცლად ვეხები ჩემ მიერ ნახებ „ციკლოპიურ“ ნაციხარს საერთო პრობლემასთან დაკავშირებით (გვ. 258—271).

გარდა ამისა, 1924 წ. მაისს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სომხეთში მოწყობილი „პირველი ქართული ექსპედიციის“ დროს ვინახულე „ციკლოპიური“ სისტემის შენობები ალაგიოზის (არაგაწოტნის) კალთების შემდეგ პუნქტებში: კოშის გზაზე, თალინთან, მცირე ბულუთლის მთაზე და ადიამანში.

* * *



ქართული

ამნაირად, ისტორიულ საქართველოს ფარგლებში მეზობელი ქვეყნების მხრიდან ნანახი მაქვს „ციკლოპიური“ სისტემის ნაციხარ-ნაქალაქეები შენდებ პუნქტებში: მანგლისის ახლოს, ჩხიკუთის სამებაზე, წალკაზედ 5 ადგილას—ტაშ-ბაში, ნარდევანში, ოზნიში, ავრანლუში და გიუმბეთში, და 1 დიდი ლიახვის სათავეში, სულ 8. გარდა ამისა, ცნობები მაქვს ასეთივე თენობების არსებობის შესახებ: ხანდოსთან ქციის მარცხნივ—გ. იორდანოვის (ს. ავრანლუ წალკაზე) სიტყვისამებრ, ბაკურიანთან—გ. ბოკორიძის თქმით, აწრისხევსა და შულაურს შორის პატარა ლიახვზე—ნ. კეცხოველის ნაამბობით, ფასანაურთან—ლ. ლეონიძის გადმოცემით, და სხვა (შდრ. ჩემი—К археологии и этнологии Туальской Осии, გვ. 260—261).

1. მანგლისის ნაციხარ-ნაქალაქევი.

მდებარეობს ე. წ. გოხნარის დუქნის ახლოს, წალკისკენ მიმავალი გზის მარჯვნივ, მანგლისიდან 18 ვერსის (შოკლე გზით—10 ვერსის), ხოლო დუქნიდან 1 ვერსის მანძილზე. ციხე-ქალაქი მთლად დანგრეულია და, როგორც ეტყობა, ვულკანური წარმოშობის ბორცვზე ყოფილა აგებული. თვით ნაქალაქევი, რომელსაც ირგვლივ 2 ვერსი აქვს და რომლის ქვეშეც პატარა წყალი გადის, რამოდენიმე ეპოქის ნალექს შეიცავს „ქვის ხანიდან“ მოყოლებული მე-VIII—VII-ე საუკუნემდე ქრ. წინ, ესე იგი: 1) ბუნებრივი გამოქვაბულები და ნაპრალები, სადაც „პირველყოფილ“ ადამიანს უნდა ეცხოვრა, 2) „ციკლოპიური“ სისტემის ხელოვნური შენობები—ციხე-დარბაზი, კოშკები, სასახლეები, სენაკები, გალავნები ალაყაფებითურთ, და 3) ზოგიერთი პრიმიტიული ქანდაკებანი „ქალღების“ ეპოქისა და სხვა (იხ. ჩემი წერილები—მანგლისის რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, გვ. 77—78; К археологии и этнологии Туальской Осии, გვ. 269, შენ. 45).

როგორც ეტყობა, ეს ადგილი აქვს მხედველობაში ინჟინერ-გეოლოგ გ. წულუკიძეს (Геологическое исследование в области речных долин Алагетки и Храма,—„Материалы для геологии Кавказа“, сер. II. кн 1. Тиф. 1887, გვ. 31—32), როდესაც ლაპარაკობს ე. წ. „ყვითელი მთის“ ფონოლიტებზე. „Порода эта,—ამბობს ის,—нашла себе выход на поверхность по широкой и длинной трещине, которая тянется на запад почти до Башкеевского нагорного озера. Разрушаясь, она дает множество громадных глыб, которые, своим особенным расположением, послужили к образованию целой группы пещерообразных, замкнутых пространств, в которых, по рассказам проводников, были находимы кости больших допотопных животных. Проникнуть в эти пещерообразные камеры, по большей части, не было возможности, а потому поневоле приходилось ограничиваться рассматриванием их извне, через имеющиеся отверстия. В одной такой, более доступной камере, мы нашли большую каменную бабу, до 5 пудов весом, из призма-



тического фонолита, с проделанным в ней ушком, и, вероятно, другие предметы, из той же породы“.

ბიზანტიუმიკა

რაც შეეხება ვგრედ წოდებულ, მერმინდელი დროის ნალექებს, ასეთებად, გარდა ახლა ხან მოხსენებულის „ქალ-ქვისა“ (каменная баба), ვთელი: ქვიდან გამოჭრილს ერთ პატარა „საჯდომს“; ერთ-ერთი დოღმენის სარკმლის „მუზარადს“; აგრეთვე ნ. მარროის მიერ (Археологическая экспедиция 1916 года в Ван, Игр. 1922, გვ. 41), აღ. ფლორენსკის ცნობისდა მიხედვით, აღნიშნული „რელიეფი—გამოსახულობა ხელის, ქალღური ხელოვნებისა“, რომელიც უკანასკნელს უნახავს „ქალღური ტიპის ნანგრევებში მანგლისში“.

ეს პუნქტი სრულიად მოხსენებული არ არის რუკაზე. მხოლოდ საინტერესოა, რომ მე-XVIII-ე საუკუნის პირველი ნახევრის სახელოვანი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი (იხ. Description géographique de la Géorgie, SPB. 1842, plan. № 2) ამ უამად ცნობილს „ყვითელ მთას“ (Желтая гора-ს) იხსენიებს „საკრისის“ მთად, რაც ალბათ „საკრივისის“ („საკრ[ივ]-ის-ი) განმარტივებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. და ეს ტერმინი ფრიად საინტერესოა იმ მხრით, რომ შეიძლება გამოყენებულ იქმნეს როგორც გამოსავალი წერტილი ანუ გასაღები ერთი დებულების აღსახსნელად.

საქმე იმაშია, რომ ტერმინი „საკრ[ივ]ისი“ კრივის ანუ ბრძოლის აღვილს ნიშნავს. მაგრამ, როგორ და ვის კრივზე ანუ ბრძოლაზეა აქ ლაპარაკი? საბედნიეროდ, ეს გარემოება საუცხოვოდ განიმარტება ამირანის თქმულების ერთი ადგილით, სადაც ლაპარაკია ამირანის გმირულ საქციელთა შესახებ ალგეთის ხეობასთან დაკავშირებით.

ასე, მაგალითად, ამირანის თქმულებაში ვკითხულობთ (იხ. ამირანის ლექსა, პ. მირიანაშვილის გამოცემა, ტფილისი 1913, გვ. 19):

სანადიროთ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი;

გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალგეთისნი...

უცხო მთაში კოშკი ჰნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,

ძმებმა გარშემოუარეს, ვერა ჰპოეს კარი მისი...

ესევე ადგილი ვარიანტში იკითხება ამნაირად (იხ. ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, გამ. ნ. ჭიჭინაძისა, ტფილისი 1896, გვ. 305):

სამნი ძმანი წამოვედით:

ბადრი, უსუფ და ამირან,

ათი მთა გადავიარეთ,

მეთერთმეტე ალგეთისა.

იქ რომ ერთი კოშკი იყო,

ანაგები სალი კლდისა.

სამი დღე-ღამე უარეთ,

ვერ უპოვეთ კარი მისა...

საცა ამირან ფეხი ჰკრა,

იქ შეიბა კარი მისი...



ანუ კიდევ (იხ. იქვე, გვ. 315—316):

სანადიროდ წამოვიდნენ:

ამირან და ძმანი მიანი;

გადიარეს ცხრანი მთანი,

მეათენი ალგეთისნი.

მინდორს კვალი გაუკვლიეს,

დანატლიკი ეშმაკისი.

მთას ირემს წამოუბტათ,

ოქრო იყო რქანი მისნი.

უცხოს მთაზე კოშკი ნახეს,

ანაგები ბროლის ქვისი;

გაუარეს გარეგურგვალთ,

ვერ იპოვეს კარი მისი...

სადაც რო მზემ პირი მოჰკრა,

ამირანმა მუხლი მგლისი,

კოშკმა პირი იქ გაალო,

იქ შეება კარი მისი...

ეს სიტყვები თითქმის სრულიად უდგება საკრისის (საკრ[ივ]ისის) მთაზე მდებარე „ციკლოპიური“ სისტემის ნაციხარ-ნაქალაქებს. ვინაიდან „საკრისი“-სწორედ წალკის საზღვარზეა, ამიტომ სრულიად გასაგებია, თუ ის „უცხო მთად“ რატომ იყო მიღებული. ხოლო სიტყვები „ვერ იპოვეს კარი მისი“ (ე. ი. ციხისა) შეეფერება სინამდვილეს იმდენად, რამდენადაც ნაციხარ-ნაქალაქები მართლაც მიუდგომელია და მას არსაიდან შესავალი არა აქვს.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამირანის თქმულების შესაფერი ადგილი უნდა გამოგონილი იყოს ხალხის მიერ რეალურ ნიადაგზე, ე. ი. მატერიალური კულტურის ნაშთების გაცნობის შემდგომ, როდესაც მან, ხალხმა, უზარმაზარი ქვებიდან აგებული ციხე-ქალაქის აღმშენებლობა უბრალო კაცის ხელის საქმედ ვერ ახსნა და ამიტომაც მიაწერა ის „გმირებს“; ხოლო იმ მთას, სადაც ამ „გმირებს“, და კერძოდ ამირანს, უნდა ებრძოლათ, მანვე, ხალხმა, უწოდა „საკრისი“ ანუ „საკრისი“ („სა-კრ[ივ]-ის-ი“). და ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო სწორედ ისე, როგორც სომხური თქმულებანი ე. წ. „ვეშაპ“-ებზე დამყარებულია უზარმაზარი ქვის-თევზების (სომხურად „ვეშაპების“) არსებობაზე, რომელთა მხოლოდ ორიოდე ეკზემპლარი ამ 8—15 წლის წინად აღმოაჩინა აკად. ნ. მარრა გელამის მთაზე, გარნისთან, სომხეთში და ს. მურჯახეთს ჯავახეთში (შდრ. ნ. მარრა, Кавказ и памятники духовной культуры, — „Известия И. Акад. Наук“, 1912, გვ. 77; О религиозных верованиях абхазов, — „Хр. Восток“, т. IV, გვ. 120); აგრეთვე — ისე, როგორც ოსური თქმულებანი „უოგუთ“-ებზე და მათ თვისებაზე წყლის სმაში მთის წვერიდან დაკუნჯით დიდ ლიახვამდე დამყარებულია ს. გალუათ-კაუს ზემოდ არსებულ რაღაც წყალსადენის ნაშთზე, და სხვა (ამის შესახებ საერთოდ იხ. ჩემი — К археологии и этнологии Туальской Осии, გვ. 273—266).



II. ჩხიკუთის სამება (აღზულასთან)

ამ ადგილის შესახებ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი-გეოგრაფი ვახუშტი 1745 წელს სწერდა (იხ მისი „გეოგრაფია“, ბროსეს გამ., გვ. 172, მ. ჯანაშვილის გამ., გვ. 61): „ჩხიკუთის სამკრით არს ეკლესია სამება წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკურველი, რამეთუ დიდრონითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. ძველად იწოდებოდა-გმირთ-ნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია“.

ექვს გარეშეა, რომ ამ „გმირთ-ნაკვეთზე“ ლაპარაკი აგრეთვე ე. წ. ბართაანთ გუჯარში (იხ. ე. თაყაიშვილის — „Еще один из источников истории Грузии царевича Бахушта, — „Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. VIII, გვ. 116), სადაც ის მოხსენებულია „გმირთ-კვეთილად“.

ყოველ შემთხვევაში, ორივე ტერმინი, — როგორც „გმირთ-ნაკვეთი“, ისე „გმირთ-კვეთილი“, — ფრიად საინტერესოა იმ მხრით, რომ წარმოადგენს ქართულ შესატყვისს ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში ცნობილი ტერმინის „ციკლოპიური“სას, ე. ი. „გმირულის“ მნიშვნელობით.

აქ ამ ჟამად ეტყობა მხოლოდ კედლის დანარჩენი, რომელიც ე. თაყაიშვილს ჯერ კიდევ 1905 წელს აღწერილი აქვს ასე (Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифл. 1913, გვ. 14—15): „Вершина Самебы представляет продолговатую площадку, окаймленную с двух доступных сторон, с юга и с востока, оградой, сложенной из больших каменных глыб без всякого цемента... Камни ее не принесены извне, а добыты на самой вершине Самебы. Она, как видно, была скалиста, и расчистив вершину, собранные камни нагромодили с двух сторон, так как две другие стороны по своей крутизне не нуждались в защите. Правда, чтобы сдвинуть с места такие камни, нужна большая сила, но это гораздо легче, чем поднять их на такую высоту“.

ამასთანავე ერთად ე. თაყაიშვილს მოჰყავს ლეგენდა სამების შესახებ, რომელიც მას მოუსმენია ს. ჩხიკუთაში.

მაგრამ, სულ ყველაზე საინტერესოა ის, რომ ჩხიკუთის „გმირთ-კვეთილი“ ანუ „გმირთ-ნაკვეთი“ ისევე, როგორც საკრისის ციხე-ქალაქი, ვულკანური წარმოშობის ბორცვზე ანუ მთაზე ყოფილა აგებული.

III. ტაშბაში (წალკაზე).

„ტაშ-ბაშ“ თათრულად ნიშნავს: „ქვა თავზე“. და ეს, უთუოდ, გამოძახებულია ასეთი საბელწოდებით ამ ჟამად ცნობილი სომხების სოფლის მდებარეობისა. მას ვახუშტის დროს, როგორც ეტყობა, „ახალქალაქი“ რქმევიბ და, ე. თაყაიშვილის აზრით, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა საჯდომი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თითონ ვახუშტიც თრიალეთის მმართველად ყოფნის დროს აქვე მჯდარა. აქ საინტერესოა ჯვარის რიგის ეკლესია

მთაზე რატ ერისთავთ-ერისთავის საუცხოვო ასომთავრული წარწერით, რომელიც სომეხთა ეკლესიადაა გადაკეთებული. ხოლო ეკლესიის გვერდით წარკვევით ემჩნევა „ციკლოპიური“ სისტემის ზღუდის დარჩენილი ნაწილი, რომელიც თანდათანობით ინგრევა და იშლება, უკეთ რომ ესთქვათ, რომელსაც უგუნურები ანგრევენ და შლიან.

IV. ნაკლევანი (წალკაზე).

მთაზედ ეტყობა ოთხუთხედი ციხე, რომელსაც უკავია ადგილი 1 დღიურამდე და რომლის კედლებს $1-1\frac{1}{2}$ საყენამდე სისქე აქვს. ამაზე ე. თაყაიშვილი სწერს (იქვე, გვ. 36—37): „Над селением обширная крепость, построенная из больших рваных камней без цемента. Это — настоящая циклопическая постройка. В ней могут укрыться все жители селения. Камни крепости из черного вулканического туфа“.

V. ოჯნი (წალკაზე).

მაღლა მთაზე ეტყობა „ციკლოპიური“ სისტემის კედლების ნარჩენი, რომელიც განადგურების გზაზეა დამდგარი.

VI. ავრანლუ (წალკაზე).

აქ ყურადღებას იპყრობს „ციკლოპიური“ სისტემის უზარმაზარი ციხე, რომელშიაც მოქცეულია ქვაბის მონასტერი ანუ, ე. თაყაიშვილის აზრით, ეგების ვახუშტის მიერ მოხსენებული ე. წ. „აბიბოს მონასტერი“. თვით ციხე პირვის ზღუდედ ყოფილა აგებული, ამფითეატრით და ტერასებით მდ. ქციისკენ: პირველი რიგი—დაბლა, მთის ძირს, მეორე—მთის შუა სიმაღლეზე, და მესამე—მთის წვერზე. პირველს აქვს რკალისებური სახე, სიგრძით 140 ნაბიჯამდე და შესავლითურთ, რომელსაც ჰუარავს უზარმაზარი ლოდი $2\frac{1}{2} \times 3$ არშინის ზომისა. შიგნით თითო პატარა და დიდი ეკლესიაა, რომელთაგან პირველის გვერდით პაწაწა და ვიწრო ქვაბია, სადაც ორი-სამი კაცი ძლივს დაეცევა. მეორე რიგის ზღუდე ოდნავად ემჩნევა, ვინაიდან განადგურებულია. ხოლო მესამე რიგის ზღუდე წარმოადგენს ოთხუთხედ ციხეს, ზომით 20×30 ნაბიჯამდე, ხოლო კედლის სისქე $1\frac{1}{2}-2$ საყენამდე, და კარით მდინარის მხრიდან.

აქვე, ავრანლუში, მრავალი გვირაბები და კატაკომბებია და აგრეთვე გამოქვაბულები.

VII. გიუმგეთი (წალკაზე).

ოთხუთხედი მოგრძო ციხე მთაზედ, რომელსაც სამხრეთით არაჩვეულებრივი და ფრიალ საინტერესო ფორმა აქვს, შესაძლებელია, არც იმდენად ძველი, როგორც დანარჩენ ადგილებში და, სხვათა შორის, ავრანლუსი. ციხე პირდაპირ ხევს დასცქერის. და ამაზე ე. თაყაიშვილი ამბობს (იქვე, გვ. 50): „На горе видны развалины крепости из рваных камней без цемента“.

VIII. გალუათ-კაუ (სამხრეთ-ოსეთში)

„ციკლოპიური“ ციხე-ქალაქი მდებარეობს ს. გზუთაში, სპარდაპირ მთაზე, კავკასიონის ქედის ქვეშ, დიდი ლიახვის გაღმა. გასაოცარია მით, რომ მიუდგომლად დასცქერის ლიახვის ხეობას და მდებარეობს ერთ ისეთ ზეგანზე, რომელსაც უკავია რამოდენიმე კვადრატული ვერსის სივრცე და მთლად დაფარულია ვულკანური წარმოშობის უზარმაზარი ქვებით; ხოლო ამ ქვებ შორის აქა და იქ ოდნავად ეტყობა რაღაც ხელოვნურ შენობათა კვალი და, სხვათა შორის, ვეებართელა ციხე დასავლეთით. თვით ციხე ანუ ნაციხარი როგორც თავისი ფორმით, ისე ტექნიკით სრულებით არ განსხვავდება ანალოგიურ შენობათაგან, რომლებიც კი მოიპოვებიან ალგეთის რაიონში, წალკაზე და აგრეთვე ალაგოზის კალთებზე სომხეთში, თუმცა თავისი გამოსახულებით უფრო ახლო სდგას იმ შენობებთან, რომლებიც მოიპოვებიან გიუმბეთს (წალკაზე) და ადიამანს (არაგაწოტნს), რასაკვირველია, ყველა იმ პუნქტებ შორის, რაც დღემდე წანახი მაქვს მე. თვით ციხე შესდგება გალაგნისაგან, რომელსაც ოთხკუთხედი ფორმა აქვს და უკავია სივრცე დაახლოვებით ერთი დღიურის ოდენი. კედლები აგებულია ერთმანეთზე დაწყობილი უზარმაზარი ქვებისაგან, უკიროდ. ოთხი კედლიდან ერთი, სამხრეთისა, მთლად დაანგრეულია, ხოლო დასავლეთისა ნახევრამდე დაშლილია. ყველაზე კარგად მოუღწევია ჩვენამდე ჩრდილოეთის კედელს, სადაც სჩანს შესავალი ციხეში. კედლების სისქე დაახლოვებით საეენია, ზოგან უფრო განიერი. არსად ემჩნევა არამცთუ რაიმე კვალი გათლილობისა, არამედ შემაერთებელი ცემენტისაც. ამასთანავე ერთად, გასაოცარია ჩვეულებრივი სიმარტივე გეგმისა, რომელიც გამოიხატება მხოლოდ გალაგნის ოთხკუთხედურ მოყვანილობაში ესე იგი სწორედ ისე, როგორც უმრავლეს შემთხვევებშია (მაგალითად, ნარდევანს და გიუმბეთს წალკაზე); და ამ მხრით ეს ციხე ბევრად განსხვავდება შენობათა იმ საკმაოდ რთულ და ნამეტნავად დახვანჯულ სისტემისაგან, როგორისაც არის ჩალდირის ნაციხარი ყარსის ოლქში და აგრეთვე მანგლისს ახლოს მდებარე ნაციხარ-ნაქალაქევი დოღმენებითურთ (იხ. ჩემი—К археологии и этнологии Туальской Осин, გვ. 264—266).

ჩემ მიერ აქ აღწერილ შენობათა გარდა, დღევანდელ საქართველოს ფარგლებში მოიპოვება სხვა ნაციხარ-ნაქალაქევეებიც „ციკლოპიური“ სისტემისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ: 1) პატარა ლიახვზე, აწრისხევსა და შულაურს შორის, 2) შავ არაგვზე ფასანაურის ახლოს, 3) ბაკურიანთან, 4) ქციის ხეობაში ხანდოს ახლოს, და სხვა. აგრეთვე, ვახუშტის თავის გეოგრაფიაში მოხსენებული აქვს რამოდენიმე პუნქტი ასეთი სახელწოდებებით: „ციხე ქაჯეთისა“, „ქაჯთა-ტუნი“ ანუ „ქაჯთა-ციხე“, რომლებსაც, როგორც ეტყობა, რაღაც კავშირი უნდა ჰქონდესთ ასეთივე აგებულობის შენობებთან.

გარდა ამისა, არსებულ ლიტერატურაში ჩვენ მოგვეპოვება ცნობები ზოგიერთი სხვა ნაციხარ-ნაქალაქევეებზე „ციკლოპიური“ სისტემისას ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებში, სახელდობრ: ერუშეთ-არტაანს (არდაგანს) ჩალდირის ციხე იმავე სახელწოდების ტბასთან (А. Ивановский, По Закавказью. Археологические наблюдения и исследования 1893, 1894 и

1896 г. г., — „Материалы по археологии Кавказа“, в. VI, М. 1911, стр. 81; შტრ. Е. Такайшвили. Христ. памятники, — იმავე სერიის № III, 1909, стр. 58—59), ჯავახეთს — აბული, ქეოროლლი, ს. სალამოს (საქართველოს ნაქალაქევათა ც (И. Ростомов, Ахалбалакский уезд в археологическом отношении, — „Сборник материалов для опис. мест. и племен Кавказа“, в. XXV, Тифл. 1898, стр. 24—26, 26—28, 29, 125—126).

სამწუხაროდ, ყველა ეს აღგილები მე ჯერჯერობით ნანახი არა მაქვს; ამიტომაც მათზე საუბარი შექნება სხვა დროს.

ახლა კი შევეცდები ერთგვარი დასკვნა გაუკეთო ზემორე ნათქვამს და უჩვენო მკითხველს, თუ რა მნიშვნელობა აქვს „ციკლოპიურ“ შენობათა აღმოჩენას საქართველოს პრაისტორიულ და პროტოისტორიულ ხანათა შესწავლისათვის.

* * *

როგორც ჩემს ნაშრომში „И археологии и этнологии Туальской Осии“ უკვე აღნიშნული მაქვს, „ციკლოპიური“ სისტემის შენობები ბევრად წინ უსწრობენ ქართული სახელმწიფოებრიობის დასაწყისს. მართალია, ასეთი სისტემის შენობათა აღმოჩენით თითქოს მტკიცდება ქართველი შემატიანის განცხადება იმის შესახებ, რომ არღამოს მთავრამდე, ე. ი. მე-IV-ე საუკუნემდე ქრ. წინ, „არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა“-ო, და ამის გამო „დაისწავლეს [ქართველნი] ქვითკირი“-ო (ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 10 — მ. ბროსეს გამ., გვ. 23), მაგრამ ეს ჩვენება გამოსაყენებელია მხოლოდ შესაფერი აღმშენებლობის განსაზღვრავად terminus post quem-ით. გარდა ამისა, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „ციკლოპიურ“ შენობათ საქართველოში არავითარი კვალი ლითონის (ბრინჯაოს, რკინის) ხმარებისა არ ემჩნევათ, ხოლო მე-IX—VII-ე საუკუნეებში ქაღდების სახელმწიფოში, რომელშიაც, სხვათა შორის, ნაწილობრივ საქართველოც შედიოდა, ციხე-ქალაქები შენდებოდა ხოლმე რკინის საუკეთესო იარაღების საშუალებით, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ეს შენობები გაცილებით წინ უსწრობენ ქაღდების ეპოქას ანდა, თუ ქაღდებს წინ არ უსწრობენ, გამომნატველნი არიან იმ აღმშენებლობისა, რომელმაც უხსოვარი დროიდან მოაღწია ქაღდების ეპოქამდე უკანასკნელთა კულტურული ზეგავლენისაგან ჯერ კიდევ თავისუფალ მხარეებში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს თავიდანვე კარგად სცოდნიათ „ციკლოპიური“ სისტემის შენობები, და მათ აღსანიშნავადაც შეუქმნიათ საუცხოვო ტერმინი: „გმირთ-ნაკვეთი“ ანუ „გმირთ-კვეთილი“, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყენოთ ამიერიდან შესაფერი აგებულობის ნაშთთა აღსანიშნავად: „გმირნაკვეთი“ ანუ „გმირკვეთილი“. და აი სწორედ ეს შენობებია, სახელდობრ მანგლისის ახლოს მდებარე „საკრ[იციისი“-ს დიდებული და გასაოცარი ნაციხარ-ნაქალაქევი, რომელსაც ფართო ნიადაგი და საფუძველი მიუცია ხალხის ფანტაზიისათვის ამირანის თქმულების იმ დეტალების მიმართ, შემდეგ სიტყვებში რომ გამოიხატება:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი, შეათენი ალგეთისნი...
უცხო მთაში კოშკი ჰნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,
ძმებმა გარშემოუარეს, ვერა ჰპოეს კარი მისი...

სირიის საიმპერიალიზმის, როგორც ნიგუში იმპერიალისტური პოლიტიკისა.

სირია ეს ის ადგილია ახლო აღმოსავლეთში, რომლის ხელში ჩაგდება და დასაკუთრება, დიდი ხანია (წარსული საუკუნის შუა წლებიდან) განზრახული მქონდა საფრანგეთის იმპერიალისტურ წრეებს და მათ მთავრობებს.

ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით სირიის საზღვრების აღწერას და დავკმაყოფილდებით მისი ტერიტორიის ადვილად გასათვალისწინებლად მხოლოდ ზოგადი გეოგრაფიული ხაზებით: დღევანდელ სირიას სევრის ხელშეკრულებამდე (10 აგვისტო 1920 წ.) შეადგენდა დამასკის და ბეირუთის ვილაიეტები, ნაწილები ადანის, ალემოს და დიარბექირის ვილაიეტებისა, სანჯაკი ბეტედინ (ჯებელ ლიბანი) და ნაწილი დეირ-ელ-ზოორის სანჯაკისა.

სევრის ხელშეკრულების ძალით სირია ჩამოსცილდა ოსმალეთს და ფაქტურად იქ დამკვიდრდა საფრანგეთის ხელისუფლება და მისი შეიარაღებული ძალა. საინტერესოა გამოვარკვეოთ, რა იზიდავდა საფრანგეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას სირიისაკენ? რით აიხსნება, რომ მოკიდებული 1840 წლიდან საფრანგეთი ყოველ ღონისძიებას ხმარობს რომ აქ თავის გავლენა და კაპიტალური განამტკიცოს?

პროფესორი გიუველენი თავის წიგნში „Que vaut la syrie“ ამბობს, რომ სირია ბუნებით ღარიბი ქვეყანაა: აქ მოიპოვება ცოტა რკინის მადანი, ცოტა ხრომი, ლიგნიტი, ასფალტი და მარილიო... და მართლაც სირია უნდა ჩაითვალოს მცირე-აზიის ერთ-ერთ უღარიბეს მხარედ.

ამით აიხსნება ის, რომ ყოველგვარი ცდა ადგილობრივად მრეწველობის დანერგვის და განვითარებისა ყოველთვის უშედეგოდ გათავდა. საფრანგეთის კაპიტალმა მოიწადინა აქ მეაბრეშუმეობის ევროპიულ ნიადაგზე დაყენება და მისი განვითარება თანამედროვე სამრეწველო ტექნიკის საშუალებით. ამ საქმეს მან მოჰკიდა ხელი თავიდანვე—1840 წლიდან. მაგრამ მალე დარწმუნდა მის უსარგებლობაში, მით, უმეტეს რომ სირიის მეაბრეშუმეობას ჩინეთ-იაპონიის კონკურენციამ მალე და ადვილად ძირი გამოუთხარა და სავსებით გაანადგურა. რადგან მრეწველობის სფეროში ფრანგულმა კაპიტალმა ხეირი და მოგება ვერ ნახა, ამიტომ მან ხელი მიჰყო საბანკო—საკომერციო ოპერაციების



წარმოებას და სარკინისგზო ამშენებლობას. საბანკო კაპიტალის მოქმედებას აქ ხელმძღვანელობდა უმთავრესად „ლიონის კრედიტი“ (Crédit Lyonnais) და სარკინისგზო ამშენებლობას—კი პარიზის „Régie générale des chemins de fer“, რომელიც აქ სირიაში მოეწვინა როგორც „Société Ottomane du chemin de fer Damas-Hama et Prolongements“ და რომელიც მალე მთელი სირიის რკინის გზების 40%-ის პატრონი შეიქმნა. გარდა ამისა ფრანგულმა კაპიტალმა ააშენა ბეირუთის პორტი, გაიყვანა ტრამვაი, ელექტრონი, ტელეფონები და სხ. ერთი სიტყვით, დიდ სიღრმეზე გაუშვა თავის ფესვები სირიაში და „ხაზენობა“ დაიწყო. რით აიხსნება ასეთი ძლიერი და დაჯინებითი ლტოლვა ფრანგული კაპიტალისა და საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა აქეთ—სირიისკენ? რით აიხსნება, რომ აქვე გვერდით მდებარე მდიდარ ბუნებრივი კლიმატი, რომელიც შესანიშნავ პირობებს წარმოადგენს უმაღლეს სამეურნეო კულტურისათვის (განსაკუთრებით ბამბის, რაც ასე ესაჭიროებოდა ყოველთვის ფრანგულ საქსოვ მრეწველობას) საფრანგეთის ყურადღებას და ინტერესს შედარებით ნაკლებად იპყრობდა.

ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სირია წარმოადგენს შესანიშნავ მოხერხებულ ბაზას იმპერიალისტურ და კოლონიალურ პოლიტიკისა აღმოსავლეთში. სირია ეს სტრატეგიულად მომარჯვებული და ძლიერი პოზიცია არის აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოქმედოთ და საბრძოლველად. სირია მდებარეობს სწორედ იმ გზაჯვარედინზე, სადაც ინასკვებიან ზღვის და ხმელეთის გზები მიმავალი აზიაში, აფრიკაში და ევროპაში. ძველთაგანვე სირია იყო ცნობილი, როგორც ერთად ერთი გზა და ხიდი საერთაშორისო ვაჭრობისა და მისვლა-მოსვლისა. თავის თავად სირია წარმოადგენს გეოგრაფიულ ცენტრს ეგვიპტისა, მესოპოტამიისა, მცირე აზიისა და არაბეთისას. ყველა ეს მდიდარი და ევროპის სახელმწიფოებისათვის მუდამ საბარბიელო ქვეყნებში მის გარშემო არიან მოთავსებული. მის ტერიტორიაზე ეხლა გაშლილია რთული ქსოვილი რკინის გზებისა, რომელთა საშუალებით ეგვიპტის რკინის გზები გადაბმულია ბაღდადის რკინის გზაზე და ყველა მისი შესანიშნავი ნავთსადგურები: ალექსანდრეტა, ტრიპოლი და ბეირუთი რკინის ხაზებით უერთდებიან მასვე.

გარდა ამისა სირია, ეხლა კიდევ, როგორც ძველად, ასრულებს საქარავნო ვაჭრობის სადგურის დანიშნულებას უმთავრესად არაბეთსა და მესოპოტამიას შორის. ეგრედ წოდებული ბაღდადის დიდი გზა, რომელიც აერთებს ევროპასა და აზიას, მოიმართება სირიის ჩრდილოეთით, უღლის არაბეთს აღმოსავლეთით სურის მესოპოტამიას, ირაქს და სპარსეთის საზღვრებს ებჯინება—სპარსეთის ზღვის ყურესთან. სირიაზე გადის რკინის გზა, რომელიც სურის პალესტინას, არაბეთს, გეჯასს, გაივლის მედინაზე და მექაზე და უერთდება წითელ ზღვას ჯედაში.

მთელი თავის დასავლეთი მხრით სირიას უჭირავს აღმოსავლეთი ნაპირები ხმელთა შუა ზღვისა და ჩრდილოეთით ესამზღვრება ანატოლიას (თანამედროვე ოსმალეთს). აქედან აშკარაა ის დიადი სტრატეგიული მნიშვნელობა ამ პატარა ტერიტორიისა, რომელიც ასეთი დაუძლეველი ძალით იზიდავდა

თავიდანვე ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. სირიის დაუფლება და დასაკუთრება იძლევა ძლიერ იარაღს ევროპის სახელმწიფოებს საკოლონიო გზების გადასაჭრელად და ამრიგად მათგან აღმოსავლეთის კოლონიების მოსაწყვეტად. აქედან ადვილად იშლება პერსპექტივა აღმოსავლეთის ბაზრების დაპყრობის და დაპატრონებისა. ეს მნიშვნელობა სირიისა ყველაზე ადრე და კარგად საფრანგეთმა შეითვისა, და ამით აიხსნება ის, რომ დღეს სირია სრულ მის განკარგულებაში იმყოფება.

1919 წელს იანვარში სირიის საკითხის შესახებ მოწვეულ კონგრესზე მარსელში ის აზრი იყო მკაფიოდ გატარებული, რომ ბეირუთი და ალექსანდრეტა მარსელის ნავთსაგურის ბუნებრივ დამატებას და გაგრძელებას წარმოადგენენო. ინგლისის ინტერესებისათვის სირია დიდად საშიში და სახიფათოა. აქ გამაგრებული მტერი პირდაპირ ემუქრება სუეცის სრუტეს და ეგვიპტეს—ერთი მხრით და მესოპოტამიას და ინდოეთს—მეორე მხრით. ამით აიხსნება ის, რომ წარსული დიდი იმპერიალისტური ომის დროს მეოთხე ოსმალური არმია ჯემალ-ფაშას¹ სარდლობის ქვეშ აიძულებდა ინგლისელებს დიდძალი ჯარები გაეჩორებიათ ეგვიპტეში მოსალოდნელი და შესაძლებელი თავდასხმის ასაცილებლად, ამიტომ სირიის გარშემო ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს უპირდაპირდებოდნენ და ეხლებოდნენ. მაგრამ ამ ინტერესთა ქიდილში ბოლოს გაიმარჯვა საფრანგეთმა. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო ადგილის დაკარგვა ოსმალეთისათვის დიდ დანაკლისს და ზიანს შეადგენს. ამიტომ ოსმალეთს დამშვიდებულის გულით არ შეუძლია უცქიროს ასეთ გემრიელ ლუკმას მის პირიდან გავარდნილს და საფრანგეთის ჯამში ჩავარდნილს.

ამით აიხსნება ის მუდმივი შეხლაშემოხლა და სისხლის ღვრა, რომელიც სწარმოებს სირიისა და ოსმალეთის საზღვრებზე. ცხადია, რომ დღევანდელი განახლებული, მაგრამ სუსტი და ღარიბი ოსმალეთის ხელში გადასვლა სირიისა დიდად გაზრდიდა მის საერთაშორისო მნიშვნელობას, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა და განხორციელება, ჩვენის აზრით, ქემალის მთავრობისათვის ყოველად შეუძლებელია. საფრანგეთი მას არც ნებით და არც ძალით არ დაუთმობს სირიას, რომელიც ამდენი ხნის სანატრელი და სადაო იყო მისთვის. ასე რომ სირია ოსმალეთისათვის მხოლოდ მიუწოდონელი ოცნებაა.

რა არგუმენტებზე ამყარებს საფრანგეთი თავის ბატონობას სირიაში, ან ოსმალეთი თავის წადილებს?

ცნობილია, რომ იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯა, კოლონიალური ბანდიტიზმში და ჩამორჩენილი ქვეყნების და ხალხების დაპყრობა-დამონება ყოველთვის იმოსება პუმანიურ-იდეოლოგიურ სამოსელში. იმპერიალისტურ ავაზაკთა დროშაზე, რომელნიც თავს ესხმიან კოლონიალურ ქვეყნებს, ყოველთვის მორალური, უფლებრივი, ისტორიული და სხ. ლოზუნგები აწერია, რომ ამით უკეთ დაჰფარონ ხიშტი ხალთაში, მაღალ და განყენებულ მოსაზრებათა სამოსელში გაახვიონ შიშველი ავაზაკური ავანტიურა. სირიის მაგალითიც ამის უტყუარი

¹. ეს ის ჯემალ-ფაშაა, რომელიც თბილისში მოკლეს შარშანწინ.



და აშკარა მაჩვენებელია. სირია წარმოადგენს ტერიტორიას, რომლის სივრცე განიზომება დაახლოვებით 155 ათას ოთხკუთხი კილომეტრის მანძილზე. ფარგლებში ცხოვრობს 3.000.000 მცხოვრები.

თავის თავად ცხადია, რომ, რადგან სირია ძველთაგანვე წარმოადგენდა საქვეყნო სავაჭრო გზების ჯვარედინს და სადგურს, ეთნოგრაფიული შემადგენლობა მისი მცხოვრებლებისა ძალიან ჭრელია. აქ ცხოვრობენ გარდა არაბებისა ებრაელები, ქურთები, თურქები, სპარსელები, პერძები, ჩერქეზები, დეკანტინელები, დრუზები, ევროპელები და სხ.

მაგრამ არაბები შეადგენენ გაცილებით დიდ უმრავლესობას. მოკლედ რომ ვთქვათ, სირია არაბეთის ნაწილია, არაბული ქვეყანაა, რომელიც კულტურით, ისტორიით, მდგომარეობით დაკავშირებულია ეგვიპტესთან და სხ. არაბულ ქვეყნებთან.

სირიის ინტელიგენცია თავგამოდებით ებრძოდა ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკას თავის ნაციონალური ინდივიდუალობის და სახის შესარჩენად, რადგან ეს პოლიტიკა ისახავდა მიზნად ქვედა ოსმალეთის სახელმწიფოში შემავალ-ნაციონალურ მასების ოტომანიზაციას, ე. ი. გათურქებას. სირიის მოწინავე საზოგადოებრივი ელემენტები, დევნილნი სულთანის მთავრობის მიერ, გარბოდნენ ეგვიპტეში და აქ განაგრძობდნენ მუშაობას საერთო არაბულ ნაციონალურ საქმისათვის. ამნაირად, ოსმალეთის პროტენზიები სირიის მიმართ, რომლებმაც დღეს ასეთი მწვავე ხასიათი მიიღეს, არაფრით არ მართლდებიან, გარდა იმისა, რომ იგი დაპყრობილი და დამონებული იყო ოსმალების მიერ (სულთან სელიმის მიერ 1517 წ.) და მას შემდეგ განუწყვეტლივ გმინავდა სულთანების უღელ ქვეშ. ყოველი ცდა სირიელებისა, მიმართული მათი უუფლებო და უმწეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სასტიკათ იტუქსებოდა და ისჯებოდა.

ოსმალეთის პირველ რეეოლუციის შემდეგ (1908 წ.), როცა მთავრობა ახალგაზრდა ოსმალთა პარტიამ შეადგინა, სირიის მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. მიუხედავად იმისა, რომ ენვერის პარტიამ არაბთა კონგრესის კომიტეტს (1913 წელს პარიზში) აღუთქვა მრავალი უფლებები და შეღავათები, როგორც მაგალითად არაბულ ენაზე სწავლება სასწავლებლებში, მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცების თავიანთ სამშობლოში დატოვება და სხ., მაგრამ ეს დაპირება სილაზე დაწერილი დარჩა. ასე რომ სირიას ოსმალეთის მხრით ჩაგვრის და ძალმომრეობის მეტი არაფერი უგემებია.

საფრანგეთიც შორეულ ისტორიას მიმართავს თავის ბატონობის გასამართლებლად სირიაში. იმ ფაქტიდან, რომ ჯვაროსანთა ომის დროს სირია დაიპყრეს გოტფრიდ ბუდონელმა და გიუ ლეზინიანმა, და შემდეგ ფრანცისკ I-ის და ლუდოვიკო მე-XIV-ის დროს საფრანგეთმა მიიღო უფლება მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანობის დაცვის და მფარველობისა, აქედან ფრანგ პოლიტიკოს-ისტორიკოსებს ის დასკვნა გამოაქვთ, რომ ერთად ერთი მემკვიდრე ამ ქვეყნისა საფრანგეთია.

გარდა ამისა საფრანგეთი თავის უფლებებს ამყარებს ფაქტიურ მდგომარეობაზე.



რეობაზე, ე. ი. იმ რკინის გზებზე, ნავთსადგურზე, სასწავლებლებზე, მონასტრებზე და სხ., რომელიც მან ააშენა სირიაში. ერთი სიტყვით, რომელიც გასწია მან ეკონომიურ და, ასე ესთქვათ, სულიერ კულტურის სფეროში, გამოჰყავს მას პოლიტიკური უფლება მფლობელობისა. მართალია, საფრანგეთმა ააშენა სირიაში მრავალი სასწავლებლები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ყოველგვარი თავშესაფრები და სხ. მრავალმა სასულიერო ორდენებმა, სამისიონერო ორგანიზაციებმა, იეზუიტებმა და სხ. მოჰფინეს სირია შკოლებით და, წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტიც-კი ააშენეს ბეირუთში, მაგრამ ყოველივე ეს განზრახული იყო მხოლოდ საფრანგეთის იმპერიალისტური გავლენის გასამტკიცებლად.

პირველად საფრანგეთმა ფეხი მოიკიდა და მოიმაგრა ლიბანში. ლიბანი მოთავსებულია შუაგულ სირიაში. წარმოადგენს მთიან და ძალიან მჭიდროდ დასახლებულ ადგილს. აქ სცხოვრობენ დრუზები (მაჰმადიანური სექტა) რიცხვით 100 ათასამდე და მარონიტები (კათოლიკები) რიცხვით 300 ათასამდე. ამ ორ მთიულ ნაციონალურ ჯგუფთა შორის თავიდანვე არსებობდა შეურიგებელი მტრობა და შურისძიება. ფრანგებმა თავის გავლენის და პოლიტიკის დასანერგავად და გასატარებლად, რასაკვირველია, აირჩიეს სარწმუნოებით თანავარი—მარონიტები... დრუზების და მარონიტების დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ 1860 წ. იგი საშინელ ელვტად და სისხლის ღვრად გადაიქცა. საფრანგეთსაც ეს უნდოდა, ამას ელოდა. იგი მსწრაფლ ჩაერია ამ ბრძოლაში და დაუყოვნებლივ ლიბანის ოკუპაცია მოახდინა. ამნაირად ჩაიგდო საფრანგეთმა ლიბანი ხელში. სულთანის მთავრობა იძულებული შეიქნა ლიბანისთვის განსაკუთრებული უფლებები მიენიჭებია და იგი ავტონომიად ეცნო.

საერთოდ-კი სირია დიდი იმპერიალისტური ომის დაბოლოვებამდე ოსმალეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდა, სადაც ყველაზე უფრო მაგრად იკიდებდა ფესვებს საფრანგეთის გავლენა და კაპიტალი. ომის დაწყებისთანავე სირია მოექცა ანტანტის (ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის) კომბინაციების რკალში. ინგლის-საფრანგეთმა განიზრახა ესარგებლებიათ იმ მტრული განწყობილებით, რომელიც არსებობდა ოსმალთა და არაბთა შორის და გადაექციათ იგი ფაქტორად ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ მიზნის უკეთ განსახორციელებლად ინგლისელებმა 1914 წლის ბოლოს შეადგინეს პროექტი არაბეთის სახელმწიფოს დაარსებისა, საკუთარი კოროლით სათავეში, რომელიც იმავე დროს უნდა ყოფილიყო მთელი მაჰმადიანობის სულიერი მოძღვარი, ე. ი. ხალიფი. ეს ახალი არაბული სახელმწიფო—პროექტის ავტორების აზრით—ინგლისის პროტექტორატის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ინგლისის იმპერიალისტური განზრახვა ამ პროექტში აშკარად გამოსჭვივოდა. მას უნდოდა: 1) ოსმალეთის დასუსტება არაბების აჯანყებით მის წინააღმდეგ და არაბთა ტერიტორიების ჩამოცილებით; 2) არაბთა სიმპატიების ნობვეჭა, მათ შორის თავის გავლენის და ავტორიტეტის დამკვიდრება არაბული სახელმწიფოს დაარსებით და მისთვის ხალიფატის უფლებების მინიჭებით. 3) ამ საშუალებით არაბული კოლონიების—ეგვიპტის, ალჟირის, ტუნისის და მაროკოს—დაწყნარება და დამშვიდება და ამით თავის



მოკავშირის—საფრანგეთის—უზრუნველყოფა ყოველგვარი უკმაყოფილებისა, ან აჯანყებისაგან.

ეს იდეა—არაბთა ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ—დაეცა ძალიან ნოყიერ ნიადაგზე, რომელიც მომზადებული იყო არაბთა ადრინდელი ნაციონალური მოძრაობით. კანდიდატათ არაბთა სახელმწიფოს ტახტზე—ინგლისმა აირჩია მექის შერიფი ხუსეინი. ფანატიურ არაბულ მასების თვალში მექის შერიფის რელიგიოზური ავტორიტეტი უზენაეს სიმაღლეზე იდგა და ამიტომაც შეჩერდა ინგლისი თავის არჩევანში მასზე. ხალიფატის და არაბეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ უნდა აეტეხა ხუსეინს ომი ოსმალეთისათვის. 1915 წლის ივლისიდან იწყება მიწერა მოწერა გენრი მაკ-მაგონის (ინგლისის რეზიდენტი ქაირში) და ხუსეინის შორის მომავალი არაბული სახელმწიფოს საზღვრებისა და სხვა პირობების შესახებ. ამავე წლის 24 ოქტომბერს ორივე მხარე აწერს ხელს მორიგებას, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ინგლისი იმ პირობით იცნობს არაბთა დამოუკიდებლობას, თუ ისინი აჯანყდებიან ოსმალეთის წინააღმდეგო. რაც მნიშვნელოვანი ადგილები და რაიონები იყო ინგლისმა სრულებით გამოსხლიტა მორიგებიდან (ბასრა—ბაღდადის რაიონი, ალექსანდრეტი, მერსინა და სირიის ნაპირები) და მიინიჭათვით უფლება თავისუფალი მოქმედებისა. არაბებს ამ მორიგების მიღების შემდეგ მართლაც აჯანყდნენ და დაუჭირეს მხარი ინგლისის ჯარებს სირიაში. ამნაირად ინგლისმა მოატყუა არაბები და დამოუკიდებლობის დაპირებით, გამოიყენა ისინი ოსმალეთის წინააღმდეგ და თვითონ ხელთ იგდო არაბეთის ტერიტორია. ერთი სროლით ორი კურდღელი მოკლა. მაგრამ აქვე იყო მისი მოკავშირე საფრანგეთი, რომლისთვისაც ინგლისს ანგარიში უნდა გაეწია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო განხეთქილება. და აი გაიმართა მოლაპარაკება მარკ სექსისა (ინგლისი) და ჯორჯ პიკოს (საფრანგეთი) შუა „დამოუკიდებელი არაბეთის“ ერთიერთ შორის გაყოფის შესახებ, რომელიც დამთავრდა მორიგებით 16 მაისს 1916 წ. ამ მორიგებას ხელი მოაწერეს გრემ და კამბონმა—ორივე მხარის წარმომადგენლებმა. ამ მორიგების ძალით საფრანგეთს უნდა მიეღო თავის სრულ განკარგულებაში, ე. ი. ანექსიის სახით კილიკია, ქურთისტანის ნაწილი და სირიის განაპირა ადგილები. მის ფორმალურად და არა ფაქტიურად შეზღუდულ განკარგულებაში გადადიოდა: სირიის მთელი ტერიტორია და აგრეთვე მოსულის ოლქი, სადაც ინგლისელები იტოვებენ მხოლოდ ნავთის კონცესიებს. გარდა მოსულის ნავთის რაიონისა ინგლისელები ებატრონებოდნენ კიდევ ოსმალეთის სხვა ნაწილებს.

ერთი სიტყვით ჯერ დათვი (ოსმალეთი) მოკლული არ იყო, რომ იმპერიალისტები მის ტყავს იყოფდნენ ერთმანეთ შორის. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინგლისელების მიერ მოტყუებულმა არაბებმა თავის აჯანყებით ხანჯალი ჩასცეს ისედაც სულთმობრძავე ოსმალეთს ზურგში და ამით სწრაფი და ურყევი გამარჯვება არგუნეს ინგლისის ჯარებს. გენერალმა ალენბიმ (ინგლისის ჯარების სარდალმა) დაიკავა სირია 1917—1918 წ.წ. და თავის სამხედრო ძალა-უფლების სფეროში მოატყვია ის ტერიტორიებიც, რომელნიც 1916 წლის მორიგების



ძალით საფრანგეთის ხელში უნდა გადასულიყო. ამნაირად, ინგლისმა მოიწადინა მორიგების გაუქმება და თავის მოკავშირე საფრანგეთის დასრულებული ფაქტის წინაშე დაყენება. ესე იგი იმპერიალისტურმა სინარბემ სძლია მძარცველთა შეგობრობას და ინგლისმა საფრანგეთი ყინვაზე გააცურა. ამ „მოღალატეობაში“ გამოიწვია დიდი უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთ შორის. ინგლისი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა რამენაირად გვერდი აეხვია 1916 წლის ხელშეკრულებისათვის და სირიის საფრანგეთისთვის გადაცემა რაც შეიძლება გაეჭიანურებოდა. ამ მიზნით მან თავის ნაცად და ნახმარ იარაღს მიმართა: მან დასთესა არაბთა მასებში საფრანგეთის წინააღმდეგ უკმაყოფილება და შეჭმნა მოძრაობა ამ ნიადაგზე, რომ ამით არაბთა და ოსმალთა ტერიტორიების შესახებ დავა და ცილობა თავის სასარგებლოდ გადაეჭრა. ინგლისი ასეთ ინტრიგანულ პოლიტიკას აწარმოებდა საფრანგეთის წინააღმდეგ, ვიდრე სანრემოს კონფერენციამდე (1920 წლის აპრილში). ინგლისელებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ აქ არაბეთში—განსაკუთრებით სირიაში, თავის ძალა-უფლება და გავლენა დაემკვიდრებიათ და საფრანგეთისთვის მხოლოდ ფორმალური, უმინაარსო და დამოკიდებული როლი ერგუნებიათ. ეს გეგმა კიდევ განახორციელეს მათ დროებით: არაბთა მიწების და სირიის ბედის და ცხოვრების გამგეთ ინგლისის მთავრობამ დანიშნა თავის უზენაესი მმართველი. ამისაგან საფრანგეთის წარმომადგენელი იღებდა მხოლოდ მანდატს სამოქალაქო წესწყობილების მოსაწყობად სწორედ იმ ტერიტორიებზე, რომელნიც 1916 წლის ხელშეკრულებით (იხ. ზევით) მის უშუალო განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ. ეს მიწები ორ კატეგორიად იყო განაწილებული 1916 წლის ხელშეკრულების ძალით. პირველი კატეგორია, ე. წ. „ციხფერი“ ზონა შეიცავდა: კილიკიას, ქურთისტანის ნაწილს და სირიის ნაპირებს ზღვის მხრით. ამ ზონას საფრანგეთი უნდა დაჰპატრონებოდა ანექსიის უფლებით და თავის განუსაზღვრელ სურვილისამებრ მოეწყო აქაური საქმე. მეორე („ვარდისფერ“) ზონაში შედიოდა: სირიის დანარჩენი ნაწილი, ქალაქები: ალექსანდრეთა, ხომსი და დამასკი და მოსულის რაიონი, გარდა ნავთის კონცესიებისა, რაც ინგლისელებს რჩებოდათ, და ნავთსადგურის ალექსანდრეთასი, რომელიც თავისუფალ პორტად ცხადდებოდა. ამ ზონაში საფრანგეთს ეძლეოდა სრული უპირატესობა და უაღრესობა ყველაფერში და ევალებოდა დაეცვა „დამოუკიდებელი“ არაბთა სახელმწიფო. ე. ი. მგელს უნდა დაეცვა კრავის ხელუხლებლობა.

ასეთი იყო პირობები, ასეთი იყო გარიგება, რაც ინგლისის მთავრობამ, ლორდ ალენბის გამარჯვებით გაღიზიანებულმა, მოინდომა გაეუქმებია და საფრანგეთი მშრალზე დაეტოვებია. ამ ნიადაგზე, როგორც აღვნიშნეთ, ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება ძალიან გამწვავდა, და უკმაყოფილება მათ შორის ასუსტებდა მათ საერთო იმპერიალისტურ პოლიტიკას აღმოსავლეთში და აძლიერებდა არაბთა ნაციონალურ მოძრაობას. ინგლისი იძულებული შეიქნა განეხორციელებია ადრინდელი პირობა (1916 წ.) საფრანგეთთან და უკმაყოფილება მასთან ამით ამოეწურა. და მართლაც, ინგლისის ჯარები შეიცვალა საფრანგეთის ჯარებით „ციხფერ ზონაში“ და დანარჩენ ტერიტორიებზე საფრანგეთს მიენი-



ქა ზემოდ უკვე აღნიშნული უფლებები. მაგრამ რა მოიგეს არაბებმა იმით, რომ ინგლისის ხიშტი საფრანგეთის ხიშტით შეიცვალა? იმისა, რომ თანახმად ინგლისის და ხუსეინის ხელმოწერილი გარიგებები, არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფო მოკიდებული სპარსეთის ზღვის ყურედან ხმელთა-შუა ზღვამდე, არაბთა მიწები იმპერიალისტთა საკოჭაოდ გადაიქცა და არაბთა ნაციონალური ინტერესები ხან ინგლისის ხიშტის წვერზე ეკიდა და ხან საფრანგეთის.

ინგლისის ასეთმა მუხანათურმა პოლიტიკამ დიდად ააღელვა არაბთა მასები და მთელ სირია-კილიკიაში დაიწყო აჯანყებები, რასაც ხელს უწყობდა მუსტაფა-ქემალი თავის ჯარებით.

საფრანგეთ-ინგლისის წინაშე დადგა სერიოზული საკითხი თავიანთ პლანების გადასინჯვის და, ახალი, თვალების უკეთ ამბმელი, პოლიტიკის შემუშავების შესახებ, რასაც მათი იმპერიალისტური ზრახვები უფრო მოხერხებულ და მოქნილ ფორმით უნდა გაეტარებია. აუცილებელი იყო ამბოხური მოძრაობის ლიკვიდაცია და გულგატეხილი არაბებისათვის შხამიანი თავლის წასმეტუჩებზე. ამ მიზნით ინგლისს-საფრანგეთმა გადასწყვიტა დაპირებული „დამოუკიდებლობის“ განხორციელება: არაბული სახელმწიფოების დაარსება და მათ სათავეში ხუსეინის—მეჰის შერევის—შვილების დაყენება. გეგმა დამყარებული იყო ორ მომენტზე: ფიქტიური დამოუკიდებლობის დაწესებაზე და ამისათვის რელიგიოზურ ფაქტორის გამოყენებაზე. სამაგიეროდ-კი არაბებს უნდა აღეთქვათ მათთვის იახმარება მუსტაფა-ქემალის წინააღმდეგ კილიკიაში და მთელი ოსმალეთის განზრახულ დაყოფის განხორციელებაში. ეს ახალი ხელმწიფებები უნდა დაეჯინათ დამასკში (სირია) და პალესტინაში. ასეთი ფიქტიური დამოუკიდებლობით მოკავშირენი ლამობდნენ არაბთა გულის მოგებას, თავის გავლენის განმტკიცებას მათ შორის და მათი ძალების ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყენებას... ამ ჯოჯოხეთური გეგმის განხორციელება მიენდო გენერალ გუროს. გენერალი გურო დიდად ცნობილი და გამოჩენილი პიროვნებაა აღმოსავლეთში. იგი საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის ყველაზე უფრო სასტიკი, ცოფიანი და მედგარი დამცველი და გამტარებელია. მას კარგად იცნობენ აღმოსავლეთის ხალხები, არა მხოლოდ ისინი, რომელნიც მოთავესებულნი არიან „თავისუფალ რესპუბლიკის“ მომაკვდინებელ გავლენის ფარგლებში, არამედ ისინიც, რომელნიც მათ მეზობლად და შორი-ახლოს ცხოვრობენ.

გენერალ გუროს დანიშნა, რასაკვირველია, კარგს არაფერს მოასწავებდა თუმცა „ბებური ვეფხვი“ საფრანგეთის იმპერიალიზმისა კლემანსო თავის პროკლამაციაში (10 ნოემბერს 1919 წელს) ამის შესახებ ფლიდი უმანკოებით იუწყებოდა, რომ გენერალ გუროს ევალება მხოლოდ ხელი შეუწყოს და მოეხმაროს არაბებს წესიერების აღდგენაში. ეს წესიერების აღდგენა, რასაკვირველია, იმით გათავდა, რომ გურომ მალე მთელი სირიის ოკუპაცია მოახდინა და ხიშტის წვერზე წამოაგო, როგორც აღთქმული პირობები და დაპირებანი, ისე ხალხის იმედები და სურვილები. სირიის შუა ნაწილი (ალეპო, ზომსი, ზამა, დამასკი) შეადგენდა ვითომც დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოს



და აქ გუროს ზიშტი არ უნდა შემოკრილიყო. ასეთი პიკუნდა მას თეოციკალური დავალება. გარდა ამისა გუროს უნდა შეეცვალა ინგლისური „ცისფერი ზონაში“, ე. ი. კილიკიაში და სირიის განაპირაში. თვით კი მოთავსდა ბერეთში და აქედან შეუდგა გეგმის განხორციელებას. ამასობაში საფრანგეთის მთავრობამ იმავე გეგმის თანახმად (ე. ი. ფიქტიური დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს დასაფუძნებლად) შეითანხმა ხუსეინის შვილი—ემირი ფეისალი და ხელი მოაწერია პირობას (პარიზში 1920 წ. იანვარში), რომლის ძალითაც ფეისალი საფრანგეთის აგენტობას კისრულობდა და საფრანგეთი კი მას პირდებოდა დახმარებას „დამოუკიდებელ“ სირიაში. მანამდე კი (1919 წ. დეკემბერში) ფეისალი დაიმსახურა, რამოდენიმედ ხალხის თანაგრძნობა, საფრანგეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებით (მან შემოიღო თავის სამფლობელოში საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რითაც გააძლიერა ჯარი, აკრძალა სურსათის გატანა ფრანგულ ზონაში და ფრანგების მიერ განზრახულ სირიული ფულის გამოშვებას აღრევე ბოიკოტი გამოუცხადა) ასე რომ, როცა 8—11 მარტს 1920 წელში დამასკში მოწვეულ იქმნა სირიის ნაციონალური კონგრესი, სირიის და პალესტინის კოროლად აირჩიეს ემირი ფეისალი. სწორედ ამავე დროს იქვე—დამასკში, მოწვეული იყო მესოპოტამიის ნაციონალური კონგრესი, რომელმაც თავის, ე. ი. ირაქის კოროლად აირჩია მეორე შვილი ხუსეინისა—**აბდულა**. ხუსეინის მესამე შვილი—კი **ზენდი** დანიშნა ირაქის რეგენტად. ამნაირად, ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკამ მთელ აზიურ არაბეთის სათავეში მოაქცია ხუსეინის ოჯახი: მამა მისი სამივე ვაჟით.

მაგრამ საქმის ასე მოწყობამ სრულებით ვერ გადასწყვიტა საკითხი და ვერ შექმნა გამოსავალი ამ საოცრად გართულებულ მდგომარეობიდან.

მალე აჯანყების აღი მოედვა მასებს. როგორც თვით საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში (ე. ი. ცისფერი ზონა: კილიკია, ზღვის ნაპირა სირია), ისე ფეისალის სახელმწიფოს მხრიდან, ფრანგულ ჯარებს ესხმიან თავს არაბები და დიდ ზიანს და ზარალს აყენებენ მათ. მდგომარეობა იქმნება ფრიად კრიტიკული საფრანგეთის პოლიტიკისა და მისი შეიარაღებული ძალებისათვის. აჯანყებულთა რევულიარული კავშირი აქვს ქემალის ჯარებთან, რითაც საშიშროება საფრანგეთისათვის უფრო იზრდება—და აი 1920 წელს აპრილში სან-რემოს კონფერენცია აძლევს საფრანგეთს მანდატს მთელ სირიაზე. რასაკვირველია, ამ აქტივანთებული ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი იყო.

პირიქით აჯანყება და უკმაყოფილება კიდევ უნდა გაზრდილიყო და გაძლიერებულიყო. ასეც ხდება. საფრანგეთის მთავრობის მიზანი და წადილი სავსებით აშკარადდება და მხილდება: მას უნდა მდგომარეობა ისეთ ნაირად გაამწვავოს, რომ შეიარაღებული ჩარევა საქმეში და ცეცხლ-მახვილით თავის სასარგებლოთ საკითხის გადაჭრა გაადვილოს და გაამართლოს. მეორე მხრით დამასკის მთავრობას, ე. ი. ფეისალს, ესპობა აღთქმული დახმარება და იგი ფინანსური კრიზისის მსხვერპლი ხდება. უკანასკნელი გადამწყვეტი წუთი ახლოვდება და აი, ოდესღაც ყოფილი სოციალისტი ეხლა კი პირწავარდნილი იმპერიალისტი—**მილიერანი** იღებს ხელში ხმალს და, როგორც მთავრობის თავმჯდომარე.



ბრძანებას აძლევს გენერალ გუროს დაეცეს სირიის და ლახვარი ჩასცეს გულში. 14 ივლისს 1920 წელს გურო უდგენს ფეისალს საბედისწერის პროექტს, რომელიც სასიკვდილო განაჩენს ემზავსება:

1) რკინის გზის ხაზის-რეინა კალეპო, — რომელიც სურის სირიის შუაში, საფრანგეთის კონტროლის ქვეშ გადასვლა; 2) ამ ხაზზე მდებარე სადგურების ოკუპაცია; 3) ფრანგული ფულის შემოღება; 4) ფრანგული ენის ოფიციალურ ენად გამოცხადება; 5) საფრანგეთის მანდატის ცნობა და მიღება; 6) მემამბოხეთა დასჯა.

თვით ფეისალი — ეს ინგლის-საფრანგეთის ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე მთელი მისი პარტიით და მთავრობით დასთანხმდა ულტიმატუმის პირობებზე... მაგრამ სირიის კონგრესის მეორე ნაწილმა, რომელიც მის უკიდურეს ნაციონალისტურ და დემოკრატიულ ფრთას შეადგენდა, დაჰკმომ ულტიმატუმში. მოითხოვა არსებული მთავრობის გამოცემა და მხურვალე პროტესტში გამოსვლა თქვა თავის აღშფოთება. ამ შინაურმა უთანხმოებამ იქამდი მიაღწია, რომ იგი ხელწართულ ბრძოლად გადაიქცა, რომელშიაც მოკლული იყო 50 დემოკრატი. საფრანგეთის მთავრობასაც სწორედ ეს უნდოდა. შინაური უთანხმოება და ბრძოლა სრულებით აადვილებდა ოკუპაციის გეგმას და გუროს ოპერაციას. რასაკვირველია საფრანგეთის მთავრობის დირექტივა — სირიის საბოლოო ოკუპაცია — წარმოადგენდა შეურყეველ გადაწყვეტილებას და ამიტომ არსებითად ულტიმატუმის მიღებას ან მიუღებლობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამას სრულიად ურცხვად აცხადებდა და აღიარებდა საფრანგეთის მთავრობის ოფიციალში „temps“ — 23 ივლისს (1920 წ.) იგი სწერდა: „ფორმალური ცნობა ულტიმატუმისა, სრულებით არ შეაჩერებდა გენერალ გუროს მიერ დაწყებულ ოპერაციას“-ო. აქედან აშკარაა, რომ ულტიმატუმი წარდგენილი იყო მხოლოდ იმ აზრით, რომ თვით არაბთა წრეებში, მათ პარტიათა შორის, განხეთქილება და შეტაკება გამეოწვია, რაც რამოდენიმედ ამსუბუქებდა დასახულ მიზნის მიღწევას. და აი გურომ რამოდენიმე დღის განმავლობაში (23—25 ივლისი 1920 წ.) თვით და სენეგალელ მსროლელთა ოთხმოცი ბათალიონით, ჯავშნიან ავტომობილებით და ჰაერობლანებით გააცამტვერა სირიის დამოუკიდებლობა: დაიკავა დედა ქალაქი-დამასკი და სხვა ქალაქები.

ფეისალი გაიქცა ხაიფში ინგლისელებთან, რომ ახლო მომავალში მათ მიერ დაგერშილი ირაქის კოროლად მოვლინებოდა ქვეყანას. ამნაირად მოხდა ეს Coup d'etat, სირიის სახელმწიფოს ლიკვიდაცია და მისი ტერიტორიის ოკუპაცია, რომლის შესახებ იგივე მილიერანი სწერდა Temps“-ში, ფრანგულმა ჯარებმა დაიკავეს სირია, იმიტომ რომ „დაიცვან სირიაში მცხოვრები ხალხების შესახებ ამათ თვითონვე მოგვმართეს ხვეწით და თხოვნითო“. იმპერიის ლისტ მილიერანის სიტყვით სირიის დამოუკიდებლობის და თავისუფლების განადგურება და მისი კოლონიალური დამონება დიდ ბედნიერებად უნდა მოვლინებოდა ხალხს. ეს საზიზღარი კაცისმჭამელი პოლიტიკოსი არწმუნებდა გულუბრყვილოებს, რომ საფრანგეთმა მოიმოქმედა დიდათ ჰუმანიური საქმე. მაგრამ არაბული ნაციონალისტები და რევოლუციონერები ამ გულუბრყვილოთა



წრეს არ ეკუთვნოდნენ. თავისი განწყობილება ახალ მდგომარეობაში მათ გამოამჟღავნეს შესანიშნავ რევოლუციონურ აქტებში. კლემენტ დოუგლსმა, მატარებელს, რომლითაც მიემგზავრებოდა ფრანგების მიერ ახლად შედგენილი მთავრობა და გაჟლიტეს იგი: მოჰკლეს მთავრობის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვები. გარდა ამისა მათ ასტეხეს ძლიერი აჯანყება ხარუანში და აქ თავგამეტებული ბრძოლით და დაუზოგველი სისხლისღვრით დაუმტკიცეს ქვეყანას თავისი შეურიგებელი მტრობა და მძულვარება მათი უფლებების და იდეალების შემბლაღველთა მიმართ. ეს საუკეთესო პასუხი იყო მილიერანის ურცხვ განცხადებაზე.

ამნაირად სან-რემოს კონფერენციის დადგენილებანი განხორციელდა. საფრანგეთი დაეპატრონა სირიას და კილიკიას, ინგლისი კი მესოპოტამიას და პალესტინას. მაგრამ ინგლისი, რომლის ჯარებსაც 1919 წელში ალენბის მეთაურობით ეპყრათ თითქმის მთელი სირია, გუნებაში ვერ შერიგებოდა შექმნილ მდგომარეობას, სახელდობრ იმას, რომ სირია დაექვემდებარა საფრანგეთის მანდატს. თუმცა აშკარად და პირდაპირ ინგლისელები ამას არ ამჟღავნებდნენ, მაგრამ ფარულად და საიდუმლოდ ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ხალხში საფრანგეთის წინააღმდეგ ჯანყი და აღშფოთება დაეთესათ და გაეღვიძებიათ.

ამ კონსპირაციას ინგლისი არაბთა თვალების ასახვევად—მათ დამოუკიდებლობის იდეის სამოსელში ხვევდა. არაბთა დამოუკიდებლობის მოსარჩლის როლი ინგლისს სწრედ იმისთვის უნდოდა, რომ თავის იმპერიალისტური პლანები საფრანგეთის წინააღმდეგ უკეთ გაეტარებია, მაგრამ, რასაკვირველია, იმდენად, რამდენად ეს მათ საერთო იმპერიალისტურ სააღმოსავლეთო პოლიტიკას არ ავნებდა და არ დააზიანებდა.

ინგლისის პოლიტიკის დედა ძარღვს ახლო აღმოსავლეთში შეადგენდა მოქმედება ერთი მხრით ახალი ქემალისტური ოსმალეთის და მეორე მხრით საფრანგეთის წინააღმდეგ. მას სწადდა განემტკიცებინა თავისი ბატონობის განუწყვეტელი რკალი არაბთა ტერიტორიებისგან შედგენილი: ეგვიპტე, ხეჯასი, პალესტინა, მესოპოტამია, არაბეთი და თვით ოსმალეთში-კი (ანატოლიაში) ბერძნულ ჯარების საშუალებით განეხორციელებია თავისი იმპერიალისტური მიზანი. ამ რკალის გასამაგრებლად და საერთოდ მთელი გეგმის უკეთ გასატარებლად, რასაკვირველია, ფრანგების მიერ შთანთქმული სირია დიდ საჭიროებას და დიდ მეცადინეობას წარმოადგენდა.

იგი რომ ინგლისელებს ჩაეგდოთ ხელში, მაშინ მათ მოზიარე და კონკურენტი აღარ ეყოლებოდათ. მაშინ ისინი იქნებოდნენ სრული ბატონ-პატრონნი მთელი აღმოსავლეთისა ნილოზის ნაპირებიდან მოყოლებული ჰანგამდე და მთელი ამ თვალუწვდენელ სივრცეზე მცხოვრებ ხალხთა სვე-ბედი სავსებით მათ ხელში გადავიდოდა. მაგრამ მის მძლეთა მძლე იმპერიალიზმის გზაზე წამოიჭრა საფრანგეთი და მან მძლავრათ ჩასჭიდა კლანჭები სირიას. კაპიტალმა სანტიმენტალობა არ იცის და ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ინგლისის მოკავშირე და თანამებრძოლი იყო, ინგლისმა მაინც არ დაინდო



ფი და მის წინააღმდეგ ინტერესების ქსელი გააბა, რაც აჯანყებებში და ტერორისტულ აქტებში გამოიხატებოდა. (მაგალითად ტერორისტულ განხრახვა გენერალ გუროს წინააღმდეგ). ამნაირად, მოკლედ რომ ვთქვათ, ბნელისი აღნიშნულ ხანაში აწარმოებდა ასეთ ორმაგ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში: ბერძნების საშუალებით, იგი მიიკაფავდა გზას ანატოლიის შუაგულში და ლამობდა ოსმალეთის თავის სათარეშო ასპარეზად გადაქცევას, მასზე თავის სანავარდო გზისა და ხიდის გაყვანას; არაბთა საშუალებით-კი საფრანგეთს უთხრიდა ნიადაგს სირიაში და კილიკიაში.

ოფიციალურად და საჯაროდ ინგლისის იმპერიალისტები სულ სხვა პანგზე გალობდნენ. 19 ივლისს 1920 წელს ბონარ ლოუ—ეს ბებერი მგელი იმპერიალიზმისა—ქვედა პალატაში აცხადებდა: საფრანგეთი მოქმედებს მიღებული მანდატის თანახმად, მისი მოქმედება სირია-კილიკიაში სავსებით კანონიერია, რადგან იგი დამყარებულია ვერსალის ზავის მე-20 მუხლზე*). რასაკვირველია ამ განცხადებას სრულიად ეწინააღმდეგებოდა ის საიდუმლო წერილი სირიიდან გადევნილი ფეისალის—მიწერილი ალაუტების შეიხის სალიხისადმი, რომელიც ხელში ჩაუვარდა საფრანგეთის აგენტებს და სადაც ავტორი ატყობინებდა ადრესატს იმ ბრძანების შესახებ, რომელიც მან მიიღო ლონდონში და რომლითაც მას ეკრძალებოდა სირიის ნიშნით ლტოლვისა და მოქმედების შეჩერება. მაგრამ საფრანგეთისათვის უამისოდაც, აშკარა შეიქნა ინგლისის მოლაღატური პოლიტიკა. აშკარა შეიქნა ინგლისის მონოპოლისტური ზრახვანი აღმოსავლეთში. საფრანგეთს თავის მდგომარეობის გასამაგრებლად და ინგლისელთა გეგმების ჩასაფუშავად რაიმე საშუალება უნდა ეხმარა, ხსნა და გამოსავალი ეპოვა და გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ მისი მდგომარეობა სასტიკად რთულდებოდა და ძნელდებოდა კილიკიაში. სან-რემოს კონფერენციის დადგენილების ძალით საფრანგეთის გავლენის ზონაში მოქცეული იყო აგრეთვე კილიკია და აქ საფრანგეთს თავის ძალა-უფლება უნდა განეხორციელებია. მაგრამ კილიკიის ოკუპაცია არც ისე ადვილი შეიქმნა, როგორც თავიდან ეგონათ. კილიკიაში მყოფი ოსმალური ჯარები მუსტაფა-ქემალის მხარეზე გადავიდნენ. ასე რომ საფრანგეთს ფაქტიურად ომი ახალ ქემალისტურ ოსმალეთთან მოუხდა. ომმა სასტიკი ხასიათი მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ გუროს საოკუპაციო ჯარი დიდ ძალას წარმოადგენდა (70,000) და შეიარაღების მხრით მას არავითარი ნაკლი არ ჰქონდა, მან მაინც ვერ მიაღწია მიზანს, ვერ დაიპყრო კილიკია და სავსებით დამარცხებული უკუგდებული იქმნა ხმელთა შუა ზღვის ნაპირებამდე. კილიკიის მაგალითი დიდათ გამამხნეველელი შეიქმნა სირიელ მეამბოხეთათვის. საფრანგეთის დამარცხება აქ მათთვის იმედის და ნუგეშის ნიშნად გადაიქცა და ამიტომ მათ გააცხოველეს მოქმედება. ამნაირად საფრანგეთი დიდ გასაჭირში და ხიფათში ჩაყარდა. ერთი მხრით—კილიკია,

*) ეს მუხლი შეიცავს შემდეგს: ოტომანის იმპერიის ზოგიერთი ნაწილები (ამ შემთხვევაში იგულისხმება სირია) განდებიან დამოუკიდებელი მხრით იმ პირობით, რომ, სანამ ისინი თვით შეძლებდნენ თავიანთ ცხოვრების წამართვას, მათი მართვა-გამგეობის ხელმძღვანელი იქნება საზღვრმწიფო, რომელსაც სათანადო მანდატი მიეცემა.

სადაც იგი დამარცხდა; მეორე მხრით — სირია, სადაც მას უხდებოდა გამუდმებული ბრძოლა აჯანყებულ მცხოვრებლებთან, რომელთაგანაც კონდათ ქემალის შტაბთან; მესამე მხრით შეიარაღებული კონფლიქტი, საომარი განწყობილება ახალ-ოსმალეთთან და მის ჯარებთან ბრძოლა; მეოთხე მხრით — ინგლისელების ფარული ინტრიგები და გეგმები მის წინააღმდეგ...

ეს ხაფანგები ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია ინგლისის მიერ იყო დაგებული საფრანგეთის ფეხის მოსატეხად. საფრანგეთი ჩათრეული ასეთ სახითათო მდგომარეობაში, დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. ყოყმანი და დაყოვნება მისთვის საბედისწერო იყო და მას აუცილებლად გადაამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაედგა, თორემ მას აღვილათ შეეძლო დაეკარგა თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. და შართლაც საფრანგეთმა მოიკრიბა მთელი გამჭრიახობა და გამოცდილება თავის პოლიტიკის და დიპლომატიისა და ძლიერი მოჭადრაკის (ინგლისის) დიდით მოფიქრებული და მომზადებული ხერხი თავიდან აიცილა და თანაც საკუთარი ფანდით უბასუხა.

რაში მდგომარეობდა ეს ნაბიჯი?

რას წარმოადგენდა ეს ფანდი?

საფრანგეთმა გადასწყვიტა ახალ ოსმალეთთან, ქემალ-ფაშას მთავრობასთან მორიგება და მასთან ხელშეკრულების დადება. ლონდონის კონფერენციის დროს (25 თებერვალი — 2 მარტი 1921 წ.) ერთი მხრით ბრიანმა საფრანგეთის სახელით და მეორე მხრით ბექირ-სამი-ბეიმ — ქემალის მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს ასეთ ხელშეკრულებას. მაგრამ ეს პირველი ხელშეკრულება არ იქმნა მოწონებული და დამტკიცებული ოსმალეთის მეჯლისის მიერ და ამიტომ საჭირო შეიქმნა ისევ მოლაპარაკების გაგრძელება, რაც 20 ოქტომბერს 1921 წ. ფრანკლენ ბუიონის და იუსუფ ქემალ-ბეის შეთანხმებით და ხელის მოწერით დანთავრდა ანგორაში. ზემოდ აღწერილი მდგომარეობის და პირობების გამო საფრანგეთი იძულებული იყო ამ შეთანხმებაზე და გარიგებაზე წასულიყო. მისი პოზიცია ამ შემთხვევაში, ცხადია, არ იყო ბრძანებლობითი. ის აუცილებლად დათმობებზე უნდა წასულიყო, რომ ამ პოლიტიკით თავის და ოსმალეთს შუა კეთილი და სასაფო განწყობილების ხიდი გაედგა. ოსმალეთის მდგომარეობა-კი უფრო მომგებიანი და უფრო ძალდაუტანებელი იყო. დიდი საფრანგეთი მიდიოდა პატარა, სუსტ და ახალგაზდა ოსმალეთთან და გარიგებას და ხელშეკრულების დადებას სთხოვდა. ცხადია ოსმალეთს აქ რაღაც უნდა მოეგო და თავის მდგომარეობა რამოდენიმე მაინც გაუმჯობესებია. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოგება მისი მდგომარეობა იმაში, რომ ევროპის კონტინენტის უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო — საფრანგეთი — სწორუფლებიან მხარედ სთვლიდა ახალი ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობას, საერთაშორისო უფლებებზე დამყარებულ აქტით სცნობდა მას და ფაქტიურად აბათილებდა ოსმალეთის სულის შემხუთავ და განანადგურებელ სევრის ხელშეკრულებას. საფრანგეთი, რომელიც სევრის ხელშეკრულების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო და რომელიც მას დიდ სათარეშო და საბატონო ასპარეზს აძლევდა მცირე აზიაში და ოსმალეთს მის სათლელ დუშად ხდიდა, წარბშეუხ-



რელად გამოვიდა და თავის დიპლომატთა და ჟურნალისტთა პირობით აუწყა ქვეყანას, რომ სევრის პირობები შეუსრულებელია და მათი განხორციელება არავის არ შეუძლიაო. უმთავრესი მიზეზი ასეთი ცვალებადობისა საფრანგეთის აღმოსავლეთ პოლიტიკაში, როგორც აღვნიშნეთ, იყო იძულებითი ძიება ოსმალეთთან გარიგება-დაახლოვების და მასთან საზავო და კეთილ განწყობილების ჩამოგდება. ეს იყო ერთად ერთი გზა, რომლითაც საფრანგეთი თავს შეელოდა ინგლისის იმპერიალიზმისაგან. ეს იყო აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც იხსნიდა საფრანგეთს ინგლისელების მიერ შისტების დაგებული ხაფანგებისაგან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იგი მაინც შეეცადა ოსმალეთის მოტყუებას და ანკესზე წამოგებას. როგორც ხევით ავლნიშნეთ, პირველი ხელშეკრულება დადებული ლონდონში (9 მარტს 1921 წ.) ბრიანსა და ბეჭირ-სამიბების შორის უარყოფილ იქმნა, ოსმალეთის მთავრობის და მეჯილისის მიერ.

მიზეზი უარყოფისა და დაუმტკიცებლობისა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ ხელშეკრულებით საფრანგეთი მხოლოდ გარეგნულად იღებდა ხელს კილიკიაზე, ნამდვილად და ფაქტურად კი მისი გეგმონია და ბატონობა აქ სრულად ხელუხლებელი რჩებოდა.

საფრანგეთს თუმცა გაჰყავდა კილიკიიდან თავისი ჯარები, მაგრამ სამაგიეროდ კილიკიის ჟანდარმერიის ორგანიზაცია-მომზადება უნდა მომხდარიყო ფრანგ ოფიცრების მონაწილეობით.

საფრანგეთი თუმცა სპობდა საომარ მდგომარეობას კილიკიაში, მაგრამ სავსებით იკმაყოფილებდა თავს მრავალ ეკონომიური უპირატესობით, როგორც არის მაგალითად: კონცესიები, მადნეულობის დამუშავება არგანა—მაადენში, რკინის გზა და სხ. რასაკვირველია ოსმალეთის მთავრობამ დაინახა ამ ხელშეკრულებაში საფრანგეთის იმპერიალიზმის იგივე კლანჭები, იგივე—თუმცა ნიღაბ ჩამოფარებული—ფრანგული პრაქტიკორატი კილიკიაში და ამიტომ უკუაგდო იგი და მისი ხელის მომწერი ბეჭირ სამი-ბეი დაუყონებლივ გამოათხოვა დიპლომატიურ კარიერას.

საფრანგეთს არ შესწევდა ძალა, და ზემოდ აღწერილი გარემოებანი არ უწყობდენ ხელს იარაღით დაეცვა ეს ხელშეკრულება და მასზე დამყარებული უფლებანი კილიკიაში, ამიტომ მან უკან დაიხია, დათმობის გზას დაადგა და ახალი ხელშეკრულებით (20 ნოემბერს 1921 წ. ანგორიში) სავსებით დააკმაყოფილა ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნებანი. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალეთმა მიიღო სრულიად განთავისუფლებული კილიკია და გარდა ამისა: აინტაბი, ურთა, მარდინი და ბალდადის რკინის გზის ნაქერი ჩობანბედან ნისიბინამდი.

ეს იყო, ასე ვსთქვათ, ოფიციალური მხარე ხელშეკრულებისა, მაგრამ მას ჰქონდა აგრეთვე საიდუმლო მხარეც, რომელიც დიდათ მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო ოსმალეთისათვის. საფრანგეთის მიერ მთელი სამხედრო კონტინგენტის და შეიარაღების გადაცემა ოსმალეთისათვის უეჭველად გამომდინარეობდა ხელშეკრულების ამ საიდუმლო მუხლებიდან. აქ იყო ალბად აღთქმული

და დაპირებული ოსმალეთის მთავრობისთვის დიპლომატიური და პოლიტიკური დახმარება მის ტერიტორიალურ საკითხებში (კონსტანტინოპოლი, ფრაკია და სხვა). რასაკვირველია არც საფრანგეთი დარჩენილა ცარიელი. მას მიენიჭა ხელშეკრულების ძალით თითქმის ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მინიჭებული ოსმალეთში გერმანიას ონამდი. საფრანგეთმა მიიღო სამრეწველო და სარკინისგზო კონცესიები აღნიშნულ რაიონებში და სავაჭრო უფლებები.

ხელშეკრულების მიხედვით ოსმალეთ-სირიის ახალმა საზღვარმა გაიარა, რასაკვირველია, არა ისე, როგორც ეს ჰქონდათ განზრახული მოკავშირეთ, როცა ისინი აძლევდნენ საფრანგეთს მანდატს სირიაზე. ახალმა საზღვარმა გაიარა ალექსანდრეტას ყურედან სამხრეთით მეიდან—ეკბესამდი (თვით ქალაქი და რკინისგზის სადგური სირიის ფარგლებში დარჩა) აქედან ჩობან ბეიმდი, ბალდადის რკინის გზის გასწვრივ ნისიბინამდე და ამ უკანასკნელიდან ქალაქ უეზირეტ-იბნ-ომარამდე, რომელიც მდებარეობს მდინარე ტიგროსზე.

ამნაირად ბალდადის რკინის გზის ერთი ნაჭერი ოსმალეთის საზღვრებში მოექცა და საფრანგეთმა მიიღო უფლება ამ ნაჭერზე ჯარების გადაზიდვის. სამაგიეროდ ოსმალეთსაც მიენიჭა უფლება ჯარების გადაზიდვის იმ ნაჭერზე ანატოლიის რკინისგზისა, რომელიც დარჩა სირიის საზღვრებში, სახელდობრ მოიდან-ეკბეს-ჩობან-ბეიზე. მაგრამ მიუხედავად ასეთი უფლებისა ოსმალეთი დღესაც ვერ სარგებლობს მით, რომ კავშირი იქონიოს თავის ოლქებთან, რადგან ფრანგები განგებ არ უვლიან ამ გზას და ხიდების სიძველის გამო მასზე მოძრაობა ფაქტიურად შეუძლებელია. ამნაირად საფრანგეთი არც ხელშეკრულებას არღვევს და არც აძლევს საშუალებას ოსმალეთს ისარგებლოს ამ ნაჭრით, რადგან მათ შორის სირიის საკითხის გამწვავების დროს ეს მისთვის ხელსაყრელი აოაა...

აქ საჭიროა დავუმატოთ აგრეთვე ის, რომ საფრანგეთის მიერ კილიკიის სავსებით ოსმალეთზე გადაცემის და მისი თავის გაელენისა და ჯარებისაგან განთავისუფლების გამო აქ მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა (სახელდობრ სომხობის) საკითხიც ოსმალეთს დარჩა გადასაწყვეტად. აღვილი წარმოსადგენია, როგორ გადასწყვეტდა მომავალში ოსმალეთი სომხობის საკითხს მით უმეტეს მას შემდეგ, როცა ეს სომხობა საფრანგეთის მიერ შეიარაღებული ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა კილიკიაში... ცხადია რომ სომხებს კილიკიაში მოცდა აღარ შეეძლოთ და მათ ხელი მიჰყვეს ემიგრაციას, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. გასაჭირში და განსაცდელში ჩავარდნილმა სომხობამ ღირსეულად დააფასა საფრანგეთის ასეთი „მფარველობა“ მცირე ერებისა აღმოსავლეთში. მუხანათური პოლიტიკა საფრანგეთისა, რომელმაც თვალები აუხვია კილიკიის სომხობას ავტონომიური კილიკის დაპირებით, რითაც ისინი თავის ბრმა იარაღათ გამოიყენა ოსმალეთთან ბძოლაში, რომ შემდეგ, როცა საქმე წაუხდებოდა, ისინი მტრულად განწყობილ ოსმალთა პარისპირ დაეტოვებია სავსებით ნათელი და აშკარა შეიქნა მთელი თავის საზიზღროებით.

საფრანგეთ-ოსმალეთის გარიგებამ მნიშვნელოვანად ჩაფუშა ინგლისის პლანები ახლო აღმოსავლეთში და ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მან



ინგლისის მთავრობის და იმპერიალისტურ წრეებში დიდი ხმაურობა და აურ-
 ზაური გამოიწვია. ინგლისმა დაუშინა საფრანგეთის მთავრობას საპროტესტო,
 გაათრეული ნოტები, სადაც მის ვითომც არა მეგობრულ და მოლაღატურ
 პოლიტიკას ამხელდა და ამტყუნებდა მას მთელი ანტანტის სოლიდარული ინ-
 ტერესების დარღვევაში. გაბრაზებული მტარვალი ვერ შერიგებოდა იმ აზრს,
 რომ მას ხელიდან გაუსხლტა სირია—ოსმალეთი და ამით მოხერხებულად და
 მოულოდნელად ისარგებლა საფრანგეთმა. ოსმალეთის სუვერენიტეტის ცნობა
 საფრანგეთის მიერ დიდად აშინებდა ინგლისის მთავრობას, რომელიც ამაში
 ხედავდა საზოგადოდ მაჰმადიანთა ცენტრის შექმნას და მათ შორის რევოლუ-
 ციონურ-ნაციონალური მოძრაობის გამომომწვევ მიზეზის შექმნას. ერთი
 სიტყვით შექმნილი მდგომარეობა მოასწავებდა ინგლისის იმპერიალისტური
 პოლიტიკის ფრთების შეკვეცას მკირე აზიაში, საფრანგეთის მიერ პოზიციების
 გამაგრებას და ერთგვარ საშიშროებას ინგლისის კოლონიალურ სამფლობელოთა
 მიმართ ახალი ნაციონალური ოსმალეთის სახით.

ამნაირად ფრანგ-ოსმალთა ხელშეკრულება დადებული 20 ნოემბერს
 1921 წელს ანგორაში, არის დასაწყისი საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტურ
 ინტერესების გამწვავებულ ბრძოლისა აღმოსავლეთში, რაც მანამდე ცოტათ
 თუ ბევრად ფარულად სწარმოებდა და ვითარდებოდა. მაგრამ ამ ხელშეკრუ-
 ლებამ არც საფრანგეთ-ოსმალეთს შუა დაამყარა თანხმობა და კეთილგანწყო-
 ბილება. სირიის საკითხი მათ შორის რჩება მუდმივი შეურიგებლობის და
 დაუწყნარებელი ბრძოლის მიზეზად. ოსმალეთი ლამობს შეიტანოს თავის საზ-
 ღვრებში შესანიშნავი ნავთსაყუდარი ალექსანდრეტა და დაკარგული პროვინ-
 ციები. საფრანგეთი, რომელიც სთვლის სირიას თავის უძლიერეს პოზიციად
 აღმოსავლეთში და ალექსანდრეტას კი მარსელის გაგრძელებად, რასაკვირველია
 დათმობის გუნებაზე არ არის, და ეს შეურიგებლობა იწვევს გამუდმებულ
 სისხლის ღვრას საზღვარზე.

შესაძლებელია, და ამის ნიშნები უკვე აშკარავდებიან, რომ საფრანგეთი
 შეთანხმების და დათმობის გზას დაადგეს ინგლისის მიმართ თავის აღმოსავ-
 ლეთის პოლიტიკაში. საფრანგეთის მდგომარეობა ეხლა ძალიან მძიმე და კრი-
 ტიკულია. რაც დრო გადის ეს მდგომარეობა უფრო მწვავდება. ეკონომიურ-
 ფინანსიური კრიზისი საფრანგეთისა, მისი დევალიანება ინგლის-ამერიკისაგან
 და გერმანიის რეპარაციებზე აშენებული იმედების ჯერ-ჯერობით უნაყოფობა
 და მომავალში მათი საეჭვო პერსპექტივა, აიძულებს საფრანგეთს მორჩილობის
 და კომპრომისების პოლიტიკა აწარმოვოს ინგლის-ამერიკის მიმართ. თვითვეული
 ნაბიჯი, გადადგმული ჩემბერლენის მიერ საფრანგეთის დასახმარებლად კონ-
 ტინენტზე, რასაკვირველია, მოითხოვს ამ უკანასკნელისაგან შესაფერ კომპენ-
 საციას უმთავრესად აღმოსავლეთში. საფრანგეთი ყურებამდია ჩაფლული ინ-
 გლისის ვალში, მას არ შეუძლია აუდგეს ამ ვებერთელა ვალის სიმძიმეს თუ
 ინგლისმა „მოწყალება“ არ მოიღო მასზე და რაიმე შეღავათები არ მისცა.
 საფრანგეთი უძლურია გერმანიის საკითხში და მას უკიდურესად ესაჭიროება
 ინგლისის დახმარება. საფრანგეთი ორგანიზულად არის გამსჭვალული გერმანიის

რევანში შიშით და აქაც იმედის თვალს მხოლოდ ინგლისს აპყრობს. ყველა ამ გარემოებათა გამო ინგლისს დაუდგა დრო უკარნახოს საფრანგულ-ბრიტანულ-საქონლში და ხელი ააღებინოს მას საკუთარ, მისთვის (ინგლისისთვის) სწრაფ-სასიამოვნო და სასარგებლო პოლიტიკაზე. საფრანგეთი ეხლა იმდენათ უწევს ანგარიშს ინგლისს, რომ მის დაუთანხმებლად და მისი სურვილის წინააღმდეგ ის ელჩის დანიშვნასაც ვერ ბედავს ოსმალეთში.

ფრანკლინ ბუიონის დანიშვნა ელჩად ოსმალეთში არ მოიწონა, როგორც სჩანს ინგლისმა და საფრანგეთი იძულებული შეიქმნა იგი მოეხსნა და თავის განზრახვაზე უარი ეთქვა. ფრანკლინ ბუიონმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელი მოაწერა 1921 წელს საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას ანგორაში, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული... ეს პატარა ფაქტი დამახსიათებელია იმ ურთიერთობისა ინგლისს-საფრანგეთ შორის, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი, და რომელიც ფრიად საშიშ და სახიფათო პერსპექტივებს უშლის ოსმალეთს. შესაძლებელია საესებით ბოლო მოეღოს საფრანგეთ-ოსმალეთის მეგობრობას და ოსმალეთს გარს შემოეგლოს შემხუთავი იზოლიაციის რკალი. საფრანგეთის მიერ სირიის საზღვარზე შეტაკებების გაცხოველება ამ ბოლო დროს და ოსმალური ჯარების მოძრაობის შეფერხება მოსულისა კენ ბაღდადის რკინის გზით—ეს აშკარა დამამტკიცებელია გამოთქმული აზრის...

საფრანგეთის ხელისუფლება და ბატონობა სირიაში დამყარებულია იმ მანდატზე, რომელიც მიიღო მან ნაციათა ლიგისაგან. სირიის სათავეში სდგას უზენაესი კომისარი—წარმომადგენელი საფრანგეთის რესპუბლიკისა, რომელიც ემორჩილება საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. მის ხელთაა მთელ ამ ქვეყნის და იქ მცხოვრებ ხალხების ბედ-იღბალი, რომელსაც განაგებს იგი თანახმად თავისი მთავრობის სურვილისა, უზრუნველყოფილი საზღვაო და ხმელეთის შეიარაღებული ძალებით. საფრანგეთმა დაჰყო და დააქუცმაცა სირია ოთხ ავტონომიურ შტატად, შტატები სანჯაკებათ ადგილობრივი მუტარიფით სათავეში, რომელსაც მიჩენილი ჰყავს ფრანგი მოხელე მრჩეველად.

დიდი ლიბანის შტატი, რომელიც დაარსდა 1 ენკენისთვის 1920 წ., შესდგება ოთხი სანჯაკიდან: დიდი ლიბანი, სამხრეთ ლიბანი, ჩრდილო ლიბანი და ბექა. ამავე შტატში შედის ორი ავტონომიური მუნიციპალიტეტი ბეირუთი და ტრიპოლი. ამ შტატის სათავეში სდგას ფრანგი გუბერნატორი და აგრეთვე უზენაესი კომისარის მიერ დანიშნული ადგილობრივი გუბერნატორი. ეს უკანასკნელი თანამდებობა, რასაკვირველია, ფაქტიურად ყოველგვარ მნიშვნელობას და დამოუკიდებლობას მოკლებულია. იგი გამოგონილია მხოლოდ თვალების ასახვევად და ვითომც ნაციონალური მომენტის მხედველობაში მიღებით. ასეთივე კარიკატურულია ადგილობრივი „წარმომადგენლობითი ორგანო“, შემდგარი 15 კაცისაგან სათათბირო ხმით.

დამასკის შტატი, შეიცავს სამ სანჯაკს (ხამა, ხომსი და დამასკი) და ორ ავტონომიურ ტერიტორიას (გარუანი და დამასკის აღმოსავლეთით მდებარე



უდაბნო). აღვიღებოდა მართველობის სათავეში სდგას ადგილობრივი გუბერნატორი და მასთან უზენაესი კომისრის წარმომადგენელი.

აღეპოს შტატი (აღეპო, აღექსანდრეტა და დეირ-ელ-ზოარე, დაარსებულია 16 ენკენისთვეს 1920 წ. მისი ადმინისტრაციული ორგანიზაცია ისეთივეა თითქმის, როგორც დამასკის.

ალაუიტების*) შტატი დაარსებულია 2 ენკენისთვეს 1920 წ. შესდგება ორი სანჯაკისაგან: ლატაკიე და ლატაკიის მუნიციპალიტეტი. მართვა გამგეობა ფრანგ გუბერნატორს ეკუთვნის.

ასეთია საფრანგეთის მიერ მოწყობილი „სახელმწიფოებრივი“ და ადმინისტრაციული ორგანიზაცია სირიაში. აქ არ არის განხორციელებული ერთი ნამცეცი იმ დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ წესწყობილებისა, რომლითაც ასე ამოყობს საფრანგეთი. სირია წარმოადგენს ტიპიურ კოლონიას დასავლეთი ევროპის იმპერიალიზმისას, სადაც ხალხის ნების ყოფა, მოთხოვნილებანი და ინტერესები სავსებით გათვლილია, და იგი გადაქცეულია მხოლოდ უსულო საგნათ ძლიერ სახელმწიფოთა ურთი-ერთშორის ქიშპობისა. ინგლისს დიდი ხანია განზრახვა აქვს თავის მფლობელობის და „მფარველობის“ ქვეშ შექმნას ერთი განუწყვეტელი ზოლი არაბთა ტერიტორიებისა და ამიტომ ის გაუმაძღარი ნდომით და შურიანი თვალით უცქერის სირიას, რომელიც ასე სოლივით შეჭრილია მის საბძანებელთა შუა გულში, ერთის მხრით—ევვიპტიისა და მეორე მხრით—ნესობოტამიისა, ირაქისა და პალესტინის შორის. ამ სოლის ამოგლეჯა ინგლისმა საბოლოოდ გადასწყვიტა საქვეყნო ომის დროს და კიდევ თითქმის მიაღწია სანატრულ მიზანს, მაგრამ საფრანგეთი დროზე მიუხვდა ფანდს და ქემალთან გარიგებით გასაჭირ მდგომარეობიდან გამარჯვებული გამოვიდა. ეხლა როცა ინგლისი იმორჩილებს საფრანგეთს ყველგან, როგორც ევროპაში ისე, ბალკანეთში და აღმოსავლეთში, შესაძლებელია მის ცივ გულში კიდევ იფეთქოს სირიისადმი ძლიერმა ლტოლვამ, და 1920 წელში წაგებული თამაში კიდევ გაათამაშოს და მაშინ დაკარგული ეხლა დაიბრუნოს და აინახლაუროს. ერთი სიტყვით საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის ცვალებადობაზე და მოკიდებული სირიის ხალხთა ბედი. დაახლოვებით ასეთ საბურთალოდ მოქიშპე იმპერიალისტურ ძალთა ხელში არიან გადაქცეული ყველა კოლონიური ქვეყნები და ხალხები.

მაგრამ აღმოსავლეთის ხალხთა გულში უკვე დაინთო განუქრობელი ცუცხლი რევოლუციონური ბრძოლისა ევროპის იმპერიალიზმის შესამუსრავად და მის სტიქიონურ ზრდას ველარაფერი ვერ შეაჩერებს. მას ველარ ჩააქრობს მტარვალთა მუხანათობა მათი ავაზაკური შეუბრალებლობა, მათი ოქრო, და მათი ტყვია.

ჩვენ ვდგევართ ეხლა აღმოსავლეთის ნაციონალურ რევოლუციითა ეპოქის ზღრუბლზე.

ტფილისი.

*) ალაუიტები წარმოადგენენ განსაკუთრებულ მუსლიმანურ სექტას.

მარქსიზმი და ხელოვნება

III.

როგორც აღვნიშნავდით წინა წერილებში*) ს. დეედარიანმა არ მოგვცა ხელოვნების მთლიანი განსაზღვრა. ის დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ხელოვნება იდეოლოგიის ერთ ერთ დარგად გამოაცხადა. ამ შემთხვევაში სრულიად ბუნდოვანი და გაუგებარი რჩებოდა ის სპეციფიური მომენტები, რაიც ახასიათებს საზოგადოდ ესთეტიურ იდეოლოგიას. მარქსიზმისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხიც თვით ხელოვნების ბუნებასთანაა ორგანიულად დაკავშირებული, რის გამოც ამ ურთიერთობის პრობლემის ამოსაწურავეთ საჭირო იყო ხელოვნების ბუნების მთლიანი გაშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო უსიკოცხლო სოფიზმების და უშინაარსო დებულებათა დემონსტრაცია. ს. დეედარიანი სწორედ ასეთს მდგომარეობაში ჩავარდა: მისი წერილები, რომლებიც „მნათობი“-ს ორი ნომრის მანძილზე გაიქიმა, მეტის მეტად ცალმხრივი დეკლარაციის შთაბეჭდილებას სტოვებენ; ეხება რა ხელოვნების კლასიურობის პრობლემას ის სწერს: „ხელოვნების დაფასება არ შეიძლება კლასიური, პოლიტიკური ინტერესების მიხედვით. შესაძლებელია, რომ „რევოლიუციონური სუნიტ“ გაქვითილი ნაწარმოები ვერ ეარგოდეს ხელოვნებად; და რეაქციონერმა ხელოვანმა გაგრძნობინოს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნება“. („მნათობი“ № 7-8). ამ დებულებას ს. დეედარიანი ასაბუთებს... მარქსის ავტორიტეტით: „მარქსის ნაწერებში არ არის მითითება ე. წ. კლასობრივ ხელოვნებაზე. არ ამბობს, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები შეიძლება მოსწონდეს ერთ კლასს და ეზიზღებოდეს მეორეს. მარქსს უყვარდა ჰეტეს კითხვა, მაგრამ ის არ იყო თანამოაზრე ამ გენიოსი პოეტის“... (იქვე).

ჯერ ერთი: როდესაც ვლაპარაკობთ რევოლიუციონურ ხელოვნებაზე— ვგულისხმობთ ხელოვნებას და არა პუბლიცისტიკას; მაშასადამე ის, როგორც ასეთი უნდა იწვევდეს ესთეტიურ კმაყოფილებას, უნდა იყვეს მხატვრულად გამართლებული, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა არა ესთეტიურ შემოქმედებასთან, არამედ მშრალ და უსიკოცხლო პუბლიცისტიკასთან. მანქა-

*) „მნათობი“ 7—8, 9.



ნებზე უნიკოთ ლაპარაკი, ქალაქის დინამიკის ყალბი „განცდა“ უწყემ ყოველად უშნოთ პროლეტარიატის სახელის ძახილი, გაბერილი ფრაზები ორი ქვეყნის ბრძოლაზე როდი ჰქმნის რევოლუციონურ ხელოვნებას; იდეოლოგია ხელოვნებისათვის აუცილებელია, მაგრამ მარტო იდეოლოგია ვერ შექმნის ხელოვნებას. რევოლუციონურ ხელოვნებისათვის საჭიროა არა მარტო ქალაქი, მანქანა პროლეტარიატი და სხვა, არამედ კიდევ **ესთეტიურად გამოკვეთილი ფორმები**, რომელშიც უნდა მოთავსდეს ქალაქისა და მისი მკედარი და ცოცხალი ატრიბუტების მხატვრული განცდა. ამ პრინციპიალური მოსაზრებებით უნდა დაფასდეს რევოლუციონური ხელოვნება და არა იმის მიხედვით თუ ვინ არის მისი ავტორი რეაქციონერი თუ რევოლუციონერი.

მეორე: რეაქციონური ხელოვნება შესაძლოა ესთეტიურად გამართლებულ იქმნეს, მაგრამ სოციალურად სავსებით მიუღებელი. მაგ. გერმანელ ექსპრესიონისტის **ვერფელის** „კაცი სარკიდან“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები ბევრია, მაგრამ იდეოლოგიურად აბსოლიუტურად მიუღებელი.

ამით მტკიცდება ის გარემოება, რომ **მთლიანი შეფასება მხატვრული ნაწარმოებისა** მოითხოვს, როგორც ფორმის ისე შინაარსის თვალთსაზრისს: საღ იდეას და ნამდვილ ესთეტიურ ფორმებს. მარქსიზმისათვის, როგორც რეალისტური მოძღვრებისათვის, ეს ორი მომენტი ორგანიულად გაერთიანებულია ესთეტიური ფილოსოფიის საზომში.

მესამე: მარქსს უყვარდა კითხვა ჰეტეს არა იმიტომ, რომ ის თითქოს, ს. დევდარიანის რწმუნებით—არ სცნობდა ხელოვნების კლასიურობას, მარქსი და ყოველი საღად მოაზრენე ადამიანი ჰკითხულობს ჰეტეს იმიტომ, რომ ესთეტიური აზრის ეს უდიდესი გიგანტი იშვიათი. მხატვრული ინტუიციით მისწვდა მაშინდელ გერმანიის ყოფას და ფენომენალური სიმშვენიერით გაშალა სქოლასტიური მეცნიერებით სულით დაცემული და ამავე დროს კოსმიური პრობლემებით დატანჯული ინტელიგენციის ბუნება (ფაუსტი). ამ რიგად: იდეოლოგიის დარგი **ხელოვნებად** იქცევა ესთეტიური განცდის მიხედვით, მხატვრული ფორმების დახვეწით; ხოლო ხელოვნების რევოლუციონურ თუ რეაქციონურ ბუნებაში მკლავნდება იმ იდეოლოგიის სოციალური ღირებულება რომელსაც იტევს ხელოვნების ესა თუ ის დარგი. თავის მხრივ ეს ნიშნავს შემდეგს: როგორც რეაქციონური ისე რევოლუციონური **ხელოვნებისათვის** საჭიროა ესთეტიური ფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ესთეტიურ იდეოლოგიასთან საქმე არ გექნება. ამ ფორმებში მოცემული მასალა ჰქმნის ხელოვნების კლასიურობას. მაშასადამე—ვიმეორებ—არა ავტორის პიროვნებაში, არამედ იდეის ან ფორმის ორგანიულად გაერთიანების ფაქტში—**აი ხად უნდა ვეძიოთ ხელოვნების კლასიურობის მომენტები** *).

*) ამ დებულებას სხვათა შორის ის ფაქტიც ასაბუთებს, რომ კომუნისტმა ერ. ტოლდერმა, რომელმაც საგრძობი ხანი პრუსიის ციხეში დაჰყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლისათვის, დასწერა, „კაცი მასსა,“ რაც წარმოადგენს ტოლსტოიზმის მხატვრულ რესტავრაციას.



აქედან ისიც ცხადია, რომ საკითხი პოლიტიკისა და ხელოვნების ურთიერთობის შესახებ აუცილებლად უნდა გასცილდეს პიროვნების (ხელოვნება) ფარგლებს და დაისვას იგი იდეის სფეროში, წინააღმდეგ შემთხვევაში სწორი საზომის გამოჩვენება აბსოლიუტურად შეუძლებელი იქნება.

ეს ზოგადად მხატვრული ნაწარმოები, რომლის ესთეტიური ღირებულება უდაოა, შესაძლოა თუ არა მიეკუთვნოს ამა თუ იმ კლასს, ანუ სხვა გვარად ხელოვნების ნიმუში, რომლისაგანაც განიცდის ესთეტიურ სიამოვნებას როგორც ბურჟუა, ისე პროლეტარი, არის თუ არა იმავე დროს უაღრესად კლასიურ ბუნების მქონე?—აი საბოლოო ანგარიში, არსებითი კითხვა, რომელიც ს. დედეღარიანმა გადასწყვიტა შემდეგნაირად: „შესაძლოა“ რევოლუციონური სუნიტ გაქვნილი ნაწარმოები ვერ ვარგოდეს ხელოვნებათ და რეაქციონერმა გაგრძნობინოს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნება“ („მნათობი“ № 1 (9)). საკითხის ამ გვარი გადაჭრით ავტორი შეუძლებლად სცნობს „ხელოვნების დაფასებას კლასიური, პოლიტიკური ინტერესების მიხედვით“ (იქვე).

რომ თავი დაეანებოთ თვისებურ გულოებრყვილობას, რომელიც მოცემულია ამ სტრიქონებში, აქ საქმე გვაქვს ჩვენ აუცილებლად ლოდიკურ დომხალთან. ზევით დედეღარიანის მსჯელობის ჩემ მიერ ასეთი კვალიფიკაცია ლოდიკური დასაბუთება ზოგადად ვსცადეთ. ეხლა აუცილებელია უფრო პრინციპიალური განხილვა ამ დომხალის, რომელსაც არსებითად ცენტრალური ადგილი უკავია ავტორის ესთეტიურ ვარჯიშობაში, ამისათვის საჭირო და აუცილებელია ხელოვნების ბუნების პრინციპიალური გაშლა.

IV

ხელოვნება შემეცნების პროცესია. მაგრამ ეს პროცესი თავისებურია. ეს თავისებურება რომ არ ახლდეს ესთეტიურ ფილოსოფიას მაშინ მოისპობოდა განსხვავება და წაიშლებოდა ის ზღვარი, რომელიც არსებობს ხელოვნებისა და მეცნიერების, როგორც შემეცნების დარგთა შორის. რაში მხილდება ეს სპეციფიურობა? მეცნიერული შემეცნება ლოდიკურ სქემას წარმოადგენს: მოცემულ წინამძღვრებით მეცნიერება ასკენის ამა თუ იმ მოვლენას. რეალ წინამძღვრებზე ორიენტაცია მეცნიერულ შემეცნებას სილლოგიზმებით ფარგლავს და ამდენად ინტელექტის მომენტო ასეთს შემეცნებაში გადამწყვეტია. მეცნიერული შემეცნება ინტელექტუალი შემეცნებაა, მეცნიერება საგანთა და მოვლენათა ინტელექტის („ratio“) მიერ დაპყრობაა. ყოველ გვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას: მატერიალისტური რეალიზმი უზრუნველყოფილია: ინტელექტი იპყრობს საგანთა და მოვლენათ, განიცდის რა უკანასკნელთა შემოქმედებას. ანალოგიურია მარქსის ცნობილ თეზისთან ფეიერბახზე: ადამიანი მოქმედებს რა ბუნებაზე და სცვლის რა მას იცვლის თავის საკუთარ ბუნებას სხვათა შორის.

ხელოვნების პროცესი სულ სხვა გზით წარიმართება: ხელოვნებაში მთავარია განცდა, მეცნიერებაში რეფლექსია. პირველი მგრძნობელობის ქვეყანაა: მეორე გონიერების. სულ სხვაა მაგ, რევოლუციის შესწავლა, მისი მამოძრავე-



ბელი ძალების გათვალისწინება, პროცესის გონების ინსტიტუტში წინმოღვენა, ვინემ მისი განცდა, მისი ირრაციონალი დაძლევა. რევოლუციონერი ხელოვანი განიცდის რევოლიუციას იმ რიგად, როგორც არის ის, რევოლიუციონერი პოლიტიკოსი ითვისებს (воспринимает) ცივი ლოლიკით იმ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ რევოლიუციის პროცესს. აქედან: ხელოვნება არაა ისეთი შემეცნების პროცესი, რომლის სუბიექტი ინტელექტი იყოს; ინტელექტის მაგიერად აქ გამოდის განცდა. როგორც განსაზღვრული ფსიქიური აქტი და ის ამ შემთხვევაში ლოლიკურად უპირდაპირდება რაციონალ (და არა რაციონალურ) შემეცნებას. ყოველივე ეს ბუნებრივად უნდა ჰქმნიდეს იმ გარემოებას, რომ ხელოვნება ირრაციონალი შემეცნებაა. (ირრაციონალი არა ლოლიკურ სფეროში, არამედ ქვემცნობიერის თვალთსაზრისით) ამ ირრაციონალობაში ხელოვნების სპეციფიურობაა. ისტორიას არ ახსოვს ისეთი დარგი ხელოვნებისა, სადაც ასეთი შემეცნება არ ყოფილიყო მოცემული. ამ დებულების ცოცხალ ილლიუსტრაციად უნდა ჩაითვალოს ხელოვნების მთელი ისტორია და გონსაკუთრებით კი თანამედროვე ლიტერატურული სკოლები: ქეშმარიტი პროლეტარული ხელოვნება, შეიძლება ითქვას. შემეცნებაა ნამდვილი სარკეა პროლეტარიატის სულისკვეთების, მისი განწყობილების, ბრძოლის უნარის და აღმშენებლობითი ნიჭის დიდი შესაძლებლობის. ექსპრესიონიზმი ეს მათემატიკური სწორი ავტობიოგრაფიაა დამფრთხალი წერილი ბურჟუაზიის; ფუტურზიზმიც მოცემულია ბუნტარული სულისკვეთება, რაიც მხილდება დინამიურობის მეტიფიზიკურ კულტად ქცევაში. თუ ხელოვნება შემეცნებაა, მაშინ მისი იდეოლოგიის გარეშე წარმოღვენა შეუძლებელია მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მარტო იდეოლოგია არ ჰქმნის და ვერც შეჰქმნის მხატვრულ ნაწარმოებს. „ღვთაებრივი კომედია როგორც მხატვრული ნაწარმოები—ამბობს ამხ. ლ. ტროცკი—საყურადღებოა არა მარტო როგორც ისტორიული დოკუმენტი. ეს რომ ასე იყვეს, მაშინ დანტეს ეს შემოქმედება უნდა ამოვშალოთ ხელოვნების დარგიდან. როგორც მხატვრული ნაწარმოები ის უპირველეს ყოვლისა უნდა ეუბნებოდეს რაიმეს ჩემს განწყობილებას, ჩემს გუნებას და სხ...“

ეს კი შესაძლოა იმ შემთხვევაში თუ ნაწარმოები მხატვრულია, ე. ი. თუ მოცემული მასალა—იდეა ესთეტიურადაა განცდილი.

ხელოვნება ამა თუ იმ კლასის თუ სოციალური ჯგუფის სულისკვეთების ამსახველია. ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, ხელოვნების ყოველ დარგში მოცემულია ამა თუ იმ კლასის სურათი, იმის და მიუხედავად გრძნობს და ხედავს თუ არა ამას მისი (ნაწარმოების) ავტორი.

სულ სხვა ნიადაგზე დგანან რუსი სიმბოლისტები. ისინი ამბობენ, რომ ხელოვნება მაგიური ექსტაზის სფეროა, რომ ის რელიგიოზური შემოქმედებაა. „პოეტი ყოველთვის რელიგიოზურია, რადგანაც ის პოეტია“. (ვიაჩ. ივანოვი). ხელოვნების ასეთს განსაზღვრაში მოცემულია შემოქმედებითი მასალის ზევრცულობა და ზევრცეულობა და ამით პრინციპილურად უარყოფილია გრძნობადი ქვეყანა და მის ნაცვლად მიღებულია ზემპირიული მსოფლიო“. თქმა იმისა რომ რეალობის ესთეტიური განცდა შეუძლებელიაო, თავის მოტყუილებაა



გრძნობებთან თამაშია. ამას თვითონ სიმბოლისტებიც ამტკიცებენ, როდესაც რეალობის ერთს მახინჯ მომენტს—სიფილისს, კლექს, თვითმკვლელობას— უგალობებენ და ესთეტიურ ფორმებში გადმოგვცემენ. მაგრამ თუ ისინი თეორეტიულად მაინც პროეტურ შემოქმედებას რელიგიას უკავშირებენ, ეს ბუნებრივი და გასაგებია იმ კლასის თვალთსაზრისით, რომელმაც დაჰკარგა იმედი აწმყოსი და პესიმიზმს მოუცავს აგრეთვე მისი მომავლიც. ასეთი კლასია წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც მსხვილ წარმოებასთან ბრძოლაში დაჰკარგა ეკონომიური სიცოცხლის ნიშან წყალი, და ამ მიმართულებით გაკოტრებულმა— მისმა იდეურმა ავანგარდმა ინტელიგენციამ თავი შეათარა მისტიკას, სადაც შეშინებული და იმედ გაცრუებული წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტი ნახულობს „სულიერ სიმშვიდესა და მოსვენებას“. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს რუსი“ (და აგრეთვე ქართველი) სიმბოლისტების რწმენა, რომ პროეტური შემოქმედება მთელი თავის სასიცოცხლო ძალებს გაშლის თუ კი ის დაუკავშირდება რელიგიოზურ შემოქმედებას. რუსული სიმბოლიზმი და აგრეთვე თავის დროზე ქართულიც წვრილი ბურჟუაზიის სულისკვეთების და განწყობილების საუკეთესო გამომხატველი იყო პოეზიაში. შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლიზმი მისი ესთეტიური ფილოსოფია იყო.

როგორც აღვნიშნეთ მხატვარი თავის შემოქმედებითი მასალად შეგნებულად თუ შეუგნებლად ღებულობს იმ განწყობილებს, რომელიც არსებობს ამა თუ იმ ჯგუფში თუ ამა თუ იმ კლასში. ამ განწყობილებას ჩვენ ვხედავთ და განვიცდით როგორც პროზაულ აგრეთვე ლირიურ ნაწარმოებშიაც. მაგრამ ეს სულისკვეთება როდი წარმოადგენს მეტაფიზიკურ რაობას. ის ყოველთვის ობიექტიურ გარემოთია შემოფარგლული. „ობიექტიური გარემო“ კი განვითარების მუდმივ პროცესში იმყოფება, რის გამო იცვლება ამ სულისკვეთების განცდა და თვით სულის კვეთებაც სხვა მიმართულებას ღებულობს. ამისდამიხედვით არ არსებობს მარადი მომენტები ხელოვნებაში. ხელოვნებაში ერთი რამ მართლაც რომ უცვლელი და მარადია: ეს არის ზოგადი იდეა—მისწრაფება მშვენიერებისაკენ. იყვეს რევოლიუციონური თუ რეაქციონური მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად იტყვის მოვლენათა მშვენიერებაში განცდას, რადგანაც მშვენიერება არის ის, რაიც ჰქმნის ნაწარმოებს მხატვრულ ნაწარმოებად. ეს იდეა რომ არ ახლდეს ხელოვნებას, მაშინ ხელოვნებაც როგორც ასეთი შეუძლებელი და განუხორციელებელი იქნებოდა. მაგრამ ეს იდეა ყოველ ეპოქაში თავის კონკრეტ შინაარსს ღებულობს და მით შლის თავის მრავალ ფეროვან ბუნებას.

ს. დევდარიანი სრულიად საწინააღმდეგო ნიადაგზე დგას. ის ფიქრობს, რომ „არის ხელოვნებაში ისეთი ღირებულება, რასაც აქვს მნიშვნელობა ხანგრძლივი, მუდმივი, საკაცობრიო. „დონკიხოტში“ სერვანტესს აღებული აქვს მოუფიქრებელი უშიშრობა, თუ განწირვა, სილამაზე. „ჰამლეტში“ შექსპირი იღებს მეორე თვისებას ადამიანისას—შიშს, რყევას, გაუბედაობას. ვერც ერთი წმინდა წყლის მარქსისტი ვერ იტყვის, რომ ან ერთი გმირის თვისება, ან მეორეს შეეფერება მარტო ერთი დროის საზოგადოებრივ პირობებს, ან ერთი რომე-



ლიმე კლასის წარმომადგენელს. დონკიხოტისა და ჰამლეტისთანა
 გაუბედავი შეიძლება იყოს დღეს ან რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ბურჟუაზი
 და პროლეტარიც, თავადიც და გლეხიც. ასეთივე მუდმივი თვისებაა ადამიანის
 რასაც ჩვენ ვნახულობთ ჰეტეს, რუსთაველის შემოქმედებაში. ათასნაირი
 გადატრიალებაც რომ მოხდეს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ადამიანს არ
 გამოეღვევა მისწრაფება შემეცნებისაკენ („ფაუსტი“) და მშვენიერებისაკენ
 („ვეფხისტყაოსანი“) („მნათობი“ № 1 (9) გვ. 242.)

ამ რიგად ს. დევდარიანის ვარჯიშობა მარად ღირებულებათა აღმოჩენე-
 ბის საკითხში გადავიდა ფორმიდან იდეაში. „მნათობის“ მეშვიდე-მერვე ნომე-
 რში ს. დევდარიანი შეეცადა, როგორც ხემოდ აღვნიშნეთ, მარად ღირებულე-
 ბათა აღმოჩენას ფორმებში. მაგრამ... აქ შეიქმნა მეტის მეტათ კურონოზული
 მდგომარეობა, რომელზედაც ლაპარაკი უკვე გვქონდა „მნათობის“ უკანასკნელ
 ნომერში. „ჰამლეტის“, „ფაუსტის“ და „დონკიხოტის“ მაგალითებით დევდა-
 რიანი სტოვებს „ფორმის ასპარეზს“ და ეშვება იდეაში. რა არის აბსოლუტ-
 ტური „ფაუსტი“? ამ შემთხვევაში მეტად საყურადღებოა ჰეტეს ცხოვრება
 ლეიპციგში. ჰეტე ლეიპციგში გადავიდა 1765 წელს. ლეიპციგის მღვდლმწიფე
 ცხოვრებამ, უნივერსიტეტმა და მეცნიერებამ, მრავალ და მხიარულ სტუდენ-
 ტობამ ერთიანად მიიპყრო ახალგაზრდა ჰეტეს სული და გული. მაგრამ უნი-
 ვერსიტეტის მეცნიერება, სადაც უსიკოხლო პედანტიზმი მეფობდა არ აკმა-
 ყოფილებდა მას. ჰეტეს ერთი მკლევარი (ა. ვესელოვსკი) სწერს, რომ მაშინ
 ლეიპციგის პროფესორებში ვანიჩიოდა პროფ. გელლერცი, რომელიც ძლიერ
 შთაბეჭდილებას სტოვებდა ახალგაზრდობაზე არა თვის სწავლულობით, არამედ
 ჰუმანიურ იდეათა ქადაგებით. იგივე ავტორი სწერს, რომ ხელოვნების ისტო-
 რიაშიც იყვნენ ზოგი ნიჭიერი სპეციალისტებიო, დანარჩენ მეცნიერებაში გაბა-
 ტონებული იყო სრული სქოლასტიკა. თავისთავათ ეხლა სქოლასტიური მეცნიე-
 რება არ დააკმაყოფილებდა ნიჭიერ ჰეტეს. შეიძლება ითქვას, რომ ჰეტე ნამდვილ
 საკეპტიკოსი იყო, რადგანაც იმ თავსამტვრევ კოსმიურ პრობლემებზე, რომელიც
 სტანჯავდა მას, პასუხს ვერ ნახულობდა მის თანამედროვე გერმანიის ოფიცია-
 ლურ მეცნიერებაში. თვისი ასეთი სულიერი მდგომარეობა მან გამოამჟღავნა
 ფაუსტისა და მეფისტოფელის ტიპში. ფაუსტს დაეკარგა რწმენა მეცნიერებაში.
 „დიდის შრომით და ენერგიით შევისწავლე მე ფილოსოფია, უფლებათა მეცნიე-
 რება და საუბედუროდ ბუნების მეტყველებაც;—ამბობს ფაუსტი,—მაგრამ მე
 ვგრძნობ რომ მაინც ვერ გავბდი უფრო. ჰეტეიანი. არ შემეძლია ვთქვა, რომ მე
 რაიმე ვასწავლე ხალხს, რომ უკანასკნელის ცხოვრება გამოსწორებული და გაუმ-
 ჯობესებულიყოს“.... მეფისტოფელი დასცინის მეცნიერებას. ფაუსტს პრინციპია-
 ლურად არ სჯერა მეცნიერების. მას სწამს მხოლოდ მოვლენებში სული. მსოფ-
 ლიო გასულდგმულება ანუ პანტეიზმი. აი რით იყო დაპყრობილი ფაუსტის ბუნე-
 ბა. აუცილებლად ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ის მიენდო მეფის-
 ტოფელს. მეფისტოფელთან მეგობრობაში ფაუსტმა განიცადა ყოველივე ის, რაც
 კი ობიექტიურაო შეიძლება განიცადო დედა-მეწაზე: ქალის სილამაზე, ამ სი-
 ლამაზის დაპყრობა, სიმდიდრე, მთავრობის სიძლიერე, რასაც მან მიაღწია და



სსუ. მაგრამ საბოლოო ანგარიშში მას ყოველივე ეს მაინც არ აკმაყოფილებს. ტრადიციის მეორე ნაწილში ფაუსტი ჩვენს წინაშე გამოდის სრულყოფილ საზოგადო მოღვაწე, განთავისუფლებული სკეპტიციზმისაგან დარწმუნებული იმაში, რომ არსებობის აზრი მხოლოდ იმ დაულალავ ბრძოლაშია, რომლის ამოცანას საზოგადოებრივი კეთილდღეობა შეადგენს. აი ეს მომენტი—მეტის მეტად ზოგადი იდეა, რადგანაც ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოებრივი ბრძოლის აზრი და შინაარსი იცვლება—შეიძლება მარადი მომენტი იყვეს პოეტურ შემოქმედებისათვის. მაგრამ ეს ზოგადი იდეაა, რომელიც არსებითად არას ლაპარაკობს. ისეთი მისწრაფება შემეცნებისაკენ, როგორც ფაუსტს ჰქონდა კონკრეტათ, ყოველად შეუძლებელია ადამიანის აბსოლიუტურ თვისებად დავსახოთ. ფაუსტის მისწრაფებაში შემეცნებისაკენ ორ მომენტს უნდა გავსვას ხაზი: ა. სქოლასტიკა, რომლის შემდეგი იყო ფაუსტის სკეპტიციზმი და ბ. მატერიალური კეთილდღეობა, რომელიც უნდა მიეღო მას სკეპტიციზმის დაძლევათ. ასეთია ის კონკრეტი შინაარსი, რომელიც საფუძვლად უდევს ფაუსტის მისწრაფებას შემეცნებისაკენ. მაშინდელ გერმანიაში ბუნებრივი იყო ასეთი მდგომარეობა. მაგრამ თუ დღეს—მეოცე საუკუნეში—დაიბადება ახალი პეტე, ბუნებრივია ის ადამიანის მისწრაფებას შემეცნებისაკენ საფუძვლად არ დაუდებს არც პიროვნულ მატერიალურ კეთილდღეობას და არც სკეპტიციზმს. ამ ორი მომენტის გარეშე ფაუსტის ლტოლვა შემეცნებისაკენ წარმოუდგენელია, ხოლო ამ ორი მომენტით დახასიათება ადამიანის მისწრაფებისა შემეცნებისაკენ—არა მარქსისტული და არა ბუნებრივია.

სეთი ჰფიქრობს აგრეთვე, რომ შიში, გაუბედაობა, ისე როგორც უშიშრობა და თანგანწირვა მუდმივი თვისებაა ადამიანისა, და ამდენათ „ჰამლეტიც“ და „დონ-კიხოტიც“ აბსოლიუტური ღირებულების შემოქმედებაა. კატეგორიულად უნდა ითქვას რომ ს. დევდარიანი აქ მიუტევებელ შეცდომას სჩადის. ნუ თუ შიში, რყვა და გაუბედაობა მარადი თვისებებია ადამიანის? სოციალურ ცხოვრებაში ნუ თუ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატს, რომელსაც შეუცვნია თვისი თავი, რომელიც სრულის შეგნებით იბრძვის მესამე წოდების წინააღმდეგ—ახასიათებდეს ეს „მარადი თვისებები ადამიანისა“? მუშა ინტიმურ ცხოვრებაშიაც ისეთივე მტკიცე, გარკვეული და მაწასადამე გაბედულია, როგორც ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შიში და გაუბედაობა იქ არის, სადაც მოქმედებ სრულიად შეუცნობლად. მოვლენათა შეცნობა, იგივე დაძლევაა, და სადაც დაძლევაა იქ სრული თავისუფლებაა. პროლეტარიატი თავისუფლად და გაბედულად იმითომ მოქმედებს, რომ მან გაიგო კაპიტალიზმის ყოველგვარი საიდუმლოებანი; „თავისუფლება აუცილებლობის შეცნობაა“ ამბობდა ჰეგელი. და თუ სძლიე ეს აუცილებლობა, მაშინ გაუბედაობაცა და შიშიც ერთიანად იკარგება. მტკიცეობა იმიხ, რომ პროლეტარიატს, როგორც ადამიანთა კრებულს, ახასიათებდეს „შიში, მერყეობა და გაუბედაობა“, შეუძლია ისეთს ადამიანს, რომელმაც უკვე პრინციპიალურად დაჰკარგა რწმენა პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებში და მის აუცილებელ მომავალში.

ანალოგიურია ს. დევდარიანის მდგომარეობა „დონ-კიხოტის“ მიმართაც.



„დონკიხოტი“—წარმოადგენს სატირას მაშინდელ ესპანეთში გავრცელებულ რაინდულ რომანებზე. „დონკიხოტის“ ტიპი—ეს არის ნამდვილი, პირდაპირი ინდივიდუალისტიკის ტიპი. უშიშრობა და თავგანწირვა—აი რა იყო სატირო რომ ესპანელ რაინდებს მოეხდინა თვისი გმირობის დემონსტრაცია—არავითარი ობიექტიური აზრი, არავითარი სოციალური მოტივი, მხოლოდ უაზრო და უმიზნო „მოღვაწეობა“—აი რა არის დონკიხოტობა. ეს დონკიხოტობა იშვიათი მხატვრული ინტუიციით მოგვცა სერვანტესმა თავის „დონკიხოტში“. ამით მან სასტიკი ზნეობრივი განაჩენი გამოუტანა მაშინდელ რაინდებს და რაინდულ რომანებს. დონკიხოტობა თვისებური ბუნტარობაა. და მართლაც საოცარზე მეტია იმის მტკიცება, რომ დონკიხოტობა ადამიანის განუყრელი თვისებააო. სოციალურ სფეროში დონკიხოტობა ბრძოლაა ისტორიისა ობიექტიურ აუცილებლობის წინააღმდეგ. ასეთს მდგომარეობას განიცდის დღეს ყველა ის, ვინც ებრძვის ისტორიას. ასეთია დღეს ბურჟუაზია და მათი მონათესავე ინტელიგენტები, რომელთაც სხვა და სხვა სოფიზმებით სურთ დაფარონ თვისი წვრილ—ბურჟუაზიული გაუბედავი ბუნება.

ხელოვნებაში, როგორც აღვნიშნეთ, მუდმივია მხოლოდ ზოგადი იდეა—მისწრაფება მშვენიერებისაკენ. ეს გარემოება ბუნებრივად ხდის იმას, რომ ხელოვნებას უდიდესი გავლენა აქვს ადამიანის გრძნობებზე. მშვენიერების მომენტის გარეშე ასეთს გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. ის ნაწარმოები, რომელიც არ ეუბნება რაიმეს ჩემს გრძნობებს, ჩემს განწყობილებას—ის აუცილებლად მხატვრული ნაწარმოები არ არის. ხელოვნება გრძნობათა სისტემატიზაციაა. მაგრამ სისტემატიზაცია ორის მიმართულებით სწარმოებს: დადებითი და უარყოფითი. ნაწარმოები, რომელიც იწვევს ჩემში ბრძოლის წყურვილს, ოპტიზმს, მაგრამ რომელიც ამავე დროს ესთეტიურადაც მაკმაყოფილებს—აუცილებლად რევოლუციონურია. ამ შემთხვევაში ჩემი გრძნობათა სისტემატიზაცია დადებითი მიმართულებით სწარმოებს. ეს ნაწარმოები უაღრესად კლასიურია. მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ჩემში ზრდის ინდივიდუალისტიკის ტიპს, აჩლუნგებს ჩემში ბრძოლის წყურვილს—აუცილებლად რეაქციონურია და, როგორც ასეთი, უაღრესად კლასიური. ნუთუ შეეცდება ს. დევდარიანი იშის მტკიცებას, რომ მაგ. „კაცი სარკიდან“ არის რევოლუციონური ნაწარმოები, რომ იგი იდეოლოგიურად პროლეტარიათისათვის არის მისაღები? და ბოლოს გვიპასუხოს ს. დევდარიანმა: თანამედროვე ექსპრესიონიზმი, როგორც იდეოლოგია, როგორც ესთეტიური იდეოლოგია, სადაც მოცემულია საუკეთესო მხატვრული ნიმუშები არის თუ არა მისაღები პროლეტარიათისათვის?

დასკვნა: ხელოვნება შენეცნების თვისებური პროცესია; როგორც ასეთი განსაზღვრულ იდეოლოგიის მქონე. უიდეოლოგიო ხელოვნება აბსტრაქტული ფიქციაა. ასეთი ხელოვნება ისტორიას არ ახსოვს და საღ ლოდიკურ აზრს შეუძლებლად წიაჩნია. კლასიურობის ბუნება ხელოვნებისა უნდა ეძიოთ არა ავტორის პიროვნებაში, არამედ იმ იდეოლოგიაში, რომელიც მოცემულია ავტორის მიერ. ნაწარმოები, რომელიც მხატვრულად არ აკმაყოფილებს თავის თავს, იყვეს ის რევოლუციონური და რეაქციონური იდეოლოგიის—ხელოვნება არ არის. ხელოვნების შეფასება მთლიანად შესაძლოა მხოლოდ იდეისა და ფორმის გაერთიანებულ თვალსაზრისში.

გ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა



უკრაინული
გ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

მ. გ. ვოლფსონი. საზოგადოებათმეცნიერება. (ნარკვევი)

რუსულის მეოთხე გამოცემიდან ნათარგმნი ის. თალაქვაძის რედაქციით. სურათების დართვით ტექსტში. ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1925. გვ. 445.

საზოგადოებათმეცნიერების ანუ სოციოლოგიის კურსის დაწერა ადვილი საქმე არაა. ამას თავისი ღრმა მიზეზი აქვს. კაცობრიობა არც ისე ბრიყვი იყო, რომ ასეთი დისციპლინის იდეამდე კონტზე ადრე ვერ მივიდა. ასეთი დარგის არსებობა კონტის დროსაც სადაო იყო და მის შემდეგაც სადაო დარჩა. ამ დისციპლინის შინაგან გაურკვეველობის გარეგან გამოხატულებას, თუ გნებავთ, თვით სახელწოდება „სოციოლოგია“ წარმოადგენს, რომელიც ბერძნულ-ლათინურ წარმოებითაა შეკოწიწებული. პოლიტიკური ეკონომია (რომელიც თვითონაც უხეირო სახელწოდებას წარმოადგენს — „პოლიტიკური“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს პოლიტიკასთან დაკავშირებულს რაიმეს, არამედ უახლოვდება „პოლის“-ის ანტიურ მნიშვნელობას; აქედან „საზოგადოებრივი ეკონომიკა“, „ხალხთა სიმდიდრე“ ა. სმიტის, ან „ნაციონალი ეკონომია“ გერმანულ ეკონომისტების), ისტორია სამართლის სხვა და სხვა დარგები, ისტორიის ფილოსოფია, ხალხთა ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება (პრინციპიული) და სხვა ამოსწურავენ იმას, რასაც შეიცავს „საზოგადოებრიობა“. ამის გამო ძნელდება სოციოლოგიის, როგორც თავისებურ და გარკვეულ კვლევაძიების დარგის გამოკვეთა და ნათლად დასახვა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო (თუმცა იყო ცალმხივი), რომ პ. ბარტმა ფილოსოფიის ისტორია და სოციოლოგია ერთი მეორეს დაუახლოვა.

შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიის გამოკვეთილი არც საგანი და არც მეთოდოლოგია მეცნიერებას აქამ-

დე არ მოეპოვება, მართალია არსებობს სოციოლოგიური ლიტერატურა და მთელი მიმართულებებიც, მაგრამ ყველა ეს თეორიებია სოციოლოგიის გამოც. როგორ უნდა იყოს აშენებული ეს მეცნიერება და არა თვით დამკვიდრებულ დარგის სფეროში მომუშავე მიმართულებანი.

მეორე მხრით კვლევა ძიება მიმართულია ისტორიულის გზით, სადაც ძველ და ეხლახან არსებულ ჩამორჩენილ ხალხთა ცხოვრების ფორმების მიხედვით სწარმოებს სოციოლოგიური მუშაობა. არც ასეთი ნამუშევარი წარმოადგენს გამოკვეთილი დარგის შესწავლას, არამედ მხოლოდ მასალოს ანუ შესავალს ასეთი დარგის აშენებისათვის.

მარქსისტ მკვლევარისათვის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია: ისტორიის მატერიალისტური გაგება თავის თავად არაა კიდევ მარქსისტული სოციოლოგია. ისტორიაში გაშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების ფორმად და იდეოლოგიური ზედნაშენის ევოლიუციად (რადგან რევოლიუციის დასაბამი პირველშია) ჩამოყალიბება იმ რიგად განაჯგუფებს სოციალ მოვლენებს, რომ სოციოლოგიური პრობლემის მიყენების არე არა სჩანს. მარქსიზმი, როგორც სისტემა, ისტორიის ფილოსოფიაა; როგორც მეთოდი — დიალექტიკა. პირველი სოციოლოგიაზე მაღლა სდგას, მეორე — ყველა მეცნიერებათ საფუძველად უდევს და ამდენად სოციოლოგიის დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენს. ამიტომაც, მარქსისტული სოციოლოგიის დაწერა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, და ამ სიძნელის დალი მ. ვოლფსონის წიგნს ზედ აზის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბუნებრივია მეტი მეცნიერული აღლო გამოიჩინა, როდესაც „მარქსისტული სოციოლოგიის“ წერის დროს ცენტრი



„სახოგადოებრივობის“ და „თანამშრომლობის“ მომენტში (არა ვულგარულ, კლასთან თანამშრომლობაში) გადაიტანა. მ. ვოლფსონი ეკამათება ბუნარინს, თითქო უკანასკნელმა მხედველობაში არ მიიღო რომ საქმე თანამშრომლობაში კი არაა, არამედ საწარმოო იარაღების შექმნაში (გვ. 17), მაგრამ სოციოლოგიური თვალსაზრისით ცენტრი სწორედ რომ სახოგადოებრიობაშია და საწარმოო იარაღები, ისე როგორც მათზე დამყარებული წარმოება, სოციალ ფენომენის მასალაა.

მ. ვოლფსონის წიგნი ისტორიული მეთოდითაა დაწერილი. იგი იწყება პირველ-ყოფილ კულტურის ნიმუხივით და თანამედროვე კომუნისტური აღმშენებლობის ფორმებამდე აღწევს, თუმცა განვითარების იდეა ყველგან გატარებული არაა. (იხ. გვ. 15 ადამიანის ორგანოების განვითარების „შეჩერების“ შესახებ.). წიგნის საინტერესო ნაწილს წარმოადგენს სოციალისტურ მოძღვრებათა და მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში და რუსეთში, (განსაკუთრებით უკანასკნელი (259—330), როგორც სოციალ-პოლიტიკური სახელმძღვანელო წიგნი უქველად

მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა აქა იქ ენცკლოპედიაში ლექსიკონის სტილში მოხსენიებულია

გარდა დასურათებისა, წიგნს დართული აქვს სახელების მაჩვენებელი (უნდა იყოს „საძიებელი“—რა უყოთ, რომ რუსულად „указатель“-ი სწერია; ყოველ შემთხვევაში არა „показатель“-ი). თვით საძიებელი არაა სავსებით დამუშავებული მაგ. როდესაც აღნიშნულია: „გრაქი კაი“, „გრაქი ტიბერი“, აღიარა კიდევ საჭირო „გრაქები“-ს აღნიშვნა, რადგან „გრაქები“-ს სწორედ ის ტიბერი და კაი იყვნენ და სხვები, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ისტორიაში არ სწერია.

სხვა მცირედ დანაკლისებს რომ თავი დავანებოთ, არ ვარგა „კულტი“-ს განმარტება მე „პნ“ გვერდზე. „კულტი“ არაა „თაყვანისცემა, იმის რაც (ადამიანს) უმაღლეს ძალად მიაჩნია“. თაყვანისცემა კულტის საფუძველია, ხოლო „კულტი“ თაყვანისცემის გამოხატვის ფორმაა. სახელმძღვანელოს ნათელი განმარტებები უყვარს.

ქართული თარგმანი სადა და კარგია.

ზ. ნ.

ჩვენი მეცნიერება № 2 (14).

(ყოველთვიური სამეცნიერო პოპულიარული კრებული).

რედაქტორ-გამომცემელი ან. შილაკაძე.

ჩვენი დღეს სამეცნიერო კრებულების სისტემატიური გამოცემა ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარა. „ჩვენი მეცნიერების“ მე-2 ნომერიც სწორედ ერთი ასეთ კრებულთაგანია. ნამდვილათ კი არა, სისტემატიური ჟურნალია. გასული წლის პირველ ნომრიდან ის დღემდე 14 ნომერს ითვლის და თუ ეს ჟურნალი დღემდე კიდევ კრებულის სახელს ატარებს, ეს ალბად იმიტომ, რომ მის რედაქციას ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია კრებულისათვის ჟურნალის

სპეციფიური სახე მიეცა. „ჩვენ მეცნიერებაში“ თავი მოუყრია მეცნიერულ ნარკვევებს, რომელიც დაწყებული ივ. გომართელის მართლაც რომ გაპოპულიარებული მეცნიერებიდან რთულ მათემატიკურ ნარკვევამდე ყველაფერს იტევს.

პირველი წერილი წინამდებარე მეორე ნომერში—კონსტანტინე ცავარელს ეკუთვნის: საქართველოს ს. ს. სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებანი. სა-



ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც გამოსულა 5 დეკემბერს 1922 წელს შედარებულია მის თანამოდმე ვოდექსებთან, რომელიც რუსეთისა და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკებს გამოუშვიათ. ავტორი განიხილავს ჩვენი კოდექსის თავისებურებას, რომელიც გამოცემულია ადგილობრივი ზნე-ჩვეულების, ეკონომიური განვითარების და სხვა სპეციფიურ ხასიათის მოვლენების გამო. საბჭოთა ქვეყნები საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ სისტემასა ჰქმნიან, და მათ, ცხადია, ახალი სისხლის სამართლის კოდექსიც სჭირდება. სწორედ ამიტომ ეს წერილი ძალიან საინტერესოა ახალგაზრდა საბჭოთა იურისტებისათვის.

მეორე წერილი ეკუთვნის პროფ. ივ. ჯავახიშვილს: ქართული საფას საზომების მცოდნეობა. ეს წერილი წარმოადგენს გაგრძელებას წინა ნომრიდან. მასში მოცემულია აუარებელი მასალები საქართველოს ეკონომიური წარსულიდან. ეს ისტორია არ არის, არამედ ძვირფას ძეგლთა კრებული.

ისტორიულ ეკონომიური ხასიათის არის აგრეთვე ტ. ფარცხალაძის წერილი: კიბრაღაურიანი ოჯახის „ეკონომიური პოლიტიკა“. გიორგი კოკოჩაშვილის წერილი: „ქუთაისის მუხეუმე-

ბის ოდიკის ხის კლიშე“ საინტერესოა აგრეთვე ისტორიკოსების მიერ.

გრიგოლ ხათათაძის „წიგნი ქართული საზოგადოებრივი უშუალო თანამედროვეობაში“. მისი თემაა: მარქსიზმის შესწავლა შრომის სკოლაში. ანუ მარქსისტული კვლევა-ძიების მეთოდების გამოყენება სკოლებში. ეს ერთობ პასუხს საგები თემა და საჭიროა სხვა ავტორიტეტული პედაგოგებიც გამოეხმაურონ მას.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე წერილი აღმოსაღეთის ლიტერატურის შესახებ, ის ეკუთვნის პროფ. ახვლედიანს და თოფურის ფილოლოგიური ნაკვლეგები. ამას მოჰყვება 4 წერილი ბუნების მეტყველებიდან. აქ მონაწილეობენ ექ. ცვცხლაძე, დოც. ნ. იოსელიანი, პროფ. ანფიმოვი და ექ. ივანე გომართელი.

„ჩვენი მეცნიერების“ ეს ნომერი განსაკუთრებით მდიდარია ბიბლიოგრაფიით. პირველი ბიბლიოგრაფია ნ. მარის ერთ-ერთი თეორიის შესახებ ეკუთვნის მოსე გოგობერიძეს შემდეგ მოჰყვება გერმანელი ავტორის ტივეს გარჩევა, რომელიც ჩვესთვის საინტერესოა თემას, ორიენტალურ კოსტუმებს ეხება. სანიმუშოა აგრეთვე რ. კაუბჩიშვილის და გ. ჩუბინაშვილის ბიბლიოგრაფიები.

M.

კ. მარქსი და ფრიდრიხის ენგელსის-- წერილები.

მარქსის და ენგელსის მიწერ მოწერა გამოვიდა გერმანულ ენაზე 4 დიდ ტომათ 1913 წელს. მიწერ მოწერა შეიცავს მდიდარ მასალას ყოველნაირ კითხვებზე. ქართულთა გადმოთარგმნილი სულ მცირე ნაწილია ამ სინდიკატის.

ასეთი მასალების გადმოცემა ქართულ ენაზე ძალიან მიზან შეწონილი იქნება ცალკე კითხვებზე დანაწილებით. მაგალითად, ამოკრება ოთხივე ტომიდან ყველა წერილების ბურჟუაზიული რესპუბლიკის შესახებ, მუშათა მოძრაობის შესახებ, დიალექტიკის შესახებ

და სხვა. ცალკე გამოშვება ასე თავმოყრილი წერილების თითო კითხვაზე. მკითხველს ამითი უფრო გაუადვილება გაცნობა იმისი, რასაც იძლევა ეს ოთხ ტომიანი და სხვა მიწერ მოწერა.

წიგნი კარგათ არის გადათარგმნილი, თუნცა შეხვდებით, მაგალითად, ამნაირ ადგილებს...

შესახებადი რეალობა... ლედროფ როლენის ჩათვლით... ეს იქნება უარყოფა საფრანგეთის რევოლიუციის მოწოდების...

წერილები ამ წიგნში ამოღებულია არა მარტო მარქსის და ენგელსის



ერთმანერთთან მიწერ მოწერიდან. არის ისიც, რაც მათ მიუწერიათ ხოლმე სხვა პირებისთვის.

სასურველია ქართულ ენაზე დავინახავდეთ ყველა წერილებს. თეორია

და პრაქტიკა მარქსიზმის მაშინ იქნება, რა თქმა უნდა, უფრო ნაშთი და ყოველ მხრივ გაშუქებული.

ს. ლ.

ნიკო ლორთქიფანიძე.

წიგნი პირველი.

გვ. 304. ტფილისი — ქუთაისი 1924 წ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ამ წიგნში წარმოდგენილია ნიკო ლორთქიფანიძის შედარებით ადრინდელი ნაწერები: ნოველები, ესკიზები, პატარა მოთხრობები.

მთლიანად, ამ ტომში ლორთქიფანიძე იგრძნობა, როგორც ღირსეული მემკვიდრე ქართული რეალისტური პროზის და დავით კლდიაშვილის თანამედროვე პარალელი.

წიგნი იხსნება ნოველების სერიით საერთო სათაურის ქვეშ „პანაშვიდი“.

აქ მართლაც პანაშვიდური მწუხარება და სევდა იგრძნობა. უსაზღვრო უიმედობა. ამოიება სიცოცხლის, ადამიანის ყოფნის უმიზნობა და სურათი „წყვეული საკითხები“ სიცოცხლის რაობისა და ღირებულების. — ასეთია შავ ფერადებში მოხაზული ნოველების საერთო ტემა.

„ფრთოსანი ყვავი სჯობია ათასწილ ყვავს — ადამიანს. შავი ყვავი ამოგკორტნის თვალებს და გათავდა. ყვავი ადამიანი კი, სძიძვნის მთელს სულს, ყველაფერს, რაც კი გაჰქრა და რაც კი დარჩა ადამიანისაგან. ეძებს რასმე სასარგებლოს, სახეიროს“.

ეს სტრიქონები ანათესავენს ლორთქიფანიძეს ბარათაშვილთან, „მსოფლიო სევდის“ პოეზიასთან, შოპენვაუერის მსოფლიო სევდასან.

„ტაბაკელა“ „ბუნება“, მამულის სული“, „მგლოვიარენი გულითა“, „ცხოვრება ხალხმთქასი“ „საფლავის ვარდი“.

აქ განადგურებაა ადამიანის ყოველი იდეალის, ყოველი იმედის. აქ ცხოვრება გაგებულია, როგორც ოდნაილის უფსკერო ქურქელი“.

„უილაქნოდ“ — შიშ მოცემულია „სოფლის უკულმა ტრიალი“. კვახიშვილის მთელი ცხოვრება ამ „ტრიალის უკულმართობის“ ილიუსტრაციაა.

„დანგრეული ბუდეები“ არის თავად-აზნაურობის დაღუპვის ისტორია. დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედებაც ამ ტემაზე შენდება. მაგრამ ლორთქიფანიძეს ბევრი აქვს განსხვავებული და თავისებური. იგი განადგურებულ ოდების, დანგრეულ ჭიშკრების და გაღაენების გარეგანი ხატულობით მოცემულია ქართულ ფეოდალიზმის დაცემისა და გადაშენების ეპოპეია.

„იმერი“ ნათელი ფერადებით ასახავს საქართველოს ამ მართლაც მრავალფეროვან კუთხის მრავალფეროვან თავისი ბუნებით, ყოფაცხოვრებით. ეპიგრათია „ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალის ფერია“ სავსებით გამართლებელია ამ ნაწარმოებებში.

„სურათი სოფლად“, „გლეხის მოსახლეობა იმერთეში“ „ოდელა დელია“, „ტლუი ბიჭი“ „ქორწილი“. მარტო ეს სათაურები იძლევიან ამ პატარა ესკიზების შინაარსის მთელ წარმოდგენას.

აქვე მოთავსებულია ცნობილი „ბებრები“. ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ნიკო ლორთქიფანიძის.

„შექმნილ ლეგენდებში“ განსაკუთრებით ირჩევიან „რაინდი“ და „ამაყი“,



უკანასკნელში კარგადაა განსახიერებული ინსტიქტი ჯანყისა და თავგანწირვის.

ავტორს დამზადილი ჰქონია კიდევ ორი ტომი თავისი ნაწერების. ეს იქნება ლოგიური განვითარება ამ რჩეულ ბელეტრისტის ლიტერატურულ ქმედობის და ამდენათვე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი.

უეჭველია ნ. ლორთქიფანიძე დიდი ნიჭის პატრონ-მწერალია. გართულ

პროზაში მან წაუშლელი ხაზი გაატარა მაგრამ—საუბედუროდ—საკულო ლორთქიფანიძე თანამედროებას ჯერ-ჯერობით არ ლებულობს. მიიღებს, კი ოდესმე ვიცით. ძნელია ამის თქმა.

ყოველ შემთხვევაში, თუ ლორთქიფანიძეს არ უნდა მარტო ისტორიის კუთვნილება დარჩეს—თავისი ნიჭი დღევანდელობას უნდა მოიხმარს.

ბ. ბ.

Проф. Г. Н. Гехтман. Экономич География Грузии. Заккнига.

(მეორე გამოცემა).

ეკონომიური გეოგრაფია, როგორც პროფ. გ. გეხტმანის წიგნი: „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ საქართველოს სამეურნეო ფაქტების მხოლოდ აღწერას წარმოადგენს. ეს ავტორის გონიერი სიფრთხილით აიხსნება. ეკონომისტ—გეოგრაფს წინ უნდა უსწრებდეს ნატურალისტ გეოგრაფი. ამ მხრივ კი ჩვენში თითქმის არაფერი ვაკეთებულა.

გარდა ყდისა სადაც საქართველოს სტემატიური რუკა არის მოთავსებული და წიგნის პირველი გვერდის, სადაც, აწერია: მეორე გამოცემა, წიგნში ძველ გამოცემასთან შედარებით არაფერთარი ცვლილება არ არის შეტანილი. როგორც ძველი, ისე ახალი გამოცემა ცხუთი თავისაგან შესდგება, პირველ თავში განხილულია საქართველოს ტერიტორია, ბუნება და მოსახლეობა.

მეორეში: სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და შინა მრეწველობა, მესამეში: სამთაბადნო საქმე საქართველოში; მინერალური წყლები და თეთრი ნახშირი. მეოთხეში: მიწათ მფლობელობა და აგრალოური რეფორმა; მეხუთეში: დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და სატრანსპორტო საშუალებანი. წიგნი დაწერილი იყო 1923 წელში. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი გარემოება: იმდენათ ჩქარია ჩვენი სამეურნეო ცხოვრების განვითარე-

ბის ტემპი, რომ ის რაც ახალი იყო 1923 წლისთვის დღეს უკვე მოძველებულია; ამას ნათელჰყოფს ერთი მაგალითი. მე III თავში, სადაც განხილულია თეთრი ნახშირის საკითხი, ავტორს მოჰყავს ცნობები ჩვენი ქვეყნის პიდრაველიურ ენერჯის რესურსების შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ რესურსების მხოლოდ უმცირესი რაოდენობა არის გამოყენებული.

ახალი ცნობებით შევსებას მოითხოვს აგრეთვე ის სტატისტიკური რიცხვები, რომელნიც ავტორს მოჰყავს მეღვინეობის, მეთამბაქეობის და ჩაის მეურნეობის შესახებ. ეს ცნობები, ისე როგორც სხვა დანარჩენიც 1920—21 წ. წ. ეკუთვნის; ხოლო დამატებით თანამედროვე ცნობებს შეეძლოთ ახალი მდგომარეობის გაშუქება იმდენათ, რამდენადაც ჩვენი საბაბნო მეურნეობა ამ წლების შემდეგ საბჭოთა კავშირის სამეურნეო რკალში მოექცა და შემოდსახელებულ დარგებზე ამ სამეურნეო კავშირის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი ვახდა.

მიუხედავად ყოველი-ვე შემოაღნიშნული სასურველია და საჭიროც, რომ ეს წიგნი ახალი ცნობებით შევსებული ქართულად ითარგმნოს და გამოიცეს, რადგან ის ერთი სერიოზული შრომაა მზავსი ხასიათის, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართველ მკითხველისათვის.

გ. კ-ძე.

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა



საქართველო

1. კონსტანტინე ჭიჭინაძე—ორიოდე სიტყვა	5
2. იონა ვაკელი—ბალადა სოფელს.	7
3. კ. ფედოსიშვილი—წერილი დედისგან	10
4. კონ. ლორთქიფანიძე—სტენკა რაზინ.	12
5. ივ. იოსელიანი—უკანასკნელი ბარიკადა	17
6. გრიგოლ რობაქიძე—მალშტრემ	26

რუსეთი

7. ვ. ბრიუსოვი—რუსეთის რევოლუციას თარგ. კოლაუ ნადირაძის	86
8. ილია ერენბურგი—ტრესტი დ. ე.—თარგ. შალვა ასათიანის	87

9. ნაწყვეტები ეგიშე ჩარენცის პოემიდან: ურდოები გაგიჟებულ- თა—თარგ. კოლაუ ნადირაძის.	145
10. აზატ ვშტუნი—გრიგალის ძახილი—თარგ. კოლაუ ნადირაძის.	146
11. ომეგა—სპა-სთა ლიტერატურა	147

ქრიტიკა მხატვრობა და მემშარები.

12. ს. გორგაძე—აკაკი წერეთელი	175
13. რაფდენ კალაძე—აკაკი	187
14. გერონტი ჭიქოძე—კონსტანტენ მენიე და ხელოვნების რევოლუ- ცია	196
15. ბესარიონ ფლენტი—1924 წელი ქართულ ლიტერატურაში	206
16. ლეონ მელიქსეთ ბეგი—ახალი პრობლემა საქართველოს ისტო- რიაში	214
17. ს. ქავთარაძე—სირიის საკითხი, როგორც ნიმუში იმპერიალი- სტური პოლიტიკისა	226
18. შ. დუდუჩავა—მარქსიზმი და ხელოვნება	243

ბიბლიოგრაფია

19 შ. ნ. ვოლფსონი—საზოგადოებათმეცნიერება	252
20 M.—ჩვენი მეცნიერება № 2(14)	253
21 ს. დ.—კ. მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი—წერილები	254
22 ნ. ტ.—ნიკო ლორთქიფანიძე	255
23 გ. კ. ძე—Проф. Г. Н. Гехтман. Экономич. география Гру- зии. Звкнига	256



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

შეცდომების გასწორება

დაპეკდილია:		უნდა იყოს:
გვ.	28 პიკოლიც!	პიკულიც!
"	33 აზეფელ	აზეფულ
"	33 ამოზიდული	ამოზიდული
"	35 ნდობა	ნდომა
"	40 ნაძარი	ნაყარი
"	47 მთნარეს	მდინარეს
"	51 რას ბობ	რას ამბობ?
"	53 მაგრო	მაგარს
"	55 გალული	გალლული
"	63 დაგდაღმეს	დაგდაღავს
"	64 ვიზონერული	ვიზიონერული
"	65 შენუტიე	პენუტიე
"	66 პერთის	პერკის
"	75 მიზიონერული	ვიზიონერული
"	83 აზეფელ	აზეფული
"	87 მიდოდა	მიდიოდა
"	105 მოყვა	მოყვა
"	118 სწორედ	სწორად

კვირას, 29 მარტს 1925 წელს.

დანიშნულია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის

„წარმოკავშირე“-ს

რწმუნებულთა მ-ის საზოგადო ყრილობა

შემდეგი დღის წესრიგით:

- 1) საანგარიშო მოხსენება წარმოკავშირის გამგეობის 1923 და 1924 წწ. მოქმედების შესახებ.
- 2) წარმოკავშირის საფინანსო (ბუღალტერული) ანგარიშები 1923 და 1924 წწ.
- 3) გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავის მოქმედების შესახებ 1924 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წლ. 1-მარტამდე.
- 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება წარმოკავშირის მოქმედებაზე 1923 და 1924 წწ.
- 5) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი საორგანიზაციო საკითხები
- 6) წარმოკავშირის 1925 წლ. გეგმა შემდეგ დარგებში:
 - ა) სამეურნეო
 - ბ) საფინანსო
 - გ) საორგანიზაციო
 - დ) აგრიკულტურული
- 7) არჩევნები გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის.
- 8) წარმოკავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
- 9) მიმდინარე საკითხები.

წარმოკავშირის მოკავშირე ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან თავიანთ რწმუნებულებს, არჩეულთ საერთო კრების მიერ შემდეგი წესით: ის მოკავშირე ორგანიზაცია, რომელიც აერთებს 100-დე ფიზიკურ პირს — ირჩევს 1 რწმუნებულს; 100—300-დე — ორს; 300—500-დე — სამს; ხოლო თუ კოოპერატივი აერთებს ხუთაზე მეტ წევრს, ის გზავნის ხუთასის ზევით ყოველ ხუთას წევრზე კიდევ თითო რწმუნებულს. რწმუნებულთ ხელთ უხდა ჰკონდეთ სათანადო მანდატები.

წარმოკავშირის გამგეობა.



დადგენილება № 14

27 თებერვალი 1925 წ.

ქალ. თბილისში და მის მაზრაში მომქმედ ადგილობრივ, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების და უცხო სახელმწიფოების საგამომცემლო წარმოებათა რწმუნებულებისა, აგენტებისა და სხვათა აღრიცხვის შესახებ.

§ 1) ქალ. თბილისში და მის მაზრაში მომქმედ ადგილობრივ, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების და სხვა სახელმწიფოთა საგამომცემლო წარმოებათა რწმუნებულები, აგენტები, წარმომადგენლები და სხვა, რომლებიც აწარმოებენ ლიტერატურის, პორტრეტების, ექტონების და სხვადასხვა გულის ნიშნების დაწესებულებათა და მოსახლეობის შორის გავრცელების საქმეს, — ვალდებულნი არიან, მანამ შეუდგებოდნენ დაკისრებულ საქმის წარმოებას, გამოცხადდნენ აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებაში (ლ. დუმბაძის ქ. № 7) შესაფერი რწმუნებით საბუთებით და ასეთები გაატარონ აღრიცხვაში.

§ 2) ამ საგალდეგულო დადგენილების გამოქვეყნებამდე თბილისში და მის მაზრაში მონუშავე § 1 აღნიშნული პირნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ადმინისტრაციულ განყოფილებაში ამ საგალდეგულო დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.

§ 3) აღმასკომნი სთხოვს ყველა წარმოებათა და დაწესებულებათა გამგეებს და კერძო პირთ, რომლებსაც ესა თუ ის რწმუნებული ან წარმომადგენელი შესთავაზებს ამა თუ იმ ნივთს ან ლიტერატურის ამა თუ იმ წარმოებს, მოსთხოვოს უკანასკნელს შესაფერი საბუთები, რომელზედაც უნდა იყოს შესაფერი წარწერა აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილებისა, რომ საბუთი გატარებულია რეგისტრაციაში, თუ ასეთი მას არ აღმოაჩნდა ასეთი პირი წარდგენილი უნდა იქნეს მ/გ. მილიციის შესაფერ სამილიციო რიიონის სამმარველოში.

§ 4) ამა საგალდეგულო დადგენილების 1 და 2 §§-ის დამრღვევი პირები დაისჯებიან თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილების გამგის ხელისუფლებით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ანდა ჯარიმით ას მანეთამდე.

§ 5) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი.

ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ხმალაძე.

მდივანი ცქიტიშვილი.